

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

პრიტიპა

17

თბილისი

2022

UDK(უაკ) 22.09(051.2)
კ-847

რედაქტორი მანანა კვაჭანტირაძე

სარედაქციო საბჭო:

ლალი ავალიანი
თეიმურაზ დოიაშვილი
თამაზ გასაძე
სამსონ ლეუავა
ადა ნემსაძე
ლელა ოჩიაური
ირმა რატიანი
მაკა ჯოხაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
თინათინ დუგლაძე

გარეკანის დიზაინი:
სოსო ტაბუცაძე

რედაქციის მისამართი: 0108, თბილისი,
მერაბ კოსტავას ქ. №5
ტელ. 99-53-00; E-mail: litinstituti@yahoo.com

ISSN 0206-5746

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში
0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel. 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge

მარა ჯალიაშვილი

რომანი-აპოკრიფი

(გიორგი კაჭარავას რომანი „პილატე და კაიაფა“)

მსოფლიო ლიტერატურაში სხვადასხვა უანრის არაერთი მხატვრული ნაწარმოებია, რომლებშიც ბიბლიაში (ძველსა თუ ახალ აღთქმაში) მოთხოვობილი ამბები ახალ ქრონოტოპშია გადააზრებული, ნაცნობი სიუჟეტები მოდიფიცირებულია, შეცვლილია, მიმატებულ-გამოკლებულია, მაგრამ წყაროსთან კავშირი (პირდაპირი თუ ირიბი), სხვადასხვა დონეზე (სახელების, ხასიათების, ტოპონიმების, სიუჟეტური პერიპეტიისა და სხვ.) კავშირი შენარჩუნებულია. ამგვარად, მკითხველი თავისუფლად ამოიცნობს ნაცნობ ბიბლიურ გმირებსა და მათს თავგადასავლებს. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: ლეონიდ ანდრეევის „იუდა ისკარიოტელი“, მიხაილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, ნიკოს კაზანძაკისის „იესო კვლავ ჯვარს ეცმის“ და „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“, სელმა ლაგერლოფის „ლეგენდები ქრისტეზე“, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო ძე კაცისა“, ფრანსუა მორიაკის „იესოს ცხოვრება“, ბორხესის „იუდას გაცემის სამი ვერსია“, უოზე სარამაგუს „იესოს სახარება“ და „კაენი“, ერიკ ემანუილ შმიდტის „პილატეს სახარება“ და სხვ. ლიტერატურათმცოდნებაში ასეთი ნაწარმოებები ახალი ტიპის აპოკრიფებადაა მიჩნეული. სწორედ ასეთი რომანი-აპოკრიფია გიორგი კაჭარავას „პილატე და კაიაფა“.

ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაშიც მძლავრად წარმოჩნდება ბიბლიური მოტივები, სიმბოლოები, ალუზიები და სხვა. კონკრეტულად, ლიტერატურულ აპოკრიფებად კი შეიძლება მივიჩნიოთ, უპირველესად, დავით გურამიშვილის „დავითიანის“

ზოგიერთი ეპიზოდი, მაგალითად, „ადამის საჩივარი“ და „ღვთის-მშობლის ტირილი და მოთქმა“. ამ ორ ლექსში პოეტი ისეთ ამბებს გვიყვება, რომლებიც ბიბლიურ კონტექსტს მიესადაგება, ამ შემთხვევაში იგი არ ცვლის ხასიათებს, მაგრამ წარმოსახვით ავსებს და აფართოებს მათ. რომან-აპოკრიფთა მხატვრულ წარსახეობათა შორის, აგრეთვე, შეიძლება დავასახელოთ, გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, რომელშიც ქვეტექსტურად, დაშიფრულად ირეკლება უძლები შვილის შინიდან წასვლის, თავგადასავლებისა და შინ დაბრუნების ამბავი. აპოკრიფულია, აგრეთვე, მიხეილ ქვლივიძის „იუდას მონოლოგი“, ლაშა იმედაშვილის „იესოს საქმე“, მაკა ჯოხაძის „ადუი“, „მარიამ მეგვიპტელი“, „ჩოჩორიკას თოვლი“, გვივი მარგველაშვილის „წიგნის გმირების დროული გადასახლება“, „ისააკის გაქცევა ბეთლემში“ და სხვ.

ოდითგანვე ხელოვანთათვის ბიბლიური სიუჟეტები თუ პერსონაჟები ძლიერი შთამაგონებელი წყაროა. თანამედროვე სამყაროშიც გრძელდება ლიტერატურულ აპოკრიფთა შექმნა. ამ ტიპის ნაწარმოებებში მწერლები თავისუფლად, ერთგვარი არტისტულობითა და თამაშით ეპყრობიან საკრალურ ტექსტებს. პერსონაჟებსაც სრულიად ახალ კონტექსტებში, განსხვავებული რაკურსებით წარმოაჩენენ, ცვლიან ხასიათებს, გარემოს, რათა საკუთარი სათქმელი სწორედ ამ პარადიგმულ სახეთა მეშვეობით გამოხატონ.

როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამგვარ რომან-აპოკრიფად შეიძლება მივიჩნიოთ გიორგი კაჭარავას ისტორიული რომანი „პილატე და კაიაფა“. ორივე სახარებისეული პიროვნება ხშირად გვხვდება ლიტერატურაში, თუმცა, ამ თვალსაზრისით, პილატეს ტრანსფორმირებული სახე უფრო გამოკვეთილია. მაგალითად, ორ რომანში ის მთავარ გმირად გვევლინება. ვგულისხმობთ შმიდტის „პილატეს სახარებას“ და მიხაილ ბულგაკოვის „ოსტატსა და მარგარიტას“.

გიორგი კაჭარავას რომანის მთავარი თემები ეგზისტენციალურია, ავტორს მხატვრულ სახეთა მეშვეობით სურს წარმოაჩინოს ადამიანის სიცოცხლის საზრისი, კონკრეტულ დროსა და სივრცეში მისი ხანმოკლე არსებობის დანიშნულება. აქაც წარმავალი და

მარადიული ერთმანეთს უპირისპირდება. ცოდვისა და მადლის კონტექსტებში წარმოჩნდება ის ღირებულებები, რომლებიც ადა-მიანის ყოფას განსაზღვრავენ ნებისმიერ დროში, მათ შორის, თა-ნამედროვეობაშიც. მწერლისეული წარმოდგენები რელიგიური და ლიტერატურული ტექსტებითაა შთაგონებული. ადამიანის სულშია პილატეცა და კაიაფაც, ქრისტეცა და იუდაც, მთავარია, რომელს ასაზრდოებს თავისი შიშითა თუ სიყვარულით, რომელს მისცემს ძალას თავისი სიკეთითა თუ ბოროტებით. დანტემაც ასე გვამოგზაურა ადამიანის სულის ჯოჯოხეთში, განსაწმენდელსა თუ სამოთხეში, რათა ეჩვენებინა ცოდვისა და არარაობისაგან ხსნის გზა. ადამიანში „მოსახლე“ დემონი გამუდმებით დევნის ღვთაებ-რივს, ისევე როგორც განდევნა დიდმა ინკვიზიტორმა მეორედ მოსული ქრისტე სიტყვებით: „წადი და ნუდარ მოხვალ, საერთოდ ალარ მოხვიდე... არასოდეს, არასოდეს!“ და „ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებში“ გაუშვა იგი“ (დოსტოევსკი, „ძმები კარამაზოვები“).

გიორგი კაჭარავა რომანში უფრო აღრმავებს იესო ქრისტესა და პილატეს „სულიერი ნათესაობის“ ხაზს, რომელიც ბულგაკოვის რომანშია. ამიტომაც აქვს ეპიგრაფად ამ რომანიდან ფრაზები: „ოსტატი პოეტის ნათქვამმა ააღელვა, საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა და ისე უთხრა: ეს ძალიან კარგია, ძალიან კარგი... შენ გააგრძელებ ჩემს რომანს, ჩემო მოწაფე!“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ქვეტექსტურად წარმოჩნდება ავტორის ფარული სურვილი, რომ თვითონაც იყოს ამგვარი „გამგრძელებელი“. მას მოწაფეობა, გარკვეულნილად, გამოსდის კიდეც, რადგან სახარებისეულ პერსონაჟთა საინტერესო აპოკრიფულ მხატვრულ სახეებს ქმნის, დამაინტრიგებლად გვიყვება იმ ამბებს, რომლებსაც სხვა რომანებში ვერ შევხვდებით, რადგან მისი გამოგონილია.

პილატესა და კაიაფას დაპირისპირება სახარებაშივეა გამოკვეთილი. მიხაილ ბულგაკოვიც მიაქცევს ამას ყურადღებას. გვხსენდება მათი ერთი საუბრის ეპიზოდი, როდესაც პილატე ეტყვის, რომ მის გვერდით „სული ეხუთება“. კაიაფა კი ბრალს დებს იუდე-ველთა რწმენის წაბილნვისა და „რომაული მახვილის ქვეშ მოქცე-ვის“ ამაო განზრახულობაში. ეს დაპირისპირება საინტერესოდ

არის დახატული სხვა მწერლებთანაც. გიორგი კაჭარავასთვის კი ეს ანტაგონიზმი რომანის ხერხემალია. მათი სახით მწერალმა წარმოგვიჩინა სულიერ-მატერიალური ძალაუფლებისთვის მებრძოლი ორი გამოკვეთილად ინდივიდუალური სახე-ხასიათი.

თავიდანვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ავტორი შესანიშნავი მთხოვბელია, მკითხველის წარმოსახვაში თავისუფლად ჩნდებიან მის მიერ ექსპრესიულად აღწერილ პერსონაჟთა ვიზუალური ხატები. ასევე, დამაჯერებლად არის წარმოჩენილი ის პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული სივრცე, რომელშიც გამოიკვეთება აღწერილი მოვლენები. ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ დრამატულ ამბებს, რომლებიც რომის სახელისუფლებო წრეებში მიმდინარეობდა. ავტორისთვის მნიშვნელოვანია ის სულიერ-ზნეობრივი გარემოც, რომელიც მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს განსაზღვრავდა. საინტერესოა რომანის სტრუქტურაც: პირველ ნაწილში პილატე პონტოელი გვივება ამბავს, ხოლო მეორე ნაწილიდან კაიაფაც „ჩაერთვება“ თხრობაში. ამგვარად, მწერალი ხატავს, თუ როგორ აღიქვამს ეს ორი პერსონაჟი ერთსა და იმავე ფაქტს, მოვლენას და მათი დაუნდობელი, ურთიერთგანადგურების სულისკვეთებით გამსჭვალული „დუელის“ მაყურებლებად გვაქცევს. იესოსთან ურთიერთობა ორივეს ტრანსფორმაციას იწვევს. მაგალითად, პილატეს მისი პირველად მოსმენისას უცდაური განცდა დაეუფლა: „თითქოს ანკარა წყარო მორაკრაკებდა გამშრალ კლდეთა ნაპრალებიდან, რათა მის წიაღში ჩაგუდული სულები გაეცოცხლებინა“. კაიაფასაც აღელვებს იესოს ქადაგება და ფიქრობს: „ვცხოვრობთ უკუნეთსა და წკვარამში, და რომ ჭეშმარიტების შუქი მუდამ გვაფრთხობდა ცოდვილებს“.

მწერალი პილატეს ბედისწერას თავიდანვე გამოკვეთს. მისი რომანისული ამქვეყნად მოვლინება რაღაცით ჰგავს იესო ქრისტეს შობის ამბებს. როდესაც ქრისტე ბეთლემში დაიბადა, აღმოსავლეთიდან მოსულმა მოგვებმა უთხრეს ჰეროდეს: „სად არის იუდეველთა ახალშობილი მეფე? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას“ (მათე, 2, 1). ჰეროდე „ძალზე განრისხდა, წარგზავნა ხალხი და ამოანყვეტინა ყოველი ყრმა ბეთლემსა და მთელს მის შემოგარენ-

ში, ორ-ორი წლისა და უმრნემესნი (მათე, 2, 16). უფლის ანგელოზს რომ არ გაეფრთხილებინა იოსები და მარიამი, ქრისტესაც ასე მოაკვდინებდნენ. ჩვილ პილატესაც უწინასწარმეტყველეს „ბრძენმა ფლამინებმა“, რომ სახელოვანი კაცი იქნებოდა: „ახალ-შობილი იქნება ყველაზე ცნობილი რომაელ კაცთა შორის და მის სახელს წარმოთქვამენ ადამიანთა ვაების დასრულებამდე ლმერთა უფლის სახელთან ერთად...“. „შეშინებული“ იულიუს კეისარი მკვლელებს აგზავნის ახალშობილის მოსაკლავად, მაგრამ, გარემოებათა წყალობით, პილატე გადაურჩება სიკვდილს. ეს წინასწარმეტყველება თან სდევს მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში და განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ ნაბიჯებს. პილატეც იჯერებს თავის გამორჩეულობას და ამიტომაცაა, რომ თავდაუზოგავად ისწრაფვის პირველობისაკენ, ყოველი გამარჯვების ჟამს ეუფლება განცდა, რომ წინასწარმეტყველება აღსრულდა, თუმცა შემდეგ აცნობიერებს, რომ მხოლოდ რომის კეისრობა დაუსვამს წერტილს მის სწრაფვას ძალაუფლებისაკენ.

მწერალმა შესანიშნავად იცის რომის ისტორია და კონკრეტული ეპოქა, ამიტომ ცოცხლად გვიხატავს იმ დროის პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეს. მკითხველის თვალწინ ჩაივლის პილატეს უზრუნველი ბავშვობა, ვხედავთ, ვინ და რა გარემოებები ახდენენ ზეგავლენას მისი მორალურ-ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაზე. მწერალი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, თუ როგორ ინერგებოდა მის ცნობიერებაში რომის იმპერიალისტური ზრახვები: „თითქოს თვითონ ლმერთები მიდიოდნენ მარშით, რათა მუხლებზე დაეჩოქებინათ ერები, რომლებმაც რომის ურჩობა გაივლეს გულში“, „თუ ჩვენ Civilis არ შევიტანთ ბარბაროსებში, ისინი კიდევ უფრო მეტად დაკარგავენ ადამიანურ სახეს და მუდმივ საფრთხეს შეუქმნიან რომს!“ ეს სტრიქონები ეხმიანება თანამედროვეობასასაც. ჩვენს დროში სწორედ „ახალი რომის“ ამბიციით ხორციელდება ძალადობრივი პოლიტიკა საქართველოს და სხვა ქვეყნების მიმართ, ამიტომაც, როცა ჯოჯოხეთს ხატავს, მწერალი „ჩრდილოეთს“ წარმოაჩენს, როგორც ყველაზე ამაზრზენს. საღვთისმეტყველო სწავლებითაც, ჩრდილოეთი ბოროტების მხარეა. პილატე იზრდება ტრადიციული იდეალებით: „მე ყოველ და-

მე ვკითხულობდი აპოლონიუს როდოსელს, ძველი ბერძნების გასაოცარ თავგადასავალს რომ ჰყვებოდა და ვოცნებობდი დღეზე, როცა, თუნდაც შორეულ-შორეულ მომავალში, ადამიანები სიმღერას შეთხზავდნენ რომაელ გმირზე ტებილხმოვანი სახელით Pontius Pilatus!“ „ადამიანთა მოდგმიდან ოლიმპოზე მხოლოდ გმირები თუ ავლენ, და ისიც რჩეული! – მაფრთხილებდა მამა. მაშასადამე, ჩემი მომავალი განსაზღვრულია: მე გავხდები გმირი, და არა მარტო გმირი, არამედ ყველაზე გამორჩეული ამ გმირთა შორის!“

უძლეველობის პირველ შეგრძნებას პილატეს ჰეტერა ლოლოა აკარგვინებს თავისი ჯადოსნური კოცნით. პილატე აქაც ისევე ილვიძებს ახალი ცხოვრებისთვის, როგორც მძინარე მზეთუნახავი ცნობილ ზღაპარში: „მთელი ღამე მაციებდა. დედა საფენებს მიცვლიდა გახურებულ შუბლზე და ოჯახის მკურნალს ჩემს გადარჩენას შესთხოვდა“. აქ შეიძლება დავინახოთ „ვეფხისტყაოსნისეული“ ალუზიაც – ნესტანთან შეხვედრისას ტარიელის ტირილი და დაბნედა, სამი დღე უგონოდ ყოფნა. აქ ხდება მისი პირველი გარდაქმნა, მაუნყებელი იმისა, რომ პილატეს კვლავ სიყვარულის გზით ტრანსფორმაცია მოელის, ოღონდ ის უკვე სხვანაირი, ღვთაებრივი, არამიწიერი გრძნობა იქნება. კლავდიას სიყვარული გადაალაზვინებს შიშსაც და პილატეს იესო ქრისტეს ფარულ „მოკავშირედ“ აქცევს.

პილატე მოვითხოობს, როგორი სიმამაცითა და იოლად მიინებს ნინ სამხედრო კარიერის კიბეზე, თუმცა ყურადღების მისაქცევია ერთი ნიუანსიც. მას მეომრისთვის დამახასიათებელი გაქვავებული გული არა აქვს, ესთეტია, მშვენიერების აღქმა შეუძლია და სწორედ ამ გზით ეზიარება რაღაც იდუმალს. იგი უშიშრად ხოცავს მტერს, მაგრამ თანვე სიკვდილის იდუმალებაც აფიქრებს: „დიდხანს ვიდექი უზარმაზარი მინდვრის შუაგულში: დაისის ცქერით ვტკბებოდი. მწვანე გორაკს მიღმა ჩამავალი მზე, რატომდაც გადამწიფებულ ფორთოხალს ვამსგავსე. გავცქეროდ უცნაურ სილამაზეს და მოულოდნელად იმ მეომრებზე ფიქრმა გამიტაცა, ვისაც ხვალ წავუძღვებოდი ბრძოლაში და ვისთვისაც ეს მზის ჩასვლა უკანასკნელი აღმოჩნდებოდა. შევკრთი“.

ადამიანის ამგვარი შინაგანი შეძვრა ქრისტესთან შეხვედრისას აღარ გაგვიკვირდება, რადგან იმისთვის, რაც პილატემ დაინახა, სულიერი თვალის ახელაა საჭირო.

იმისათვის, რომ უფრო ცოცხლად დაგვიხატოს პერსონაჟის ბუნება, ავტორი მათ ექსტრემალურ სიტუაციაში ხატავს. როგორც არისტოტელე „პოეტიკაში“ შენიშნავს, პერსონაჟის ბუნებას წარმოაჩენს ის, თუ რა არჩევანს აკეთებს. კელტებთან ბრძოლა, მონინააღმდეგ „წითურ დათვთან“ შერკინება, ბრძოლის დროს მუშტი-კრივი, სიცილ-ხარხარი და სამოსის გაცვლა, დამეგობრება, ტიბერიუსის მიერ პილატეს „მოჩხუბარას“ ზედმეტსახელით მონათვლა – ეს ყველაფერი თხრობას დინამიკას მატებს. წლებს თავისი გამოცდილება მოაქვს, გერმანიკუსთან მეგობრობა აფიქ-რებინებს, რომ ახდა მისი რჩეულობის წინასწარმეტყველება და ასკვნის: „უმჯობესია, ადამიანი აწმყოში დარჩეს და შეიგნოს პითაგორას შესანიშნავი დარიგება: „ბედნიერების საიდუმლო აწ-მყოში ცხოვრების ცოდნაა!“ 33 წელი მისთვისაც მნიშვნელოვანია. იგი ტიბერიუს გადაარჩენს მოულოდნელი მკვლელი თავდამსხმელისაგან, რის გამოც „ლვთიურმა აუგუსტუსმა რომის იმპერიის მფარველი ანგელოზი“ უწოდა. პილატეს „ისევ აქვს განცდა, რომ ახლა ნამდვილად აღსრულდა ბრძენი ფლამინების სიტყვა!“. ჩვენც, მკითხველები, კვალდაკვალ მივდევთ ამ წინასწარმეტყველებას, თუმცა ჩვენ ვიცით ის, რაც პერსონაჟმა ჯერ არ იცის, რომ ეს არ არის „წინასწარმეტყველებათა ახდენა“, თუნდაც მომხდარი ასეთი მნიშვნელოვანი იყოს: „ოცდაცამეტი წლის ასაკში მე ისტორია შევცვალე, მაგრამ ეტყობა, ჩემთვის ესეც არ იყო საკმარისი“. პილატე პატივმოყვარეა და მისთვის რომის იმპერიის კეისრობაა მთავარი ოცნება, მაგრამ მკითხველმა იცის, მის ცხოვრებაში მთავარი ქრისტესთან შეხვედრა იქნება. პილატე ნამდვილ ისტორიას მაშინ შეცვლის, როდესაც ქრისტეს ჯვარცმის განაჩენს გამოუტანს.

პილატეს მწერალი ხატავს, როგორც მოფიქრალ ადამიანს, რომელსაც აღელვებს არსებობის აზრი და მიზანი. საგულისხმოა მისი ასეთი მრავალმნიშვნელოვანი დაკვირვება: „ის, რომ არსებობს დაისი და არსებობს ჰორიზონტი, რომელსაც ვერასოდეს

დაეწევი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი არსებობის მიზეზები. სიცოცხლეს მეცნიერება ვერანაირად ვერ ახსნის, და ეს მშვენიერია: ესე იგი, ვერ მოვსპობთ მას, როგორც ვსპობთ ყველაფერს, რაზეც მიგვიწვდება ხელი“. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო მეომარია, პილატეში პაციფიზმის ნაპერწკალი ღვივის: „ვერც ერთი ომი, მიზნით თუ უმიზნოდ, ვერ გაამართლებს სიცოცხლის ხელყოფას. ადამიანები ვერასოდეს გაიგებენ ყოფიერების საიდუმლოს, რათა მახვილი არ აღმართონ მასზე. ჩვენ ბარბაროსები ვართ და ზღაპრული სილამაზის, განუმეორებელი ფერის ჰორიზონტებს დავდევთ, რათა წავშალოთ მათი სილამაზე“. პილატეს პიროვნების კეთილშობილებას კარგად წარმოაჩენს გერმანიკუსთან მეგობრობის საუკეთესო მოგონებები, მშობლებთან ურთიერთობა. მას ახსოვს მამამისის ნათქვამი: „სიბერე არც წლებია და არც ნაოჭები, სიბერე თვალებში გამქრალი ნაპერწკლებია...“

პილატეც ფიქრობს ომისა და მტრობის უაზრობაზე ალუდაქეთელაურივით: „და ვერ გავიგე მე, მათრობელა ღვინის მიზეზით, რატომ არის წითური დათვი მტერი ჩემი და რატომ ვარ მე მტერი მისი? ვინ და როდის დაგვადგინა მტრებად, როცა მთელი შეგრძნებით ვხვდები: საუკეთესო მეგობრები გავხდებოდით, სხვა ვითარებაში რომ შევხვედროდით ერთმანეთს. რა გამოდის, ცხოვრება ვითარება?“ პილატეს აფიქრებს ეგზისტენციალური კითხვები, რომლებზე პასუხების ძიებაში იპადება აზრის ფილოსოფიური ნაკადები. პილატეს სიზმარში მკვლელთა თავდასხმა, რომელიც რეალობაშიც ხდება, იმაზე მინიშნებაა, რომ სიზმარცხადი ერთი და იგივეა: „ეს დასასრულია. ბედს ვურიგდები, მაგრამ ბასრ მახვილს ვერ ვაშორებ თვალს, უკანასკნელად რომ გაიძრნებინებს გაელვების შუქზე და მერე... ისე, ჩვენში რომ დარჩეს – რა მერე? პირველად გავიაზრე და გამიკვირდა, აქამდე რომ არასოდეს მიფიქრია სიკვდილის გარდაუვალობაზე“.

ავტორი ნელ-ნელა „ამზადებს“ პილატეს იმისთვის, რომ მისი მზერა სულში ჩაღრმავდეს, რათა მერე ბუნებრივი იყოს მისი ქცევა თუ ფიქრები: „იმედი მყიფეა და ვერასოდეს აღმართავს კიბეს

ზეცისკენ. ტყუილსაც თავისი სახელი აქვს, პატივცემულნო და მას სიამაყე ჰქვია. სწორედ სიამაყე გვიბნელებს გონებას, გვიბამს თვალებს, ცაში ამავალ კიბეს მტრის გვამებით გვიკირწყლავს და გვიმძიმებს სულს“.

რომანში ქრისტიანობისთვის წამებულ ლონგინოს-ასისთავის აპოკრიფული სახეცაა დახატული. მწერალი მისი ცხოვრების საინტერესო ქრონიკას ქმნის და დასამახსოვრებელ პერსონაჟად აქცევს. პილატემ ქრისტიანულ მცნებათა რეალური ხორცებს მაშინ შეიგრძნო, როცა ერთგულმა ლონგინოსმა მკვლელთა პატიება სთხოვა: „შენ მათ შეწყალებას ითხოვ, იმათმა კი ლამის სიცოცხლეს გამოგასალმეს. – ჰო, მაგრამ მე გადავრჩი და მსურს ვაპატიო“.

ერთ ეპიზოდში პილატე იმეორებს ჰა-ნოცრის სიტყვებს, პილატეს რომ ეუბნება: „სიმართლის თქმა იოლია და სასიამოვნო“ („ოსტატი და მარგარიტა“). რომანში კი პილატე ფიქრობს: „თუ სწორია გამოთქმა, სიმართლის თქმა სასიამოვნო და ადვილიაო (რადგან არაფრის მოგონება არ გჭირდება), სწორია ისიც, რომ სიმართლის მოსმენა მძიმეა და გამაღიზანებელი“.

ავტორი რომანში იმ აზრს ავითარებს, რომლის მიხედვითაც, პონტიულები ქართველთა შორეული წინაპრები არიან, ამიტომაც მკურნალობენ პილატეს „კოლხური რეცეპტით“. იგი ტიბერიუსს „გრძელფეხება თხას“ უწოდებს. ასეთ სითამამეს რა აძლევს? ხილვა აქვს: „მე ვიხილე ჩემი წინაპრები: საბრძოლო კოცონის ირგვლივ ისხდნენ სულეთში, კოლხთა ომახიან სალაშქრო სიმღერას მღეროდნენ, ვარდისფერ ღვინით სავსე თასებს სწევდნენ და სიამაყით ახსენებდნენ უკანასკნელ პონტიულს, რომელმაც არანაკლებ ამაყი აკვილიუს პონტიულის მიერ დაგრეხილი დაუმორჩილებლობის ჯაჭვი საბოლოოდ შეკრა“. შემდეგ კი მის ქორწილში: „მუსიკოსები – ჩემი შორეული სამშობლოდან. უცნაურ კაბებში გამოწყობილი კოლხები მთელი ღამე მღეროდნენ მრავალხმიან და გულში ჩამწვდომ სიმღერებს, და იქვე, ცეცხლოვანი ცეკვით და ველური დოლებით გვაოცებდნენ“.

პილატეს სულიერ ცხოვრებას აღრმავებს სიყვარული, რომელიც მას კლავდიას სახით ეწვევა. ის სხვაგვარად, უფრო სიღ-

რმისეულად იწყებს სიცოცხლის აღქმას: „მეორე ადამიანი მარა-დისობის სარკმელია, და ჩვენ ვგრძნობთ მისი სიღრმიდან შემოჭრილ ქროლას. ახალგაზრდებს სჯერათ: მარადიულნი არიან. ჩვენ კი ვიცით: უკვდავები ვართ. ეგაა რომ მიწიერი ცხოვრება ახალგაზრდობასავით სწრაფად ქრება. იპოვო შენი მეორე ნახევარი, ამ გაელვების უმთავრესი აზრია. მარტოობით ეს არ მიიღწევა. სიცოცხლის მოჯადოებულ წრეს მარტო ვერ გაარღვევ. და მხოლოდ ანდროგენი, რომლადაც გადაიქცევა ორი მიჯნური, მო-იპოვებს თავისიუფლებას, რათა გაექცეს პირობითობის ველებს“. აქ პლატონისეული სიყვარულის კონცეფციაც ირეკლება („ნადიმი“).

პილატეს გამორჩეულობის დასადასტურებლად მწერალი ბიბლიურ ალუზიებს იყენებს. მას ჯერ კაპიტოლიუმთან დანთებული ცეცხლიდან შემოესმება უცხო ხმა, შემდეგ კი იუდეაში წიგნის კითხვისასაც იგრძნობს ამ ხმის ძალას. 50 წლის პილატეს ცხოვრებაში ახალ ეტაპად იქცა იუდეის პროკურატორად დაინშვნა. აქ დაიწყო მისი დიდი მეტამორფოზა, რომელიც სიკვდილამდე გაგრძელდა. იუდეის უდაბნომ მისი სულის უდაბნოები გააშიშვლა და ლირებულებათა გადაფასება დაიწყო: „მე მყავს მტრები, ესე იგი, ვარსებობ!“ (დეკარტისეული ფრაზის ვარიაცია ვაჟა-ფშაველას ცნობილ აფორიზმს გვაგონებს: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“ („ალუდა ქეთელაური“)).

კლავდია რომანში გამორჩეულია სილამაზითა და სულიერებით, ამგვარად, ის მიემსგავსება სახარებისეულ პირველსახეს. ის თავიდანვე გრძნობს იუდეის ზედაპირული სიუხეშის მიღმა „საოცრებას-უდაბნოს სულს“. იმას, რომ „ამ მოყვითალო და ბაჯაღლო ოქროსფერი პეზაზეების მიღმა ყოფის საიდუმლო იმალება“. სწორედ ის უბიძებს პილატეს, რომ იესოს გადარჩენის-თვის იბრძოლოს და ამ გზაზე სასწორზე დადოს თავისი სახელი და კარიერა. რომანში გაკრთება „ოსტატი და მარგარიტას“ ალუზიები. პილატე კლავდიას ეუბნება: „ეტყობა ვერ აცნობიერებს, რომ მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰყიდია, და თუ მე გადავჭრი ამ ბეწვს, ტანჯვით ამოხდება სული, როცა ძელზე დაკიდებენ, როგორც არამზადას“. ბულგაკოვისეულ „ვერსიაში“, როცა პილატე დაე-

მუქრება იესოს, შენი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდიაო, იესო უპასუ-ხებს: „— ხომ არ გვინია, ბეწვზე შენ დაჲკიდე, იგემონო? — დაეკი-თხა ტყვე, — თუ ასე ფიქრობ, ძალიან ცდები! პილატე შეკრთა და კბილებში გამოცრა: — მე ისიც ძალმიძს, ეგ ბეწვი გადავჭრა! — ამაშიც ცდები, — სახე მოიჩრდილა და გულლიად გაუღიმა ტყვემ, — დამეთანხმები, ბეწვის გადაჭრაც იმასვე ძალუძს, ვინაც დაჲკიდა“ („ოსტატი და მარგარიტა“).

თუ რომანის პირველ ნაწილში პილატე გვიყვებოდა ამბავს, მეორე ნაწილში, 28-ე თავიდან კაიაფას თხრობა იწყება. აქედან უკვე ერთმანეთს ენაცვლება პილატესა და კაიაფას მონათხრობე-ბი, რაც მეტ ექსპრესიას, დრამატულობას სძენს ამბავს. ხედვის რაკურსთა ამ მონაცვლეობით მწერალი რომანისეულ ცხოვრებას თეატრალურ წარმოდგენად აქცევს, რომლის სცენაზეც ერთმა-ნეთს ცვლიან ნილბები. ყველა საკუთარ როლს თამაშობს. ამ კონტექსტში ბუნებრივად ენერება პილატეს ფიქრები: „ლმერთებს რაში ვჭირდებით ადამიანები თავიანთ თამაშებსა და გაჯიბრე-ბაში? ჩვენ მათთვის ჭიანჭველებიც არა ვართ: უმწეო არსებე-ბი, რომლებსაც ლმერთთა სავანისკენ უჭირავთ თვალი. მათ კი დიდ ხანია დაიპყრეს Cosmos, იქიდან გვიცქერენ და სიცილით იხოცებიან“.

საინტერესოდ წარმოაჩენს მწერალი, როგორ ემზადება კაიაფა ახალ პრეფექტთან შესახვედრად, როგორ გეგმავს ადრინდელე-ბის მსგავსად მის მოქრთამვას, თუმცა პირველი გაოცება მაშინ დაეუფლება, როცა გაიგებს, რომ პილატე ბერძნულ ენაზე ნათარგმნ ბიბლიას კითხულობს. ავტორი ოსტატურად ხატავს „მთავარი იუდეველის“, მღვდელთმთავარ კაიაფას სახეს, „უდაბნოსავით დაცარიელებულს ემოციებისგან“. შეხვედრისას პილატემ ისიც იგრძნო, რომ მისი მოჩვენებითი მდუმარება სახითათო იყო: „უდაბ-ნო მასში დამალული ქიმერებით კლავს მარტოხელა მოგზაურს: ნელ-ნელა, გამოცდებით და უიმედობით“.

კაიაფა და პილატე, შეიძლება ითქვას, ერთმანეთის ერთგვარი ვარიაციული სარკისებური ანარეკლები არიან. ისინი ერთმანეთს ჰგვანან ძალაუფლებისკენ სწრაფვით და ფარული რომანტიკული

სულისკვეთებით. კაიაფა ლექსებს თხზავდა ბავშვობაში, მაგრამ პოეზიის სიღრმეები ვერ შეიცნო, რადგან სადუკეველმა მკაცრმა მამამ ლექსები ცეცხლში დაუწვა შეუვალი პრაგმატიზმით: „ვის რაში სჭირდება ლექსები? – იყითხა მკაცრი ხმით და თვითონვე უპასუხა: – არავის! ტყუილად ნუ კარგავ დროს ილუზიაზე! ნუ იხედები ნურც მარჯვნივ, ნურც მარცხნივ! მხოლოდ უფლისკენ წარმართე მზერა! მხოლოდ მისკენ! ნურავის და ნურაფერს ამ-ჩნევ ამ გზაზე! წინ, მხოლოდ წინ! უფლისკენ!“. ეს არ ცვლიდა კაიაფას დაეჭვებას: „ჰო, მაგრამ რისთვის? – ვეკითხებოდი, რო-გორც ყოველთვის უხმოდ, – რისთვის მივაპყრო მზერა უფალს, თუკი მარადისობაში არ ვიარსებებ და მიწის მტვრად ვიქცევი, რომლისგანაც გავჩინდით“.

პილატესა და კაიაფას ფარული ორთაბრძოლა რომანის ფი-ნალამდე გრძელდება. მწერალი ორივეს ხასიათს და ქცევის მო-ტივაციებს ფსიქოლოგიური ნიუანსებითა და მრავალმნიშვნელო-ვანი დეტალებით გვიხატავს. რომაელ მოქალაქეზე თავდასხმის გამო პილატემ იუდეაში ჯვარზე სამარცხვინო გაკვრის სასჯელი აღადგინა: „შემძლო კი მევარაუდა, რომ ეს ბრძანება მომავალ-ში სამყაროს თავის ზღვართან მიიყვანდა? რა თქმა უნდა, არ შემძლო“.

იესოს გამოჩენა იუდეის „სცენას“ თავდაყირა აყენებს და ორი-ვეს, პილატესაც და კაიაფასაც, თავსატეხს უჩენს. პილატეს აფიქრებს მესიის შესახებ ებრაელთა წინააღმდეგობრივი წარ-მოდგენები: „ერთი წინასწარმეტყველის პირით ამბობდნენ გალი-ლეველი იქნებაო, მეორე წინასწარმეტყველით – ბეთლემში დაი-ბადებაო, ხოლო მესამე წინასწარმეტყველით – ეგვიპტიდან გამო-იძახებსო ღმერთების უზენაესი!“ მესია არასოდეს მოვა, მაგრამ მოვლენ სხვები, მუდმივად რომ აღანთებენ თავისუფლებაზე მე-ოცნებე სულებს: „ეს ხომ არ არის აღთქმული მესია?!“ ბოლოს და ბოლოს, ერთ-ერთი ასეთი „მესია“ აიყოლიებს მასებს და გა-ათავისუფლებს ისრაელს დამპყრობლებისგან“.

კაიაფა ფიქრობს, რომ იესოს გამოჩენა რომის იმპერიულ ხრი-კია, პილატეს ახალი არაფერი მოუგონია: ჯერ იქმნება ლეგენდა, და მერე ლეგენდა თავად ქმნის გმირს. როგორი „გმირის“ შე-

მოგდებას გვიპირებენ რომაელები, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუკი პრეფექტის მიერ „წმინდა წერილების“ კითხვის მიდრეკილებას გავითვალისწინებთ“. „ისინი ხვდებიან, რომ ჭეშმარიტი ღმერთის რწმენა, ბოლოს და ბოლოს დაამარცხებს ცრულმერთებს და, გადაწყვიტეს შეტევა სულიერებაზე მიიტანონ, რათა რწმენა ჩაახშონ ჩვენში“.

საინტერესოა იუდა იმკარტელის სახე. კაიაფა მას შემთხვევით გადაარჩენს, მოისყიდის და თავის მარიონეტად აქცევს. რომანის მიხედვით, კაიაფა არის ისეთივე შთამაგონებელი იუდასი, როგორც ივანე კარამაზოვი სმერდიაკოვისა („ძმები კარამაზოვები“). კაიაფა ჩააგონებს, რომ იუდამ იქსისა და იუდეველთა სიკეთისთვისვე უნდა გასცეს მოძღვარი. რადგან იესო ადამიანურ შესაძლებლობებს სცდება სასწაულებით, იგი ან მესიაა ან ხორც-შესხმული ეშმაკი. მისი „მხილებით“ კი იუდა სიკეთეს იქმს – ან მესის გვერდით დადგება ან მაცდურს გამოავლენს. მიუხედავად იმისა, რომ მწერლობამ (ლეონიდ ანდრეევმა, მიხაილ ბულგაკოვმა, ნიკოს კაზანძაკისმა, ბორხესმა, შმიდტმა) იუდას სახის არაერთი საინტერესო ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა, გიორგი კაჭარავასეული ვერსიაც არანაკლებ საინტერესო და დამაჯერებელია.

კაიაფას სახის წარმოსაჩენად რომანში მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დეტალია მისი ხილვა-სიზმარი: ის ლუციფერს სტუმრობს და ესაუბრება. ლუციფერის სახე ტრადიციული შტრიხებით იხატება. იგი კაიაფას შეახსენებს ფიცს, რომ არასოდეს უნდა დაეჭვდეს საკუთარ თავში. მკითხველი ხვდება, რომ შემდგომში კაიაფას დაუეჭვებელი გადაწყვეტილება, რომ ქრისტე დამნაშავეა და უნდა დაისაჯოს, სწორედ ეშმაკთან გარიგების შედეგია, მის სულში ბოროტი საწყისის გამარჯვების დასტური.

კაიაფა დარწმუნებულია, რომ ახალი მესიის, „რომაელთა ჯაშუშის“ გამოჩენა იმპერიული ხრისია, რომელსაც პილატეს ხელით აღასრულებენ: „რომაელებმა ებრაელთა სულის გათელვა გადაწყვიტეს, რადგან სხეულის ჯიჯგნა უკვე მოსწყინდათ. „მკურნალი, წინასწარმეტყველი, მასწავლებელი!“ ესე იგი, ახლა მირონცხებულის ადგილს უმზადებენ. და ეს „მესია“ საყვაელთაო სიყვარულისკენ მოუწოდებს ჩემს ხალხს!“ ქრისტეს „შეგო-

ნება“: „გიყვარდეთ თქვენი მტრები“ – მან რომაელების მორჩილებისაკენ მოწოდებად აღიქვა.

რომანისეულ თხრობას საპრძოლო ასპარეზს ამსგავსებს ვნებათა დაპირისპირება. ქრისტეს ორივე მხრიდან უტევენ – როგორც რომაელი, ასევე იუდეველი ხელისუფალნი. კაიაფა თავის პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნევს იესოს მხილებასა და დადანაშაულებას. პილატეს კი, თავის, მხრივ, რომის წინააღმდეგ შეთქმულებად მიაჩნია „იესოს საქმე“.

პილატე და კაიაფა ორი სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსია. ისინი ერთმანეთის ჩანაფიქრთა გამოცნობას ცდილობენ. კაიაფა ცდილობს გამოცნოს პილატეს გეგმები იუდეას-თან დაკავშირებით, რომაელი პროკურატორიც ცდილობს, ჩასწვდეს მღვდელმთავრის აზრებს. მკითხველიც კვალდაკვალ მიჰყვება მათ და ცდილობს, ორივეს მიუხვდეს, წინასწარ განსაზღვროს მათი ხრისები. მნიშვნელოვანია, რომ ორივე ეჭვებით იტანჯება. პილატეს ეჭვი ნაირგვარია, ის ფიქრობს, რომ ტიბერიუსმა მის გარშემო ყველა მოისყიდა, მაგრამ მისთვის განსაკუთრებით დამთრგუნველია კლავდიას შესაძლო დალატზე ფიქრი.

პილატეს სახის წარმოსაჩენად სრულიად ორიგინალურია რომანისეული ვერსია, რომლის მიხედვითაც, პილატე ცდილობს კაიაფას მოტყუებას და იესოს გადარჩენას. იგი ლონგინოსს ავალებს ჯვარცმისას მოწყურებულ იესოს მკვდარივით დამაძინებელი კოლხი მედეასეული წამალი შეასვას, შემდეგ კი აკლდამიდან მოიპაროს მისი ცხედარი. ისევ ბულგაკოვისეული ვერსია გვახსენდება, პილატე პონტოელი საიდუმლოდ რომ მოაკვლევინებს იუდას.

რომანის ფინალში წარმოჩნდა მწერლის ოსტატობა, როგორ გააწილოს მკითხველი და ამგვარად მოჰვაროს გაოცების ელდა. ლონგინოს პილატესთან ცხედრის აკლდამიდან გაქრობის ამბავი მოაქვს. განრისტებული პილატეს მიერ წანაშები ერთგული ლონგინოსი სიკვდილის წინ მეგობარს ეუბნება: „ბრძენ ფლამინთა წინასწარმეტყველება აღსრულდა, ამაყო პონტოელო... და დღეიდან, შენს სახელს, უზენაეს ღმერთთან ერთად მოიხსენიებენ საუკუნეების განმავლობაში...“

რომანის კიდევ ერთი გამოკვეთილი აპოერიფული პერსონაჟია საული (იგივე პავლე), კაიაფას ერთგული მსახური. მწერალი და-სამახსოვრებელი დეტალებით თვალს მიგვადევნებინებს მისი ცხოვრებისათვის. კაიაფა მას დამასკოში აგზავნის ქრისტეს მოწა-ფეთა დასარბევად, მაგრამ საული ქრისტეს მიმდევარი ხდება. მწერალი ზედმიწევნით მისდევს სახარებას: „როცა დამასკოს მივუახლოვდი, უეცრად მომეფინა სინათლე ზეციდან. დავეცი მიწაზე და მომესმა ხმა, რომელიც მეუბნება: „საულ, საულ, რად მდევნი მე?“ მე ვუთხარი: „გინ ხარ შენ, უფალო?“ და მან: „მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი. მაგრამ ძნელია შენთვის წვერის წი-ნააღმდეგ დარტყმა!“ ძრწოლით და შიშით ვკითხე: „რას მიბრძა-ნებ უფალო, რომ გავაკეთო?“ ხოლო მან: „ადექი და შედი ქალაქში და მოგეხსენება რა უნდა აკეთო!“ და აი, ახლა, თქვენ წინაშე დგას არა ფარისეველი საული, რამეთუ იგი მოკვდა, არამედ უფლის მონა პავლე, და გახარებთ უდიდესი სიხარულით: იესო აღსდგა მკვდრეთით და გაიმარჯვა სიკვდილზე!..“

საგულისხმო და მნიშვნელოვანია ფინალური ეპიზოდი: ყოვ-ლის განმწმენდი შხაპუნა წვიმის ფონზე ძველ სახლში განმარტო-ებულ, სენატის მიერ დასჯილ პილატეს რიგრიგობით ეცხადებიან გარდასულთა საყვარელი აჩრდილები (სენატი ასამართლებს პილატეს, ნერონი ბრალს სდებს მას ქრისტიანობის გავრცელება-ში და სასჯელად არა სიკვდილს, არამედ რომის ისტორიიდან გაქრობას მიუსჯის – ბრძანებს ყველა დოკუმენტის განადგურე-ბას, რომლებშიც მისი სახელია მოხსენიებული. ნერონმა არ იცის, რომ პილატეს სახელი უკვე „ზეცაზე“ (ნერია), სულ ბოლოს კი პილატესთან კაიაფა გამოჩნდება: „ნელა გამოდის სიბნელიდან, ჩემკენ მოაბიჯებს ყოველთვის გამოუცნობი მზერით... ყოფილ პროეურატორთან ერთად ჯდება მარმარილოს მაგიდასთან, და მასთან ერთად სველდება შხაპუნა წვიმის ქვეშ“. პილატე უბნება: „ერთადერთი, ვისიც ვერაფერი გავიგე, ეს შენ ხარ, კაიაფა!“ ისევ ბულგაკოვისეული შთამბეჭდავი სურათი გვახსენდება, მთვა-რის სხივს რომ მიჰყვებიან ბაასით ქრისტე და პილატე. ესეც დასამახსოვრებელი ხატია.

საინტერესოა რომანისთვის პროლოგის ნაცვლად წამძღვარებული ტექსტი, რომელშიც „ჯოჯოხეთში“ მოქცეული ერთი იმ იუდეველის მონოლოგს ვეცნობით, რომელმაც ყვირილით მოსთხოვა პილატეს ქრისტეს ჯვარცმა და ბარაბას გათავისუფლება. მწერალი ირონიულ-პაროდიულად, ერთგვარი შავი იუმორით გვიხატავს მის განცდებს. იგი გვიყვება ამბავს მარიამ მაგდალინელისა და იესოს შეხვედრისას, თუ როგორ „მოთვინიერდა“ ცეცხლისთმიანი ალქაჯი ქრისტეს დანახვისას, როგორ „წაართვა“ ქრისტემ სიყვარული და შურისმაძიებლად აქცია. იგი ჯოჯოხეთის „ჭუჭრუტანებიდან“ გასცეკრის სამოთხის მკვიდრთა მოწყენილ სახეებს და გვაჯერებს, რომ ცხოვრება სიმშვიდე კი არა, ბრძოლაა საკუთარ თავთან. მთავარია, ადამიანმა სიცოცხლეშივე არ იქციოს ცხოვრება ჯოჯოხეთად, იგრძნოს და გზა მისცეს საკუთარ სულში ყოველწამიერად დაბადებულ იესოს, ცეცხლისთმიანი მარიამ მაგდალინელივით მოუდრიკოს მუხლი, არ შეეშინდეს და არ აცვას ქრისტე „ჯვარს“.

გიორგი კაჭარავამ ამ რომანით არა მხოლოდ მარადიული, არა-მედ თანამედროვეობის პრობლემებიც გამოხატა, ერთი მხრივ, სულიერი კრიზისი, მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობა, პრაგ-მატულობა, ძალაუფლებისთვის ბრძოლა, საერო და სასულიერო პირთა ფარული დაპირისპირება და ფარისევლური, ინტრიგებით სავსე, დიპლომატიური ვითომ ურთიერთგაგება, ადამიანთა პირ-ფერობა, გამორჩეულ ადამიანთა ვერშემჩნევა, სულიერი სიბრმავე, დაეჭვებულობა და სიფრთხილე კეთილ საქმეთა აღსრულების გზაზე, გულგრილობა, შიში, ბოროტების მიმართ განურჩევლობა, ზესახელმწიფოთა ახალი ტიპის იმპერიული სულისკვეთებანი; მეორე მხრივ კი, სინათლის, სიკეთის, ერთგულების, სიყვარულის მხსნელი ძალაც წარმოაჩინა. რაც მთავარია, მან კიდევ ერთხელ შეახსენა მკითხველს, რომ აუცილებელია საკუთარი თავზე ფიქ-რი არა დამაბრმავებელი ყოველდღიურობის, არამედ თვალის ამხილავი მარადისობის პერსპექტივიდან.

ნიკა ჯორჯანელის „ნეტფლიქსი“

ნიკა ჯორჯანელის პოეზიაზე წერილი პირველად 2013 წელს დავწერე. აღნიშნული პუბლიკაცია ამავე წელს უურნალ „ახალი საუნჯის“ მე-4 – აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა. „იაფფასიან დროში მოხვედრილი პოეზის შესახებ“ – ასე დამირქმევია თავის დროზე ჩემი პატარა წერილისთვის, რომლიც შინაარსიც, როგორც აღმოვაჩინე, საერთოდ არ მხსომებია – ამასწინათ თვალი გადავავლე და უცნაური შეგრძნება დამეუფლა, შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ უსიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი: ჯერ ხომ ერთი ათეული წელიც არ გასულა, მე კი ისე ცხადად ვიგრძენი, როგორი სხვანაირი დრო და სივრცე ყოფილა ჩვენთვისაც და პოეზიისთვისაც: მაშინ თურმე ძალიან გვნდომებია, მეტი პოეზია ყოფილიყო ჩვენს ცხოვრებაში, რაღაცას მაინც რომ ყოფილიყო ძვირფასი, ახლა კი, თითქოს, პოეზია აღარ კი არა, ვეღარც გვინდა.

ახლა რაღა დროს იაფფასიან დროზე მსჯელობაა; ახლა „დრო დგება ძალზე სევდიანი ლიტერატურის – სევდიანის ისე საშინად, რომ მწერლებიც კი ირიდებენ“ – ასე ფიქრობს ნიკა ჯორჯანელი, მე კი, ჩემდა სამწუხაროდ, კიდევ უფრო სკეპტიკოსი აღმოვჩნდი და მგონია, რომ სევდიანი ლიტერატურის კიარა, ულიტერატურობის, უპოეზიობის დრო დაგვიდგა... ნუთუ ეს ყველაფერი მხოლოდ პანდემიამ გამოიწვია? – დავფიქრდი და ძალიან დამენანა და დამაკლდა ის, რაც თუნდაც 10 წლის წინ გვქონდა – ის, რომ რაღაც არ შეგიძლია, იმასაც ხომ არ წიშნავს, რომ აღარ გვჭირდება...

ცხადია, ამგვარი წიპილიზმი, სასოწარკვეთილებამდე მისული უიმედობა – პანდემიამაც გამოიწვია და ამაში უჩვეულო არაფერია – ჩვენ ხომ ამდენ დათვლილ სიკვდილს მოვესწარით, დღეში რამდენჯერმე ჩვენს სახლებში ტელეეკრანებიდან გამოცხადებულს, მაგრამ ამ ყველაფერთან ცხოვრებაც თანდათან ხომ ვისწავლეთ? – მოვახერხეთ და დავასუსტეთ, ალბათ, ძალიან მალე

საბოლოოდ დავასრულებთ კიდეც... თუმცა, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სამყაროში რაღაც ბევრად საშინელი ხდება, ვიდრე პანდემია, ამას კი წინასწარ ყველაზე ცხადად სწორედ თანამედროვე პოეზია გრძნობს – მას ხომ თავისი წინასწარმეტყველური ბუნებიდან გამომდინარე, სჩვევია რაღაც ძალიან მძიმეს, ენით გამოუთქმელს, საზარელს გაჰკიოდეს ... იქნებ, სწორედ ამიტომ ვარიდებთ მასთან სიახლოვეს თავს?.. გამომცემელთა უმრავლესობა უარს ამბობს პოეტური კრებულების გამოცემაზე – რა დროს ესაა, არაკომერციულია, არ იყიდებაო – ფიქრობენ ... „ასე ფიქრობს რეალისტი, ნიჰილისტი, თუ... გიტარისტი“, ამასობაში კი „ცხოვრების მთელი მშვენება უჩინარდება მოქნეული თაგვის კუდივით“ ... ნუთუ პოეზია მკითხველისთვის უკვე მოკვდა, ნუთუ ამდენი ომის და სიკვდილის შემდეგ ამასაც მოვესწარით?..

2013 წელს დაწერილი წერილის გადაკითხვა იმიტომ გადავწყვიტე, რომ დამაინტერესა, ყველაზე მეტად რა მომენტა, რამ მიიქცია ჩემი ყურადღება ნიკა ჯორჯანელის პოეზიაში თითქმის ათი წლის წინ – რა იყო ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელი და ძვირფასი? როგორც აღმოვაჩინე, მაშინ მის ლექსებში ყველაზე მეტად ნივთებად დამლილ – დაქუცმაცებული სამყარო შემიგრძნია, სამყარო, რომელიც თავის გარშემო ერთდოოულად საოცარ ქაოსსაც ქმნის და წესრიგსაც... „უწესრიგოდ დახვავებული საგნები მათდამი გულგრილობისა და სიძულვილის კი არა, შინაგანი ისტერიული, წინააღმდეგობრივი მდგომარეობის გამომხატველია... აქ ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს უამრავი არსებითი სახელი – ძვირფასი თუ ნახევრადძვირფასი, კონკრეტული თუ აბსტრაქტული, საზოგადო თუ საკუთარი, ზოგჯერ ძალიან ინტიმურიც“ – ვწერდი ჩემს წერილში და, სიმართლე გითხრათ, ბოლომდე ვერ ვხვდები, რისი თქმა მსურდა, ალბათ, უფრო იმის, რომ სწორედ ამდენი საგნით და ამბით გადავსებული გარემო გვიპიძებს, რაღაც იმაზე ბევრად ღირებული მოვითხოვოთ, ვიდრე გასაგნებული სამყაროა და თავი პოეზიას შევაფაროთ; ახლა კი, როცა ნიკა ჯორჯანელის ახალ, პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში დაწერილი ლექსები წავიკითხე,

რატომდაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და ახლობელი მეტაფორათა ეს ორი წყვილი აღმოჩნდა: „მკვდარი დღე“ და „სიკვდილის გადაწყვენდა“... რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ, ჩემი მოკრძალებული აზრით, ყველაზე ზუსტად გამოხატავს თანამედროვე ადამიანის სულში მიმდინარე პროცესებს – გზას სიცოცხლიდან სიკვდილისკენ, ან იქნებ სიკვდილიდან სიცოცხლისკენაც, როგორც ეს ავტორის ერთ – ერთ ლექს „მესაფლავეშია“, თუმცა ამისთვის სულ ცოტა ხნით მაინც უნდა დავიჯეროთ, რომ პოეზიას ჩვენს სულებზე თოვლივით დადებული სიკვდილის გადაწყვენდა შეუძლია...

მიჭირავს ხელში მცირე ზომის პოეტური კრებული სრულიად არაპოეტური სახელწოდებით „ნეტფლიქსი“, რომლის პირველ გვერდზევე განთავსებული ლექსიდან ვკითხულობ:

ამბობენ, ირგვლივ ყველაფერი მალე ვითომდა გაოხრდებაო...

არაფერიც! პირიქით ვიცი: მალე გახდება პოეზია დროის მედროშე, მალე ომები დამთავრდება, მალე მშვიდობა გაიღადებს

– და ეს ოპტიმისტური პათოსი მექანიკურად მეც გადმომედება – გამოდის, პოეზიის აუცილებლობას ჯერ კიდევ განვიცდი, ჯერ კიდევ არ დამიკარგავს მასთან ემოციური კომუნიკაციის ძალა და უნარი. ამ განწყობით ვაგრძელებ კრებულის შემდეგ გვერდებზე განთავსებული ლექსების კითხვას: ზოგის ენობრივ ქსოვილში შეღწევა მიჭირს, ზოგის მიმართ ინდიფერენტული, ფლეგმატური აღმოვჩნდები, ზოგის ფორმა მხიბლავს, ზოგში კი ფორმისა და იდეის ოსტატური შერწყმა... ერთ – ერთ გვერდზე შედარებით დიდ ხანს ყვითები: ლექსი, სათაურით „XX“ მასში კიდევ უფრო ჩაღრმავებისკენ მექაჩება:

ჩინურ მთის კატასავით განაბულა ძალზე უძალესად გადამდები სენი
და წითელ წვეტებს ნესტრით ილოკავს,
თითქოს იმით თვითკმაყოფილი,
ჯერ არაფერზე რომ არ თქმულა ერთდროულად ყველგან იმდენი,
რამდენიც მასზე,

– ვკითხულობთ ლექსში. მას შემდეგ, რაც ყველას მიერ მოძულებული, ყელში ამოსული სენის ასეთი პოეტური რეპრეზენტაცია შემომეფეთება და ჩემი ფიქრები თუ ემოციები სულ სხვა მიმართულებით იწყებს მოძრაობას, შესაბამისად, ლექსისგანაც სულ სხვა რამეს ველი, ჩემს თვალწინ ლირიკულ გმირებად პანდემიის განუყოფელი ატრიბუტები ტრანსფორმირდებიან – სწორისინი, მთელი ეს დრო სხეულებიდან სიკვდილის გადაწმენდას რომ გვპირდებოდნენ, მაგრამ რატომღაც არაფერი გამოუვიდათ: ოთხმოცდათხუთმეტპროცენტიანი ეთანოლი და კომენდანტის საათი....

ლექსის შემდეგი სტრიქონები კი კვლავ პოეზიით იჟღინთება:

ლექსი მთავარეზე, რომელიც მოჩანს ღრუბლებიდან,
როგორც ღამის საბრალო გული – ფართო ინფარქტით
გადახლებილი...

ამ ყველაფერს ისევ „შინ დარჩენა“ – პანდემიური ყოფის კიდევ ერთი მთავარი მახასიათებელი ენაცვლება, ის ხდება ლექსის ლირიკული გმირი... ტექსტის კითხვის პროცესში ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ავტორი ჩვენს გარშემო თუ ჩვენს შიგნით გაბატონებულ სიკვდილში პოეზიის ჩაწვეთებას ცდილობს, უფრო სწორად, პოეზიას გვაპარებს, რომ იქნებ შევძლოთ და როგორღაც გადავრჩეთ...

ცხადია, ვერც სპირტი, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც ვაქცინა და მითუმეტეს, ვერც კომენდანტის საათი სიკვდილს ვერ გადაწმენდს ჩვენს სულს და სხეულს, ჩვენს მკვდარ დღეებს ვერ გააცოცხლებს, მაგრამ იქნებ, ეს პოეზიას შეუძლია?.. ყოველ შემთხვევაში, ამის პოეტს მაინც უნდა სჯეროდეს და კარგია, თუკი სჯერა კიდეც – გამოდის, ამისთვის ძალა და სიყვარული ჯერ კიდევ შერჩა...

მე კი, თურმე, 2013 წელს გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ „იაფფასიან დროში მოხვედრილი პოეტი, იაფფასიანი საგნების ერთმანეთთან დაკავშირებით ნამდვილი პოეზიის შექმნას შეძლებს“... ახლაც მინდა მჯეროდეს, რომ პოეზიას სიკვდილის გადაწმენდა შეუძლია;

„საცოლე მეუბნება: შეეშვი წერას,
შეეშვი ბოლოს და ბოლოს მაგ სისულელებს“

– წერს ნიკა ჯორჯანელი ჩემ მიერ ზემოთ ნახსენებ ლექსში „მესაფლავე“ და იქვე სატრაფოსთან დიალოგის ფორმით აგრძელებს საუბარს: „ამ ჩემმა ნანერმა რა დაგიძავა – მეთქი, მე ხომ სულ შენზე ვწერ – მეთქი, სულ შენზე... – „მიედ – მოედები – სიკ-ვდილიო, ესა, ისა“ – პასუხობს საცოლე... იქნებ, პოეზიასთან ასეთი გაუცხოების, დისტანციორების მიზეზი ისაა, რომ ადამიანებს არ უყვართ სიკვდილზე ზედმეტად ფიქრით თავის შეწუხება? – გარშემო ხომ ისედაც ამდენი სიკვდილია, რა საჭიროა ამ ყველაფერზე ზედმეტად პედალიორება? – ფიქრობენ და აფრთხობთ წინასწარმეტყველური პოეზია, პარალელურად, მის სარკეში ჩახედვაც აშინებთ, საკუთარ მახინჯ მესთან შეხვედრა არ უნდათ... მაშინ, როცა რეალურად პოეზია სიკვდილს კი არ გვახვევს თავს, პირიქით, ჩვენს სიცოცხლისკენ შემობრუნებას ემსახურება. სწორედ ამის ამოკითხვა შეიძლება ნიკა ჯორჯანელის ამ სტრიქონებიდანაც:

რა მესაფლავე დადგება ჩემგან, ზღაპარია,
მესაფლავედ რომ დავმდგარიყავი,
საფლავების გათხრის მაგივრად გამჭოლ ნაპრალებს გავჭრიდი,
შიგ ჩადებულებს მინა რომ არ ჩაეფინათ და
ჩაცვენილიყვნენ იქითა მხრიდან ცაში.

შემთხვევითი არც ისაა, რომ პოეტის ერთგვარ ნატვრას წარმოადგენს: „წარეცხილიყოს ხილულიდან ყველა ხარვეზი, რომელიც ალღოს უხილავის წვდომის უძნელებს“... – იქნებ რთულად, მაგრამ ნელ – ნელა, თანდათან მაინც გავაცნობიეროთ, რომ პოეზია კი არ გველავს, არამედ გვამთლიანებს და სწორედ ასეთ რთულ დროს, სწორედ სიკვდილით, ომით და ავადმყოფობებით გარემოცულებმა უნდა ვაიძულოთ საკუთარი თავი, მისი იმაზე მეტად გვჯეროდეს, ვიდრე ოდესმე გვჯეროდა. მეორე გზაც არსებობს: „პოეტს შეუძლია საკუთარი ძალის სულაც არ სჯერო-

დეს და იცხოვროს მხოლოდ ცხოვრებისთვის – ისეთისთვის, როგორიც არის, მაგრამ ეს ხომ იგივეა, ვინმეს იმიტომ ეხვეოდე, რომ ხელები გაქვს, ან შემოდგომა განუხებდეს წვიმების გამო“...

მკითხველს რა მოეთხოვება? ალბათ, ის, რომ ცოტათი მაინც სჯეროდეს პოეტის განსაკუთრებულობის და იმის, რომ პოეზია სიკვდილს კი არა, სიცოცხლესა და გადარჩენის ძალას გვჩუქნის:

თქვენ გადარჩებით!
ყველაფერი ხდება იმისთვის,
რომ თქვენ გადარჩეთ,
რომ ყველანი ბოლოს გადარჩეთ.
მუნჯიც და ყბედიც,
მისტიკოსიც და ემპირისტიც –
თქვენ გადარჩებით! –
იუნყება ტექსტი გადაჭრით.

ნონა კუპრეიშვილი

ფიქრების ამოცნობა მუსიკის თანხლებით

(ზაირა არსენიშვილის „რეკვიემი“)

საბედნიეროდ, ფართო მკითხველი დღეს უკვე თანდათან იაზრებს ზაირა არსენიშვილის, XX საუკუნის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ავტორის, სრულიად უნიკალურ შემოქმედებას და იმედია, არც იმას გაიკვირვებს, თუ ვინმე წაკითხულით აღტაცებული და იმავდროულად ენანწყლიანიც მის სამწერლო ბეჭდს მტვრიდან გამობრნებულ მარგალიტს შეადარებს. ან სხვას რას შეიძლება მიამსგავსო ლამის ესთეტიკურ შეკთან გათანაბრებული ის შთაბეჭდილება, რომელიც ჯერ რიგით მეორე რომანმა „ვა, სოფელომ“, შემდეგ კი, საბოლოოდ, 2021 წელს გამოქვეყნებულმა პირველმა რომანმა „რეკვიემმა“ მოახდინა.

ალიარება გარდაცვალების შემდეგ განა ისეთი იშვიათი მოვლენაა ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში, რომ ეგრე ძალიანაც გაგვაკვირვოს. თუმცა ჩვენ მაინც სინანული გვიპყრობს გარკვეული მიზეზებით გადადებული შეხვედრის გამო, რომელმაც, სხვათა შორის, კონკრეტულ ეტაპზე მსგავსი ტექსტებისთვის ჩვენივე მოუმზადებლობაც გამოავლინა (გავიხსენოთ თუნდაც იმ რედაქტორის რეპლიკა, რომლითაც მან ერთ-ერთი რომანიდან მორიგი ფრაგმენტის დაბეჭდვაზე ზაირა არსენიშვილისთვის უარის თქმა ასე გაამართლა; ამ ქალს მე გიშე ვგონივარო!). სწორედ ამას გულისხმობს არჩილ ქიქოძე, როდესაც წერს „ვა, სოფელოს“ შესახებ: „წიგნი, რომელიც თან დაგვიანებით და თან ძალზე დორულად მოვიდა ჩვენამდე და რომელმაც ცხადი გახადა, რომ თუკი ვინმეს რამე ახსოვს, ეგ სწორედ ამ წიგნის ავტორია“. არადა, უცხოელ და ქართველ მწერლებთან უკვე ბევრი რამ წავიკითხეთ სტალიურ რეპრესიებზე – დაწყებული გულაგგამოვლილთა პირადი გამოცდილებების გაზიარებით და დამთავრებული ამ გამოცდილებების თუ დაკვირვებების ანტიუტოპიური რომანების ჟანრში პროეცირებით. თუმცა იმთავითვე ვიტყვი, რომ აქ

ნაგულისხმევ ავტორთაგანაც ცოტა ვინმემ თუ მოახერხა ერთ-დროულად ყოფილიყო ამ რთული წარსულის მონაწილეც და გარედან მაცქერალიც, ანუ პეონოდა „გარე და შიდა თვალი“, მსხვერ-პლის ქომაგობაც ეკისრა და ჯალათის თანაგანცდაც, როგორც ეს თუნდაც „რეკვიემშია“. და კიდევ, ისეთი მძიმე თემა, როგორიცაა ადამიანის ღირსებისა და ნიჭიერების გამთელავი ტოტალიტარული რეჟიმის მხატვრული რეპრეზენტირება, სიტყვისა და მუსიკის ღრმად გააზრებული და ზუსტი სინთეზირებით წარემართა.

მუსიკა აქ ყველა სტრიქონში იგრძნობა, ქარიც კი ფორტეზე ქრის. თუმცა უჩვეულო კონტექსტში მოხვედრის განცდას ბადებს არა იმდენად ის, რომ, როგორც ასეთ შემთხვევაში ლიტერატორები ვიტყვით ხოლმე, სამყაროს მიკრომოდელად აღებულია თბილისის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრი და მასთან დაკავშირებული ისტორიები XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ე.წ. „დათბობის ხანამდე“; არც მხოლოდ ის, რომ ტექსტი გაჯერებულია მუსიკალური ტერმინებით, გენიალურ კომპოზიტორთა სახელებითა და მათ წარმოებთა სრულიად ორიგინალური შეფასებებით; არც თითოეული თავისთვის გალაკტიონის ე.წ. „ზარნიშიანი წიგნიდან“ აღებული ღრმა აქცენტების მქონე სტრიქონების ციფრება, რომლებიც რომანში ერთგვარი კამერტონის როლს ასრულებს, არამედ ის, რომ ამ ყველაფერს სათანადო მხატვრული ეფექტით განალაგებს და წარმოაჩენს თვით ავტორის შინაგანი თავისუფლების ხარისხი, ჯიუტი ერთგულება ერთხელ განცდილის თუ მოსმენილისადმი, სიღრმესა და დამაჯერებლობას სწორედ ავტორის ლიტერატურასა და მუსიკასთან თუ მუსიკასა და ლიტერატურასთან ურთიერთობა რომ ქმნის. თვითონ ზაირა არსენიშვილი ამ შესაძლებლობას „მატერიალურად ხორციშესხმული ასოებისა და ნოტების გულსა და გონებაში ამბად ან, შესაძლოა, ლეგენდად გარდასახვას“ უწოდებს. „იქნებ ღირდეს, ოდესმე მაინც, თუ ღმერთმა გადმომხედა, ამის დაწერა“ – წატრობს ავტორის პროტოტიპი, ორკესტრის მევიოლინე ქალი, რასაც ასე ეხმაურება ორკესტრისავე მესაყვირე, რომანის გარკვეულწილად ოდიოზური პერსონაჟი ჯეირან (ჯერიკო) ქიბიშაური: „დაწერა?

ეგეთ რამეს ვინ დაგიბეჭდავს?! და თუ მოვიდა ისეთი დრო, ჩემი ძვლებიც აღარ იქნება და ღმერთმა ხელი მოგიმართოს. პაჟალუსტა...“.

თავისუფლების მაღალი ხარისხი, რომელიც ვახსენეთ, „რეკვიემში“ყველაზე მეტად „საშინელი ამბების ეკვივალენტად“ წოდებული DIES IRAE-ს (ლათ. განკითხვის დღე) ანუ საბედისწერო რეკვიემის შემქმნელს, ვულკანური ნიჭის მქონე სრულიად ახალგაზრდა მუსიკოსს, ეფი ხოდაროვსკის, ახასიათებს. მისი პორტრეტი, რომელიც მუსიკით შეცყრობილობას ასხივებს, 37-ის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მსხვერპლის, ევგენი (უენია) მიქელაძის, იმავდროულად კი ყველა ნამდვილი შემოქმედის, ანუ როგორც ავტორი უწოდებს, მთხზველის, ბედის ანარეკლია. როგორია ესი? აი, ისეთი, ბოლშევიკების ერთ-ერთი მყვირალა ლოზუნგის „შეუცვლელები არ არსებობენ!“ სიბრიყვესა და აბსურდულობას რომ ამტკიცებს, თავისი ნათელით უნიჭობის და მისგან გამოწვეული გონებრივ-ემოციური შეზღუდულობის ბურუსს რომ არღვევს. ჰოდა, რაღა დასმენა სჭირდებოდა იმას, ვინც მთელი არსებით შემგუებლობისა და მორჩილებისთვის მზადყოფნაში გაურკვეველი ვადით დაპაუზებულ ადამიანებს ერთი ფრაზით, ერთი ჟესტითაც კი არ ჰგავდა. თითქოს ამ გაუვებრობაში საიდანაც, გამორიცხული არ არის სხვა პლანეტიდანაც კი მოხვედრილს, მუსიკა თვითგამოხატვის უზენაეს სამუალებად მიაჩნდა. ან როგორ უნდა მორიგებულიყვნენ ერთმანეთთან „მშვენიერების მარადიული და სათუთი ხატის“ მუსიკით ამეტყველებისკენ სწრაფვა და ხალხის სახელით ხალხის განადგურების ის მრავალწლიანი „ბოროტი და სასტიკი თამაშა“? „ტერორის დროს ძნელია გათვლა, ამიტომ საჭიროა, გაერთხა მინას და თავი მოიმკვდარუნ, ის, რაც ეჟისთვის სრულიად წარმოუდგენელი იყო“ – ამბობს ესის საყვარელი ქალი განო, რომანის კიდევ ერთი ორკესტრანტი. მათი ხანმოკლე სიყვარული, ფაქტობრივად, მუსიკის ჯადოსნური ვერბალიზაციაა, რომელიც სრულიად უადგილოდ, „სისხლის წვიმების დროს“ იშვა და ამიტომაც მალევე დაიღუპა. ზაირა არსენიშვილის მიერ დანახული ეს ურთიერთობა ფაქიზია, მაგრამ იმავდროულად შეულამაზებელი და ბუნებრივი. აი, როგორ უ-

სნის ეჟი თავის განოს იმ მუსიკალურ მონაკვეთს, რომელიც აქვე, ჩვენ თვალწინ, გალაკტიონის „ატმის რტოო, დაღალული რტოოს“ მიხედვით იქმნება: აი, უყურე! ფლეიტა შენა ხარ, რომ იცოდე უნაზესი, მაგრამ დაუმარცხებელი მშვენიერება... აი, ეს სეკუნდები შენი კვნესაა. ასე იწყება, და მაშინვე გუნდი მიმართავს ატმის რტოს ყოვლად ტრადიციულად და გულში ჩამწვდომად: ტონიკა, სექტა, კვარტა ტონიკა, ატმის რტოო... „ეხლა ზღვაა, ეხლა სისხლის დროა“ – აი, ეს არის ჩემთვის კულმინაცია. აქ უკვე არავითარი ტრადიციული გულშიჩამწვდომბა აღარ არის... ეს უნდა იყოს სულის ამოსვლის პიანისიმო. გესმის? ისეთი შთაბეჭდილება, რომ იმ ნერგთან ერთად შენც ჩაიხედე ზღვისა და სისხლის უფსერულში...“. აქ და მსგავს პასაჟებში ავტორი პოეტური და მუსიკალური ინტონაციების პარმონიზაციის უმაღლეს დონეს აღწევს.

თუმცა ტექსტში ასეთი განწყობილება, შეიძლება ითქვას, ერთგვარად ტალღოვანია. იგი მკვეთრად იცვლება მაშინ, როდესაც საფრთხე თვით ხელოვნების არსებობას ემუქრება. რომანში ეჟისა და ალიო ჩივაძის ურთიერთობის ისტორია მოცარტისა და სალიერის ურთიერთშეუთავსებლობის კლასიკური ხაზით ვითარდება. ერთი მოვლენაა, სულის ხსნა და შვებაა, „თოთო ბავშვივით გასაფრთხილებელი“ და გასათავისებელი. მეორე თვითმარქვია, სალიერისებურ გულმოდგინეობასაც კი მოკლებული, სინამდვილეში სამთავრობო სუფრებზე თავაღერილობისთვის მოწოდებული (...ჩანგალი არ გაჩახაკუნდებოდა სამთავრობო მეჯლისებზე, ალიოს მრავალუამიერი რომ არ შემოეძახა“). ავტორი მას „ფეხთამლოკავ ხელქვეითს“ უწოდებს, რომელსაც ზურგს საბჭოთა „ურავნილოვაის“ (გათანაბრების) იდეოლოგები უმაგრებენ. ამ პერსონაჟთან მიმართებით ირონია ზოგან ზღვარსაც კი სცდება და სატირულ ელფერს იძენს. მაგალითად მაშინ, როდესაც ალიო „საბჭოთა სამოთხეზე“ ოპერის შექმნას განიზრახავს. ოლონდ, ვერ გადაუწყვეტია, როგორი ფორმით გააცოცხლოს ოპერის სცენაზე ახალგაზრდა კობა, „სტალინს არიები როგორ ვამღერო, არ ვამღერო და სტატისტად ხომ ვერ გამოვიყვან ამხელა ბუმბერაზ ადამიანსო?!“. და გამოსავალს, რა თქმა უნდა, ლავრენტი პავლო-

ვიჩთან პოულობს: ფიზიკურად ნუ გამოიყვან, თუმცა ყველა და ყველაფერი მისით უნდა სუნთქავდესო. საკმარისია გაირკვეს, რომ ეჯის დალუპვაში სწორედ ეს „ბედისნებიერია“ ჩარეული (დიახ, ალიომ ეუიზე „ანტია, ანტის“ ძახილით უფროსობას ყურები გაუხვრიტა), თვით ავტორის პროტოტიპი მევიოლინე ქალი ალიოს და მისი სახით სხვის ადგილს ჩაფრენილ ყველა მედროვეს ასე შერისხავს: „იუდა, იუდა, იუდაზე უარესო! შენ ხომ არავისთვის მიგიყრია ოცდაათი ვერცხლი! გააასე და გაამრავლე, ორდენებად, ჯილდოებად, შემწვარ-მოხრაკულებად აქციე, სა-ზიზ-ლარო!“. აშკარაა, ჩვენი ავტორიც ხელოვნების ხელყოფას ვერავის აპატიებდა. საბოლოოდ ბოროტებასთან ბრძოლას ზაირა არსენიშვილი მაინც ჰანა არენდტის პრინციპით ამჯობინებს: „ზღვარგადასული მოძალადეები და პოლიტიკური კრიმინალები დაცინვის წნეხქვეშ უნდა გავსრისოთო“, რომ წერს. სწორედ ასე, პაროდირებულადაა წარმოდგენილი მუსიკოსებს შორის „შემთხვევით“ მოხვედრილი „დემაგოგის ჯორცხებზე შემომჯდარი“ ადმინისტრაციული მოხელე, გენადი პეტროვიჩი: „რევოლუციისადმი მგზნებარე ერთგულების ნიშნად გენამ ცხრაას ჩვიდმეტში რომ ჩაიცვა წითელი ტრუსები, მერე ალარ გაუხდია... ეჭიდებიან, ეჯაჯგურებიან ცალკე ტანეჩია, ცალკე დედა, – ერთი საათით მაინც გაიხადე, გაგირეცხავთ, უცებ გაგიშრობთ და ისევ ჩაიცვიო, – მაგრამ ვერაფრით ვერ ჩააძრეს“.

მიუხედავად ყურადღების კონცენტრირებისა ბოლშევიზმ-კომუნიზმის უმძიმეს „საგმირო საქმეებზე“ (დაკითხვაზე მყოფი ეუი ხადაროვსკი ჩეკას ქვაფენილს რომ დაანარცხა; განოს სილამაზე „ბერიქალის სქესდაკარგული ულაზათობით“ ჩაანაცვლა; ორკესტრის პირველი მევიოლინე, სამუელი ციხეებსა და ფრონტის ხაზზე ათრია; უკვალიდ გააქრო უბადლო მესაყვირე ვალია ვოლსკი; მისი მონაფე ჯეირან-ჯერიკო, რეჟიმის თავგადაკლულ მომხრედ აქცია და სულიერად დაამახინჯა; რუისპირელი გიგა ღელეღუტაშვილი ჩეკისტ გელეგუტად ტრანსფორმირდა; გენას, გენადი პეტროვიჩს, „კონცერტმაისტერსა და ორკესტრის ინსპექტორს, მთელი ახალგაზრდობა მაუზერი რომ ეკიდა“, ტვინი სამუდამოდ ისე ჩაუკირა, რომ „ორკესტრის იდეოლოგიური ჩი-

რაღდნობა“ აკისრებინა და სხვ.), ზაირა არსენიშვილის, როგორც მწერლის მხატვრული ამოცანა, რა თქმა უნდა, მაინც სცილდება ამ მოვლენათა თუნდაც დიდი მხატვრული დამაჯერებლობით აღნერას. „მწერალი სწორედ იმიტომ იმარჯვებს, რომ ბოლშევიკურ რეპრესიებს გოლგოთის მისტერიის მეტაფიზიკურ გაგრძელებად მოიაზრებს და მკაფიოდ გვეუბნება, რომ ეს რეპრესიები ჯერაც არ დასრულებულა“ (გიორგი ლობჟანიძე, ტანჯვის გრდემლზე გამოკვერილი სიხარული, არილი, 2009). კიდევ რა ქმნის ზაირა არსენიშვილის ამ საგულისხმო შეფასების საფუძველს? ცხადია, სრულიად გამორჩეული ენით მოუბარი მთხოობელი და მისი არა მარტო ყოვლისმხედი, არამედ ყოვლისადმექმელი თვალი, თვალი, რომელიც უპირველესად ჩვენი ასე „დავიწროებული გულებისა და საეჭვო ხსოვნისკენა“ მიმართული. ეს ლექსიკური მასალის ოსტატურ, ვიტყოდი, ვირტუოზულ, ფლობაზე ბევრად მეტია და ამ მეტობითაა კიდეც, პირველ ყოვლისა, დაძლეული შეურაცხყოფის ტკივილით გამოწვეული ის ბოლმა ან, თუ გნებავთ, აპათიურიობა, რომელიც იმ საშინელ წლებს უნდა მოეტანა. ვინ იცის როგორი ძალისხმევით აღმოჩენილ-დამახსოვრებული და შესისხლხორცებული მწერლის ეს სიტყვიერი მოზაიკა კიდევ ერთ განცდას ბადებს. საგანთა და მოვლენათა არსში წვდომა, რომელიც რომანში თითქმის ყოველ მესამე გვერდზე გაპნეული სენტენციებითა და ლირიკული წიაღსვლებითაა გადმოცემული, შლის დროთა კავშირის ტრადიციულ თანმიმდევრობას და ჩვენ, „რეკვიემის“ მკითხველები, დღევანდელობიდან პირს, როგორც მერაბ მამარდაშვილი იტყოდა, „ქართული გენოტიპის დაკარგული მოხაზულობისკენ“ ვაპრუნებთ, ვწვდებით ჩვენივე კულტურული სიძველის გაფერმკრთალებულ ნიშნებს, ვუახლოვდებით დიდი ქრონისის იმ იდუმალ შრეებს, რომლებმაც შეგვემნა და ერთხანს გვატარა კიდეც. ამასთან ვთავისუფლდებით სხვადასხვა ჯურის მითების ხავსისგან და გვახსენდება მთავარი: რატომ და რით შეიძლებოდა ვყოფილიყავით სინამდვილეში საინტერესონი. საბოლოო ჯამში, ეს მაინც იგივეა, რაც სიტყვის, როგორც „საწყისთა საწყისის“, როგორც ბიბლიური „პირველად იყო სიტყვის“

მნიშვნელობის თითოეულ ჩვენგანში გაცოცხლება, ჰაიდეგერი-სებურად კი „შინ დაბრუნება“. ასეთია და ამაზე არანაკლები ზაირა არსენიშვილის ენის ძალმოსილება.

დროის ამ ყოვლისმომცველობას განასახიერებს მთხრობლის ბებია (შემდგომ იგი უფრო ფართო კონტექსტში წარმოდგება რომანში „ვა, სოფელი“), რომლის მეტყველება, ცხადია, საგულისხმოა არა მარტო ფორმის, არამედ შინაარსის თვალსაზრისითაც. ქრისტიანული მორალიც და გულმოწყალებაც უფრო შორს ვერ წავა, ვიდრე მისი ლოცვები ყველა სულიერზე, განსაკუთრებით კი სტალინზე. ეს, ფაქტობრივად, ლოცვაა მონუსხულ „საბჭოთა ხალხზე – ბედკრულსა და აბსურდულზე“. როგორადაც არ უნდა იმუშაონ მომავალში ე.ნ. ნანოტექნოლოგიებმა შეგრძნებების გაფართოებასა თუ სხვადასხვა რეცეპტორების გაძლიერებაზე, მთხრობლის ბებიას (ისევე როგორც „ვა, სოფელის“ განუმეორებელ ქალებს) ვერ გადაფარავენ. ამიტომ, თუ ამ მოსაზრებაში ნახევარხუმრობასაც გავურვეთ, გამორიცხული არ არის ზაირა არსენიშვილის რომანების ხვალინდელ მკვლევარს ამ პერსონაჟთა მონოლოგების სპეციალურ დისკებზე ჩაწერა და მათი „ჩაკრულოსთან“ კოსმოსში გაგზავნაც კი მოუნდეს. „ქვიშით საბლის გრეხა და სიცრუით ქვეყნის შენება ერთიაო“, „შენს წუთისოფელს, შენს წილ სამყაროს რომ მიაყურადებ, შეისმენ, გაუგებო“ – ეუბნება ბებია თავის შვილიშვილს და ეს შეგონებები არა მარტო იმ ცნობისმოყვარე პატარა გოგოსთვის, არამედ ჩვენთვისაც ცხოვრებად წოდებული ორომტრიალის, სულ მცირე, ერთგვარ გამართლებად იქცევა. განა ბევრს შეუძლია ასეთი რამ თქვას „მე, გენაცვალოს ბებია (ბათურთ ქალის გარდა, კნეინა მანანამ და) ჩ ე მ ა შ ვ ი ლ ე ბ მ ა გ ა მ ზ ა რ დ ე ს ო“. ასეთი აღქმა პასუხისმგებლობისა, რომელიც კი არ გვამძიმებს, არამედ გვაძლიერებს და მეტიც, გვამაღლებს, მეტად იშვიათია.

ბრძენ ბებიასთან და რეპრესირებულ მამასთან ურთიერთობის გარდა, მწერალს წილად ხვდა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოცდილება. შინაგანი ხმის, ბარათაშვილი იდუმალს რომ უწოდებდა, მიყურადებამ და საკუთარი სამყაროს ცენტრის, უფრო

სწორად, საკუთარი სამყაროს საყრდენი წერტილის, პოვნამ (ეს კი, ალბათ, უთუოდ ნ ა დ ი კ ვ ა რ ი ა), სიტყვისა და მუსიკის საიდუმლოების ამოხსნისკენ გაუნელებელმა სწრაფვამ (ზაირა არსენიშვილი ხომ ფილოლოგიც იყო და მუსიკოსიც) ადამიანების „რენტდგენული“ განჭვრეტის უნარი, მათდამი კრიტიკული დამოკიდებულება გამოუმუშავა. მართალია, უმრავლესობა, მისი აზრით, სულაც არ არის ჩახუტების ღირსი, მაგრამ არიან სანთლის შუქივით საძებარი გამონაკლისებიც. მიუხედავად ასეთი დისპროპორციისა, მწერალს ყველა თანაბრად ებრალება – მელიტა, რახილი, სამუელი, ფენია ნიკიფოროვა, სიყვარულით მაკოდ წოდებული მაკედონი. აი, ისიც, ადრე ბენდლიდერობაზე, ლუი არმსტრონგსა და ბიქსზე მეოცნებე, შემდეგ კი საბჭოთა მონსტრს მინებებული ჯეირანიც და თქვენ წარმოიდგინეთ, პავლოვიჩის მარჯვენა ხელიც, ქვეყანას მომჯდარი ჯეირანისვე მფარველი და, როგორც ტექსტში ვკითხულობთ, „მისი ჯილა“ გელეგუტიც, რომელიც „კუდზე შემდგარი გველი სთვის“ დაუმსგავსებია ჯალათისთვის სამსახურის განვის მუდმივ მზაობას და სხვ. (რომან „ჩაკლულ სულში“ გრიგოლ რობაქიძის მიერ სტალინის პრეისტორიულ ხვლიკთან შედარებაც კი ხუნდება ამ შემზარავი შედარების წინაშე).

ამიტომაც ზაირა არსენიშვილი ვერ და არ წყვეტს ასე მარტივად რომანში დასმულ მსხვერპლისა და ჯალათის ერთ საარსებო სივრცეში თანამყოფობის უძველეს პრობლემას. მართალია, იგი ამხელს, მაგრამ არ განსჯის. ამის უფლებას საკუთარ თავს ვერ აძლევს. მას უფრო მნიშვნელოვნად კაცთმოძულეობის ბუნების განჩხრეკა ესახება, რაშიც ორკესტრის კიდევ ერთი გამორჩეული წევრი მაკედონი მონანილეობს: „პარტიულ, ეთნიკურ, ნაციონალურ სიძულვილს – ყველაზე უფრო დაუნდობელ სასტიკ სიძულვილს, ერთი ძირი აქვს... ის უხსოვარი დროიდან დააბიჯებს დედამიწაზე და იბუდებს ადამიანთა გულებში, როგორც ჭია ნაყოფის გულში, ხრავს, გამოჭამს და გამოფულრავს და ხდება პიროვნების გაძარცვა და დაბეჩავება...“. თუმცა ირკვევა, რომ ეს უმძიმესი ცდომილებები მაინც მეორადია, რადგან პირველადი არა ამ მაღალი, მაგრამ

ამასთანავე აბსტრაქტული კატეგორიებით აპელირებაა, არამედ უფრო კონკრეტულით, რაც საკუთარ თავში გარკვევის, „გულის არევამდე სარკეში ყურების“ უნარით განისაზღვრება.

ერთი წუთით გვერდზე რომ გადავდოთ თავად მაკედონის მამის, რუსული რევოლუციის გარიურაჟზე საკუთარი გლეხების მიერ მოკლული დიდი მემამულის ამბავი, რომელმაც ამავე გლეხების კეთიდღეობისთვის სკოლა და აგრონომიული სასწავლებელი გახსნა, სადღა წაუვალო რაფირინებული სულისა და მგრძნობელობის მქონე მუსიკოსების გაუგონარ სისატიკეს, რომელიც მათ საკუთარი დირიჟორის მიმართ გამოავლინეს. ზაირა არსენიშვილი, რომელიც დიდი ტაქტითა და ზომიერებით აგებს რომანის სტრუქტურას, კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევს ცნობილი ფაქტებით სპეციულირებას, მკითხველისთვის რეალური მოვლენების უკონტროლოდ თავსმოხვევას, აյ თითქოს ცვლის თხრობის სტრატეგიას და ფოკუსირებას სრულიად შეგნებულად ევგენი მიქელაძის ხვედრით კმაყოფილებზე ახდენს: „იმ მომღერლებზე, იმ განთქმულ სოპრანოსა და პირველ ტენორზე, ის საწყალი კაცი გვერდიდან რომ არ იშორებდა, მათზე ამოსდიოდა მზე და მთვარე... (ესენი კი) ლამის ნიხლით შესდგნენ. იმის ბინაში შესახლდნენ, იმის ნივთებს დაეპატრონნენ, იმისი ცოლის, იმ მზეთუნასავის კაბებში და პერანგებში გაუყარეს ხელი და ობლად დარჩენილ ბავშვებს სათამაშოებიც არ დაუბრუნეს“, ფარშევანგებივით გაუშლიათ ბოლოები, დაულიათ პირი და ჩხავიან... და თავისი ცალი და ბადალი არავინ ჰგონიათ“. ჰოდა, სად არის ასეთი უზნეობის სათავე? იქნებ ტარიელის პირით ნათქვამ რუსთველის ერთ აფორიზმში, რომელსაც თურმე აკაკი წერეთელი „ახირებულ აზრს“ უწოდებდა: „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო...“. ზაირა არსენიშვილი ამ საკითხს მისთვის ჩვეული ღიაობითა და სიცხადით ზოგადად რელიგიასა და რელიგიურობასთან, ასევე თავისი ბუნებით მოუხელთებელ ჭეშმარიტებასთან საკუთარი პიროვნული დამოკიდებულებით არკვევს. მამავენიამინთან საუბარში მთხრობელი ამბობს: ... მე იმდენად ვარ მორნმუნე, რამდენადაც უნდა იყოს ყველა ნორმალური ადამიანი..., „ისეთ დიად შემოქმედს, როგორიც ღმერთია, [დარწმუნებული ვარ],

სულაც არ უნდა ჩემი დამდაბლება, ჩემი დაზაფვრა ჯოჯოხეთით, ჩემი გადაქცევა ღვთის მონად და ღვთის მხევლად. ღმერთი ხომ ტომის ბელადი არ არის და არც პროლეტარიატის ბელადი, ღმერთი სამყაროს შემოქმედია. მომიტევეთ, მამაო, მე ვერასოდეს შევეგუები საუკუნეების სილრმეში შექმნილ დოგმატურსა და რეტროგრადულ ღვთისმსახურებას, რომელიც გზას უხსნის თვალთმაქცობასა და ფარისევლობას, ანუ სიყალბეს. მე კი არაფერი არ მძულს ისე, როგორც სიყალბე...“. ამ აღიარებაში, ცხადია, რწმენის საკითხი დევს „არა კონფესიონალურ ან იდეოლოგიურ, არამედ ისტორიულ-კულტურულ და ეგზისტენციალურ სიბრტყეზე“ და ეს არის სწორედ ღირებული „შემოქმედებითი ნატურის დამოუკიდებლობის“ შეფასების დროს (Ирина Языкова, „Иосиф Бродский: Я христианин потому, что я не варвар“).

რაც შეეხება ავტორისთვის ისეთ პრინციპულ საკითხს, როგორიცაა სამართლიანობის ზეიმი (როგორც ვიცით, მიხეილ ჯავახიშვილთან მას „ბედი მდევარი“ ეწოდება), „ადამის ცოდვით დამძიმებულ წუთისოფელში“, სადაც ყველაფერი ბრუნავს და ტრიალდება, მისი მიღწევა დროში ძლიერ განელილი ჩანს. ეს მტკივნეული გადაავადება კი იმითაცაა გამოწვეული, რომ ჯერ ჩვენ უნდა გავერკვეთ, სად და რატომ გვსურს, დამარცხებულის თუ არა, შეურაცხყოფილის კარვის დაცემა, განვსაზღვროთ „ჩვენი წილი სამყაროს... ჩვენი წილი წუთისოფლის“ (ბებიის ისევ ის სიტყვები) არეალი, ბოლომდე განვემსგავსოთ იმას, ვინც ტკივილი მოგაყენა და ვუცადოთ, ვუცადოთ დაუსრულებლად... ავტორს იმედი აქვს, რომ „ყველა ჩვენგანში ღმერთია ისევე, როგორც ყველა მუსიკაში – ბახი!“.

ზემოთ ითქვა ადამიანური არსის განჭვრეტის ზაირა არსენიშვილისეულ უნარზე, რომელიც პერსონაჟთა პორტრეტირებაშიც ვლინდება. თუმცა უნდა ვიგულისხმოთ პორტრეტირება არა ამ ცნების ქრესთომატიული გაგებით, არამედ მაქსიმალურად მინიმალიზებული ხერხებით. ამიტომაც საკმარისი ხდება ხოლმე რამდენიმე დეტალის მოხაზვა, ზოგჯერ პერსონაჟის მოძრაობის რიტმის გადმოცემაც კი. მაგ. ეუის გარდაუვალი დაპატიმრების

შიშით შეპყრობილი განოს ფორიაქი, მისი განუწყვეტელი, ქანც-გამომცლელი სირბილი ქალაქის ქუჩებში, რაც დიდი ექსპრესი-ისა და სულიერი კატასტროფის მოახლოების უტყუარი ნიშანი ხდება. მკითხველის მეხსიერებაში ღრმად იჭრება მევიოლინე სამუელის სახეც. ეს იმპულსური, ფხუკიანი მოხუცი ებრაელი, ვიოლონჩელის ხემის აღმა-დაღმა ტარებაში განაფული და ნაჯაფი პატარა ხელებითა და „ბავშვთა სამყაროში“ ნაყიდი იაფთასიანი ფეხსაცმელებით, ვერაფრით ვერ ენერება თავად მუსიკოსების მიერ „საძმო საფლავად“ წოდებული ორკესტრის ეფემერულობა-ში. იგი მუსიკით ცოცხლობს და ჩვენი ავტორის მსგავსად, ვერ იტანს, როცა მას ხელობად აქცევენ. „ნუ მიწყენთ... სიმწრით მივ-დივარ... სიკეთე არასოდეს ყოფილა, თქვენსავით, ჩემი მამოძრა-ვებელი. სიკეთეს იმდენი დრო უნდა, მე კი დრო არასოდეს მქონდა. ნოტები, ნოტები, ნოტები! რა გამოვიდა აქედან, თქვენ თვითონ ხედავთ...“ – ეს უკვე სამუელის მიერ სასიკვდილო სარეცელზე წარმოთქმული სიტყვებია, რომლითაც იგი თავის კოლეგას, ჩვენს მთხოვბელს, მიმართავს. ეუი ხოდაროვსკის რეკვიემის რეპეტი-ციაზე დაპატიმრებული სამუელი სასწაულებრივად გადარჩენი-ლი ნოტებით საკუთარ პანაშვიდზე ისევ ამ ნაწარმოების დაკვრას ითხოვს – ასე გამოიყურება პრინციპულობა მიუხედავად უკვიემში.

ოპერის თეატრში ანტრაქტის დროს ქმრის დასახედად კული-სებისკენ ქურციკივით გაჭრილი ახალგაზრდა და ბედნიერი ქე-თუსია ორახელაშვილი (მისი სურვილი, შუბლი თვითონ შეუმშრა-ლოს დაღლილ მეუღლეს, სიყვარულით მონიჭებული ეგზალტა-ციაა); პარტერში გაელვებული გალაკტიონი, პოეზიის დიდი მუ-სიკის მატარებელი მარტოკაცი, რომელთანაც გამოსახოვრად თურმე, როგორც ეკუთვნოდა, არა ბახის პასკალია, არამედ ჩვე-ულებრივი საპანაშვიდო რეპერტუარი დაუკრეს (ამაზე სწორედ სამუელი წუხს); შურის ორბიტიდან საბოლოოდ გასული ჭაბუ-კიანი, „ვერავინ რომ ვერ შეედრებოდა მშვენიერებით“; მოს-კოვიდან საგანგებოდ გამოწვეული ტენორი დოდო თორელი (ეს უთუოდ ზურაბ ანჯაფარიძეა), ლამის ბატისტინისა და ტიტო

გობის სადარი, რომლის ხმაში მშობლიური და ზენაციონალური ინტონაციები იგრძნობა, ანტიკური ტრაგედიის გმირივით ოპერის სცენაზე წელგამართულად მდგარი მარო თარხნიშვილი, ნიკო სულხანიშვილის „დაიგვიანეთი“ მთელ სამყაროს დიდ ქართულ იმედგაცრუებას რომ შესჩივის; ოდისეი დიმიტრიადი, კოლეგებისგან დაკორტნილი, მაგრამ ისევ და ისევ მუსიკით გამრთელებული... ეს 30-50-იანი წლების თბილისის კულტურული ცხოვრების ფრაგმენტებია, რომლებსაც ტექსტში ხელოვნებით აღძრული მღელვარებითა და ყოველდღიური შიშით სავსე ცხოვრების ზუსტი ტონალობა შემოაქვს.

და ასე დაუსრულებლად... „რეკვიემში“ (რომანის სრული სახელწოდებაა „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისთვის, ანუ ახალგაზრდა მთხველის პორტრეტი“) განუწყვეტილივ ჩნდება ახალ-ახალი საფიქრალი, მაგრამ ისე, რომ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ცოცალი მუსიკა და ცოცალი ურთიერთობები.

გია არგანაშვილი

სამყარო ისეთ შემოქმედს ბადებს, როგორიც მას სჭირდება

(გიო ლომიძის პოეზია)

თითქმის სამი წლის განმავლობაში სისტემატურად ვეცნობოდი გიო ლომიძის პოეზიას სოციალურ ქსელებში და ერთგვარი ეჭვით ვუყურებდი სირთულით გამორჩეულ მის პოეტურ გზას. ვფიქრობდი, რომ ეს იყო ავტორის ერთგვარი სტილური გატაცება და ადრე თუ გვიან ის აუცილებლად დაასრულებდა თავისი ორიგინალობის დემონსტრირებას.

ამ ლოდინში არაერთხელ გამხსენებია კნუტ ჰამსუნის „მისტერიების“ მთავარი პერსონაჟი – არაორდინალური, გაორებული და მარტოსული იოპან ნაგელი, რომელსაც ქალაქის დაეჭვებული მაცხოვებლები მალულად სამხრებს უმონმებენ, აინტერესებთ, ეს უცხო ადამიანი პიჯაკის ქვეშ „ლიპებს“ ხომ არ ატარებს.

ავტორისადმი ჩემი ამგვარი უნდობლობა კი ალბათ იმით იყო გამონვეული, რომ ნამდვილი პოეზიის საცნობად მეც მხოლოდ ლექსის საზომზე დაყრდნობილი რაიმე სიახლე და გატკეპნილი გზით სიარული მესახებოდა (თუნდაც ის გენიოსის მიერ იყოს გატკეპნილი) და პოეტადაც მხოლოდ იმას მივიჩნევდი, ვისი ლექსებიც იმღერებოდა, ვინც მხოლოდ მუსიკალური სახეებით აზროვნებდა.

ამგვარ ახსნას თუ დავეყრდნობით, დღვანდელ ქართულ პოეზიაში ათეულობით პოეტის (მათ შორის იქნება გიო ლომიძეც) ადგილი აღარ რჩება, რადგან მათი შემოქმედება არც მუსიკალურია (არ იმღერება) და არც მხოლოდ სალექსო რითმების ზომა და მათი მრავალფეროვნება გამოარჩევთ სხვებისგან.

შესაძლოა, დავეთანხმო კიდეც ზოგიერთ მკვლევარს, რომ გიო ლომიძის ტექსტებს მართლაც ცოტა რამ აქვთ საერთო ტრადიციულ ლექსთან, რომელიც რატომდაც კვლავაც რიტმულად

და ინტონაციურად მოწესრიგებულ მეტყველებად განიმარტება და ენისგან საზღვრული ლექსთნების კანონებზეა დამყარებული. თუმცა აქ უფრო დაბეჯითებით შემიძლია იმის თქმა (ამ წერილში ვეცდები ამის დასაბუთებას), რომ გიო ლომიძის ტექტები ნამდვილი პოეზიაა.

ან თუ მის შემოქმედებას გარკვეულ ექსპერიმენტად ჩავთვლით, მაშინ ამგვარი მცდელობები „სამიზდატის“ და ალტერნატიული პოეზიის ეპოქაში უნდა დასრულებულიყო, მაგრამ როდესაც ეს პერიოდი მთავრდება, აკადემიური ლექსის კარი მჭიდროდ იკეტება და ამგვარი პოეტური ნიმუშები კი მის შიგნით განაგრძობს არსებობას. კრიტიკა იძულებულია მისი კანონიზაცია მოახდინოს და შესაფერის სახელდებაზეც იზრუნოს.

მეც საკმაო დრო დამჭირდა იმის გასააზრებლად, რომ ავტორის სტილი საკმაოდ დახვეწილ ფილოსოფიურ-ინტელექტუალურ მიმდინარეობას ეკუთვნოდა, მის პოეტურ აღქმას თავისებური ეს-თეტიზი ჰქვებავდა, ხოლო ჩემი მოლოდინი სტილის გამარტივებისა ქართული პოეზიის დღევანდელი არასახარბიელო მდგომარეობითა და რაღაც სიახლის დანახვის სურვილით იყო მოტივირებული, რადგან ჩვენს დროში სალექსო სიტყვების მარაგი მიწასავით გამოიფიტა და „მოსავლისათვის“ უვარგისი გახდა. ყოველგვარი მცდელობა მისი გამდიდრებისა, რაც უმეტესწილად არქაიზმების, დიალექტიზმების შემოტანითა და სიტყვათქმნადობის სრულიად უკონტროლო პროცესით შემოიფარგლება, უშედეგოა, რადგან სიტყვები კი არ ცვდება, არამედ ტრადიციული თემების გამოხატვის ფორმები ძველდება და სათქმელი იკარგება. ამის დასაძლევად კი ცოცხალი განცდა, დამუხტული სიტყვა და ალქმის ინდივიდუალური სტილია მოსაძებნი.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მისი ლექსის წაკითხვა და გაგება დღესაც იმდენივე დროსა და ენერგიას მოითხოვდა მკითხველისგან, რამდენიც (ალბათ) მის დაწერას დაჭირდებოდა, მე უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ გიო ლომიძის შემთხვევაში საქმე შემოქმედებითი ნიჭის ბუნებრივ გამოვლინებასთან მქონდა მისი პოეზიის უკეთ გასაცნობდ (ამჯერად უკვე მიზნობრივად) და მის ერთადერთ კრებულს, 2018 წელს გამოცემულ „სიმშვიდის პა-

როდიას“ („ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო“), ხელახლა მივმართე.

ჩემი მიზანია ამ წიგნების (დაბეჭდილი და დასაბეჭდად გამზადებული ლექსების კრებულის) საფუძველზე გამოვკვეთო გიო ლომიძის პოეზიის მთავარი ნიშნები, რომელთა ნაწილი უკვე შემჩნეულია კვალიფიციური მკითხველის მიერ, ნაწილი ახლა ელოდება გამოქვეყნებას, თუმცა ამას გარდა, მაინც რჩება პოეტური საიდენტიფიკაციო ნიშნები, რომლებიც დახვენას და სახელდებას მოელის მას შემდეგ, რაც შემოქმედებითი დუღილის პროცესი დასრულდება, დაიწმინდება და მკითხველი პოეტის ინდივიდუალურ პოეტურ გზას აღიარებს.

წიგნს წინასიტყვად მისი რედაქტორის, ლიტერატურათმცოდნე გაგა ლომიძის წერილი უძღვის, რომელშიც მკვლევარს რამდენიმე არსებითი თვისება გიო ლომიძის შემოქმედებისა უკვე შეუმჩნევია და აღუნიშნავს კიდეც მის შესახებ(ამაზე მოგვიანებით კიდევ მომინჯვს საუბარი). კრებულის გამოსვლას კი რამდენიმე ცნობილი პოეტი და ლიტერატორი გამოხმაურებია (მათ შორის გიორგი ლობჟანიძე, სონია ქართველიშვილი და ბექა ახალაია), რაც იმის თქმის უფლებას მაძლევს, რომ გიო ლომიძის შემოქმედება დღევანდელი ლიტერატურული პროცესის ყურადღების არეალში მოექცა და პოეზიის მუდმივი გულშემატკივარი ინტერესით ადევნებს თვალს მის ყოველდღიურ ცვლილებას.

კრებულში ლექსები დათარიღებულია და ქრონოლოგიურად არის დალაგებული. სხვა შემთხვევაში ვიფიქრებდი, რომ ავტორ-მა შეგნებულად დაინყო შედარებით მარტივი და კონვენციური ლექსების პუბლიკაციით, რათა ჩემ მიერ ნახსენები, ე.წ. გატკეპნილი გზით სიარულის შთაბეჭდილება უფრო გაეძლიერებინა:

ძველი ლექსების ვიგონებ სურნელს,

გიგონებ ისევ ცელქს და თავნებას;

ვუყვები ჩემში დარჩენილ სულელს

ამბად, სიკვდილის დაგვიანებას.

გუშინ ზამთრისფრად სუნთქავდა ძალლიც,

ტყვიას ელოდა სუიციდი და

სხეულის თრევით, ამაოდ დაღლილ
სულსაც მდუმარე წამი უცდიდა.
სრული აბსურდი, სრული მარაზმი....
ლოდი და ირგვლივ დგანან ძეძვები;
ერთ დროს ფიქრები ასე დავრაზმე,
ახლა კი ვიცი აღარ მეძებენ.

მხატვრული ტექსტი უპირველესად ჰქონდა ანალიზის-კენ გვიძიებს და ლექსის შინაარსის გაგებას გვპირდება, თუმცა აქ წინაარსი ძალზე მარტივი და გასაგებია და მკითხველიც ამ ცდუნებას ადვილად უძლებს. სამაგიეროდ, ლიტერატურული (არა მეცნიერული და პოლიტიკური) დეკონსტრუქციის აუცილებლობა მოდის წინა პლაზე, რაც ტექსტში შინაგანი წინააღმდეგობის აღმოჩენას და მასში მიძინებული (წარჩენი) საზრისის პოვნას გულისხმობს, რომელიც ხშირად მიუწვდომელია არა მარტო გამოუც-დელი მკითხველისათვის, არამედ თავად ავტორისთვისაც.

წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტექსტზე დაკვირვების უნარი თანაბრად გულისხმობს როგორც რაღაცის შემჩნევას, ასე-ვე რაღაცის არმემჩნევას (ი. ლოტმანი). გულდასმით დაკვირვების დროს კი თითოეული მკითხველის წინაშე ემპირიული სინამდვილე განსხვავებულად წარმოსდგება. კორექტორი და პოეტი ერთსა და იმავე ფურცელზე სხვადსხვა რამეს „კითხულობენ“ და ვერანაირ ფაქტს ვერ აღვიქვამთ, თუ არ არსებობს მისი შერჩევის სისტემა, ისევე როგორც შეუძლებელია დეკოდირება, თუ შესაბამისი კოდი არ გაგვაჩინია.

ლექსი სამი სტროფისგან შედგება. მთავარი დატვირთვა აქ შუა სტროფზე მოდის (პირველი და მესამე კი შესავალს და ავტორის მორალური სახის წარმოჩენას ეთმობა) და რადგან აქ ამ ურთულესი განცდის გამოხატვისას, საკმაოდ შთამბეჭდავი მეტაფორული შედარების („გუშინ ზამთრისფრად სუნთქავდა ძალლი“) წყალობით, ავტორმა წარმატებით აიცილა მოსალოდნელი სიყალბე და სუიცი-დის ამ საზრისმა, რომელიც ენაში გაუცნობიერებული აზრობრი-ვი სტერეოტიპების სახით არის ჩაბეჭდილი, ავტორის განზრახ-ვისაგან დამოუკიდებლად, არაცნობიერად მოახდინა ზემოქმედება

ენობრივი კლიშეების, იდეების, გამოხატვის საშუალებებით და მთელ ტექსტზე გაბატონდა.

ბუნებრივია, რომ ამ საზრისის უპირველესი და პრივილიგირებული წყარო ავტორი აღარ არის. ტექსტის მრავალწახნაგოვანი ინტერპრეტაციის უფლება მკითხველს უპირატესობას აძლევს ტექსტის საზრისის განმარტებაში. თუმცა ავტორის (ავტორის და არა პოეტის) იდენტობა და მისი შემოქმედებითი ვინაობა მაინც იკითხება რაღაც უფრო დიდ სტრუქტურაში, რომელსაც როგორც ჩვეულებრივი, ასევე წარმოსახვითი და სიმბოლური რეალობა ქმნის. მათ სისრულეს კი ყველა ნაწარმოების ერთობლივი ანალიზი იძლევა, რაც ფიზიკურად თითქოს შეუძლებელია, თუმც შესრულებადი, თუ ასეთი ამოცანა გვექნებოდა წინ.

* * *

კრებულში მხოლოდ ორმოცდათამდე ლექსია დაბეჭდილი და ამ მცირე ზომის წიგნში ავტორს მთელი ექვსი წლის (2012-2018) ნამუშევარის ჩატევა უცდია. ცხადია, რომ მისი (გამომცემელთან ერთად) არჩევანიც მხოლოდ საეტაპო ტექსტების დაბეჭდვაზე შეჩერდა, რათა მკითხველს სრული წამოდგენა შექმნოდა შემოქმედების დინამიკურ პროცესზე.

ჩვენი წერილის ფორმატი კიდევ უფრო ნაკლებ საშუალებას იძლევა ამ მიმართულებით. ამის დასტურია ისიც, რომ მიუხედავად პირველ და მეორე ლექსს („კვანტური მისტიკა“) შორის არსებული სამწლიანი დროითი შუალედისა, მათ შორის ბევრი რამ საერთოა, უპირველესად კი მოულოდნელი (ხშირად უცნაურიც) მეტაფორების სიმრავლე, რაც გვარწმუნებს, რომ ეს ავტორის პოეტური ბუნების ერთ-ერთი მთავარი გამოხატულებაა:

კატაკომბებმა ამობერტყეს სიტყვების ექო.

ოხშივარია. შემოასედა ყვავი დარაბას.

ტბორში მარხია მთვარის ცრემლი. არ უნდა ქექო

ქარში ნაქსოვი სიმშვიდე და დავიდარაბა.

ხავსის ძაფები – მოხასხასე მწვანე თასმები,

შეხორცებია ვენებივით ქოხის კიდურებს;

დიდი ხანია იმ ეზოში ალარ გასმევენ
წყალს ძველი ჭიდან, საიდანაც ღმერთი გიყურებს.
დამშრალი ხევის ღრმულებიდან გესაუბრება
სიცარიელის უხერხული კატატონია.

* * *

ავტორმა თავისი შემოქმედებითი მრწამსი კრებულის დასაწყისში უარყოფითი ნაწილაკით „არა“ დამუხტული ორი ლექსით – „არაგრავიტაციული“ და „არანაკრეონტული“ – გაამჟღავნა.

პირველი ლექსის („არაგრავიტაციული“) საზრისი ძალზე ადგილად იკითხება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გრავიტაცია გარკვეული მასის მქონე სხეულთა ურთიერთმიზიდულობის კანონს გულისხმობს, რომლის ძალითაც პლანეტები თავიანთი ორბიტის გარშემო ტრიალებენ, ხოლო დედამიწის მკვიდრთ საშუალება გვეძლევა, რომ მის ზედაპირზე წონასწორობა შევინარჩუნოთ და გადაადგილება შევძლოთ.

გრავიტაციის მიმართ წინააღმდეგობის გრძნობა, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი შემოქმედებითი კანონია. ადამიანები (პოეტები) სხვადასხვა გზით ცდილობენ ამქვეყნიური „მიზიდულობისგან“ თავის დაღწევას. გიო ლომიძეც სხვებთან ერთად სრული კატეგორიულობით (არა!) ადასტურებს თავის ანარქისტულ ზრახვებს, რომელთა შესახებაც წიგნის რედაქტორი თავის წინასიტყვაში წერდა:

„ერთხელ ჰერბერტ რიდმა თქვა, რომ პოეტი აუცილებლად ანარქისტი უნდა იყოსო, თუ მივიღებთ იმ დებულებას, რომ ყველა პოეტი ანარქისტია, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ პოეზიაც ანარქიაა – ანარქია არა უნესრიგობის გაგებით, არამედ არსებული წესრიგიდან, ერთგვარად მოჯადოებული წრიდან გასვლისა და ახალი ქვაკუთხედიდან სამყაროს დანახვისკენ სწრაფვა“

მინდა მცირე ნაწყვეტი დავიმორნმო ლექსიდან „არაგრავიტაციული“ იმის საჩვენებლად, თუ როგორ ორიგინალურად ამჟღავნებს პოეტი თავის ანარქისტულ სურვილებს:

რა შეედრება ჭალებიდან აფრენილი ჭილყვავების ფრთხიალს,
როცა გიკმევენ სიჩუმეში ნისლის ობშივარს დილის მცველები,
დაუინებით რომ ჩააფრინდებიან შენს მიღმა
ყველა უჯრედში გამომწყვდეულ უწონობის სურვილს,
როგორც – მარადიულ ამბოხს; დამარცხებულ რევოლუციას...
მოგადუნებენ და დაგაშორებენ უწინდელს,
ეს შენი შექმნილი სიზმარი იქნება,
მაგრამ არა საკუთარი ნება...

რაც შეეხება მეორე ლექსს „არაანაკრეონტული“, მკითხველს
შევახსენებ, რომ ის ძველი ბერძენი პოეტის ანაკრეონტის სახელ-
თან არის დაკავშირებული. მისი პოეზია მხიარულ ცხოვრებას,
სიყვარულს, ღვინოს უმდეროდა (ანაკრეონტულ ლექსებს წერდ-
ნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი). ანაკრეონ-
ტი ძველი საბერძნეთის ერთ-ერთ საუკეთესო ლირიკოს პოეტად
ითვლება.

დავეთანხმები პოეტ გიორგი ლობჟანიძეს, რომელიც მიიჩნევს,
რომ გიორგი ლომიძე ანაკრეონტული ლექსის უარყოფით არა
მხოლოდ მხიარულ განწყობას ემიჯნება თავის შემოქმედებაში,
არამედ იმ მსუბუქ სასიმღერო განწყობასაც, რომელიც ლექსის
ტრადიციულ ფორმებს ძალაუტანებლად მოაქვს მკითხველამდე.

„სასიმღერო კი არა, ზოგჯერ ისეთი რთული და ჩახვეულია
გიო ლომიძის ფრაზა, რომ მორევივით გატრიალებს საკუთარ
თავში, ვიდრე შენთვის უცნობი რომელიმე საფიქრალის ნაპირზე
გაგრიყვავდეს“ (გიორგი ლობჟანიძე).

ამ აზრს (სხვა სათქმელთან ერთად) შესანიშნავად ადასტუ-
რებს გიო ლომიძის ალნიშნული ლექსის („არაანაკრეონტული“) ეს
ბოლო მონაკვეთი:

რუკაზე მოჩვენებითი კონტურები უსინდისოდ ცრუობენ,
რადგან უფრო მძიმედ არის მდგომარეობა, ვიდრე
გეოგრაფიულად ჩანს.
ალდგომის უფლებითაც პირველად სტალინი სარგებლობს,
რადგან ალბათ ყველაზე მეტად იმსახურებს ამას...

აღმდგენელების ნაწილია ლინდერიც; იმ წიაღიდან არის
რომელიც ამბიციითა და პატივმოყვარეობით გათავტედებული
ვერასოდეს დაამხობს საკუთარ თავს.
ამბობს რომ ეს ყველაფერი სძულს მას და თუ ასეა,
რაღაც უნდა მოიმოქმედოს და იქცეს
საკუთრი მსოფლმხედველობის რევოლუციონერად...
ლინდერ ჰაო შეშფოთებას გამოთქვამს
მასში არსებულ მდგომარეობაზე და დღეიდან
ტუალეტში კისერზე ჰალსტუხით აპირებს
ჭინთვების გაგრძელებას!

* * *

კრიტიკოსმა სონია ქართველიშვილმა გიო ლომიძის კრებულ-
ში შესული ერთი უსათაურო ლექსი („...ჩემი სიტყვა ვერ იქნება
აუცილებლად მოთხოვნადი...“) ბარტისეული სქემის მიხედვით გა-
ნიხილა და დასკვნის სახით შემოგვთავაზა, რომ „ეს ტექსტი სწო-
რედ იმითაა ერთდროულად ღირებულიც და საინტერესოც, რომ
ის სოციალური თემატიკისა და პოეზიის შერწყმას ახერხებს –
ტროპული მეტყველება, სახეები, საგნებისა თუ მოვლენების მე-
ტამნიშვნელები ისე აღწევს მშრალ და უხეშ სოციალურ ტრაქ-
ტატში, როგორც სუფთა წყალი ჭუჭყიან გუბეში.

ჩვენ შეგვიძლია კრიტიკოსის ეს შენიშვნა პოეტის სხვა თემა-
ტიკის ლექსებზეც განვავრცოთ და მთელ მის შემოქმედებაზე ამ-
გვარად განვაზოგადთ: გიო ლომიძის შემოქმედებაში თითქმის
შეუძლებელია იმ ინგრედიენტების აღმოჩენა, რომლებითაც ის
მკითხველს პოეტურ „სადილს“ უმზადებს, აქ ყველა ტკივილი პო-
ეზიის ენაზე ისეა თარგმნილი, რომ საშინელი ჭრილობის სახე და
იქიდან სისხლის დენა მკითხველისთვის უმეტესად შეუმჩნეველი
რჩება:

ნერწყვის ყლაპვაა ყველაფერი რაც გამოგივა,
რაც გამოგიტანს შიგნიდან გარეთ;
გაგიმრუდდება ბედივით გზები,
გაგიფითრდება ის ყველა სახე,

რომლითაც სარკის ნატეხს ეჩვენე.
ამით გეგონა შეიგუებდი
იმ მნიშვნელობის ცვალებადობას,
საკუთარ სიზმრებს რომ გაუტოლე
და სიმწრის თრიმლით ამოიგანგლე,
როგორც გზის პირას ფოთლები მტვერში.
ნერწყვის ყლაპვაა ყველაფერი რაც გამოგივა,
რაც გამოგფიტავს მხოლოდ ეს არის;
ნაიფორხებილებ, კვირისტავზე ნაიყრი ნაცარს,
აგედევნება – დანის მლესავი,
ნახშირის მღრნელი სიტყვით, ორჭოფი
ნამოგენევა, შეგიმონქებს დაშოშმინებას
და დაგივიწყებს.

ეს ლექსი რიგით მეშვიდეა (ექვსი მათგანი კრებულშია დაბეჭ-დილი) გიო ლომიძის ცხრალექსიანი (ჯერჯერობით) ციკლისა „მა-ლაყი (ქამარი)“, რომელშიც, პოეტ ბექა ახალაიას აზრით, „ერთ-გვარად, კონდენსირებულია მთელი მისი პოეტიკა, აზროვნების და წერის სპეციფიკა“.

* * *

გიო ლომიძის პოეზიაში თითქმის არ გვხვდება ფოლკლორულ თემაზე ან მოტივზე შექმნილი მხატვრული ტექსტი. ამის კი თავისი მიზეზი აქვს, რადგან ნამდვილი ფოლკლორი კოლექტიური ცნობიერების გამომხატველია, ხოლო ჩვენ მიერ განხილული ლექსები, ისევე როგორც პოეტის მთელი შემოქმედება, მკვეთრად ინდივიდუალური ხმისა და შესაბამისად, ინდივიდუალური ცნობიერების მატარებელია.

თუმცა ფოლკლორში ჩვენ მხოლოდ ხალხური შედარებებით, მეტაფორებით, ეპითეტებით, ფრაზოლოგით და ლექსიკით დასუნდლულ მხატვრულ ტექსტებს არ ვგულისხმობთ, ეს ლექსის გარეგნული მხარეა (რომლის მზა ფორმების გამოყენების უამრავი მაგალითი ქართულ პოეზიაში). ამის გარდა, ფოლკლორს გააჩნია სამყაროს აღქმის ჩამოყალიბებული მრნამსი, რაც მრავალ სხვა

მიმართულებასთან ერთად, კაცობრიობის ტექნოლოგიური მიღწევების პოეზიის ქსოვილში მოქცევას, მის კულტურულ სივრცეში შემოტანას და დამორჩილებასაც გულისხმობს.

ამგვარი მაგალითების მოძებნა ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში ძალზე ადვილია, სულიერ არსებათა ამეტყველების გვერდით ხშირია იმის მაგალითები, როდესაც ავტორი ცდილობს უსულო საგანს „ჩაუდგას“ სული და საკუთარ ენაზე აამეტყველოს: „სახნისმა თქვა – ქვესკენლს დავალ, მზისა შუქი მენატრება...“, „ხმალმა სთქვა, პირი დამჟანგდა, ჯაბარმა ვინმემ ჩამაგო...“, „თოფმა თქვა, ჩემსა წამალსა შვიდპირად უნდა დუღილი...“ და სხვ.

ამგვარ ლიტერატურულ ტრადიციას აფრძელებს გიო ლომიძის ლექსების ციკლი „ბამბა“ („მე ბამბა ვარ“...), „ავარია“ („მანქანა ვარ“). ამ უკანასკნელში ავტორი ავარიის მიზეზებზე რეპორტაჟულ სტილში გვესაუბრება, შემთხვევის ადგილიდან მაყურებლის აღქმით სივრცეს აფართოებს და „ოქროს მოწმის“ სახით თავად „მსხვერპლის“ ჩართვას სთავაზობს მკითხველს:

მანქანა ვარ.

სისწრაფეს მიმატებენ. წვიმს.

გზას ინათებს მძღოლი.

ასეთ ამინდში თანაც საღამოს

მოულოდნელი არაფერია.

სწრაფი მუხრუჭი, შეჯახების ხმა.

კაცი ეცემა.

ალბათ ასეთი მკვდარიც ფიქრობს ადამიანი

– ასფალტს რომ თავის შერპილება მოესწრო,

საჭის სწორად დამორჩილებაზე

აღარავინ ისაუბრებდა.

მე გზის ნაპირას გადამაყენეს.

შეჭეჭყილ კაპოტს – დამნაშავის დაღრეჯილ სახეს,

გაუბედავად ასდის ორთქლი.

* * *

ხედვის განსხვავებული კუთხის მუდმივი ძიება გიო ლომიძის შემოქმედებისთვის ავტორის ინდივიდუალური უპირატესობის გამოვლინებაა, რომელიც თავის მხრივ არ მხოლოდ საზრისის ცვლილებას, არამედ თემის განახლებასაც იწვევს.

თემების ძიება კი პოეტისთვის შემოქმედებითი საქმიანობის მთავარი მიმართულებაა. ამ გზაზე ის თანაბრად მოიცავს მაკრო და მიკროკოსმოსს, პოეტურ და არაპოეტურ სამყაროს, ცნობიერ თუ არაცნობიერ სივრცით საზღვრებს.

ხშირად ამგვარი სიახლეები ქიმიურ ან ფიზიკურ პროცესზე („დუღილი“) დაკვირვებას უკავშირდება და ავტორი მის ირგვლივ საინტერესო თემატურ ციკლს ქმნის:

„როცა ალუმინის განიერ ქვაბს
არც ისე ხმელი შეშით დანთებული ღუმელი
ბეჭებზე მოიდგამს,
გული მითბება და დუღილს ვიხანგრძლივებ...“
(„კავშირი“)

„მდუღარე ყავით დაიორთქლე ხელისგულები,
ვეღარ იხელთებ გამოფრენილ, უხილავ ჩიტებს...“
(მალაყი (ქამარი 3)

ამ ციკლში განსაკუთრებით ერთმა ლექსმა „დუღილი“ მიიქცია ჩემი ყურადღება და ალბათ იმიტომ, რომ ის ძალუყრძენასებრთა ოჯახის მრავალწლოვან გორგლიან მცენარეს – კარტოფილს ეძღვნება, რომელმაც ამ რამდენიმე ათეული წლის წინ ისეთი კარგი ფეხით შემოაბიჯა ქართულ პოეზიაში (ძესივ ხარანაულის „კარტოფილის ამოღება“), რომ, ვფიქრობ, მკითხველს დღემდე არ დავიწყებია მისი პოზიტიური როლი და“ ნაცარში გახუხული კარტოფილის გემო“.

თუმცა მსგავსება ამ ორ ლექსს შორის მხოლოდ ასოციაციური შეიძლება იყოს, რადგან გიო ლომიძის ლექსში უფრო გასულ საუკუნეში „ამოღებული“ კარტოფილის შეთქმულება იკითხება

ადამიანთა წინააღმდეგ, თითქოს ქაფქაფა წვნიანში მოტივტივე კარტოფილები ლუკმად გადაქცევამდე სწორედ იმაზე თანხმდებიან, რომ საჭმელად „ხახადაფრჩენილ“ ადამიანებს თავიანთი ყოფის ამაოება დაანახონ და ყოველდღიურობის მოსაწყენი ერთფეროვნება შეახსენონ.

ამავე დროს, ამ ლექსში პირდაპირ არის საუბარი მცენარეთა ფესვთა სისიტემაზე და ამით ავტორი თითქოს რიზომატული აზროვნების ტესტს უტარებს მკითხველს, აჯერებს, რომ ცხელ წვნიანში მოძრეიფე კარტოფილები აქაც, ისევე როგორც მინის-ქვეშა ლაბირინთებში, თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურას წარმოადგენენ, რომელსაც არც იერარქია გააჩნია, არც ცენტრალური ლერძი, სიმეტრია და რაიმე სახის წესრიგი:

რას თანხმდებიან მოტივტივე კარტოფილები
წვნიანში, ლუკმად გადაქცევამდე,
მაშინ როდესაც სულს ლაფავენ დაფნის ფოთლები
და უორთქლდებათ ოხშივარი
ქარვის წათალი ფირფიტებივით ზეთის გუბეებს.
თითქოს მაგით ამოტანილ სურნელს მწვანილის,
სულ სხვანაირი წუგეში ახლავს;
წუგეში ძლომის, დანაყრების ან გადარჩენის.
ნაბეგვი კაცის სხეულივით ძველი გაზ-ქურა,
ცხიმის ნალვენთებს ქვაბის ქვეშ ცეცხლზე
როგორც თვითნებურ შეხორცებებს – იღიზიანებს.
რას ბუტჭუტებენ ცხელ წვნიანში კარტოფილები,
ქაფქაფა ლუკმად გადაქცევისას
იქნებ მინიერ მოგონებებს ახსენებენ გათლილ ერთმანეთს
იმ პერიოდის, როცა ეტრუდონენ კოლორადოს მრგვალი ჭიები,
მწვანე ფოთლებზე ნაკბენები როცა გაუჩნდათ
და მზის სხივებმა მათში როგორ იძრომიალეს;
იქნებ ელოდნენ ნათესავებს ვინც გადაურჩა
თავდასხმას უშნო მახრა ჭიების;
ან ბასრი ნიჩბის გამოჩენას გოროხებს შორის
რომ ვერ გაექცნენ;

იქნებ გამოჰყვათ ჩივილები მიწავაშლებზე
სამეზობლოში მომხდარ ამბიდან;
ან იქნებ სულაც ბუყბუყის დროს მოუწოდებენ
ხახა დაფრინილ ადამიანებს
– შეხვრიპეთ, ღეჭეთ საკუთარი ამაოება.
რომ ცხელ წვნიანში იხუთება სუნთქვა ღარიბის,
შფოთი მშიერის და ნათალი თუ ირკალება,
დასაშვებია გამაძლარმაც იმარჩიელოს,
ხვალინდელი დღის მოლოდინებზე
და ყოველ ჯერზე ერთნაირი შედეგი ნახოს.
რას ბუტბუტებენ ცხელ წვნიანში კარტოფილები,
არავის ესმის.

* * *

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გიო ლომიძემ პირველი
და ჯერჯერობით ერთადერთი კრებული გამოსცა. სოციალურ
ქსელებში თვალ-ყურს ვადევნებ, რომ პოეტი ძველებურად ნა-
ყოფიერად მუშაობს და მკითხველს კვლავაც ისეთ სიღრმეში
ითრევს, სადაც ტრადიციული საზოგადოების ტრადიციული აზ-
როვნების მოდელს სხვადასხვა განშტოებათა სიმრავლე ცვლის
და მეტ თავისუფლებას, ნებისმიერი მიმართულებით განვითარე-
ბის შესაძლებლობას იძლევა

წერილზე მუშაობის დროს ავტორმა კიდევ რამდენიმე ახალი
ლექსი გამოაქვეყნა და თითქოს შესანიშნავი პირობა შეიქმნა იმის-
თვის, რომ წერილის ბოლოს მკითხველისთვის პოეტის პოპულა-
რობის კოეფიციანტი გამეცნო და ცოცხალ შთაბეჭდილებზეც
მესაუბრა, თუმცა სინანულით უნდა ვთქვა, რომ ოცდამეერთე
საუკუნის ისეთმა ტექნოლოგიურმა სიახლემ (სოციალურმა ქსე-
ლებმა), რომელზეც წინა თაობები ვერც კი იოცნებებდნენ, ვე-
რაფერი მოუხერხა ჩვენს ეროვნულ სწებას, რომელიც ობიექტური
შეფასების თვალსაზრისით გარკვეულ უნდობლობას იწვევს.

მკითხველს შეუძლია თავადვე დარწმუნდეს, რომ სოციალურ
ქსელში ლექსის ქვეშ დატოვებული მოწონებები უმალ თავად ავ-

ტორის სოციალურ აქტივობას და ცნობადობის ხარისხს მიანიშნებს, ვიდრე მხატვრული ტექსტის ავ-კარგს...

სამაგალითოდ კი ვეცადე შედარებით მარტივი წასაკითხი, აღსაქმელი ტექსტი ამომერჩია. ვფიქრობ, „ხმის ძირი“, რომელიც ძალზე შორეულ პოეტურ ალუზიებს იწვევს მკითხველში, კარგი ნიმუშია ამ ამოცანის გადასაწყვეტად:

დაიჩრდილება ეს ცაც
და ზეზეურად დაქანცულიც ჩამოიძინებს,
მაშინ მოკრევენ ამბებს კვრინჩივით,
ეკლიანი ტოტების მსგავსი ენებიდან
ჯერაც უმწიფარს,
პირშუშხასა და მლაშეს.
აღარ მიიკრავს კეცი პურს,
არ მიიკარებს კაცის გულიც
სათნო სიმღერას,
ქალის გული საივნანო რიტმში იფეთქებს,
ადამიანი გაცივდება ზამთრის წყალივით.
ამბები სიკვდილს მნიშვნელობას გაუმძაფრებენ,
ცოცხლად მყოფების დამსახურებით,
ამბები უფრო მეტად ჭიკჭიკს აუმაღლებენ
ჩიტებს მრგვალსა და გრძელფეხებიანს,
მჩატე ბუმბულით დამძიმებულებს,
ეს ცა კი ალბათ მიწა გახდება,
ეს მიწა უკვე ზეცასავით იქნება მათთვის,
ვინც დაიბადა, დაინგრა და ახლა უძრავად
გვერდიდან უწევს თავისნაირ ახლო ნათესავს,
ანდაც არავის.
უძლურ ცხოვრებას გამიჯნული სამყაროდან
ნეტავ როგორ ჩანს მზის ამოსვლა, ან სიხარული?
იქნებ მხოლოდ თეთრი ზენარის კადრია უცვლელი
და გოროხების ფიცარზე დაცემის ხმას აქვს
დედის თვალების ფერი,
რომელიც სითეთრეს ამღვრევს ხანდახან...

ადვილად იკითხება, რომ ავტორმა ამ ლექსში ერთი კლასიკური სტრიქონის („...იქ რა იქნება, იქ, იმ ბნელსა და უცნობ მხარეს“ – შექსპირი) მიღმიერი კარი გააღო და მკითხველი უცხო სამყაროში გადაახედა. ეს კი სულაც არაა გასაკვირი, რადგან პოეზიის დანიშნულება სწორედ ერთ სტრიქონში ჩატეული სათქმელის გაშლაა, რომლის მიღმა ახალი რეალობის კონტურები იმზირება.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ იქცა ეს ცა და მიწა ახალ ცად და მიწად, „რადგან როგორც ახალი ცა და ახალი მიწა, რომელთაც ვქმნი მე, იქნებიან ჩემს ნინაშე – ამპობს უფალი – ასევე იქნება თქვენი თესლი და თქვენი სახელი“ (ესაია 66:22).

სამყარო იცვლება (ეს უფრო მეტია, ვიდრე პარადიგმის ცვლილება) და სიახლე, რომელიც ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, მოითხოვს და ჰქანდებს ისეთ თაობას, როგორიც მას სჭირდება.

თუმცა ყოველივე ამას წინ უძღვის გარეგნული ცვლილება, რომლებიც უმთავრესად ტენიკური პროგრესის აუცილებლობით არის გამოწვეული: ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ევრაზიის მთელ კონტინენტზე ძმები სიმენსების ინდოევროპული ტელეგრაფების ხაზები 11 000 კილომეტრზე, ლონდონიდან კალაუტამდე გადაიჭიმა. მოგვიანებით ლითონის ბოძები ჯვრის ფორმის ხის კონსტრუქციებმა შეცვალეს და მათზე გაჭიმული მავთულებიდან გამუდმებით ისმოდა ზუზუნი, რომელიც ინფორმაციის გავრცელებას ადასტურებდა...

სხვადასხვა სიხშირისა და ამპლიტუდის სიგნალებად მოდულირებული ბგერები ჩიტებივით სხდებოდნენ შიშველი მავთულის სა-დენებზე და სინათლის სისწრაფით იფანტებოდნენ სივრცეში....

დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ მსოფლიო მასშტაბით ისეთივე ტემპით და ისევე მასობრივად დაიწყეს ამ ბოძების დემონტაჟი, როგორც საუკუნენახევრის წინ მათი მონტაჟი განხორციელდა. სადენებმა საიზოლაციო საფარქვეშ უკვე მიწაში გათხრილ არხებში გადაინაცვლა.

სიმბოლურად თუ გავიაზრებთ, პოეტს, რომელიც მეოცე საუკუნეში ტელეგრაფის ბოძებზე გაბმულ მავთულებში გამავალ ელექტრომაგნიტურ ბგერებს აყურადებდა, ოცდამეერთე საუკუ-

ნეში მიწაზე აქვს ყური დადებული და მისი გულიდან ამომავალი ძნელად აღსაქმელი ბგერების შეცნობას ცდილობს.

იქ კი მხოლოდ მრავალრიცხოვანი, ქაოსური, ერთმანეთზე გადახლართულ ფესვთა სისტემაა, რომელსაც თანამედროვე ჰუ-მანიტარული მეცნიერება პირველი ადამიანის ცნობისმოყვარეობით იკვლევს და მასში საზრისის გამოხატვის უსაზღვრო იმანენტურ შესაძლებლობას ხედავს, რომელიც საშუალებას იძლევა, მხატვრულ ტექსტში კოსმოსის სახით მოწესრიგდეს წონას-წორობაში არმყოფი მთლიანობა, როგორც თანამედროვე პოსტ-მოდერნის რიზომული მოდელი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, არ შემიძლია გიო ლომიძის შემოქმედების მკითხველის დამშვიდება იმით, რომ დროა საჭირო, რათა ავტორის სათქმელი „დაიხვეწოს“ და ტექსტი ადვილად წასაკითხი გახდეს, რათა მკითხველმა ზედმეტი შრომის გარეშე შეძლოს მისი გაგება. ვფიქრობ, რომ ამის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, ის კი დარჩმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ გიო ლომიძის პიჯაკს „ლიპები“ ნამდვილად არ აქვს. ეს მისი ბუნებრივი ფორმაა, ბუნებრივი სტილია, რათა ავტორის პოეტურმა ნაკადმა თვითდინებით არ იდინოს გატკეპნილ კალაპოტში.

ზოგიერთი მოსაზრება 2021 წლის ქართულ მოთხოვნაზე

2021 წელს კულტურის სამინისტრომ ახალი ლიტერატურული პრემია „წლის საუკეთესო“ დააარსა, რომელსაც ოთხი ნომინაცია ჰქონდა: საუკეთესო რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული და პიესა. აღნიშნული ნერილიც ამ კონკურსის პროზის ნომინაციების ფინალისტებს ეთმობა.

* * *

დღეს ბევრი ინერება სხვადასხვა სტილის, ჟანრის, მაგრამ გამორჩეული ხელნერის შემჩნევა ამ ბევრშიც კი არაა ძნელი. ორიგინალური ხმის მნერალია დათია ბადალაშვილიც. მისი პირველი პროზაული კრებული „ფიჭვები შორს იყო“ 2019 წელს გამოსცა გამომცემლობა „ინტელექტმა“. „ლეკვების სამოთხე“ მწერლის მეორე კრებულია, რომელიც 2021 წლის „წლის საუკეთესოს“ ფინალისტი გახდა რომანის ნომინაციაში.

„ლეკვების სამოთხეს“ საინტერესო კომპოზიცია აქვს, მასში შემავალი ამბები ცალკე აღებული დასრულებული მოთხოვნებია, თუმცა მთავარი პერსონაჟი, რომელიც ფრაგმენტებს ჰყვება საკუთარი ცხოვრებიდან, ამ მოთხოვნებს ერთ ამბად ამთლიანებს. კომპოზიციური ორიგინალობის დასტურია ის ფაქტიც, რომ ტექსტში ქრონოლოგია დაცული არაა, თუმცა ეს ქაოსურად მოთხოვნებილი ამბები სულაც არ უშლის ხელს მთლიანობის აღქმას. „ლეკვების სამოთხე“ უანრობრივად დღეს საკმაოდ გავრცელებული მცირე რომანის კატეგორიას მიეკუთვნება.

„ბიჭი კითხულობდა ამბებს ადამიანებზე, რომლებიც წლები ცხოვრობდნენ და დღეები არ უნახავთ კარგი. ადამიანებზე, რომლებიც იმდენს შრომობენ უნაყოფოდ, რომ თავის მოკვლის

დღო ალარ რჩებათ. ამბებს იმაზე, რომ ამქვეყნად ყველა ცოდოა, კეთილიც და ართვალიც, მიმტევებელიც და შურისმაძიებელიც. რომ შეიძლება კაცი კაცისთვის მატლი კი არა, ღმერთი იყოს.

დაბოლოს, თავისი ამბის კითხვა დაიწყო...“

„ლეკვების სამოთხე“ სევდიანი ამბების წიგნია, მძიმე ადამიანური ყოფის, ბევრჯერ ტრაგიკულისაც კი, მაგრამ მკითხველში უიმედობის განცდას მაინც სევდიანი სინათლის შეგრძნება გადასწონის, რომელიც „ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდითაა“ განპირობებული. „მე არ მაქვს სხვა ცხოვრება ნანახი“, – ამბობს ბიჭის მამა და გებრალება კაცი, რომელსაც ბავშვობიდან დამახინჯებული ფსიქიკითა და წარმოდგენებით უწევს წუთისოფლის რთული ბილიკების გავლა; რომელსაც სულაც არ უნდა, ასეთი იყოს, მაგრამ არ იცის, სხვანაირად როგორ იცხოვროს, როგორ მოეპყრას გვერდით მდგომ ადამიანებს, მათზე ზრუნვა და მათი სიყვარული როგორ გამოხატოს. დილით, თეთრად გათენებული ლამის შემდეგ, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, ჩვეულებრივად ეუბნებოდა შვილს, სკოლაში უჭმელი არ წახვიდეო. ბიჭი ვერ ახერხებდა, მოერიგებინა მამის ზრუნვა და აგრესია, სიყვარული და სისასტიკე, ვერ ახერხებდა, გაეგო მამისთვის: „არადა როგორ უყვარდა „თევზს“ მამამისი, სული ებნეოდა მისთვის, ის კი თავისი ბრმაყრუობით აუბარაქოვებდა, ანიავებდა ამ სიყვარულს.“ ეს განიავებული სიყვარულიც მერე ბიჭის ცხოვრების ტრაგედიად იქცა და მასაც ბევრ რამეში შეუშალა ხელი.

მთავარი პერსონაჟის, ბიჭის სახელი არ ვიცით, „ბიჭი, სახელად „თევზი“ – ასე მოიხსენიებს ავტორი მას ყველგან. ეს ბრჭყალებში ჩასმული „თევზი“ თან ბიჭის ერთგვარი ეპითეტია, რომელშიც, ერთი მხრივ, ბიბლიური სიმბოლიკით ღვთის გზაზე, ტანჯვის გზაზე მდგარ ადამიანს ვხედავთ, მეორე მხრივ კი, უსიხარულო, უემოციო, უთქმელ, გაუბედავ არსებას, რომელიც დედასაც კი ვერ იცავს მამის აგრესიისაგან და, ამით დათრგუნული, თავადაც ასეთად იზრდება.

ბიჭს არც ისე ბევრი „გასართობი“ აქვს სოფელში. სკოლაც ძალადობის სივრცეა. იქაც დაჩაგრულია, იქაც მსხვერპლია. „წვიმაში გაგდებულ ლეკვს მიუგავდა თვალებიო“, – წერს ავტორი

და ამ უბრალო ფრაზით ქმნის ბიჭის სახეს ისე, რომ არამხოლოდ მის ხასიათს ვიგებთ, გარეგნულადაც კი ნათლად წარმოვიდებთ. პატარა ბიჭი მოხუც დურგალთან თუ პოულობს საერთოს, როცა დროს გამონახავს და ესტუმრება. მოხუცი დურგალიც მასავით მარტოსულია – „ბეღურას ჰგავდა, მოწყენილი რომ ზის გალოკილ ტოტზე მშიერ ამინდში“. თუმცა მაინც შეძლო, ბიჭისთვის ის ესწავლებინა, რაც ცხოვრებაში მთავარია; თუ არ ასწავლიდა, დაენახვებინა მაინც, „რომ სიყვარული სწორედ ასეთი უნდა იყოს“. ეს მომავალ ცხოვრებაში დასაჭირვებელი და გამოსაყენებელი ცოდნაა, განსაკუთრებულ ძნელბედობაში გასაძლები და გადასარჩენი საშუალება, თავის გასატანი, თორემ ბედნიერების გამომწვევი ვერა. დათია ბადალაშვილის „ლეკვების სამოთხეში“ სიყვარულის ადგილი ნაკლებადაა.

საერთოდ, ამ კრებულის მთავარი პრობლემა ძალადობაა, რომელიც, ერთი თუ თავი იჩინა და ადამიანმა მისი მოთოვკა ვერ შეძლო, აუცილებლად ამოყოფს თავს მომავალშიც. ბავშვის ფსიქიკა თავიდან ვერ აცნობიერებს, რატომ ხდება ეს, რატომ აყენებენ ახლობლებს ფიზიკურ თუ სულიერ ტკივილს დაუნდობლობითა და სისასტიკით, ვერ აცნობიერებს, მაგრამ იმახსოვრებს, ისე ღრმად ილექტება მის ტვინში, თავადაც რომ არ უწყის ამის შესახებ და მერე მის ცხოვრებაშიც აუცილებლად იჩენს თავს. მიუხედავად იმისა, რომ თავად ამის წინააღმდეგ უდიდესი პროტესტის გრძნობა აქვს ბავშვობაში, დიდობაში თვითონაც ასეთი ხდება. მოძალადეა პაპაც, „კინომეხანიკი“, ბიჭის მამას მუდმივად უწევს დედის დაცვა მისგან. მუდმივად იმალება დედა-შვილი ხან სად და ხან სად, რაც, ბუნებრივია, უკვალიდ ვერ გაქრება და არც ქრება.

თუმცა დათია ბადალაშვილის რომანში ერთი აქცენტი მაინც გამოკვეთილია – ამ სასატიკისა და დაუნდობლობის აღწერისას ავტორი ვერ უვლის გვერდს სიყვარულს. თან უყვარს შვილს მოძალადე მამა და თან ეცოდება – დედაბოძზე ხორკლიანი თოკით მიბმულ მამასთან შვილს სიგარეტს ატანდა. მოძალადეა „კინომეხანიკი“, თუმც ეს მოძალადე ახალგაზრდობაში „თვალს არ უხუჭავდა უსამართლობას, სულ რომ შესწირვოდა. უბელო კვიცს ხედნიდა...“ მერეც არ დაუკარგავს მოყვასის დახმარების სურ-

ვილი, დაჩაგრულის გვერდით დგომის უნარი ბოლომდე გაჰყვა: „ეს ალალგულა, თავისი თავის უბედური კაცი სულ სხვას ეხმარებოდა, ბიძაშვილებსა და ძმაკაცების ქვრივ ცოლებს, მათ დედებს. ამიტომაც ამბობდა ცოლი, რომ მან სხვის სამსახურში გამოაღამა წუთისოფელი“. მაინც რა ფენომენია ეს? რა მოვლენაა, რომ გარეთ ალალგულა კაცი და სახლში დესპოტი? იქ ყველას ყოფას უმსუბუქებს, აქ კი ოჯახის ნევრებს ერთ დიდ ტკივილად ქცევიათ არსებობა მისი საქციელის გამო? როგორ ახერხებს ადამიანი ასე ცხოვრებას? შეუძლებელია, ეს საკუთარ თავთან პროტესტის გარეშე მოხდეს; შეუძლებელია, შინაგან კონფლიქტს გაექცეს ადამიანი ამ დროს; შეუძლებელია, ბედნიერი იყოს, ახლობლების ტანჯვა საკუთარი თავისთვის გამოტანილი ზუსტად ასეთივე განაჩენია.

რომანში კიდევ ერთი ტკივილია პედალირებული – დაჩაგრული ქალისა და დედის ტკივილი. მსხვერპლია ბებიაც, დედაც და „ჩუმი“ გოგოც. მწერლის ყურადღების ფოკუსში ეს ერთ-ერთი მთავარი თემაა. ქალი, რომლის ქალობაც ბედნიერების წყარო სულ მცირე ხნითაა და მერე ძალადობასთან ერთად უწევს დედობაც და ცოლობაც. ლამაზი ქალის გულის მოსაგებად განეული ძალის-ხმევა თითქოს საერთოდ ქრება მეხსიერებიდან. ასე ხდება ქალი ქმრის რისხვის ობიექტი და ამას უთქმელად იტანს. „დედამისი კედელს მიყუდებული, მუცელში ენაჩავარდნილი იდგა, ხელები ერთმანეთში ჩაეჭდო, ჩაეგრიხა. ხანდახან უმწეოდ ბრაზდებოდა, ერთს ამოიყვირებდა, რომ ყველაფერს ნათესავებს მოუყვებოდა. მაგრამ მას არც ბოლომდე გაბრაზება შეეძლო და არც ბოლომდე ვინმესთვის მოყოლა.“ ამ ქალებს ჰყავთ შვილები, შვილიშვილები, უყვართ, ზრუნავენ, ეს აბედნიერებთ, მაგრამ მაინც გებრალება ცოლი, რომელიც იძულებულია, მოძალადე ქმარს მეორე დილით ნაღვინევზე მჟავე სუპი მოუმზადოს. რა ხდება ამ დროს მის გულში, არავინ იცის, მაინც უყვარს და ამართლებს, ესმის მისი თუ მეტი გზა არაა და ამას იმიტომ აკეთებს. „მეტი ცხოვრება არ ვიცი“ არაა გამართლება ამ შემთხვევაში. დათია ბადალაშვილი სწორედ ამ შეჩვევის წინააღმდეგია, ამ სიჩუმის, ამ უმოქმედობის,

ამ მორჩილების. მისი ქალები ასე ცხოვრობენ და ტექსტის კითხვისას გრძნობ მწერლის პროტესტს ყველაფერ ამის გამო. და გტკივა ის გაუბედავი ბედნიერების სურვილი, ხანდახან რომ გამოკრთება ხოლმე ასეთი ქალების ცხოვრების გზაზე:

„უნადინოდ ცეკვავდნენ, სახლში ყინვისგან მოჭიქულ ფანჯარაზე ცხვირებით მიკრულ შვილებზე და შვილიშვილებზე ეფიქრებოდათ, სანამ ისინი მშივრები იყვნენ, მათ მხოლოდ თავჩახრილი შრომის უფლება ჰქონდათ, მეტი არაფრის.“

არადა, რა კარგი იქნებოდა, ისე ეცეკვათ, როგორც გოგონბისას დღეობებზე ცეკვავდნენ, როცა თავიანთ ახლანდელ ქმრებს აწონებდნენ თავს. ახლა ის ქმრები მიწაში ცქერისგან მიწას დამსგავსებოდნენ...“

შორს, გუბურის პირას, ხელაპყრობილ შიშველ მლოცველებს ჰგავდნენ ვერხვები. თითქოს უხაროდათ, მემაწვნეები რომ ცეკვავდნენ.“

და მაინც არის სამოთხე სადღაც ლეკვებისთვის, უცოდველი არსებებისთვის, გაუხარელად წასულებისთვის, ძალადობის მსხვერპლთათვის. და არიან ბიჭებიც, რომლებიც ცდილობენ, მოერიონ თავს, არ გაათელინონ სიყვარული მემკვიდრეობით მიღებულ მოძალადე ბუნებას, იზრუნონ თავიანთ გოგონებზე და ყველანაირად ეცადონ, ნაკლებად ეტკინოთ მათ: „ბიჭი წყურვილს მოისაბაბებს და გოგონას წყლის მოსატანად გაგზავნის. თვითონ თბილ ნაჭერში გახვეულ, გახევებულ ლეკვს საფლავში ისე ჩადებს, რომ მზის ამოსვლას უყუროს. ხელებით რბილ მიწას მიაფარებს, ქვებს არ მიაყრის, გოგომ მათი ხრიალის ხმა რომ არ გაიგონოს.“

დათია ბადალაშვილის „ლეკვების სამოთხე“ თავისი სევდიანი პათოსითა და მარტოსულობის განცდით გოდერძი ჩოხელის პროზას გვაგონებს, პიროვნული ტრაგიზმის უნუგეშო განცდით – ლეილა ბეროშვილის მოთხოვნებს, განწირული ხასიათით კი – ჯემალ თოფურიძის „დიოსკურიას“. ესაა ტექსტი, სადაც ბედნიერების განცდა წამიერად გაკრთება ხოლმე. მართალია, სადღაც გამუდმებით სულ არსებობს, მაგრამ ცხოვრების რთულ დღე-

ებს იშვიათად ანათებს სიყვარულისა და სიმშვიდის სხივი. დათია ბადალაშვილის პროზას უფრო ჩვენი გასული საუკუნის 80-იანებთან აქვს კავშირი, ვიდრე თანამედროვე ავტორებთან. ამ განცდას კი მიტოვებულობის, მარტოსულობის, ადამიანური სამყაროს დაუნდობლობისა და მის მსხვერპლად ქცეული ინდივიდის ტკივილი განაპირობებს.

„თუ ადამიანი იაზრებს, რომ სისხლითა და ჰაერით გატენილი გუდაა და სულ პატარა ჩხვლეტა სჭირდება დასაჩუტად, რატომღა ჩამოაქვს ცა ჩივილით გარდაუვალის მოახლოებისას?!”

* * *

ნინო ქადაგიძის „პროზაული კრებული „მინიატურები ახალი წიგნისთვის“, როგორც სათაური გვეუბნება, მინიატურული პროზის ნიმუშია. მათში ცხოვრების პატარა, მაგრამ ამავდროულად მთავარი პრობლემებია დასმული, დახატულია ყოფა – სევდიანიც, ტკივილიანიც და ბედნიერიც, ყველაფერი, რაც ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია.

„ძალიან რომ გაუდაბურდებოდა ფიქრით, გატიალდებოდა, გადასწევდა ფარდასა და გადმოიხედავდა აქეთ, ბარსა თუ ქალაქში. ხელს მოიჩრდილავდა თვალებზე, აბა, როგორა ხართ უჩემდო? მისი ხმა, რა თქმა უნდა, არავის ესმოდა, მაგრამ სადღაც გულის კუნჭულში კი ერთი წამით რაღაცა სტკიოდათ ადამიანებს და ვერ გაეგოთ რა იყო, ისე იყვნენ გართულები თავ-თავიანთ საფიქრალში, თავ-თავიანთ მდუღლარე ცხოვრებაში, ისიც მხოლოდ ერთი წამით წასჩვლეტდათ ფიქრი. მერე კიდეც ავიწყდებოდათ, და არც კი იცოდნენ, რომ სადღაც შორს, მთებში ცალუღელა, ცალრქა, ცალადირე კაცი ცოცხლობდა. ყველას ნაცვლად ის სტკეპნიდა და პატრონობდა იქ მიტოვებულ მიწასა თუ ნაფუძრებს, მთის ძუძუს-მტე იყო, ერდო-ბანის ძუძუს მტე, იქაურობის პატრიარქი („მიხა პაპა გორშელმადან“).

სიკეთისა და სითბოს მცველი და შემნახავია ხარა ბერია („ხარა ბერიას ხარება“), რომელსაც ცისკენ ხელაპყრობილს უჭირავს მერცხლის ბუდეები – სიკეთე – და ამით სამყაროსთვის მშვენიერების შენარჩუნებას ლამობს. მაგრამ ამ სიკეთის მტერიც

ისევ მეორე ადამიანია: ერთხელაც „ზეზეულად ჩამოძინებულ ბერიას ღამე ჩუმად მიეპარნენ და ამოუსხეს მერცხლები და დატოვეს უმერცხლოდ. თეთრი მერცხლები შეფრთხიალდნენ და ვინ იცის, საით წავიდნენ...“ გაფრენილი ბედნიერების სევდაა ამ მოთხოვნის დერძი, იმ ბედნიერებისა, რომელიც ადამიანის უგულობით თვალსა და ხელს შუა დაიკარგება ხოლმე.

მინიატურა „აბდია და ნადია“ კი პირიქით, გათიშულ ადამიანთა დაახლოებაზე, საზღვრების მოშლასა და ამით მოკეთესთან მისასვლელი გზის პოვნაზე მოგვითხრობს. მთელი ცხოვრება ბარიერებს უშენებენ ადამიანები ერთმანეთს, საზღვრებს ავლებენ და მერე მათ საგულდაგულოდ დარაჯობენ, არც იციან, ამით რას იცავენ, რას უფრთხილდებიან. მაგრამ ერთხელაც ცხოვრებაში დგება დრო, როცა ხვდებიან – ყველა ბარიერი და დაბრკოლება ხელოვნურია და გათიშვის მეტს არაფერს ემსახურება. ისედაც წუთიერ სოფელში მარტო ყოფნა რატომ უნდა უნდოდეს ადამიანს? და წამი, როცა ამას აცნობიერებს ადამის ძე, სამყაროსთვის ბედნიერი წამია, იმიტომ რომ მარადიული იმარჯვებს წარმავალზე:

„ერთხელაც, გამობარბაცდნენ სისხამ დილით შეთქმულებივით, უმძრახად, ერთმანეთის დაულაპარაკებლად და ერთმანეთის შეუხედავად, ნახევრად სიზმრიანები, ნახევრად მღვიძარები. მოარღვიეს მთლიანი ლობე. ნადიამ მორღვეული ლობის ნაწილი სახლის უკან მიაყუდა, აბდიამ – ფიჩების გვერდით მიაწყო. ლობის ძირში მიჭყლეტილი ბალახიც გაიშალა და ნიავებაც გაინავარდა. მას შემდეგ წვიმაცა და მზეც, თოვლიცა და სეტყვაც თამამად დადიოდა იმათ ეზო-კარში, აღარ ერიდებოდათ არცერთისა.“

ნინო ქადაგიძის მინიატურებს ფილოსოფიური „საკითხავებიც“ გამოერევა ხოლმე, ადამიანთა დანიშნულების, მისიის, მიწიერი ვნებებისა და ტანჯვის მიზეზების ძიება, ბედისწერით შეკრული ცხოვრების საზრისზე ფიქრი. უნებურად გახსენდება ვაჟას კითხვაც – „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადაო?“, როდესაც ავტორი კაცის ცოდვილი ბუნების ახსნას მისი მიწიერი საწყისით ცდილობს:

„რა იქნებოდა, ლრუბლისაგან შეექმნა კაცი, ხო ვეღარავინ ჩამოგვძახებდა, მიწა ხარ და მიწად იქეც, მიწა ხარ და მიწად იქეც? – არ ვიცოდი, რა მეპასუხა, გავჩუმდი, მან გააგრძელა: – რა იქნებოდა, ჩამოეწია იმ დალოცვლს ხელი ლრუბლამდე, ერთი თეთრი, თიმთიმა ლრუბლისთვის წაევლო ფეხში ხელი, მოეწოდა, მოეწყვიტა ცის სანახიდან და გამოეძრნა, ხო ადვილად ვატარებდით, ვაფრიალებდით ჩემი წითელი კაბასავით ჩვენს სულებსაო? ჩვენს ოფლსა და სისხლს აღარ შეიწოვდა, შეისრუტავდა ეს შავი მიწა, ზეცის ქარები მიგვიყვანდნენ, მიგვაცურებდნენ მამაღმერთამდე, გვექნებოდა თეთრი საფლავი. ახლა კი ჩვენ, მიწაში ჩაშტერებულებს, მიწაზე კოჭებით მიბმულებს, გვირს ზეცისკენ ახედვაო“ („საკვირაო საკითხავი“).

ნინო ქადაგიძის მინიატურებიც უფრო გასული საუკუნის 80-იანების ტრადიციას აგრძელებს. თემატიკითაც და სტილისტურადაც იგი რევაზ ინანიშვილის პროზას მოგვაგონებს, მისი გზის გამგრძელებელია. იმთავითვე ყურადღებას იქცევს მწერლის საოცრად მდიდარი ტროპული სამყარო, ერთგვარი ლირიკული საწყისი, რომელიც მსჭვალვს მთელ კრებულს და დღევანდელი ტროპულად მეტისმეტად გაღარიბებული მხატვრული ენის ფონზე ნამდვილად გამორჩეულია. მაგალითისათვის ორიოდე ნაწყვეტის მოყვანაც კმარა: „როგორ იქნება სულ ზამთარი რო გედგას კარში, როდემდე უნდა ათრთიალოს თეთრი თვალები, როდემდე უნდა აბაბანოს ყბა-ნიკაპი; როდემდე უნდა ფიფქოს თავისი ლრუბლის ხალთაგუდა ამ ისედაც დამზრალ ხეხილზედაო; ხო უნდა აიტანოს მოხრილი წელი, ხო უნდა გაშალოს ჩამოყრილი მხარი და მკლავი ხურმა-კარალიოკებმაო, ზღმარტლებმაო, ლობის ძირში, თოვლზე სისხლივით ამონწინწკლულმა კოწახურებმა?!“ („ხმითნატირალი“). ან კიდევ: „ჩამოიწოდეს მთებმა ლრუბლები, მოისხეს, მოიხვიეს მხრებზე მატყლის შალივითა და დადგნენ. ქარიც დადგა, შემოდგომის გამჭვირვალე და უფოთლო ტყეებში ჩაყუჩდა, ჩაიბლანდა გამხმარ ბრძამებში“ („სულიფერა“).

* * *

ეკატერინე ფავლენიშვილის „საწუთოს მარგალიტები“ დოკუმენტური პროზის ნიმუშია და 13 მოგონებას აერთიანებს. მათგან ზოგიერთი უანრულად მოთხოვნასთან დგას ახლოს, ზოგიც მინიატურასა თუ ჩანახატთან. ავტორს შეკრებილი აქვს როგორც უშუალოდ მის თავს გადახდენილი ამბები, ისე სხვათაგან ნათხ-რობი ეპიზოდები ახლო წარსულიდან. ამბები საინტერესოდაა შერჩეული, მკითხველს იზიდავს სიუჟეტის აგების ხერხებიც, რაც საკმაოდ დახვეწილია (თუ არ ჩავთვლით ორიოდე ოდნავ განე-ლილ სურათს), ტექსტის ენაც ზომიერად მხატვრულია, როგორც დოკუმენტურ უანრს შეეფერება. მთის ცხოვრების ამსახველ მოგონებებში („ბროლის ქალწული“, „ვირდავითა“, „ჯარეგოს ავ-დარი“, „გორნი“) დომინანტურია ვაჟკაცობისა და ღირსების, ად-გილობრივი ტრადიციებისა და ადათების თემატიკა, პერსონაჟე-ბიც საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი პირები არიან. ეს მოგონებები ტრაგიკულ ამბებს გადმოგვცემს და მწერალი სა-ინტერესოდ მოგვითხოვს იმ ტრაგედიებში გამოჩენილ ვაჟკა-ცურ თვისებებზე, თანადგომისა და გამძლეობის, უშიშრობის უპრეცენდენტო მაგალითებზე, რაც ოდითგან ახასიათებდა მთაში გაზრდილ ადამიანს და ამ ცველაფერს გამოკვეთილი სიამაყის შეგრძნებით წერს ავტორი:

„ათი წელია, არ დამავიწყდა ვირდავითას „ნიქოკელი“... ჰქონდა ამ კაცს რაღაც აუხსნელი ქარიზმა! მას საგანგებო განათლება არ მიუღია. ჯერ მეცხვარე იყო, მერე – მჭედელი, მაგრამ ვერც კი მიხვდებოდი, ფეხზე ისე წამოუდგებოდი! სასაცილოა, როცა ათასგვარ ხარისხთა და რეგალიათა დასახელებით კაცს ვითომ სოციალურ შარმს შესძენენ ხოლმე. რამდენის ჩარჩოში ჩასმულ და გამომზეურებულ დიპლომს სჯობდა ვირდავითას სამჭედლოს კედელზე ჩამოკიდებული დუქარდი...“

განსაკუთრებული სითბოთი და ლირიზმითაა დაწერილი ბავ-შვილის მოგონებები („მემაროჟნე ვალოდა“, „არტო ძია“, „მაია ბა-ბო“, „ჩემი ბავშვობის სახლები“, „არსენა პაპა“), სადაც არამარტო წარსულის ნოსტალგია იგრძნობა, არამედ ჩვენი გუშინდელი ყოველდღიურობაა გადმოცემული. ეს პერიოდი ქრონოლოგიურად

არცთუ ისე დიდი ხნითაა დაშორებული დღევანდელობას, მაგრამ ცხოვრების განვითარების უაღრესად დაჩქარებული ტემპისა, რამდენიმე წელიწადში ქვეყანაში მომხდარი მკვეთრი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისა თუ საზოგადოებრივ მსოფლიხედველობაში რადიკალური გარდატეხის გამო მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება უჩნდება, თითქოს საუკუნის ან საუკუნე-ნახევრის წინანდელ ამბებს კითხულობდეს.

ძალიან საინტერესოდაა მოთხოვილი იმერეთისა და გურიის შესახებ, ამ მოგონებებში კარგად ჩანს, ეთნოლოგიურად როგორ განსხვავდება ერთმანეთსაგან ისეთი პატარა ქვეყნის კუთხეები, როგორიც საქართველოა. ეს განსხვავებულობა კი განსაკუთრებით შესამჩნევი მაშინაა, როცა ხედვის კუთხი იცვლება (აღმოსავლეთ საქართველოში გაზრდილი აღნერს მის მიერ დანახულ დასავლურქართულ გარემოს):

„და მოიხაზა იმერეთი, რომელიც იმერეთზე დიდია... და ახლა ვიცი, რაც არ უნდა ხელმოკლე იმერელის ჭიშკარი შევხსნა, მასპინძელი ხახაგამომშრალ ჭურჭელს გამოჟურავს, ნაცარქექიასავით წვენს გაადენს და სუფრას მაინც გაშლის, რადგან სარჩის მადლი ამრავლებს სახარების ხუთი პურივით... რადგან უმადლო მდიდარი ბევრად უფრო ღარიბია, ვიდრე ოდამარანცარიელი მასპინძელი, რომელსაც გული აქვს სავსე...“

„გურია გაცოცხლებული სახარებაა – სიყვარულისა და თანადგომის სავანე!“

* * *

საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ ყველა სიახლე დროს მოაქვს – ტექნიკური, მსოფლმხედველობრივი, კულტურული... შესაბამისად იცვლება ადამიანიც, იცვლება მისი თვითგამოხატვის ფორმები. ეს უპირველესად კულტურას შეეხება. ციფრულმა ეპოქამ ამ მხრივ უსაზღვრო შესაძლებლობები მისცა ადამიანს. შეიძლება ითქვას, ხელოვნების გააზრებაში მეოცე საუკუნემ რევოლუციური ცვლილება განიცადა, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა 21-ე საუკუნეში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ დღემდე ყველა პარამეტრითა თუ დანიშნულებით საყოფაცხოვრებო ნივთი

ხელოვნების ნიმუშად იქცა და სამზარეულოდან საგამოფენო დარბაზშიც კი გადაინაცვლა.

შესაბამისად, გასაკვირი არც ისაა, რომ ცვლილებები განიცადა ლიტერატურულმა უანრებმაც დღეს უამრავი ტექსტი, მათ შორის მხატვრულიც, იქმნება ონლაინსივრცეში. შემდეგ ეს ტექსტები იქცევა ბეჭდურ წიგნებადაც, არადა, დიდი ალბათობით, დასაწყისში, როცა ადამიანი პირდაპირ რომელიმე სოციალურ ქსელში წერს ლექსს, მოთხრობას, ყვება ამბავს, გადმოგვცემს შთაბეჭდილებას ან უბრალოდ საკუთარ შეხედულებას საზოგადოებისა თუ პირადად მისთვის მნიშვნელოვან ამბავზე, არც კი ფიქრობს, ვერც კი უშვებს, რომ ეს ჩანაწერები ოდესმე ნაბეჭდ კრებულად იქცევა. ამგვარი ლექსებისა თუ ჩანაწერების ბეჭდური ვერსიები დღეს უკვე აღარაა იშვიათობა.

ასეთია პიანისტ **ნინო უვანიას** ფეისბუქპოსტების კრებული, რომელიც ავტორმა საინტერესო ფორმით, შესაბამის ვიზუალურ მასალასთან ერთად შემოგვთავაზა ძალზე საინტერესო სათაურით – „**მეკომუკონები ანუ ძუიპიცუ**“.

„ყოველთვის მიყვარდა წერა. წერილების იმდენად არა, ოლონდაც ყმანვილქალობაში, მოთხრობის უანრს მივეძალე, მოგვიანებით – მუსიკისმცოდნეული კვლევისას... აი წერილების, თავისებური წერილების წერა Facebook-მა დამანყებინა. წერილებს, ანუ პოსტებს ვწერდი ჩემს Facebook-ფრენდებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გული გრძნობებს ვერ იტევდა“.

როგორც თავადვე აღნიშნავს წიგნის შესავალში, ნინო უვანიასთვის ინსპირაცია გამხდარა იაპონელი ქალის – სეი სიონაგონის „სასთუმლის ჩანაწერები“ (986-1002 წლები). სეი სიონაგონი დედოფალ სადაკოს სეფექალი ყოფილა და ეს ჩანაწერებიც მაშინ, სასახლის კარზე ცხოვრებისას დაუწერია.

„სასთუმლის ჩანაწერები“ – ასე მოიხსენიებდნენ იაპონელები ნაკრებს ჩანიშვნებისა, რომელთა საშუალებით ქალებს და კაცებს დაბინდებისას, საძინებელ ოთახში შესვლის შემდეგ, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილებს, თავში შემოხეტიალებული აზრები ქაღალდზე გადაჰქონდათ და შემდეგ მათ ხის სასთუმლის უჯ-

რებში ინახავდნენ. ... რას ინახავდა სეის სასთუმალი? „ჩანაწერების ამ წიგნშია ყველაფერი, რამაც თვალთა ჩემთა წინარე ჩაიარა, ყველაფერი, რაც გულს მღელვარებით მივსებდა. ეს წიგნი დავწერე მარტომყოფმა ჩემი სახლის სიმყუდროვეში, ვიმედოვნებდი, აქ კაცთა თვალისთვის უჩინარი დარჩება-მეთქი“. როგორც თავად სეი სიონაგონი მოგვითხრობს წიგნის ბოლო თავში, მარტომბის ჟამს საკუთარი თავისთვის შექმნილი ჩანაწერები ერთმა სტუმარ-მა ხელს გააყოლა შემთხვევით. მას შემდეგ წიგნი ხელიდან ხელში გადადის...“ – წერს ნინო უვანია შესავალში. ხოლო რაც შექება წიგნის სათაურს, იგი მშობლიური მეგრული ენის წიაღიძან აქვს შეთვისებული ავტორს: „სხვათა შორის, ბევრად ადრე, ვიდრე სეი სიონაგონი შემოვიდოდა ჩემს ცხოვრებაში, ჩემმა გონებამ მოშვებულ მდგომარეობაში ხეტიალისას ერთი არაჩვეულებრივი მეგრული სიტყვა ამომიგდო – მეკომოკონი... ყოველივე წვრილმანი, რაც ერთი შეხედვით უმნიშვნელოა და თან საოცრად საჭირო კონცენტრირების უნარი რომ დავუბრუნე ჩემს გონებას, მაშინ გადავწყვიტე, ჩემი „ყალმის კვალდაკვალ“ დაბადებული და კომპიუტერსა თუ მობილურ ტელეფონზე აკრეფილი ტექსტების ნაკრებისთვის მეკომოკონები დამერქმია... მეკომოკონები... ჩემი მეკომოკონები იმ წვრილმანებს ეხება, რომლებიც მნიშვნელოვან მოვლენათა სწრაფმავლობაში ხშირად შეუმჩნეველი რჩება... არადა ჩვენში ილექტება და ჩვენს არსს განსაზღვრავს...“

ისე, ცხოვრებაც ხომ სხვა არაფერია, თუ არა მონაცვლეობა ქარის სიჩქარით სწრაფმავალი ეპიზოდებისა... ვინა სთქვა, რომ ცხოვრება თეატრია?! ძუიპიცუა ჩვენი ცხოვრება...“

ფეისბუკოსტებს ერთი მთავარი მახასიათებელი აქვს – ოაკონიურობა. ერთი მხრივ, დღევანდელი აჩქარებული ტემპის, მეორე მხრივ კი, თავად სოციალური ქსელების სპეციფიკიდან გამომდინარე, დღეს თითქმის აღარავინ კითხულობს დიდი მოცულობის ტექსტებს სოციალურ სივრცეში. თანაც იმ პირობებში, როცა ქსელის შიდაკონტენტი სავსეა უამრავი საინტერესო ვიზუალური – ფოტო თუ ვიდეომასალით, დიდი ზომის ტექსტურ პოსტებს მართლაც სერიოზული კონკურენტი ჰყავს. ამიტომ ნე-

ბისმიერმა ავტორმა პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს შემ-დეგი: მისი ტექსტი უნდა იყოს რაც შეიძლება ლაკონიური და საინტერესო (ეს უკანასკნელი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზოგჯერ აიძულებს კიდეც მკითხველს შედარებით ვრცელი ტექ-სტის წაკითხვასაც), კარგია თუკი ვერბალური მასალა ვიზუალუ-რითაც იქნება გამდიდრებული, რაც ერთიორად აცხოველებს ინტერესს და კიდევ უფრო მეტად იზიდავს მკითხველს. უნდა ვთქვათ, რომ ნინო უვანიას „მეკომოკონები“ სწორედ ამ პრინცი-პების ზედმინევნით დაცვითაა შესრულებული.

მაინც რას ეხება ცნობილი პიანისტისა და მუსიკოლოგის ინ-ტერესები? აյ ძირითადად მისი მოგზაურობების დროს გაკეთე-ბულ ჩანაწერებს ვხვდებით, სადაც სჭარბობს პოსტები ხელოვნე-ბის შესახებ, ავტორი გადმოგვცემს საკუთარ შთაბეჭდილებებს მუსიკის, მხატვრობის, ქანდაკების, ლიტერატურის შესახებ; ინს-პირაციას, თუ რაზე უნდა მოგვითხროს, ნანახი ადგილები ად-ლევს. ხშირად ამ შთაბეჭდილებებთან ერთად ამა თუ იმ ქალაქის, ადგილის ან ხელოვნების ნიმუშის ისტორიასაც გვიყვება. ასე რომ, მისი ჩანაწერები ერთნაირადაა საინტერესოც და შემეცნებითიც.

გასაკვირი არაა, რომ პროფესიიდან გამომდინარე ნინო უვა-ნია ხშირად საუბრობს მუსიკაზე. ვისაც მისი გადაცემების – „მუ-სიკოლოგოსის“ – ციკლი ახსოვს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, არც მისი საინტერესო პოსტები გაუკვირდება. ნინოს შეუძლია მუსიკის თეორიასა თუ ისტორიაში გაურკვეველი მსმე-ნელის გულიც კი მოიგოს და დააინტერესოს იგი. ასეთი იყო მი-სი ტელეგადაცემები და ასეთია მისი პოსტებიც, რომლებიც მის ფეისბუქმეგობრებს ჯერ კიდევ სოციალურ ქსელში გვქონდა წაკითხული.

კრებულში საინტერესო ისტორიებთან ერთად ავტორი ზოგ-ჯერ ფილოსოფიურ კითხვებსაც გვთავაზობს და მათზე საკუ-თარ შეხედულებას გვაცნობს, თანაც ამას ისე ახერხებს, რომ პოსტის საზღვრებს არ გასცდეს. მაგალითად, მისი ყურადღება მიუქცევია სიტყვისა და მუსიკის ურთიერთობას, რატომ ვერ თა-ნაარსებობდნენ ეკლესიის წიაღში ისინი: „ნუთუ ულრიხ ცვინ-

გლის გულში არ აღმოჩნდა ადგილი ორივესთვის – სიტყვისა და მუსიკისთვის? რატომ ჩათვალა, რომ ჩვენი გონება ვერ დაიტევ-და ორივეს? იქნებ მართალი იყო და რაიმესთან სრული თანაზი-არობის განცდაში მხოლოდ ერთის ადგილია? ან იქნებ სწორედ იმიტომ, რომ უნიჭიერესი მუსიკოსი იყო, მიხვდა: მიუხედავად იმისა, რომ დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა, არსებობს ის, რასაც ძალუძს, წართვას მას ძალა?“

ნინო უვანიას „მეკომოკონებთან“ ერთად მკითხველიც მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და ბევრ საინტერესო ამბავთან ერთად ბევრს ინფორმაციასაც იღებს. ამგვარი ჩანაწერები ლიტერატურისთვის ახალი უანრია და რამდენადაც სოციალური ქსელები დღეს ადამიანთა კომუნიკაციის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად იქცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ახალ უანრისაც განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს, თუნდაც მხოლოდ ელექტრონულ ფორმატში დარჩეს.

მაია ჯალიაშვილი

სიცოცხლის მარადისობა (მაია ციციშვილის მოთხოვნები)

რატომ ქრება იდეალები სამყაროდან? რა ამძაფრებს ჰუმანიზმის კრიზისს? რა უჩლუნგებს ადამიანს სინათლისა და სიბნელისა, სიკეთისა და ბოროტების, ჭეშმარიტ და ყალბ ღირებულებათა გარჩევის უნარს? სად ქრება სიყვარული და რატომ უცხოვდებიან ადამიანები ერთმანეთისაგან? კითხვათა ეს დაუსრულებელი ნაკადები დიდი ხანია აწვალებს ადამიანს. ეს, რა თქმა უნდა, ტანჯვის წყაროა, თანვე მცირე და დიდი აღმოჩენებით სავსე გზაა, რადგან პასუხების ძიებაში შეიმეცნებს ადამიანი საკუთარ თავსა და სამყაროს. მართალია, ამგვარი ფიქრებისაგან, როგორც რუსთველი ამბობს, „ჩავარდების კაცი ჭირსა“, მაგრამ, თანვე, ეგზისტენციალური „შეწუხებისგან“ მოგვრილ ბედნიერებასაც (ვაჟა-ფშაველა) შეიგრინობს.

მაია ციციშვილიც თავისი საფიქრალით ეხმიანება თანამედროვეობის უმწვავეს პრობლემებს. მის კრებულში „ათას ერთი დილიდან“, რომელიც სითბოსა და სიყვარულის ჩუმ ნაკვალევს ტოვებს მკითხველში, 2014-2020 წლებში დაწერილი მოთხოვნებია გაერთიანებული. ავტორი ცდილობს და ახერხებს კიდევაც იმგვარი პოლიტიკურ-სოციალური თუ კულტურული კონტექსტების შექმნას, რომლებშიც ყოველდღიურობის პრიზმაში გადატეხილი ზოგადსაკაცობრიო სატკივარი ირეკლება. ავტორი ქმნის პერსონაჟთა ცოცხალ ხასიათებს, ცდილობს, რომ თხრობა იყოს მიმზიდველი, ექსპრესიული. მკითხველის თვალწინ ცოცხლდება კალეიდოსკოპური ყოველდღიურობა რუტინული საზრუნავებით, რომლებიც მთლიანად ნთქავენ ადამიანის გონიერას და მატერიალურ სამყაროს აჯაჭვავენ. იხატება მეგაპოლისის ხმაურიანი ქუჩები, მარტოსული და გაუცხოებული ადამიანებით, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობას ათასი მიზეზით უფრთხიან. ბოლო დროის პანდემიამ მთელი მსოფლიო შეაშინა და ფიზიკურად თუ

სულიერად გამოკეტა, გამოამწყვდია საკუთარი სახლისა თუ ეგოს ჩარჩოებში. მწერალი ხედავს, რომ ადამიანის გულში არსებულ სიყვარულის ცეცხლის ნაპერნებალს ვერაფერი ჩააქრობს, ამიტომაც გრძელდება სიცოცხლე თავისი ტკივილითა და სიხარულით. თვითონ ადამიანზეა დამოკიდებული, დადგება თუ არა ათას მეერთე დილა.

აღმოსავლური ზღაპრით შთაგონებული მოთხრობის სათაური მეტყველებს მწერლის სურვილზე, რომ ვერანაირმა განსაცდელ-მა ვერ ჩაელას ერთმანეთთან სიახლოვის წყურვილი. შაპრაზადა გადარჩა იმით, რომ ცხოვრება დაუსრულებელ ზღაპრად აქცია. ადამიანმა უნდა გაიღვიძოს ყოველ დილას იმ იმედით, რომ ცხოვ-რების მრავალფეროვნებისთვის თვითონაც საჭიროა, როგორც ერთი უნიკალური ფერი, რომლის გარეშეც სამყაროს რაღაც მო-აკლდება. კრებულის ბოლო მოთხრობა „ათას ერთი დილიდან“ სწორედ ამ ცინცხალ ფერადოვნებას წარმოაჩენს, რომელიც ყო-ველდღე ახლდება. მთავარი პერსონაჟი ტაქსით მგზავრობს და სამსახურისკენ მიმავალ გზაზე ერთმანეთისგან სრულიად განს-ხვავებულ მძღოლებს ხვდება: ზოგს ჩუმსა და ჩაკეტილს, ზოგს გულლიასა და მოლაპარაკეს. მათ მოყოლილ ამბებში ჩანს სხვა-დასხვა კულტურის თავისთავადობა. მწერლის მრავალფეროვან თემებს შორის ემიგრანტების თემაცაა. უცხო გარემოში მოხვედ-რილ ადამიანები უამრავ დაბრკოლებას გადალახავენ, რათა ახალ სივრცეში მშობლიურად იგრძნონ თავი. ნოსტალგია მაინც მათი მუდმივ თანამდევად რჩება.

ამბების მოზაიკური ნატეხებით, რომლებსაც მწერალი დეტა-ლების გულდასმით დამუშავებით ქმნის, თვალწინ გვეშლება თა-ნამედროვეობის მფეთქავი პანრამა. ავტორი მცირე დიალოგების საშუალებით კარგად გამოკვეთს ადამიანთა ინდივიდუალურო-ბას. საინტერესოა ერთი მძღოლის მოყოლილი ამბავი შხამიან ყვა-ვილზე, რომელიც სურნელითა და სილამაზით იზიდავს ადამიანს, ათრობს და კლავს. ამბის განზოგადება კი ასეთია: „სამყარო ასეა შექმნილი, ყველა ცოცხალ ორგანიზმში, ლამაზ ყვავილებშიც კი, შხამია, ზოგში ცოტა, ზოგში – მომწამვლელი“. ამგვარი ფრაზები მოთხრობის ქვეტექსტურობას აღრმავებენ და მოთხრობილ ამ-

ბებსაც სიმბოლურ მნიშვნელობებს ანიჭებენ. რა თქმა უნდა, მყითხველზეა დამოკიდებული, რა გამოძახილს პოვებს ესა თუ ის ამბავი მის სულსა, გულსა და გონებაში.

მთხოვობელს, რომელიც ქართულ ენას ასწავლის უცხოელებს, ერთი მძღოლი საიდუმლოს უმხელს, ურჩევს, გამოცდის წინ ჩაე-სუტოს სტუდენტებს, რათა მათ მღელვარება მოეხსნათ, უსაბუ-თებს, როგორ აქტიურდება ტვინი ჩახუტებისას, როგორ იოლდება მეხსიერებიდან სათანადო ცოდნის გამოხმობა. ერთმანეთისთვის სითბოს გადაცემის ამ უბრალო უძველეს მეთოდზე აქცენტირება მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანებმა უნდა გადალახონ ბარიერე-ბი, საგნებით, წეს-კანონებით, შეხედულებებით, უცხო კულტუ-რის შიშით, მცდარი წარმოდგენებით ჩახერგილი ერთმანეთისკენ მიმავალი გზები. „ჩახუტება“ რა თქმა უნდა, ერთმანეთთან დი-ალოგის აუცილებლობას გულისხმობს. სწორედ ამ საუბრის შემ-დეგ გადაინმინდება ცა, ეს მინიშნება პერსონაჟის გულში შიშის დაძლევისა, სხვაში საკუთარი თავის დანახვისა. გალებული ფან-ჯრიდან, რომელიც, სიმბოლურად, გახსნილ გულზე მიანიშნებს, სამყარო იჭრება „დილის სიგრილით, სუფთა ჰაერითა და ხმა-ურით“. ამიტომაც ფიქრობს მთხოვობელი: „ქუჩის პოლიფონიით“ სიცოცხლის მარადისობა შეიგრძნობა“. სწორედ ეს არის მთავა-რი: მარადისობის შეგრძნება და ამ გადასახედიდან ყოველდღიური ყოფის დანახვა. ამიტომაც არის ათას ერთი დილა დაუსაზღვრავი დილების დღიურის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი.

მოთხოვობაში „ეპიკურეს ბალები“ კარგად წარმოჩნდება ქარ-თველის ლალი, უდარდელი ხასიათი, რომელიც უცხო გარემოში უფრო გამოიკვეთება. ქართველთა დამახასიათებელი ხმაური, გა-წევ-გამოწევა ახლობლის დაპატიუებაზე პერსონაჟისთვის კულ-ტურული იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებელია, ამიტომ წუხს იმის წარმოდგენისას, რომ შემდეგი თაობები ამ ტრადიციას და-კარგავენ და იმდენად დაემსგავსებიან სხვებს, კაფეში შესულებ-ზე ალარავინ იკითხავს, თუ რომელი ქვეყნიდან არიან,

ადამიანები ათასი გზით ილამაზებენ ყოფას. დღესასწაულე-ბი, კარნავალები, რიტუალები მოწმობენ, როგორი თავგამეტე-ბით ცდილობს ადამიანი წლების სიმრავლით მოგვრილ სევდასა

და მოწყენილობასთან გამკლავებას. ამ დროს ეკლესიასტეს ამა-ოების ნოტები უფრო მახლობელი ხდება. მოთხრობაში „სად-ლესასნაულო დეკორაციები“ ავტორი მოხუცი ამერიკელი ცოლ-ქმრის ცხოვრებისეული ეპიზოდების გაცოცხლებით კარგად წარმოაჩენს, რომ „გული არა ბერდება“. თავიდან დეკორაციებით მორთვა ოთახისა თუ კარისა და ამგვარად სიბერისა თუ მარტობის მოგერიება მთხრობელს უაზროდ ეჩვენება და სიბრა-ლულით იმსჭვალება მოხუცი ცოლ-ქმრის მიმართ, მაგრამ მერე მათი ოპტიმიზმი გადაედება. ადამიანი არ უნდა დანებდეს დროის დინებას და ხვალინდელი დღის იმედი არ უნდა დაკარგოს, ამიტომაცაა, რომ მისი ნალვლიანი განწყობილებაც ამგვარი საახალწლო საზეიმო ფიქრებით გადაითარება: „ახლის მოლოდინს და მიღებას თუკი შეძლებ, სიბერე ვეღარ მოგამწყვდევს წარსულის ცხრაკლიტულში“. ამიტომაც „გაცრეცილი მოსართავები“ „წლებთან დაუმორჩილებლობის სიმბოლოებად“ იქცევიან და ბადებენ რწმენას, რომ ყოველი ახალი წელი „უკეთესი იქნება ჩემთვის, შენთვის და საერთოდ ყველა ადამიანისათვის ამქვეყნად“.

სხვადასხვა მოთხრობაში მწერალი მრავალფეროვნებისთვის კარგად რთავს მოარულ მახვილგონივრულ ამბებსა და ანეკდოტებს. მაგალითად, ასეთია ამბავი, ნილს ბორმა ნალი რომ ჩამოკიდა კარზე, არ მნამს, მაგრამ თურმე ბედნიერება იმათვისაც მოაქვს, ვისაც არ სჯერაო („ათას ერთი დილიდან“). ან ამბავი მეთვეზის შესახებ, რომელმაც ჰენრი ფორდს მილიონებზე უარი უთხრა, ისედაც იმას ვაკეთებ, რაც მინდა და ბედნიერი ვარო („აი ია“).

ამერიკაში ხანგრძლივმა ცხოვრებამ ავტორს ამ მულტიკულტურული ქვეყნის შესახებ დიდი გამოცდილება დაუგროვა, ამიტომაც ნიუანსირებულად ხატავს, როგორ თანაარსებობს აქ სხვადასხვა ტრადიცია და წეს-ჩვეულება: „ყველა სტუდენტი განსხვავებულია: სამხრეთელს თავისი კოლორიტი აქვს. აღმოსავლეთ, დასავლეთ სანაპიროდან – თავისი, მაგრამ საქმისადმი მიღგომა, შრომის დისციპლინა კი ყველას ერთმანეთის მსგავსი აქვს. ამ მოთხრობაში („აი ია“) კარგად წარმოჩნდება ის სისარული, რომელსაც მთხრობელი განიცდის, როდესაც უცხოელებს ქარ-

თული ანბანის სილამაზეს, ქართული კულტურის უნიკალურობას შეაგრძნობინებს.

დაკარგული დროის ძიება მსოფლიო ლიტერატურისთვის ნაცნობი თემაა. უპირველესად, მარსელ პრუსტის რომანები გაგვახსენდება. სად ქრება წარსული? მარსელ პრუსტისთვის წარსული საგნებსა და მოვლენებს შეეფარება, ამიტომაც დავიწყებული ბავშვობის ნახატები მის წარმოსახვაში ჩაიში ჩამბალი ნამცხვარ „მადლენის“ სურნელიდან გადმოიღვარა. დღეს მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის საშუალებით უამრავი ოცნება რეალობად იქცა. მოთხოვობაში „მეხსიერების არქივიდან“ აღწერილია, „ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევის“ დროს როგორ წამოუტივივდა მთხოვობელს ბავშვობის დავიწყებული მოგონება. ამან გაუჩინა ფიქრი „ხელოვნური აპარატის“ შესახებ, რომლის საშუალებითაც ადამიანი ნებისმიერ თავისთვის სასურველ დროს „წარსულს დააბრუნებდა“. ამგვარ ოცნებას თან სდევს ეთიკური ხასიათის პრობლემების გაჩენა, მათ შორის, იმის შიშიც, რომ „ხელოვნური ინტელექტის“ შექმნამ შეიძლება კაცობრიობის არსებობას საფრთხე შეუქმნას. ამ საფრთხეთა რეალობა კარგად წარმოჩნდება ფანტასტიკური თუ ანტიუტოპიური ჟანრის ნაწარმოებებსა და ფილმებში. ამ მოთხოვობით („მეხსიერების არქივიდან“) ავტორი კიდევ ერთხელ დააფიქრებს მკითხველს ამ დილემაზე.

ხელოვნური „პედინიერების“ თემაზეა მოთხოვობა „სიცილის განრიგი“. ავტორი კარგად იყენებს ირონიას იმისთვის, რომ წარმოაჩინოს თანამედროვე ადამიანისთვის შეთავაზებული ნაირგვარი „ფსიქოტექნოლოგიური“ სიყალბე. პერსონაჟი ესწრება პროგრამას, რომლის მიზანია, ადამიანი უმიზეზო სიცილის ტექნიკას დაეუფლოს და ამგვარად გამხიარულდეს, როცა მოუნდება. თავ-დაპირველად ეს მიმზიდველი აღმოჩნდება მთხოვობლისთვის, მაგრამ მალე მიხვდება, რომ სტრესის განმუხტვის ამგვარი გზა მას ვერ გააბეჭნიერებს. ბავშვი თავისი პირდაპირობით აუხელს თვალს, როდესაც მასთან ასეთ დიალოგს გამართავს:

„ვის უცინი? – მეკითხება გაკვირვებული.

– არავის. უნდა ვიცინო, სასარგებლოა, შენც გაიცინე!

—არ მეცინება!-აიჩეჩა მხრები ბიჭმა“. მერე კი დედამისს უთხრა: „ეს ქალი სულელია“. მთხრობელი ფიქრობს, რომ ხელოვნური სიცილი და ყველაფერი ყალბი ჯანსაღი სიცოცხლისთვის მავნეა. მთხრობელი შერლოკ ჰოლმსის ფრაზებს იხსენებს: „მუშაობა, საქმიანობა უგუნებობის საუკეთესო ანტიდოტია, ჩემო უოთსონ“. მოთხრობა ქუჩაში მოხუცის მიერ დაკუული ფლამენკოს აკომპანემენტით სრულდება, რაც კიდევ ერთხელ არწმუნებს მკითხველს, რომ ბუნებრივი გზით აღძრული სევდაცა და სიხარულიც თანაბრად მშვენიერია.

თუ როგორ არის სამყაროში ყველაფერი ერთმანეთზე გადაჯაჭვული და არაფერი არ არის შემთხვევით, ეს პრობლემა კარგად წარმოჩნდება მოთხრობაში „მარფის კანონით“. ცოცხალიცხოვრებისეული ამბების დახატვით ავტორი კიდევ ერთხელ შეახსენებს მკითხველს, რომ ყველამ თავისი საქმე პირნათლად, პატიოსნად უნდა შეასრულოს და არანაირი მიზეზით არ გაამართლოს თუნდაც უნებური უპასუხისმგებლობა. ამავე მოთხრობაში ჩანს დიდი წუხილი იმის გამო, რომ ადამიანები ნაბეჭდი წიგნის მიმართ ინტერესს კარგავენ. წიგნის მაღაზია „ადამს ბუქსი“ ნაღვლიანი პერსონაჟივით იხატება, რომელიც პატრონებმა გასაუქმებლად გაიმეტეს, რადგან შემოსავალი არ მოაქვს და ბიზნესისთვის აღარ გამოდგება. მკითხველიც გრძნობს, დროის მსვლელობაში როგორ დაიკარგება ის მოგონებები, არომატები, რომლებიც ამ წიგნის მაღაზიაში შესვლისას ცოცხლდებოდა.

უცხო კულტურასთან შეხვედრას ახლავს ერთგვარი შეკიც. სწორედ ამ თემაზეა მოთხრობები „მწვანე ქამარი“ და „რიზორიუსი“, რომლებშიც სხვადასხვა რაკურსით წარმოჩნდებია ამერიკული საგანმანათლებლო სისტემისა თუ საზოგადოებაში არსებული „ნეს-კანონების“ უცნაურობა თუ თავისებურებანი.

ადამიანის სული რომ სიბნელით სავსე, საიდუმლოებით სავსე უფსკრულია, ამაში კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, როცა ვკითხულობთ ფსიქოლოგიური ნიუანსებით გამოკვეთილ ამბებს მოთხრობაში „ნიუ-ორლეანი, ნილბების ქალაქი“. როდის არის ადამიანი ნამდვილი? ცხოვრება ხომ მას ნილბების ტარებას აჩვევს. სიცოცხლის ამ კარნავალში შეიძლება ადამიანმა საკუთარი

თავი საერთოდ დაკარგოს. ჰერმან ჰესე „ტრამალის მგელში“ ხატავს ადამიანის უამრავ მეს, რომლებსაც ჰარი ჰალერი „მაგიურ თეატრში“ ხვდება და საკუთარი თავს ამგვარად შეიმეცნებს. მოთხოვთ „ნიუ-ორლეანი, ნიღბების ქალაქი“ კარგად წარმოაჩენს ალექსის შინაგან სიმხდალეს, რომელმაც ვერ გაძედა სტიქიის დროს საყვარელი ქალის დასახმარებლად წასვლა. მიძინებულმა სინდისმა მოულოდნელად გაიღვიძა და მიხვდა, სილაჩრის ამ „ლაქას“ სულიდან ვერასოდეს მოიშორებდა. „ნიუ ორლეანის ორმაგი სახე და ამბივალენტურობა“ ალექსის შინაგანი გახლეჩილობის სიმბოლური ხატებასავითაა.

ნიღბების თემის პოლიტიკურ ჭრილში საინტერესო ვარიაციებია წარმოჩენილი მოთხოვთაში „ფრთხილი ოპტიმიზმით“. ორი მეგობრის დიალოგში კარგად წარმოჩნდება მედიის დახმარებით, პოლიტიკური საშუალებით პოლიტიკური კოსები როგორ ახერხებენ სიყალბეთა იმგვარად შეფუთვას, რომ ამომრჩეველს კრიტიკული აზროვნებისა და შეფასების უნარი დაუქვეითონ, მათი ფიქრი ზედაპირზე ატივტივონ და საკუთარი არჩევანის ყალბი ილუზია შეუქმნან. მოთხოვთაში წარმოჩნდება, როგორ დაიხვეწა ამომრჩეველზე ზემოქმედების მეთოდები, მათი მოხიბვლის სიტყვიერი და არავერბალური ტექნიკური ტექნიკური მსჯელობები, შენიღბული და პირველხარისხოვნად გასაღებული არააქტუალური თემები, კარნავალური შეხვედრები, შოუები მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება – გაიმარჯვოს იმან, ვისაც უფრო მეტად შეუძლია სიყალბის ჭეშმარიტებად გასაღება. მოთხოვთას ეპიგრაფად ჯოან როულინგის მრავალმნიშვნელოვანი ფრაზა აქვს წამდლვარებული: „ჰარი, ჩვენს შესაძლებლობებზე უკეთ ჩვენი არჩევანი წარმოაჩენს, რანი ვართ სინამდვილეში“. მკითხველიც კიდევ ერთხელ გრძნობს, როგორი საჭიროა სიფხიზლე და მღვიძარე გონება იმისთვის, რომ ერთხელ გაკეთებული პოლიტიკური არჩევანი წლების განმავლობაში სანაქებელი არ გახდეს.

ავტორი კარგად ახერხებს მოთხოვთაში სხვადასხვა პირით თხოვთას მონაცვლეობას ისე, რომ გულწრფელობისა და დამაჯერებლობის განცდას ტოვებს. როდესაც ის პირველ პირში ჰყვე-

ბა ამბავს, მკითხველს ეუფლება განცდა, რომ მთხოვობელი ავტო-რის ალტერ ეგოა და რასაც გვიამბობს, ნამდვილად გადახდა თავს. ამ გზით მწერალი წარმატებით ხატავს სუბიექტურ პრიზ-მაში გარდატეხილ ადამიანურ ხასიათებს. როდესაც ის მესამე პირში მოგვითხრობს, აქაც კარგად წარმოჩნდება „ყოვლისმცოდნე ავტორი“, რომელმაც ყველა პერსონაჟის შესახებ ყველაფერი იცის და მკითხველებსაც გამოცდილი მეგზურივით მიუძღვება ყოვე-ლი მათგანის სულის ლაბირინთებში.

ვფიქრობთ, მაია ციციშვილის მოთხრობათა ეს პატარა, მშვე-ნიერი კრებული მკითხველისთვის დაუვიწყარი მოგზაურობა იქ-ნება, რადგან ბევრ რამეს შეიტყობს საკუთარი თავისა თუ უცხო ადამიანების, განსხვავებული კულტურის შესახებ. მოთხრობები რეალისტურ-რომანტიკული სულისკვეთებითა და დიდი ადამი-ანური სითბოთია გამსჭვალული.

მაია ციციშვილის მოთხრობათა მთავარი გმირები ქალაქის რეალურსა თუ მეტაფიზიკურ სივრცეებში „მოძრაობენ“ და ქუ-ჩებში გაბნეული სითბოს ნატეხებით სულის მყუდრო თავშესა-ფარს აგებენ. მშობლების – ნათელა ღამბაშიძისა და გიორგი ცი-ციშვილის – ნათელი ხსოვნისთვის მიძღვნილი წიგნი ყველა იმ ადამიანის მიძღვნადაც აღიქმება, რომლებიც ჩუმად, უხმაუროდ მიუყვებიან ცხოვრების გზას და სიკეთისა და სიყვარულის ნაკ-ვალევს ტოვებენ. წიგნი გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა (2021 წ.). მანანა ღარიბაშვილისა და ზვიად კვარაცხელიას მცირე გამოხმაურებანიც ნათელყოფენ, თუ რა გამოძახილი მოჰყვა ამ მოთხრობებს მკითხველის გულში.

ადა ნემსაძე

„ეს სიმაღლე სხვა სიმაღლეებს გვაჩვევს ალბათ...“

(ნინო სადლობელაშვილის „დაბადების დღე“)

ორიგინალური არ ვიქნები და ნინო სადლობელაშვილის ახალ რომანზე საუბარს წიგნის პირველივე წინადადებით დავიწყებ.

მართალია, პირველ გვერდზე დაბეჭდილი ცნობა მცხეთის რაიონულ სამმართველოში შემოსული განცხადების შესახებ გვაუწყებს, მაგრამ ეს რომანის დასაწყისი არაა. რეალურად ამბავი იქიდან იწყება, სანჩიომ რომ გრამატიკაში მიცემული საშინაო დავალების, ზმნების უღლების, მაგივრად ლექსი დაწერა, უფრო სწორად ლექსიც დაწერა და დავალებაც, უბრალოდ მასნავლებელმა საკითხს მხოლოდ მორფოლოგის მხრიდან შეხედა, მეტი ვერ მოახერხა და ამიტომაც გადაახია თავზე. მერე სანჩიოს ლექსი უცებ გახდა პოპულარული და მთელ სკოლაში გაჰიტდა, – გვეუბნება ავტორი. ახლა ცოტა ხნით უნდა შევჩერდეთ და ამ ყველაფერზე, რაც წიგნის პირველივე წინადადებაშია ნათევამი, უფრო ვრცლად ვისაუბროთ, რადგან აქ ერთდროულადაა დასმული ზოგადად თანამედროვე და კერძოდ ჩვენი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე პრობლემა.

„მე ვიცინი, შენ ტირი, ის ყვირის, ჩვენ ვხარხარებთ, თქვენ ბლავით, ისინი ღრიალებენ“ – ეს სანჩიოს დავალებაა. უნდა ვალიაროთ – უშეცდომოდაა შესრულებული: პირისა და რიცხვის ნიშნები ყველგან სწორია, ანუ მორფოლოგის პოზიციიდან ხარვეზი არ გვაქვს. ზმნებიც შინაარსობრივად პირებშია განსხვავებული, თორემ რიცხვში ემთხვევა. მოსწავლე რომ უდავოდ აზრიანია და განსხვავებულად მოაზროვნე, ამ დეტალშიც იკვეთება. და მიუხედავად იმისა, რომ სანჩიომ იხალისა, და სავარაუდოდ მასნავლებელიც გამოიწვია შემოქმედებით აზროვნებაში (გარისკა, შეუძლებელია, არ სცოდნოდა, იგი რას იზამდა, ბავშვებზე უკეთ მათ პედაგოგებს არავინ იცნობს), ჩვენ, მკითხველი, ვგრძნობთ,

რომ მწერალმა აქ ბევრად სერიოზულად დასვა საკითხი და თან არა ერთი.

ზმნები – სიცილი, ტირილი და ყვირილი (მხ. რიცხვში) – თანამედროვე ადამიანის სახეზე ყველაზე უკეთ მიუთითებს, კერძოდ კი იმაზე, რომ მისი სახასიათო ნიშანი ემოციოა და არა რაციო. ასეთად აღიქვამს მოზარდის ცნობიერებაც მას და, ბუნებრივია, არც ცდება. ცხადია, შემთხვევითი არაა, რომ სანჩიოს მიერ შერჩეულ ზმნებში არ გამოერია: სწავლა, კითხვა, ფიქრი, აზროვნება, მით უმეტეს დუმილი, დამშვიდება, მონესრიგება... იმიტომ, რომ მოზარდი თავის გარშემო ამ ქმედებებს ვერ ხედავს. რაღაც ისტერიულ ეიფორიაშია ჩართული ქვეყანა (მსოფლიოც) და მისი რეალური სახეც ესაა, ხოლო მრავლობით რიცხვში მოცემული იგივე ზმნები – ხარხარი, ბლავილი და ლრიალი – უკვე საზოგადოების მძაფრ ფსიქო-ემოციურ, თითქმის საგანგაშო მდგომარეობაზე მიანიშნებს, რაც უამრავი პრობლემისა და უბედურების წყაროა დღეს. შემთხვევით არ გაგვიმახვილებია ყურადღება ამ ზმნებზე და რომანის დასაწყისზე. მთელი ტექსტი სწორედ ამ სავალალო მდგომარეობის დადასტურებაა, რომელსაც აქა-იქ მაინც ანათებს გამომკრთალი იმედისა და სიყვარულის სხივი, რაც გადარჩენის იმედს ჯერ კიდევ ტოვებს მკითხველის გულში.

რომანის ტექსტი ორშრიანია, აქ ტყუპების მონოლოგს საგამოძიებო ჩვენებები ენაცვლება. მწერალს საინტერესო და ორიგინალური ფორმა აქვს მოძებნილი და ყველა ცალკეულ ეპიზოდში, როგორც ტყუპების, ისე დანარჩენ პერსონაჟთა ნაამბობში, საზოგადოების სხვადასხვა პრობლემას ახმოვანებს.

ამ სათავგადასავლო გზაზე პირველი ამბავი სვანეთში მიმავალი უცხოელი ტურისტების „მარშუტკაში“ მოხვედრაა. ამ მონაკვეთით კარგად ვხედავთ, რამხელა სხვაობა და დისონანსია ერთი თაობის ადამიანთა შორის, როგორი რადიკალურად განსხვავებული ცხოვრება და, შესაბამისად პრობლემები აქვთ თავისუფალ ტურისტებსა და დევნილ ბავშვებს. თითქოს ტექსტში მიმალული ტრაგიკული განცდა აქ განსაკუთრებით შესამჩნევია, ის, რაც ჩვენთვის ლამის ყოველდღიური სატკივარია, მათთვის მხიარულების მიზეზად იქცევა: „გადავიდეთ და ლაშას დავუჭი-

როთ მხარი! – ისე წამოხტა თეთრი გოგო ალისა, თავი ლამის ჭერს ხია. იეს, იეს, ორმაგად ირღვევა მისი უფლებები – როგორც ოპოზიციონერის და როგორც შეყვარებულის!“

სულ სხვა სამყაროს ეცნობა ალე გზაში გადაყრილ ტოიოტა პრადოს მგზავრებითან ერთად; სამყაროს, სადაც სხვა ფასეულობებია, სხვა ცხოვრება. ეს არა ის, რაც შეიძლება ადამიანმა ინატროს, მაგრამ ეს ისაა, რაც სახლიდან გაქცეულმა ბიჭმა აუცილებლად უნდა ნახოს, რათა გამოცდილების მნიშვნელოვან ჯაჭვში ეს რგოლიც გადალახოს. ქალი, რომელიც ცოტა ხნის წინ ვიღაც ნაცნობს სასიკვდილოდ იმეტებდა და რამდენიმე წუთში შეშინებულ კუს მანქანაში მუხლებზე იდებს და ეფერება, დაბნეული, ლირებულებებარეული, მთავარისა და მეორეხარისხოვანის ვერგარეკვევის მაგალითია. ბიჭისთვის კი კიდევ ერთი გაკვეთილი ამ ძიების გზაზე.

ბევრი სხვადასხვა ტკივილია მიმალული ვ. ზ.-ს (ვახოს) ჩვენებაში, მის მონოლოგს ჩვენება ყველაზე ნაკლებად შეგვიძლია ვუწოდოთ, ეს უფრო ყველაზე მძიმე სატკივარის ამომზეურებაა, ერთდღოულად პირადიც რომაა და საქვეყნოც. პერსონაჟის საქმიანობა, ხისა და ქვისგან ნივთების გამოთლა-დამზადება, ერთი მხრივ, გაუსაძლისი ცხოვრების გასაძლებად ზღაპარში თავის შეფარება: „ხეებს ვთლი, ჭერში ვაწყობ და როცა დარდი მოდის, თავში ჩავცხებ“; მეორე მხრივ კი, აზრდაკარგული ყოფისთვის დანიშნულების მიცემა: „რო დაიარო სამეზობლოში, ყველას რაღაცა აქვს ჩემი ნახელავი“. და კიდევ, ე. წ. „გულის მოსაქართულებელი“ – ორნახადი პანტის არაყი: „რაღა ღორებმა ღრიტონონ, პანტა მაინც ვაქციოთ რამედ, აბა თურაშაული იქით დავტოვეთ, ჩვენსა, ხეობაში...“ რამხელა ტკივილია პერსონაჟის ამ სიტყვებში და რა მარტივად ახერხებს მწერალი მის ჩვენამდე მოტანას. გულს ხვდება ხეობაში დატოვებული თურაშაული, როგორც დაკარგული განძის, დაკარგული ბედნიერების სიმბოლო, მაგრამ იქვე იმედს ერთი ნაცვალსახელი იძლევა – „ჩვენსა“, სანამ ადამიანთა ცნობიერებაში დაკარგული ტერიტორია ჩვენის კატეგორიაში თავსდება, მანამ შეგვიძლია იგი დაკარგულად არ ჩავთვალოთ (და იქვე ხმიანდება ოთარ ჭილაძის მარტივი და

გენიალურად ნათქვამი – „მე დაკარგულად ვერ ჩავთვლი იმას, რაც ჩემი ნებით არ დამითმია“).

მეორე მხრივ, ძალიან საინტერესოა, როგორ აღიქვამს მოზარდის გონება ამ ტრაგედიას. მათ თავიანთი სახლი არ ახსოვთ, ისე-თი პატარები იყვნენ, მანქანის საბარგულით გადმოტარეს მშობლებმა ტყვიების ზუზუნში სამშვიდობოს. ამიტომ ჯერ კიდევ ბავშვური გონება სულ სხვანაირად უყურებს დაკარგულს, თავი-სებურად ტკივილითა და ამავე დროს გაუგებრობით: „რანაირად ხდება ეგ, რომ მთები მოიკიდოს და წაიღლოს ვინმემ? ნახატი ხო არაა, შავი ფლომასტერით რო გადახაზო. აქეთ დააწერო – ჩემია, იქით დააწერო – სხვისია. ... აი, პაპაჩემის ნაოჭებს რო მივადგე და დავხაზო შავი ფლომასტერით – საზღვრის აქეთ არ გადმოხვიდეო, იმის ცხვირს რო ვუთხრა ან წარბი გადავხაზო – შენი არ არი-მეთქი, ხო მიმაგინებს ერთი ხოშიანად, რა, პაპაჩემის ნაოჭებიანი სახე არ არი თუ ვინმე კაი ბიჭია და უნდა მიადგეს და შუაზე გაუყოს?! აბა მთებს რას ერჩიან?“

ვ. ზ.-ს სათქმელში თანდათან ძლიერდება ლიტერატურისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი კერიის მოშლის პრობლემა, სადაც დაკარგული ტერიტორია სათავეა დაკარგული ბედნიერებისაც, ღვთის წინაშე შეუსრულებელი ამქვეყნიური მისიისაც და სამშობლოს წინაშე ვალდებულებისაც. სინდისის ქენჯნა თუ უფრო დიდი – ქვეყნისა და წინაპრების წინაშე სირცხვილი – უპატივებელ სატანჯველად ქცევია მას: „აბა ნახირზე მეტი ფასი საიდან უნდა გვედოს, რაც ჩვენი იყო, ისიც ვერ დავიცავით. ჰოდა ლირსები ვართ, რო დავდივართ და ვაწკარუნებთ, ამ ყუთებში, სახლებს რო ეძახიან, გველებთან ერთად რო გვინავს, ლირსები ვართ, მა რა ვართ. იქა, ხეობაში, ჯერ ჩვენი სახლები ჩაფლეს მიწაში და ზედ ბეტიერები გადაატარეს, სალოცავები დაგვიხვრიტეს, როგორც ობოლი ბავშვები, ჩვენი ბიჭების ცხედრები მზეზე ზეზეურად აამძალეს და ჩვენ აქ ინტერვიუებს ვიძლეოდით და ქვეყნიერებას ვეტრაპახებოდით, რო რა მაგრები ვართ, თურმე ეს ყველაფერი იმად ლირდა, რო ბოლობოლო ყველას გაეგო, მტერი ვინ არი. ნახირი ვართ, აბა რა ვართ!“

ვ. ზ. ალბათ ერთადერთია მთელ რომანში, ვინც სულ სხვანა-ირად უყურებს ბიჭების გაპარვის ამბავს და მეტიც – ამართლებს კიდეც. „ნავიდნენ რა, მოგვშორდნენ, თავს უშველეს, უფრო ად-რეც უნდა ექნათ. ვენაცვალე სულში ორივეს, სულ მჯეროდა მე მაგათი“. აი აქედან კი სულ სხვა პრობლემაზე გავდივართ, ყველაზე მნიშვნელოვანზე, რაც, ჩვენი აზრით, არის კიდეც ამ რომანის მთავარი სათქმელი. ახალგაზრდობა ძიების ეტაპია, საკუთარი თავის, იდენტობის ძიებისა და არა სხვის მიერ გაკვა-ლული გზის გაყოლა. და თუ ასე არ არის, ნამდვილად ასე უნდა იყოს. ეს სახარებისეული უძლები ძის მოტივია, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რამაა ინდივიდის ცხოვრებაში და რაც რომანშიც თავისებურადა გაშლილი. პოვნა ძიების გარეშე არ არსებობს. თუ ახალგაზრდას პროტესტი არ აქვს, ის ვერც ვერა-ფერს იპოვის. პროტესტი და სახლიდან წასვლა, დაპირისპირება მამის გზასთან, მის ცხოვრებასთან არის ზუსტად წინაპირობა საკუთარის პოვნისა. ამიტომ ალეს და სანჩიოს გაპარვა, რომელსაც ერთი უწყინარი ბავშვური სურვილი აქვს საფუძვლად, სინამდვი-ლეში სულ სხვა მასშტაბის ამბავია. მათი ჯერ კიდევ ბავშვური გონება ვერ აცნობიერებს იმას, რომ ეს უბრალოდ ზღვის, ანუ დაფარულის ნახვის სურვილი კი არაა, ძიების გზაა, სიახლის წყურ-ვილია, არსებულის მიუღებლობაა, საკუთარი ადგილის პოვნის მცდელობაა, ფიქრებში გარკვევისა და ჯერ კიდევ ბუნდოვანი სურვილების გამოკვეთისა. „აბა დაიარე მთელ ამ უბანში და ერთი ბედნიერი კაცი მაინც თუ ნახო, ღმერთმა გაგიმარჯოს, ძმაო...“, – ამბობს ვ. ზ. გაქცევით ძმები სწორედ უძლები შვილის გზას იმეორებენ და აუცილებლად დაუბრუნდებიან კერას გამარ-ჯვებული, რადგან მათ, ვისაც 15 წლის ასაქში გასაქცევად სითამამე ჰყოფნით, ბევრი შანსიც აქვთ ცხოვრებაში.

ფასადური და ზედაპირული ცხოვრების, ჭეშმარიტის და მოჩვენებითის არევაა ერთ-ერთი პედაგოგის ი. კ.-ს ჩვენების სათქმელი. სკოლაში ყველაზე უკეთ ჩანს ის პრობლემები, რაც საზოგადოებაშია, რადგან სკოლა მისი მნიშვნელოვანი ნაწილია. მომავალიც აქაა და ვის ხელშიც ამ მომავლის აღზრდაა, ისიც. ამიტომ აქ კარგად ჩანს სავარაუდო სურათი. მწერალი ტექსტში

გამოკვეთს არამხოლოდ მთავარ არსს მოკლებულ და მუდმივად რეფორმაზე ორიენტირებულ განათლების სისტემის პრობლემებს, არამედ იმ სავალალო შედეგსაც, რაც ამ უკვე წლების მანძილზე მიმდინარე დაუსრულებელმა პროცესმა მოიტანა: მიზანს აცდენილი სკოლა, გაუაზრებელი და უსისტემო რეფორმა, გაუნათლებელი თაობა და შესაბამისად ამ ყველაფერზე აღმოცენებული ფასადური და ფუჭი ცხოვრება, რადგან, როგორც ხე ფესვებიდან იზრდება, ისე საზოგადოება სკოლიდან და ოჯახიდან.

„თქვენ რო იცოდეთ, რეებზე ვხარჯავთ დროს, რა სულელური დოკუმენტების შევსებაზე, კაციშვილს რომ არ აინტერესებს და ალბათ არც არავინ არაფერში გამოიყენებს. [...] რა ილია და რა აკაკი, თქვენი ჭირიმე, ფასადური გახდა ყველაფერი, ზედაპირზე ამოტივტივებული, მთავარია, თვალში მოგეჩიროს, ფეისბუქში დააკომენტარო ილიას რომელიმე ციტატა, ფოტო გამოკიდო სამუშაო კაპინეტში, ფასადური და ყალბი, ყალბი! კომუნისტებს დასცინიან და ამაზე მეტი კომუნიზმი რა გინდათ? სუნსაც ვერა გრძნობთ, ტყუილს ხომ სუნი აქვს, ეგ სუნი დგას ყველგან დღეს!“ და უნებურად გახსენდება – „რაღაც დალპა დანიის სამეფოში“. ამის მერე აღარც გიკვირს ფეხიფეხზე გადადებული პარლამენტარები და უაზროდ დახარჯული დრო, სოციალური თუ მასმელის პრობლემები ეკონომიკურად დუხჭირ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიაზე საუბარი სასაცილოა, რადგან ადამიანს უბრალოდ შია. ასე ითრგუნება და კნინდება დიდი მიზანი და ამ მიზნისთვის ბრძოლა. „გურამ რჩეულიშვილი რომ ავარდა ალავერდის გუმბათზე, სათქმელი ჰქონდა და წუხილი და მაგიტომ, ახლა რა ანუხებთ და რა უნდათ ადამიანებს, იცით თქვენ? მაგაშია საქმე“.

ერებს (ზოგადად ხალხებს) ყოველთვის დიდი მისიები აერთიანებდათ ხოლმე და აძლებინებდათ. რაღა შორს წავიდეთ? ამ დიდმა მიზანმა, ეროვნული სხეულისა და სულის შენარჩუნებამ არ მოიყვანა ჩვენი ქვეყანაც ამ დღემდე? ახლა კი რა ხდება? თურმეორ მოზარდს სათქმელი ჰქონდა და გარშემო, ამდენ ადამიანში რომ არავინ აღმოჩნდა მათი გამგები, ამიტომ დაპერეს ფეხი და სახლიდან გაიპარნენ. გაიპარნენ და ამით გააგებინეს, რომ ეთ-

ქვათ, ალბათ, არც მოუსმენდა არავინ. ეს მუდმივად რეფორმის რეჟიმით მცხოვრები სკოლა კი დღემდე ნამდვილ პედაგოგებზე დგას, რომლებიც, საბედნიეროდ, სკოლებში ჯერ კიდევ არიან, მართლა აღმზრდელებად დაბადებულები და მართლა მომავალი თაობის ცხოვრებით მცხოვრებნი. ისეთები, როგორიც ალესა და სანჩიოს მასწავლებელია, მთელი ლამე არ მიძინია მაგათზე დარდით და ახლაც თავს ვიმტვრევ, ესე იგი რაღაცა უჭირდათო, რომ წუხს.

რომანში მნიშვნელოვანი თავგადასავალია მატარებელი. იგი, თავისთავად მოძრაობისა და ცხოვრების მდინარების სიმბოლო-ცაა და ამ შეცნობის გზაზე სერიოზული გამოცდის, კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩენისა და დაუყოვნებლივი გადაწყვეტილების მიღების ადგილიც. ლილიკოს ამბავზე, რომელიც რამდენჯერმე არის ნახსენები ტექსტში, მაგრამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, აქ ყველაზე მეტს ვიგებთ. აქვე ისიც იკვეთება, რა მძიმეა ძმებისთვის ამ ტრაგედიის გახსენება და ისიც, როგორ მუდმივად დაატარებენ ტყუპები ამ დიდ ტკივილს, როგორ გაუნელებელ დარდად აქვთ გულში. ლილიკო რომანის ბოლო სცენაში კიდევ ერთხელ გამოჩნდება და თავის სათქმელს ამბობს (ამაზე ცოტა ქვემოთ).

ძმების ბოლო სათავგადასავლო პუნქტი მოხუცთა თავშესაფარი „შემოდგომის ყვავილებია“. ამ ადგილას ყველაზე დიდ დროს ატარებენ ძმები (არ ვგულისხმობთ პირდაპირი მნიშვნელობით საათების რაოდენობას), ამ თავშესაფარში ყველაზე დიდ გამოცდილებას იძენენ სანჩიო და ალე, რადგან მისი მცხოვრებნი უკვე სიცოცხლის შემოდგომას (ზოგიერთი ზამთარსაც) მიახლებიან და, შესაბამისად, გამოცდილებაც დიდი აქვთ, ავიც და კარგიც, ტკივილიც და სიხარულიც ბევრჯერ უნახავთ. მწერლის გადაწყვეტილებაც, ბევრი განსხვავებული თავგადასავალი მოასმენინოს ცხოვრების გზაზე ეს-ესაა შემდგარ ბიჭებს, მიზნად სწორედ მათთვის საბოლოო გაკვეთილის ჩატარებას ისახავს. ალე და სანჩიო უკვე საკმაოდ მდიდარი გამოცდილებით ალიჭურვნენ, ეს ორ-დღიანი მოგზაურობა მეტაფიზიკურად გზაზე დამოუკიდებლად გასვლის წინა მოსამზადებელი პერიოდია, სადაც ბიჭები ხან საკუთარი და ხან სხვისი ამბებით გამოცდილებას იძენენ. ბოლო

ნაბიჯი ზღვის ნახვაა. ამის შემდეგ მათ უკვე ყველაფერი თავად უნდა გადაწყვიტონ, თავად უნდა მიხვდნენ.

ნინო სადღობელაშვილის ეს რომანი მეორენაირადაც შეგვიძლია განვიხილოთ, მთლიანად სიმბოლური მნიშვნელობით. სახლიდან წამოსვლიდან ზღვასთან მისვლამდე განვლილი გზა მოზარდის მოზრდილად ქცევის დროა, ანუ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზადების პერიოდია, რომელშიც შესაძლოა ფიზიკური გადაადგილება სულაც არ იყოს საჭირო, საკმარისია მოზარდმა მენტალურად გაიაროს ეს გზა და შეიძინოს გამოცდილება. თუკი მხატვრულ ტექსტს ამ თვალსაზრისით შევხედავთ (რომანის სტრუქტურული მრავალპლანიანობა ამის საშუალებას იძლევა), მაშინ ყველა თავგადასავალი, რასაც მწერალი აღწერს, ძიების პროცესისთვის საჭირო წარმოსახვით მოგზაურობადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

დაბოლოს, მივადგებით ზღვას, რომლის გამოჩენასაც აღთქმულ მიწასავით ელოდება მკითხველი. რატომ მაინცდამაინც ზღვა? ამის ახსნა რთული არაა და ბევრი მიზეზი შეიძლება დავასახელოთ: ზღვა, როგორც უცხო, უცნობი გამოცდილება, რომელიც ამთავრებს ბავშვობის ასაკს, ზღვა – სისუფთავის, ცოდვების გამოსყიდვის, განწმენდის სიმბოლო და ვიტალური ენერგიის მიმნიჭებელი ძალა. ამ ყველაფერს კიდევ აქ მეორე მნიშვნელოვანი სიმბოლო აძლიერებს – შუქურა, როგორც სინათლის, სწორი გზის მჩევრებელი ორიენტირი, რაც უმნიშვნელოვანესია დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყისში. რომანის აქამდე რეალურად განვითარებული სიუჟეტი აქ უეცრად მისტიკაში გადადის და მწერლის კონცეფციისაც კრავს. როგორც მოიქცევიან ზღვის ნაპირას აღმოჩენილი ტყუპი ძმები? ეს კითხვა მკითხველს მთელი რომანის მანძილზე აწვალებს და ფინალს დიდი ინტერესით ელის. რა თქმა უნდა, ძმები სხვადასხვანაირად იქცევიან, ისე როგორც მანამდეც ბევრჯერ მომხდარა.

სანჩო პირდაპირ წყლისკენ გარბის და ზღვაში შევარდება ტანსაცმლიანად: „ეს ჩემი ზღვაა, ჩემი ღამეა და ჩემი დაბადების დღეა, როგორც იქნა, ვიგრძენი, რომ აქა ვარ – დედამიწაზე...“

სანჩო, ალესგან განსხვავებით, ზღვის ფიზიკური შეგრძნებით ივ-სება და ბედნიერდება.

ალე კი, ვისი იდეაც იყო დაბადების დღის ზღვაზე შეხვედრა, სულ სხვაგვარ გადაწყვეტილებას იღებს. იგი კოშკისკენ გაქანდება და კიბეებზე არბის ჩართული კამერით. ისეთი აღელვებულია, რომ ყველაფერი ერევა და ბუნებრივია, რომ იქ, სულ ბოლოში სასწაულს ელოდება: სინათლეს, გემს, გემბანზე ბოთლს, რომელშიც წერილია... ამიტომაც არ არის გასაკვირი, რასაც ხედავს. „ვუყურებ – ლილიკო! ხელს მიქნევს ლილიკო, ამოდიო, ბოლომდეო, უხმოდ მეუბნება, ავდივარ და კამერას ვერ ვიშორებ თვალიდან იმიტო რო, მეშინია, ვაღიარებ, იმიტო რო კამერა რო დავწიო, ვაიდა ლილიკო გაქრეს, მეშინია, ვაღიარებ, კამერა რო დავწიო, ვაიდა მართლა ლილიკო შემრჩეს...“

სულიერი ექსტაზისა და ეიფორიის მწვერვალზე იმყოფება ბიჭი, ლილიკო კი გამჭვირვალეა და ანათებს, ცეკვავს და თანაც ზღვასთანაა, სიწმინდესთან. ამ პასაჟით საბოლოოდ უსვამს წერტილს მწერალი იმ მოარულ ხმებს, რომლითაც ლილიკომ თავი მოიკლა. იგი უდანაშაულოა, უცოდველია, მსხვერპლია, მშვენიერებაა ამქვეყნიურ ბინძურ ჭაობში აღმოჩენილი და ვერგადარჩენილი, მოტყუებულია. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, სილამაზე და ცეკვა, რაც ლილიკოს მთავარი ნიშანია რომანში, მის ამ თვისებებს უსვამს სწორედ ხაზს. ლილიკო ინდივიდია, სამყაროს განსხვავებულად აღმქმელი: „ერთხელ ლილიკოს მისცეს დავალება – ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა დახატეთო. ლილიკომ დახატა დიდი ლურჯი ცა და ზედ ბევრი, ბევრი მანანნალა ძალლი, რომლებიც ვარსკვლავებს ლოკავდნენ“. ლილიკოს განსაუკრძალებულობა ფინალშიც დასტურდება. ალე ჯერ ვერ ხვდება, იგი, ზღვის სანახავად მომავალი, ლილიკოსთან როგორ აღმოჩნდა.

„ყველაფერს რომ გამოვქცეოდი და ზღვა მენახა, იმიტომ მოვედი აქ, ლილიკო, მაგრამ შენ აქ დამხვდი, ყველას მაგივრად, და ეს რას ნიშავს, რომ შენ გეძახდი?

– რაც არ ჩანს, ის დაინახე, შტერო, – ლილიკო, – ისევ, – უკვე თხუთმეტი წლისა ხარ, დროა!“

ეს ალბათ დის საბოლოო, ალესთვის კი პირველი უმნიშვნელოვანესი დარიგებაა მომავალი ცხოვრების დასაწყისში – მან სხვანაირი ხედვა უნდა გამოიმუშაოს, ფიზიკური თვალი გონების თვალად უნდა მომართოს, უკვე შეუძლია ეს, თხუთმეტი წლის გახდა და აეხილება, თუ მოინდომებს. და აქვე ბოლო, უპასუხოდ დარჩენილი კითხვა: „სიყვარულის მერე კიდე რამეა, ლილიკო?..“ ამაზე პასუხი უკვე თავად უნდა გასცეს, დამ რაც შეეძლო, უთხრა, მიანიშნა, გააბედინა, ყველაზე მთავარი ასწავლა – სიმაღლი-დან ხტომა. რადგან ერთი, უკვე დაძლეული სიმაღლე „სხვა სიმაღლეებს გაჩვევს“ და „სიმაღლის შიშს გიქრობს“.

რომანის ერთგვარად ღია ფინალი ტექსტის მრავალნაირი გააზრების საშუალებას იძლევა, თუმც ერთი რამ უდავოა: ცხოვრება მეტი არც არაფერია – სიმაღლის შიშის დაძლევა და ახალ-ახალი სიმაღლეების დაპყრობაა, რისთვისაც ძმები უკვე მზად არიან. ბოლო წინადადებაც – „ალეე! აინთო შუქურა! მოვდივარ! ალეე!“ – სინათლის გამარჯვებაზე, გამქრალ შიშსა და პირველ დამოუკიდებლად დაძლეულ სიმაღლეზე მიგვანიშნება.

აქ და ამით ალესა და სანჩიოს ცხოვრება იწყება.

მზია ჯამაგიძე

სივრცე შესაძლებლობების გარეშე: პოსტკოლონიური დისტოპია ცოტნე ცხვედიანის რომანში „მაიაკოვსკის თეატრი“

უტოპიებსა და დისტოპიებს, როგორც ლიტერატურის ჟანრებს, არსებობისა და შესწავლის ხანგრძლივი ისტორია გააჩინია. პოსტკოლონიურ კვლევებში კი პოსტკოლონიური უტოპიის ცნება ამ თეორიის ერთ-ერთმა გავლენიანმა თეორეტიკოსმა ბილ ექვროფტმა შემოიტანა; პოსტკოლონიურ უტოპიებზე მსჯელობისას იგი ეყრდნობა ერნსტ ბლოხის, ფრედერიკ ჯეიმსონის და სხვათა მოსაზრებებს და უტოპიის კონცეფციას განიხილავს არა როგორც ოცნებას სასურველ მომავალზე, არამედ უპირატესად, როგორც შესაძლებლობის ხედვას არსებული რეალობის გარდასაქმნელად; შესაბამისად, პოსტკოლონიურ მწერლობაში პოსტკოლონიური უტოპიების, როგორც ჟანრის იდენტიფიცირების ერთ-ერთი მახასიათებელი უტოპიური სულისკვეთებით გამსჭვალულობა და იმედის კულტივირებაა. თუმცა, ცხადია, იმედის კულტივირება თავისთავად არ გულისხმობს, რომ მომავლის სამყარო სრულყოფილი და ევტოპიური იქნება. უფრო პირიქით, კაცობრიობის ისტორიის განვითარებამ აჩვენა, რომ ყველა განხორციელებული უტოპია, ე. წ. „მიღწეული უტოპია“, საბოლოოდ დისტოპიად გადაიქცევა ხოლმე, იქნება ეს საბჭოთა სოციალისტური იმპერია თუ ნაცისტური გერმანია. დღეს ამავე კლასიფიკაციაში ათავსებენ 60-იანი წლების კულტურულ რევოლუციასა და ნეოლიბერალურ კაპიტალიზმსაც. ფრედერიკ ჯეიმსონი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლების საუპრობდა წარმოსახვის კრიზისზეც, რომ თანამედროვე ადამიანს/შემოქმედს წარმოსახვაშიც კი აღარ ძალუძს უტოპიების შექმნა და ეს არ არის მხოლოდ ამა თუ იმ შემოქმედის ინდივიდუალური შემოქმედებითი წარუმატებლობა, ეს უფრო სისტემური – კულტურული

და იდეოლოგიური ჩაკეტილობის თანამიმდევრული შედეგია“ (ჯეიმსონი 1982).

ტომ მოილანი და რაფაელა ბაკოლინი, რომლებიც უტოპიასა და დისტოპიას ლიტერატურის ჟანრების კუთხით შეისწავლიან, ორგვარი ტიპის დისტოპიის ჟანრს გამოყოფენ: კლასიკურ დისტოპიებს, რომლებშიც ინდივიდი სისტემის წინააღმდეგ მარცხდება და ტექსტი მომავლის ტრანსფორმაციის იმედიან სულისკვეთებას არ გვიტოვებს და კრიტიკულ დისტოპიებს, რომელშიც მებრძოლი ან უტოპიური მდგომარეობა არა მხოლოდ ამსხვრევს სისტემის ჰეგემონურ ჩაკეტილობას, არამედ თვითრეფლექსიურად ანტიუტოპიურ ცდუნებაზეც უარს ამბობს. ამ შემთხვევაში ნაგულისხმევია, რომ ანტიუტოპიზმი აქტიურად უპირისპირდება და ეჩინააღმდეგება ფანტაზიასა და ალტერნატივების ძიებას. დისტოპიის ჟანრის იდენტიფიცირებისას, ასევე ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, მიუთითებს თუ არა დისტოპია გარდუვალ დასასრულზე. „ჩვენ ვკითხულობთ კრიტიკულ დისტოპიებს, როგორც ტექსტებს, რომლებიც ინარჩუნებენ უტოპიურ იმპულსს, უტოპიურ იმედს, რადგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დისტოპიას გაფრთხილებად მივიჩნევთ, ჩვენ, როგორც მკითხველს, შეგვიძლია მისი პესიმისტური მომავლიდან გაქცევის იმედიც გვქონდეს“ (მოილანი, ბაკოლინი 2003). ხოლო კლასიკურ დისტოპიაში ნაკლებად არის მოსალოდნელი ტრანსფორმაციისა და სამომავლო განვითარების გზების დასახვა, ახალი ნარატივის კულტივირება და ა.შ.: „კლასიკური დისტოპია შეიძლება მხოლოდ თავის დახსნის აუცილებლობაზე მიუთითებდეს, მაგრამ არა იმაზე, თუ რა შეიძლება ვიპოვოთ, ან რა უნდა გავაკეთოთ, როდესაც წავალთ“ (ლევიტასი 2013).

ვფიქრობთ, ამ პერსპექტივიდან შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების გამოცდილება, რადგან ამ საზოგადოებებს აქვთ ჯერ სოციალისტური კომუნიზმის უტოპიური იდეალებით ცხოვრების გამოცდილება, ამის შემდგომ უკვე საკუთარ ცხოვრებასა და სიცოცხლეზე აქვთ ნაწვნევი – როგორ იქცა ეს უტოპიური იდეალები დისტოპიურ, სასტიკ რეალობად, რომელსაც ნაციონალური

ანტისაბჭოური უტოპიური მისწრაფებებით დაუპირისპირდნენ; საბოლოოდ კი, განსაკუთრებით ფერადი რევოლუციების შემდგომ, ყველა ეს უტოპიური მისწრაფება როგორ ჩაანაცვლა ნეოლიბერალური გარდაქმნისა და ღირსეული სამოქალაქო საზოგადოების შენების ასევე უტოპიანისტურმა პერსპექტივამ. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საინტერესოა, როგორ აფასებს დღეს ქართული საზოგადოება საკუთარ გამოცდილებას გლობალური დრო/სივრცის გათვალისწინებით, რა ღირებულებებს ეფუძნება ჩვენი საზოგადოების უტოპიური იდეალები, ან რა ტიპის გამოცდილება დაგროვდა დველი იდეოლოგიურ/ლირებულებითი მარცხებით. სწორედ ამ საკითხებს ეხმიანება თანამედროვე ახალგაზრდა ავტორის, ცოტნე ცხვედიანის რომანი „მაიაკოვსკის თეატრი“ (2016). რომანის ძირითადი სიუჟეტური ხაზი საქართველოს ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქ ბალდათში (რომანის მიხედვით, მაიაკოვსკიში) ვითარდება და ამ ქალაქში მცხოვრები ერთი ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს. ალექსი, უმცროსი ძმა, უფროსი ძმის – თუთას ცხოვრების, მისი მშობლიური ქალაქიდან ექვსჯერ გაქცევის მცდელობის ამბავს გვიყვება. ამბის პარალელურად, ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულის პოლიტიკური და სოციალური ტრანსფორმაციული პროცესების მთხოვნელისეულ რეფლექსიასაც ვეცნობით, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მამებისა და შვილების თაობათა ცნობიერებას შვილების თაობის პერსპექტივიდან დავაკვირდეთ. გასული საუკუნის 70-იანი – 80-იანი წლების თაობის წარმომადგენლები საკუთარ ძირითად მისიად საბჭოთა სისტემის დაშლასა და ქვეყნისთვის თავისუფლების მოპოვებას მიიჩნევდნენ. ლიტერატურისა და კულტურის მეშვეობით კულტივირებული ეს მისია ერთგვარ უტოპიანისტურ მიზნად იყო ქცეული, თუმცა როგორი უნდა ყოფილიყო ეს თავისუფალი ქვეყანა და ამ ქვეყანაში საზოგადოების ცხოვრების პერსპექტივა, ამაზე ქართველ საზოგადოებას კონკრეტული წარმოდგენა არ გააჩნდა და ქართულ კულტურაშიც საკმაოდ ბუნდოვანი სულისკვეთების ფორმით იყო რეპრეზენტირებული (წიფურია 2016). რომანში მთხოვნელი მამათა თაობას „ჯინსების თაობად“ მოიხსენიებს და იმ თაობის სულისკვეთების საუკეთესო

რეპრეზენტაციად მამამისის კაბინეტში დაკიდებულ ჯიმ მორი-სონისა და რეიგანის სურათებს მიიჩნევს; შვილის აზრით, ამ ორის ერთდღოულად სიყვარული მხოლოდ იმ თაობის წარმომადგენ-ლებს შეეძლოთ, „სინამდვილეში კი არც ერთის ესმოდათ და არც მეორის.“ ეს იყო თაობა, რომელსაც სოციალური იერარქიის სტრუქტურაში პოზიციის ცვლილება რამდენჯერმე მოუხდა. რო-გორც მთხოობელი ამბობს, მამამისმა „ქუჩის ბიჭობაც მოას-წრო, ექიმობაც და ბიზნესმენობაც.“ მართალია, მამათა თაობის უტოპიანისტურმა სულისკვეთებამ და მცდელობამ შედეგი გამო-იღო – ქვეყანას პოლიტიკური თავისუფლება მოუტანა და ფაქ-ტობრივად, 90-იანი წლები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ანტისაბ-ჭოური ნაციონალირი უტოპიის რეალიზების ფაზაა, მაგრამ დამდგარი რეალობა შორს იყო იმ წარმოდგენებისგან, როგორც მას საბჭოთა პერიოდში წარმოისახავდნენ საოცნებო მომავალის სახით – შედეგად კი „თავისუფლების ანარქიაში გადაზრდილი“ დისტოპიური ყოფა მიიღეს.

თანამედროვე ქართულ კულტურაში იმ თაობის საქმიანობა – დამნაშავეობიდან მსხვერპლობამდე საკმაოდ წინააღმდეგობრივი განცდებისა და მიმართებების მთელი სპექტრით არის წარმოდ-გენილი. ამ კონკრეტული ტექსტის მიხედვით კი, შვილის პოზი-ციით, მამათა თაობა მსხვერპლია. მთხოობელი ასე ახასიათებს მამას: „გზის დასაწყისში მასაც სძულდა ყველაფერი მამისეული, საბჭოთა წესები. ბრძოლის დასასრულს კი თვითონ იქცა მამად ვალებულებებით. მის გონებაში ყველანაირ იდეალისტურ მიზნებს ხაზი გადაესვა, სამაგიეროდ, შერჩა ოჯახი, რომელსაც პატრო-ნობა სჭირდებოდა. ამიტომ მამას უნდოდა მანქანად ქცეულიყო, რომელიც ყოველგვარი ემოციების გარეშე იმოქმედებდა, ზოგჯერ ახერხებდა ამას. ყველაზე მეტად კი ინფანტილური იდეალისტუ-რი აზრები აღიზიანებდა. ყველზე დიდი მიზეზი, რომ მამა მოძა-ლადედ იქცა, იმის განცდაა, რომ თვითონ იყო უსამართლობის მსხვერპლი. იმის შეგრძნება, რომ მის წინაშე იმდენი დანაშაული მოუძღვით, რომ ახლა ყველაფერი ეპატიება.“ ზოგადად, კოლო-ნიურ კონტექსტში დამოუკიდებლობამდელ პერიოდში შექმნილ უტოპიებს ანტიკოლონიური აქტივიზმი გამოარჩევს. თავისუფ-

ლების მოპოვების შემდგომ კი ეს ფოკუსი იკარგება და როგორც წესი, დამოუკიდებლობისშემდგომი პოლიტიკური ცხოვრების საშინელ რეალობად გარდაიქმნება ხოლმე. ცხადია, არც ქართული გამოცდილება გახლდათ გამონაკლისი. მართალია, მამათა თაობის მთავარი მიზანი შესრულდა, ქვეყანა დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, თუმცა მათ ცნობიერებაში მაინც არსებობს განცდა, რომ „ოცნება თავისუფალ ქვეყანაზე ვერ ახდა“. სწორედ ამიტომ თუთას მამას, შვილის ყოველი გაქცევის შემდგომ, სადღაც გულის სიღრმეში იმედი აქვს, რომ ის არ დაბრუნდება, მას ვერ იპოვნიან, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციასთან ერთად თავად აორგანიზებს ხოლმე შვილის ძებნის პროცესს. რაც მიუთითებს, რომ მართალია, ამ თაობამ საკუთარ იდეალებსა და ლირებულებებზე უარი თქვა, ან მოუნია სხვადასხვა მიზეზის გამო უარი ეთქვა და ეს გაცნობიერებულიც აქვთ, რომ „ისინი საკუთარ თავებთან ბრძოლაში დამარცხდნენ,“ თუმცა უტოპიანისტური იდეალებისა გულის სიღრმეში მაინც სწამთ. ამიტომ არის მამისთვის მტკიცნეული თუთას ყოველი შინ დაბრუნება. „რატომ დაბრუნდა?“ – კითხულობს ის. დაბრუნება ნიშნავს, რომ ვერც შვილების თაობა შეძლებს უკეთესი სამყაროს კონსტრუირებას; დაბრუნება უტოპიანისტურ სულისკვეთებაზე უარის თქმას და რეალობასთან შეგუებას ნიშნავს. ის რეალობა კი, რომელიც მამათა თაობამ შექმნა, ტექსტის მიხედვით, გეტოა, „მაიაკოვსკი გეტოა, სადაც ადგილობრივი ძალაუფლებრივი მიმართებები ადგენს დღის წესრიგს, სადაც ამ რეჟიმისგან თავის დაწესევის სულ ორი გზაა: ან თვითრეალიზდები და აქედან გაიქცევი ან ცოტა თავისებური ბიჭის იმიჯს მოირგებ და თავს დაგანებებენ. დღის წერიგი თავისებურ ტიპებზე მხოლოდ ნაწილობრივ ვრცელდება“. ანუ ეს სივრცე მხოლოდ ორ შესაძლებლობას ტოვებს – გაქცევის ან მარგინალიზების.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარი ალექსანდრ ეტკინდი მიიჩნევს, რომ ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებში დღეს განსაკუთრებით აქტუალური და პრობლემატურია სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხები, რისი მიზეზიც თავის დროზე საბჭოთა და პოსტსაბჭოთა

სივრცის მმართველი ელიტების მოუმზადებლობა, უფრო ზუსტად, იმ სურვილის არქონა გახლდათ, რომ მოსახლეობის უმრავლესობასთან გაეზიარებინათ ძალაუფლება და შემოსავლები. ამან კი, თავის მხრივ, „უფრო დიდი სოციალური სამართლიანობის შესახებ მასობრივი მოთხოვნა გააჩინა“. ავტორის აზრით, სწორედ ამ მიზეზმა განაპირობა ფერადი რევოლუციების ტალღა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ფერადი რევოლუციებით საზოგა-დოებებში გაჩნდა იმედი, რომ სასურველი მომავალი დადგა, რომ უზრუნველყოფილი იქნება ძირითადი სამოქალაქო უფლებები, სამართლიანი არჩევნები, სასამართლო, რომ კორუფცია აღმოიფხვრება და ეკონომიკური კეთილდღეობა ყველასთვის საგრძნობი გახდება. სახელმწიფო გადავა „სახელმწიფო, როგორც პრობლემა“ მოდელიდან „სახელმწიფო, როგორც პრობლემების გადაწყვეტის“ მოდელზე (ეტკინდი 2018). თუმცა, თუ ამ პროცესებს საქართველოს პროვინციული ქალაქის პერსპექტივიდან დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ბევრი არც არაფერი შეცვლილა, თუმცა ეს ცვლილება რომანში ერთგვარი შესაძლებლობის ფორმით ნარმოჩნდება. მაგალითად, „თუ აცნობიერებ რომ გეტომი ცხოვრობ, არსებობს მზა რეცეპტები, რომებიც პიროვნულ თავისუფლებასა და საკუთარი თავის რეალიზაციის სტრატეგიებზე აგებული. უნდა იშრომო და ისნავლო, რომ მაღალ ფენაში გადაინაცვლო.“ რომანის მიხედვით, ჩანს, რომ ეს მხოლოდ მოჩვენებითი შესაძლებლობაა, მხოლოდ ილუზიას ქმნის, რომ ყველაფერი რიგზეა, რომ ძალაუფლების ახალი, ღია სისტემა თანაბარ შესაძლებლობას ანიჭებს ყველას, გაიუმჯობესოს პოზიცია ახალ სოციალურ იერარქიაში, რათა შეიქმნას ახალი ელიტა, რომლის ცნობირებაც ახალ ღირებულებებს დაეფუძნება. რეალურად კი ეს ცვლილებები, განსაკუთრებით ქვეყნის პროვინციებში, სისტემის ფუნქციონირების შინაარსობრივ დონეზე თითქმის არაფერს ცვლის, ან მხოლოდ ფორმის თვალსაზრისით იცვლება ცალკეული დეტალები. მაგალითად, როგორც მთხოვნელი გვიყვება, „ამ ხნის განმავლობაში დიდი არაფერი შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ფერადად განათებულ შენობას. გეტომი ისევ ძველებურად იყო ჩაკეტილი ხალხი“, ძალაუფლების

სტრუქტურაც არ გარდაქმნილა, უბრალოდ, „კრიმინალების ადგილი პოლიციელებმა დაიკავეს“.

თუმცა, როგორც დისტოპის ჟანრის მკვლევარები აღნიშნავენ, ეს მდგომარეობაც კანონზომიერი პროცესია. რევოლუციის შედეგები შეიძლება არასოდეს იყოს ისეთი, რისი იმედიც გვაქვს და დემოკრატია არ აღმოჩნდეს ისეთი ევტოპია, როგორსაც ველოდით. დისტოპიური ჟანრის ტექსტი, ჩვეულებრივ, პირდაპირ საშინელ, ახალ სამყაროში იწყება და უნდა გამოჩნდეს პერსონაჟი, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს დისტოპიური საზოგადოების ღირებულებებს. ამასთანავე ტექსტი აგებული უნდა იყოს რეალობის ჰეგემონური წესრიგისა და პერსონაჟის წინააღმდეგობის კონტრარატივის დაპირისპირებით. ცოტნე ცხვედიანის რომანში დისტოპიური ჟანრის ეს კანონზომიერებები გათვალისწინებულია. რომანის მთავრი პერსონაჟი თუთა უპირისპირდება როგორც მამათა თაობის ღირებულებებს, ასევე ფერადი რევოლუციების შედეგად გარდაქმნილი პოლიტიკური სისტემის ახალ წესრიგსაც. მას ისიც გაცნობიერებული აქვს, რომ ასე ინდივიდუალური ამბოხით, მხოლოდ გეტოდან გაქცევით ან გეტომი საკუთარი წარმატებული ისტორიის შექმნით, სისტემა ვერ გარდაიქმნება, ამიტომ მას უფრო დიდი უტოპიური მისწრაფება აქვს. მისი მიზანი ადგილობრივი საზოგადოების ცნობიერების, მათი რეალობასთან მიმართებების შეცვლაა. თუთას მსჯელობით, „ბრძოლის ამ ეტაპზე წინააღმდეგობა, რომელიც ეფუძნება საღაზრს და ლოგიკას, მხოლოდ აძლიერებს სისტემას და კიდევ უფრო ძლიერად აკანონებს ჩაგვრას. საჭიროა სრულიად არარაციონალურ აზრებზე დაფუძნებული სტარტეგიები, რომელთა შემსრულებლები განწირული არიან მარცხისა და მარგინალიზების-თვის. შეშლილთა ხომალდები, რომლებიც გავლენ, უკლებლივ ყველა ჩაიძირება, მაგრამ ისინი გაუკვლევენ გზას სხვა მეზღვაურებს, გაჰყვებიან შეშლილთა ხომალდების ნამსხვრევებს.“

საბჭოთა პერიოდში საბჭოთა სისტემის ჩაკეტილობას მიეწერებოდა მამათა თაობის ნაივური, უტოპიური წარმოდგენები სამყაროზე, რამაც შედეგად 90-იან წლებში სამოქალაქო ომი, დესტრუქცია და უამრავი ეკონომიკური და საოციალური პრობ-

ლემა მოიტანა. შვილების თაობა, მართალია, სხვა რეალობაში ცხოვრობს, თანამედროვე პოლიტიკური სისტემაც თვისებრივად გარდაქმნილია და ლიბერალურ დემოკარტიულ ღირებულებებზეა დაფუძნებული; გლობალურ სივრცესთან ურთიერთობა შეზღუდული არაა და თავისუფლად შეიძლება ეკონომიკური, პოლიტიკური თუ შემოქმედებითი ინტერაქცია სამყაროსთან, მაგრამ თუთას სულისკვეთება და წარმოდგენა რეალობასა და მომავლზე მაინც კვლავ ნაივური, იდეალისტური და უტოპიური რჩება. თუთას წარმოსახვით შექმნილ სამყაროში მნიშვნელოვანია ყველას შეეძლოს ფრენა, ყველას ჰქონდეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა, მაგრამ მისი წარმოსახვა მხოლოდ სულისკვეთების გამომხატველია და არ არსებობს კონკრეტული წარმოდგენები ან გეგმა ამის შესახებ, როგორ უნდა დაიშალოს სოციალური ან პოლიტიკური სისტემის ტრადიციული იერარქიული მოდელი. თუთას ამ უტოპიანისტურ სულისკვეთებას, ტექსტის მიხედვით, მფრინავი ყვითელი ფეხსაცმელები გამოხატავს. მართალია, დასაწყისში „ყვითელმა მფრინავმა ფეხსაცმელებმა სამყარო ამოატრიალა და ფსკერის ადამიანები ყველაზე მაღლა, ცაში მოახვედრა“, თუმცა ამან რეალობა ვერ შეცვალა, „პირიქით, ამის გამო უფრო მეტად დამცირდნენ სხვა მოქალაქეების თვალში. უნდა ნახოთ, როგორ დასცინიან ქალაქელები პროვინციიდან ჩამოსულ წყვილებს, რომლებმაც ახლახანს გაიგეს მფრინავი ყვითელი ფეხსაცმელების ამბავი და ხელიხელჩაკიდებულები დაფრინავენ.“

ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მომავლის განჭვრეტის პროცესში პრობლემის სახით „წარმოსახვის კრიზისულობა“ წარმოჩნდება, რაც არა მხოლოდ ლოკალური, არამედ, ფრედერიკ ჯეიმოსინის აზრით, გლობალური მასშტაბით კაცობრიობის სიმპტომია. მართალია, ლოკალური გარემოში თანამედროვე ქართველი ახალგაზრდა თაობის მიერ ყველაზე უტოპიური და თამამი მომავლის წარმოსახვა, ტექსტის მიხედვით, თუთას მოთხოვობაშია მოთხოვობილი, თუმცა ტექსტში ასევე ჩანს, რომ ამ წარმოსახვის ავტორს ფანტაზიაშიც კი არ სჯერა, რომ მის სულისკვეთებასა და მცდელობას რაიმე სასიკეთო ზეგავლენის მოხდენა შეუძლია რეალობაზე. წარმოსახული უტოპიის განხორციელების შესაძ-

ლებლობაც რომ ჰქონდეს, მის წარმოსახვას მაინც არ მივყვართ მომავლის ევტოპისკენ, რადგან თუთამაც იცის, რომ კაპიტა-ლიზმის, როგორც სისტემის კულტურული და ეკონომიკური ლო-გიკა თავის წესებს დაუქვემდებარებს ყოველ ახალ წამოწყებას. მის მოთხოვნაშიც ასე ხდება: როგორც კი ჩინური წარმოების მეშვეობით, მფრინავი ფეხსაცმელები ხელმისაწვდომი გახდა, „ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ქალაქის მერმა პირ-ველმა განაცხადა, რომ დარბაისელ მოქალაქეებს ჰაერში გამო-კიდება არ შევნით. კი ბატონო, ბავშვებმა იფრინონ, მაგრამ ნამ-დვილმა მამაკაცებმა დინჯი ნაბიჯებით უნდა იარონო... ადგა და მეორე დღეს თავისი ჯიპით თუ ლიმუზინით წავიდა სამსახურში. მერე მას სხვა მდიდარმა ადმიანებმა მიჰპაძეს. ინტელიგენციამაც უარი თქვა ყვითელ ფეხსაცმელებზე. პოეტებმა განაცხადეს, რომ ადამიანებმა არტისგან მიღებული ესთეტიკური განცდებით უნდა შეძლონ ამაღლება და არა მახინჯი ფეხსაცმელითო. სხვებმა რწმენის გარეშე ფრენა გამორიცხეს, ჰოდა, ისევ გაჩნდა ქალაქში საცობები. ერთხანს ღარიბი მოქალაქეები ისევ ფრენით დადი-ოდნენ სამსახურში, მაგრამ მალე ისინიც ავტომობილებში ჩასხ-დნენ, სხვები – ავტობუსებში. ბოლოს ქალაქში მარტო ბოშები, უსახლკაროები და ლოთები დაფრინავდნენ“.

როგორც ბილ ეშკროფტი განმარტავს, ჰეგემონური იდეოლო-გიის საფუძვლიანი კრიტიკა მხოლოდ სხვა ალტერნატიული იდე-ოლოგიის პოზიციიდან არის შესაძლებელი. სწორედ აქ იჩენს თავს გლობალური მასშტაბით წარმოსახვის კრიზისულობა, რად-გან არ არსებობს თეორია, თანმიმდევრული მოძღვრება, რა შე-იძლება მოიაზრებოდეს თანამედროვე სამყაროს მოწყობისა და იდეოლოგიური ნარატივების ალტერნატივად. სწორედ ეს განა-პირობებს თუთას ყოველი წამოწყების მარცხსაც. საბოლოოდ, რეალობის გარდაქმნის მისი მცდელობები საკმარისი რომ არ არის, ამას თუთაც აღიარებს: „მე არ შემიძლია აქ ცხოვრება... ჩვენ ამოვარწყიერ მომავლის ცრუ იმედები და წარსულის ყალბი მითები, პატრიოტული ლოზუნგები, დრომოქმული ტრადიციები, გამართულ კარიერაზე ოცნება, მაგრამ ამან მხოლოდ ის მოიტანა, რომ ახლა ცარიელები ვართ. მე უბრალოდ წაჭრისგან გამოჭრილი

თოჯინა ვარ და ჩემ გარშემოც ზუსტად ასეთი სათამაშოები არიან. მათი ტომარა, რომელიც ტანის ფუნქციას ასრულებს, ჯერაც გამოტენილია ნაგვით და ისინი ჯერ კიდევ მყარად დგანან... ახლა ერთადერთი, რაც შემიძლია გადარჩენისთვის გავაკეთო ისაა, რომ სასწრაფოდ ვიპოვო ახალი ნაგავი იდეა, რომლითაც სხეულს დავიმაგრებ. თავის დაჭრას შევძლებ, უბრალოდ, იმ ყველაფერს, რომ ახალი ცოტათი გასხვავებული ნაგვით ვარ სავსე, მხოლოდ რამდენიმე დღეს ექნება მნიშვნელობა. ცოტაც და ყველა ნაგავს ერათნაირი მყრალი სუნი ექნება. ამის გაცნობირება მარტივი, მაგრამ საშიშია. კიდევ რამდენ ხანს გაძლებ ცარიელი ტომრით ფორმის გარეშე?“

ამდენად, თუთა ეგუება თავის ხვედრს. ტექსტის დასაწყისში მისი ამბიციური ოცნება სამყაროს გარდაქმნის შესახებ ტექსტის ბოლოს მხოლოდ ინდივიდუალური გადარჩენისთვის ბრძოლად გადაიქცევა. მისთვის საკმარისია ადგილობრივი თეატრის მსახიობი გახდეს, შემოქმედებითი საქმიანობა დაიწყოს და ამით იყოს ბედნიერი; თუმცა რეალობა არც ამის შესაძლებლობა უტოვებს, რადგან ამ შეთხვევაში კიდევ ერთ, გაბატონობულ ტრადიციულ რელიგიურ იდეოლოგიასთან უნევს დაპირისპირება. მაიაკოვსკის თეატრი ყოფილი ეკლესიის შენობაშია განთავსებული, ამიტომ ეკლესიის წარმომადგენლები და მრევლი მიიჩნევს, რომ თუთას საქმიანობა მკრეხელობაა. პრინციპულად არ დადიან თეატრში, ითხოვენ თეატრის დახურვას და როგორც ყოველთვის, ისინი იმარჯვებენ – თეატრს დახურავენ. თუმცა რეალობის ირონიაა, რომ გაუქმებული თეტარის ადგილას ეკლესია არ აღდგენილა და არც წირვა-ლოცვა დაწყებულა, შენობა აუქციონზე გაიტანეს და სავარაუდოდ, კვლავ რომელიმე ჩინოვნიკის საკუთრება გახდა. ასე რომ, ტექსტის ბოლოს ლოგიკურად ჩნდება განცდა, რომ ერთადერთი შესაძლებლობა, რასაც ეს სივრცე ტოვებს, სიკვდილის, თვითმკველელობის შესაძლებლობაა. მთხოვბელი თავად მიდის იმ დასკვნამდე, რომ სიკვდილი ერთადერთი რეალური არჩევანია თუთასთვის. მას თავად მიაქვს თოფი ძმასთან. „ამ თოფით ჩემი მმა საომრად წავა. გეგმის მიხედვით, შიდა ქართლში საოკუპაციო ზოლს გადაივლის, პირველსავე საგუშაგოზე ჯარისკაცს

ესვრის და მერე თვითონაც დაიღუპება. ეს მისი ბოლო სპექტაკლი იქნება, ერთადერთი გზა, რომ მისგან გავთავისუფლდეთ. ახლა სახლში ზის და ცოცხლად ლპება. მისი სიმყრალე კი დედაჩემსაც კლავს და ჩემს პატარა დასაც.“

ვფიქრობთ, ეს ტექსტი რომ თანამედროვე დისტოპიად უნდა განვიხილოთ, ამაზე ტექსტში გამოყენებული ორი საინტერესო ალუზიაც მიგვანიშნებს. ქალაქი ბალდათი, რომელშიც სიუჟეტი იშლება, ძველი, საბჭოთადროინდელი ეტიმოლოგით – მაიაკოვსკის სახელით მოიხსენიება. ცნობილია, რომ სოციალისტური სამყაროს უტოპიური მიზნების გულწრფელად სჯეროდა გასული საუკუნის დასაწყისში ბალდათში დაბადებულ პოეტს ვლადიმერ მაიაკოვსკის, თუმცა, მისი სულისკვეთების საპირისპიროდ, რეალობა იმდენად სასტიკი და დისტოპიური აღმოჩნდა, რომ მან 1930 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე; ხოლო მეორე მინიშნებით, ავტორი თუთას სულისკვეთების დაკავშირებას ჯეიმს ჯონისის პროტოტიპ სტივენ დედალოსთან ცდილობს. ბალდათისკენ მიმავალი მთხოვბელი, გზად ჯეიმს ჯონისის „ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტს“ კითხულობს და მასში „იკაროსისა და დედალოსის“ მითის თუთას მიერ დაწერილ ვერსიას იპოვის. სტივენ დედალოსი კარიერის დასაწყისში ჯეიმს ჯონისის ფსევდონიმი გახლდათ და იკროსისასა და დედალოსის მითი ჯონისის როგორც შემოქმედებაში, ისე მის რეალურ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა. ცნობილია, რომ ჯეიმს ჯონისიც გაქცეული იყო მშობლიური ირლანდიიდან, ემიგრაციაში ცხოვრობდა და მხოლოდ ერთხელ, მცირე ხნით დაბრუნდა სამშობლოში. ამის გამო, როგორც ჯონისი შემოქმედების მკვლევარები აღნიშნავენ, საკუთარ შემოქმედებაში ის არაერთხელ კიცხავს საკუთარ თავს, რომ ის საფრანგეთში გაფრინდა, როგორც ამპარტავანი დედალოსი და დუბლინში დაბრუნდა, როგორც დამცირებული იკაროსი. მწერალი ასევე საკუთარ თავს უწოდებს პერდიქსს, ფრინველს, რომელსაც მაღლა და შორ მანძილზე ფრენა არ შეუძლია. ამდენად, ეს მითი, როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, არის ზოგადად, შემოქმედი ადამიანის რთული ცხოვრების მეტაფორა.

ამ მითის თუთასეულ ინტერპრეტაციაში იკაროსს მიაჩნია, რომ კრეტადან გაქცევა გამოსავალი არ არის, რადგან გაქცევა თავისუფლებას არ ნიშნავს და სადაც არ უნდა გაფრინდნენ, იქაური მეფის ტყვეობაში აღმოჩნდებიან. დომინანტურ იდეოლოგიებს ვერ გაექცევიან. გაფრენა კი აუცილებელია, ამიტომ იკაროსის აზრით, „არც ერთ კუნძულზე არ უნდა დავეშვათ, მუდმივად უნდა ვიფრინოთ“ – ეუბნება იგი მამას. ხოლო მამის შენიშვნას, რომ ბოლოს, როცა ძალა გამოეცლებათ, დაიღუპებიან და მაინც მინაზე დაეცემიან, იკაროსი არ ეთანხმება. მისი მოსაზრებით, მანამდე მზემდე მიაღწევენ, დაიწვებიან და მინას მხოლოდ სითბოდ და ენერგიად დაუბრუნდებიან, რომელიც სხვებსაც მისცემს ძალას, გაფრიდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ტექსტში ამ მითის ფუნქციად მოაზრებულია თუთას თვითმკვლელობაში არა დისტოპიური რეალობის სისასტიკე, არამედ კვლავ უტოპიური სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანის პერფორმანსი დავინახოთ; თუმცა, რაც არ უნდა იდეალისტი იყოს მკითხველი, მაინც რჩება განცდა, რომ პერსონაჟის ეს „თავის მოკვლევინების აქტიც“ მის უკანასკნელ და ამჯერადაც ამაო მცდელობად დარჩება.

ასე რომ, ვფიქრობთ, ჩვენ მიერ განხილული ტექსტის როგორც თემატური და სიუჟეტური აგების პრინციპები, ასევე შინაარსობრივ/იდეოლოგიური პოზიციაც შესაძლებლობას იძლევა, განვიხილოთ ის, როგორც თანამედროვე ქართული პოსტკოლონიური დისტოპია.

კეთილი-ბოროტის დიქოტომია ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“

ოთარ ჭილაძის რომანი „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ კეთილი-ბოროტის შეურიგებელი თანაარსებობის პროცესია, ასახვა იმისა, თუ რა გზას განლევს ერთის ან მეორის სახედ ქცეული ადამიანი. კითხვაზე პასუხს კი – რომლის ხატად გვიტარებია ცხოვრება, მხოლოდ ჩვენი სულის მდგომარეობა გასცემს

ერთიც და მეორეც ადამიანის მიერ შინაგანი გზის გაკვალვას იმ დროიდან მიყვება ფეხდაფეხ, რა წამსაც მან ცხოვრების ათვლა დაიწყო. ორივე მათგანი გამალებით ელოდება იმ გადამწყვეტ ნაბიჯს, რომელიმესთვის უტყუარ ნიშნად რომ გამოდგება – საჩემოდ ყოფილა ეს კაცი დაბადებულიო და იმ წამსვე სრულად დაეპატრონება მის გულსა და გონებას. ბოროტი ფეხდაცდენილ სულს წამოეწევა ხოლმე და კიდევ უფრო ქვემოთ ექაჩება – ადამიანური დალმასვლის სულ ბოლო საფეხურზე, სადაც გონება სრულიად თავისუფლდება ყოველგვარი საზრისისგან, ხოლო სხეული მძიმდება ცხოველური თვითგადარჩენის უსაგნო ჟინით. როგორც მიტოვებულ ეკლესიას დაეპატრონებ აეშმაკი, ისე ამ სხეულის მიერ მიტოვებულ სულში დაისადგურებს ბოროტი. ყოველი გათენებული დღის საზრუნვავი მხოლოდ ხორციელი არსებობის გახანგრძლივებაა, რადგან ბოროტისთვის შეუცნობელია საკუთარ თავს მიღმა რაიმე სხვა მიზნისთვის გარჯა.

კეთილი – პირიქით, ადამიანის შველაა! ის არათუ შორს დგას აბსურდული სიცარიელისგან, არამედ, რაც შეიძლება მეტი ადამიანის ხსნითაა აღსავსე და არა თავის უმიზნო შემონახვას, არამედ საკუთარ თავს მიღმა ყოველის გაკეთილშობილებას ემსახურება.

სწორედ ეს დიქოტომიაა წარმოდგენილი რომანში, სადაც თითოეული პერსონაჟი აუცილებლად იკავებს რომელიმე ერთ მხა-

* თსუ შურნალისტიკის ფაკულტეტის მაგისტრი.

რეს. ოლონდ ეს არ არის ურყევი მოცემულობა. მთელი სიამოვნება სწორედ ამ გარდასვლის საკუთარ თავში აღმოჩენა და განცდაა. ჩვენება იმისა, თუ როგორ გამოიცვლება სამყაროზე უკიდურე-სად გულაცრუებული ადამიანიც კი, თუკი ხორციელი სიმძიმის მიღმა რაღაც უფრო ღირებულს დაიგულებს.

კეთილ-ბოროტის დიქოტომიის ძირითადი ხაზი ანასა და ქა-იხოსროსთანაც ცხოვრებაზე გადის, რასაც მათი გადაკვეთით მიღებული შთამომავლობა აგრძელებს. რომანი ანას ცხოვრების სიუჟეტით იწყება. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ მის დასრულებამ-დე ერთპიროვნული პროტაგონისტი სწორედ ანაა, თუმცა მალევე იგრძნობა, რომ ანა ღირებულია არა მხოლოდ როგორც პერსონა-ჟი, არამედ, პირველ რიგში, როგორც სიკეთის უწყვეტი სიმბოლო, რომელიც არსებობას დანარჩენ პერსონაჟებში განაგრძობს და ამით ეზიარება უსასრულობას. რომანი ერთი დიდი წრის შე-ერთებაა. მის დასაწყისში სწორედ ანაა სიკეთის ის პატარა მარ-ცვალი, რომელიც, მიუხედავად მკაცრი ზამთრის მუქარისა, წრის ბოლოს ალექსანდრეს სახით უკვე ამაყად ყელმოღერებული დე-როა. ანას პერსონაჟის მოვალეობა სწორედ იმის ჩვენებაა, თუ რა ძალა შეიძლება ჰქონდეს სიკეთის თუნდაც, ერთი შეხედვით, უძალოდ, აარარაობად ჩათვლილ მარცვალს, რომელიც ერთხელ თუ ჩაითესა, ყინვის რაგინდ მკაცრი ხელიც არ უნდა მოხვდეს, მზის შუქს აუცილებლად იხილავს!

რაც მთავარია, ეს არაა ზღაპრული სამყაროს მითოლოგიური სიკეთე. ის ძალიანაც ნამდვილი და ყოველდღიურია. ანასეული სიკეთის არსებობა მნიშვნელოვანია ადამიანის ყოფის როგორც პიროვნულ, ისე სახელმწიფოებრივ და უფრო მაღალ – ზოგად-საკაცობრიო საფეხურზე. დამოუკიდებლობადაკარგულ ქვეყანა-ში მარტივად ამოიკითხება ადამიანთა ეს ორი კატეგორია: ისი-ნი, ვინც იაზრებდნენ ამ ტრაგედიის მნიშვნელობას, საკუთარი ძალისხმევით ეწინააღმდეგებოდნენ ეროვნული ბედის წახდენას – ანუ კეთილნი და მათი მოპირისპირენი, ვისი გამოფიტული სულიც ყველაფერში მხოლოდ ხელის მოთბობის საშუალებას ხედავდა – ანუ ბოროტნი.

სწორედ სიკეთეა თვითიდენტიფიცირების საშუალება. სიკეთე, რომელმაც არ იცის შიში და შფოთვა, არც ეჭვი. სიკეთე ადამიანს ასაზრდოებს იმ ენერგიით, რაც დაუნდობელ გარემოში საკუთარი თავის შეცნობისთვისაა საჭირო. რა წამს ადამიანი ცხოვრებას მიზანს მიუხვდება, მის სულში არსებულ სიცარიელეს ეს მიზანი ამოავსებს. ბოროტების ადგილიც აღარ რჩება. სწორედ ამის მაგალითია ალექსანდრე, რომელსაც მართას არსებობის გააზრებამდე დაკარგული ჰქონდა ცხოვრების საზრისი და არსებობის ერთადერთი ფორმა ცხოვრებისადმი ზიზღნარევი პროტესტი იყო. აქეთ ცდილობდა ბოროტების ლუკმად ქცევას, მაგრამ რაკილა მასში ოდესლაც ანასეული სიკეთე ჩასახულიყო, საბედნიეროდ, ვერაფერს გახდა. ასეა ადამიანი. მანამ, სანამ რაღაც ეგულება და საპატრონო აქვს, მას არა სცალია ბოროტების ლუკმად ყოფნისთვის. გამოცარიელებული სული კი შფოთიანია. მას არ გააჩნია ის მყარი კედლები, რომლებზეც დააშენებს საკუთარ ლირებულ არსებობას. იმიტომაცაა, რომ ასეთი სული დაუსრულებლად ბობოქრობს, მოუსვენრობს, ყველაფერში ეჭვი ეპარება. ყოველი ასეთი ადამიანი ქაიხოსროა, რომელიც რა წამს გადააბობდა მშობლიური სახლის კედელს, იმ წამსვე თავისი ხელით მოიკვეთა საკუთარი ფესვები და თან მიაყოლა პიროვნული იდენტობაც. მაშასადამე, დაკარგა ცხოვრების საზრისიც. ამისათვის სჭირდება ადამიანს სამშობლო და სამშობლოს ადამიანი. განსაკუთრებით იმპერიულ ტყვეობაში, სადაც მას არაფერი ეკუთვნის, გარდა საკუთარი სულისა და სწორედ გარემოსთან წინააღმდეგობაში შეგულიანებულს ესახება საარსებოდ ლირებული მიზანი.

ასეთ დროს სწორედ სიკეთეა თავისუფლების გასაღები. დანახვა იმისა, რომ პირადი თავისუფლება მხოლოდ მთელის თავისუფლებითაა შესაძლებელი. ადამიანი არაა სამშობლოს სხეულს მოკვეთილი ცალკეული ნაწილი. და თუ მაინც დაიჩინებს, რომ შეუძლია ასეთად ყოფნა, მაშინ მას ისევე ემუქრება უფუნქციობით გამოწვეული აბსურდი, როგორც სხეულიდან მოკვეთილ მტევანს – უძრაობა და სიკვდილი. ადამიანი ვერ იქნება თავისუფალი მანამ, სანამ მისი ქვეყანა ყველას წილ მონობის ბორკილს დაათრევს. ძველი გომური, რომელშიც ანა დაბინავდა, უფრო ლალი

და თავისუფალია, ვიდრე მაკაბელების გალავნიანი სასახლე. თუკი ადამიანს არ აქვს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გააზრება, რომელიც სცდება დღემუდამ ცხვირწინ ყურებით დავიწროებულ შეგნებას, რამდენი წყება ქვაც არ უნდა შეამოვლოს თავის გალავანს, პირად თავისუფლებას მაინც ვერ გამოიცალკევებს. ანას გომურის თავისუფლება კი იმით იყო განპირობებული, რომ მისი სიკეთე არ ეთანხმებოდა არსებულ მოცემულობას. მისი სული იყო ნაწილი იმ შეგნებისა, სადაც ყოველი სიყვარულსა და თავისუფლებაზეა დაფუძნებული. საბოლოოდ კი ხანგრძლივი ბედუჟულმართობის მიუხედავად, ანამ პირადი თავისუფლების „შენირვით“ მთელის თავისუფლებას მისცა დასაბამი, რასაც რომანის ბოლოს მართა – ანას ჩათესილი სიკეთის გაგრძელება და თავისუფლების იდეის გამოლვიდება მოჰყვა.

ანასა და ქაიხოსროს პერსონაჟთა დიქოტომია სწორედ იმის აღნერა, თუ რამდენად განსხვავებულად შეიძლება ყალიბდებოდნენ ადამიანები ერთსა და იმავე გარემოში. ყოველი ადამიანი, რომელიც კარგავს რწმენას, საზრისს და ერთი პეშვი სისხლის საშველად განწირული ფართხალით სულ უფრო იხლართება სამყაროს უსაგნობაში – ხდება ქაიხოსრო. ყოველი, ვინც დაძლია მოჩვენებითი კეთილდღეობის ცდუნება და საკუთარი არსებობა ღირებული მიზნის ლუკიად აქცია, სამუდამოდ მიეკედლა ანას.

ერთი შეხედვით, მაკაბელების ყოველისმომცველ ბოროტებაში ანას არსებობა სრული უმწეობაა. თუმცა, უმწეოა არა იმიტომ, რომ მას არ გააჩნია ძალა. უმწეო ჩანს, ვინაიდან ის მოკრძალებული და მშვიდია. სიკეთე ბოროტების მრისხანებასა და ბობოქრობასთან შედარებით ნაკლებად თუ მოხვდება კაცის თვალს, ვინაიდან სიკეთე შეიცნობა სულის ალლოთი და არა გარეგნული თვალით, რომელსაც მარტივად იპყრობს ყველაფერი ის, რაც მყვირალა და ფასადურია. სწორედ ამიტომ არ გასჭირვებია ექიმ ჯანდიერს ანას შეცნობა, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი-სათვის სიტყვის თქმაც არ დასცალდათ. ორ კეთილ და სათნო სულს მაკაბელების ბოროტებით გაჟღენთილ კედლებშიც არ გასჭირვებია ერთმანეთის ამოცნობა. ისინი არა მხოლოდ მიუხვდნენ ერთმანეთს, არამედ ადამიანური გამძლეობაც შეჰმატეს, რამეთუ

სიკეთე სხვა არაფერია, თუ არა სხვისი შველის დაუშრეტელი, უანგარო, სანაცვლოდ არაფრისმომლოდინე სურვილი. ჯანდი-ერის პურის ერთი დასორსოლებული ნაგლეჯის ჭამაც კი საკმა-რისი აღმოჩნდა ანასათვის, რომ საბოლოოდ არ გამოსცლოდა ის მაცოცხლებელი ძალა, რომლის არსებობაშიც, მაკაბელების ბო-როტების გალავნით გარშემორტყმულს, უკვე ეჭვი ეპარებოდა, თუმცა რაკიღა ერთი მონათესავე სული მაინც გამოჩნდა, ეს საკმარისი აღმოჩნდა არა მხოლოდ საკუთარი ფიზიკური არსე-ბობისა და რწმენის შენარჩუნებისთვის, არამედ სამომავლო ნაყო-ფის გამოღებისთვისაც – „ანა დაუფიქრებლად, გაუაზრებლად იღებს პურის დასორსოლებულ გულს და ჭამს. მხოლოდ ახლა ახსენდება, რომ მთელი კვირაა, ლუკმა არ ჩაუდია პირში“.

სიკეთის ბუნება თავისთავად გულისხმობს გონებისა და სხე-ულის სიმშვიდეს. სიკეთემ იცის, რასაც ემსახურება. მისი მიზა-ნი არაა დაპირისპირება, თუნდაც ბოროტებასთან. სიკეთე მოკ-რძალებულია, მშვიდი. ის არ ებრძვის არც ბოროტებას. რამეთუ ბოროტება, ადრე თუ გვიან, თავად დაშრება, მოინელება. – „ყო-ველმან ჩემმან მპოვნელმან მომკლას მე“ – მიანიშნებს ზოსიმე მლვდელი ქაიხოსროს. მართლაც, განა თავადვე არ მოინელა საკუთარი თავი ქაიხოსრომ?! განა საკუთარ თავში ჩასახულმა გამუდმებულმა შიშმა და ეჭვმა არ გამოხრა იგა?! ამგვარადვე, ბოროტება თვითონვე ამოქამს თავის თავს. ბოროტება არა სიკე-თით მოისპობა, არამედ ისევ და ისევ თავისი უნიათობითა და სიმდაბლით, რამეთუ სიკეთე არსებობს თავისთვის, ის არავის დაჯაბნას არ ლამობს, არავის ექიშპება.

ბოროტს, პირიქით, საკუთარი თავის გადასარჩენად ყველაფ-რის დამორჩილება და შთანთქმა სურს. მზაკავარია იმდენად, რომ საკუთარ სისხლსა და ხორცსაც კი არ ინდობს – ძმა არ ინდობს ძმას – მაგრამ სიკეთე სწორედ იქაა, სადაც, მიუხედავად ერთმა-ნეთში გამუდმებული შულლისა, ერთს მაინც მეორის იმედი აქვს. საკმარისია სიკეთის მარცვლის მეასედიც, რომ მან, ადრე თუ გვიან, მაინც მიაკვლოს სწორ გზას და ადამიანს შეახსენოს, თუ ვინაა, რას ეკუთვნის განა ამის მაგალითი არაა რომანის ის ეპი-ზოდი, როცა გომურში მყოფმა ანამ სიკეთის პური უნილადა

შვილიშვილს და ამას იქით, რამდენსაც არ ეცადა ალექსანდრე, საბოლოოდ ექცია ზურგი სამყაროსთვის, მის გულში ჩათესილმა სიკეთის მარცვალმა არ დაანება. თვითონვე მიიყვანა ის მართამ-დე, რომლის გულშიც თავის დროზე იგივე მარცვალი სწორედ მის ძმას – ნიკოს ჩაეთესა. ამ ორმა საწყისმა მაინც მიაღწია მთლი-ანობას და იქცა იმ ძალად, რომლის იმედსაც ყველა თავისუფ-ლების მაძიებელი თავისებურად დაატარებს.

სიკეთის აღმაფრთოვანებელი ხიბლი მისი გამძლეობა და კაცთა უნიათობით გათელილი ნერგივით ხელახლა აღმოცენების უნარია. ერთი ადამიანის მიერ მცირედის გაცემაც კი საკმარისია, რომ ბოლოს, ყველა დაბრკოლების გადალახვის კვალდაკვალ, ასმაგად გაძლიერებული, აღარ იყოს ისეთი ჩუმი და დაჩაგრული, როგორიც ანა იყო. რა წამს ის გასცდება მაკაბელების გალავანს, დაუჯერებელ ძლიერებას იძენს და ციმბირის ყინულოვან ველებს გადარჩენილი, ამაყად მოემართება სამშობლოსაკენ სიცოცხლის ფესვის გასახარებლად, საკუთარი მომავლის შესაქმნელად და საპატრიონოდ. ძალა, რომელსაც ერთ დროს მაკაბელების გალავ-ნის გადალახვა სიცოცხლეზე მეტად სწყუროდა, თუმცა არ შე-ეძლო, წლების შემდეგ მართას სახით, საკუთარი ფეხით უბრუნ-დება ამ სახლ-კარს, თანაც ისეთი ძლიერი, როგორც არასდროს!

ანა ცხოვრების ამ სცენარის სიმბოლოა. სანამ ჩვენ გვერდით მსგავსი ერთი ადამიანი მაინც დაიარება, რაგინდ მარტო და უმ-ნეოც არ უნდა ჩანდეს ყველა დანარჩენის წინაშე – მანამ არსე-ბობს ბოროტის დათრგუნვის შესაძლებლობა. სწორედ ასეთი ადამიანია მეურნალი დაუძლურებული და ავადმყოფი საზოგა-დოებისა, რომელსაც ხან დამონებული ერის სახე აქვს, ხან წახ-დენილი ოჯახის და ხანაც უბრალო სანაცნობ წრისა. მას შე-უძლია ამ ცვლადი ერთობის თითოეულ წევრს გზა გაუკვალოს იმ ცხოვრებისაკენ, სადაც ადამიანი არაა საფლავის ქვაზე წასაწე-რად გამზადებული ცარიელი სახელი, არამედ მას გააჩნია შინა-განი ხედვა იმ მიზნისა, რომლითაც საკუთარი არსებობის მცი-რედ გამართლებას მაინც პოულობს.

გათვითცნობიერებული ადამიანი კი არის ჯანსაღი საზოგადოების საფუძველი. მას არ ეშინია ცხოვრების ცვლილების, იმ სიახლეების, დრო რომ შიგადაშიგ თითქოს გამოსაცდელად მოგვივლენს ხოლმე. ის ჯანსაღი სული და ფიზიკური ენერგიაა. ხორციელ სხეულში მყოფი არგებს გარშემო სამყაროს, კეთილი სულის შენარჩუნებით კი იმზადებს სამარადისო სიმშვიდეს, რომელიც განვლილი ცხოვრების პასუხად უდავოდ დაიმსახურა.

ქართულ-გერმანული დიალოგი

გასული საუკუნის ბოლოს, 1990 წელს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია – „მსოფლმხედველობა, რწმენა, ადამიანის ღირსება“, რომლის ინიციატორები იყვნენ თსუ ფილო-სოფიის თანამედროვე პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფი (ხელმძღვანელი პროფ. გურამ თევზაძე) და გფრ-ის გასენის უნივერსიტეტის კათოლიკური თეოლოგიის ინ-სტიტუტი (დირექტორი პროფ. ადოლფ ჰამბელი). ეს იყო პირველი კონფერენცია თეოლოგიის საკითხებზე. აკადემიურ წრეებშინ იგი შეფასდა, როგორც „განსაკუთრებული მოვლენა მთელს ჩვენს აკადემიურსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში“ (აკად. თამაზ გამყრელიძე).

ჩვენი უურნალის მკითხველს ვთავაზობთ გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (12 ივლისი, 1990 წელი) გამოქვეყნებულ პუბლიკაციას ამ კონფერენციის შესახებ (საუბრები ჩაინერა ნინო გოძიაშვილმა).

კონფერენციის ზოგადი სახე გაგვაცნო მისმა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა თემურ ფიფიამ.

ბატონო თემურ, ვის დაებადა კონფერენციის ჩატარების იდეა?

– გრძელი ისტორიაა... ჩვენში ე.ნ. „ადამიანის ფაქტორის“ აფიშირება რომ დაიწყო, დასავლეთში, ბუნებრივია, შეეცადნენ გარკვეულიყვნენ, თუ რას ნიშნავდა ეს. ამიტომ დაინტერესდნენ ამ თემაზე არსებული საბჭოური ლიტერატურით. არჩევანი შეჩერდა ქართველი ეთიკოსის გ. ბანძელაძის ნაშრომზე „ადამიანის ღირსების ცნება“, რომელიც ითარგმნა გერმანულ ენაზე. დაიბადა აზრი, რომ 1989 წლის აპრილში ქალაქ გისენში მოწყობილი-

ყო „ქართულ-გერმანული დიალოგი ადამიანის ღირსების შესახებ“, მაგრამ ჩვენ 9 აპრილი დაგვატყდა თავს და ეთიკის თეორიებისათვის არავის ეცალა. გულდაწყვეტილ გერმანელ კოლეგებს შევთავაზეთ წლისთავზე თბილისში შემდგარიყო სასურველი დიალოგი.

ნაყოფიერი გამოდგა თბილისური „დიალოგი“?

– გფრ-იდან 11 კაცი ჩამოვიდა: თეოლოგები, ფოლოსოფოსები, პოლიტოლოგები. დელეგაციას ახლდა „ფრანკფურტერ ალგემინე ცაიტუნგის“ კორესპონდენცი ვოლფგანგ რაუთი.

კონფერენცია უაღრესად დაძაბულ სამუშაო რიტმში მიმდინარეობდა: სამი დღის განმავლობაში, ყოველ დღე, დღისა და საღამოს სხდომები, თითოეულში შვიდ-შვიდი მოხსენება. სულ წარმოდგენილი იყო 42 მოხსენება. მათი უმრავლესობის გარშემო იმართებოდა კამათი, რომელიც, ზოგჯერ, საათობით გრძელდებოდა.

42 მოხსენება ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის ურთულეს საკითხებზე... ზღვა მასალა, უამრავი ავტორი; მაგრამ იქნებს ცადოთ თუნდაც ზოგადი სააზროვნო სილუეტის მოხაზვა?

– მასალა მთლიანად იქნება გამოქვეყნებული სპეციალურ ქართულ-გერმანულ გამოცემებში. ახლა მხოლოდ ზოგიერთ შტრიხზე მივუთითებ.

ფილოსოფიის სფერო, ძირითადად, ქართველებით იყო წარმოდგენილი. აქ ჩვენ თითქმის პროფესიონალი პარტნიორების გარეშეც კი დავვრჩით. მოხსენებებსა და კამათში ორი ძირითადი ფილოსოფიური მიმართულება გამოიკვეთა: პირველ მათგანში ფილოსოფიის ავტონომიურობის ნიადაგზე მდგომი ავტორები გაერთიანდნენ. ესენიც, თავის მხრივ, ორ ნაკადად გაიყვნენ:

უფრო ტრადიციული სტრუქტურების მომხრენი (გურამ თევზაძე, მანანა სანაია, კახა კაციტაძე, ვაჟა ნიბლაძე და სხვ.); არატრადიციულ ხდომილებებზე ორიენტირებულნი (გიგი თევზაძე, მამუკა ბიჭაშვილი და სხვ.).

მეორე მიმართულება წარმოადგინეს იმ გამომსვლელებმა, რომელიც ადამიანური გონების ავტონომიურობას მსოფლმხედველობრივად უპერსპექტივოდ თვლიან და ისეთი ტიპის აზროვნებისკენ იხრებიან, რომელიც, მართალია, ფილოსოფიიდან ამოდის, მაგრამ საკუთარი თავის გარეთ, უპირატესად კი რელიგიისკენ მიისწრაფვის (გიორგი ბარამიძე, ვალერიან რამიშვილი, ირაკლი ბრაჭული, დემურ ჯალალონია და სხვ.).

სტუმართა დასი ყველაზე ძლიერად თეოლოგიაში გრძნობდა თავს. აქ იგი წარმოდგენილი იყო დარგობრივი სპეციალიზაციით: ფუნდამენტური თეოლოგია, სისტემატური თეოლოგია, თეოლოგიის ისტორია და ა. შ. აღსანიშნავია პროფ. კ. მაიერის, პროფ. ა. ჰამპელის, ჩვენგან კი თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორის, გიორგი ცინცაძისა და ქალბატონ ლელა ალექსიძის მოხსენებები, აგრეთვე, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მრავალგზის გამოსვლა, რომელიც თავისი სილრმითა და ინფორმაციული უნივერსალურობით სენსაციურად მოქმდებდა გერმანელებზე.

პოლიტოლოგიის სფეროშიც სტუმართა საკმაოდ მრავალრიცხვანი ნაწილი იყო ჩართული: ჰერთრიდ შტინგლი, კლაუს ჰელერი, ჰაინჰარდ შტაიგერი, ვილჰელმ ბერნეტი, იოჰანეს ჰამპელი. ისინი, ძირითადად, ასე აყენებდნენ საკითხს: გფრ-ის კონსტიტუციურ სამართალში, რომლის ქვაკუთხედია დებულება – „სახელმწიფო ადამიანისთვის არსებობს და არა ადამიანი სახელმწიფოსთვის“ – ამოსავალია ადამიანის, როგორც „ღვთის მსგავსისა და ხატის“, ღირსება. ამდენად, საკუთარი ცხოვრების წესი, ამ მხრივ, იდეალურ პოლიტოლოგიურ ფენომენად წარმოუდგენიათ.

დარბაზიდან თუ იყო რეაქცია?

– იყო, როგორ არ იყო. განა შეიძლება იდეალურ მდგომარეობაში იყოს ადამიანისა და ერის ღირსება, როცა მეორე ადამიანისა და ერის ღირსება ფეხქვეშ ითელება? მაგრამ, მოდით, ნუ გავართულებთ... ვიყოთ რეალისტები.

ფილოსოფიის, თეოლოგისა და პოლიტოლოგიის გარდა, საგანგებოდ გამოიყო კიდევ ორი სფერო: ენა (გ. რამიშვილი, თ. გამ-

ყრელიძე, გ. ბარამიძე) და მითოსი (გიგი თევზაძე, ა. ზაქარიაძე, კ, კაციტაძე, მ. ბერიაშვილი). თითოეული დისციპლინა შედარებით წმინდა სახით მხოლოდ ზოგიერთი მოხსენებით იყო წარმოდგენილი. უმეტესობა კი დისციპლინათშირისი ხასიათისა იყო. მაგალითად, ფილოსოფიისა და ლვისმეტყველების მიჯნაზე იყო გიორგი ბარამიძის მოხსენება; ლვისმეტყველებისა და პოლიტოლოგის – ა. ჰამპელისა და ვ. გოგუაძისა; მათ მთელი „მოსაშუალე“ სფერო – პოლიტიკური თეოლოგია – წარმოადგინეს: ჰამპელმა კომუნისტური და ქრისტიანული ესქატოლოგიების შედარებითი ანალიზის გზით, ხოლო გოგუაძემ აპოკალიფსური ანტიქრისტეს ბოლშევიზმის ბელადებთან პერსონიფიცირების გზით.

ჰამპელმა ისიც კი თქვა: ქართველებსა და გერმანელებს ვალი გვაძევს ლვისა და კაცის წინაშე, რადგან ჩვენ შორის იშვნენ პოლიტიკაში ყველა დროის უდიდესი ბოროტი გენიები – სტალინი და ჰიტლერიო.

უნდა აღინიშნოს თვით ერთი სფეროს ფარგლებში პოლარულ პოზიციათა შემაკავშირებელი გამოსვლები. ასეთთა შორის ტიპური იყო გიგი თევზაძის მოხსენება, რომლითაც ერთმანეთს დაუკავშირდა ფილოსოფიის ავტონომიურად და რელიგიურად ორიენტირებული მიმართულებები. აქ სულიერების გზაზე შემდგარი აზროვნება იმ მიჯნაზეა, რომლის იქითაც ოდენ სარწმუნეობრივი შუქით განათებული ჰორიზონტია საგულვებელი...

მოკლედ, „გარდამავალი“ მოხსენებები ქმნიდნენ რამდენად-მე საერთო ნიადაგს, რაც შესაძლებელს ხდიდა კონფერენციის ჩარჩოებში აზრთანყობის ერათიან მდინარებას.

როგორ შეაფასებთ კონფერენციის მნიშვნელობას?

– კონფერენციაზე საბოლოო სიტყვა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ წარმოთქვა. მოვიტან ციტატას მისი გამოსვლიდან: „ეს კონფერენცია იყო განსაკუთრებული მოვლენა მთელს ჩვენს აკადემიურსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. უდიდეს მადლობას გამოვთქვამ ორგანიზატორთა მიმართ. ვიმეორებ, მისი მნიშვნელობა სცილდება ჩვეულებრივი სამეცნიერო კონფერენ-

ციის ფარგლებს... ეს იყო ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაში პირველი კონფერენცია თეოლოგიის საკითხებზე. ამდენად, იგი დამუშავებელი ღონისძიებაა რომლითაც ჩვენში სათავე დაედო მეცნიერულ ღვთისმეტყველებას“.

რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ კონფერენციის უცხოელ მონაწილეებსაც.

ადოლფ ჰამპელი – გისენის უნივერსიტეტის კათოლიკური თეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

რას ელოდით თბილისის კონფერენციისაგან და დაემთხვა თუ არა მოლოდინი სინამდვილეს?

– ჩემი მოლოდინი სავსებით ზოგადი იყო; გერმანულ-ქართული დიალოგი ადამიანის ღირსების თაობაზე.

საკითხის დასმის მიხედვით, შეიძლებოდა დაგვესკვნა მსოფლიმხედველობის აქტუალური თემისადმი ქართველი პარტნიორების დიდ ინტერესზე. გაურკვეველი რჩებოდა, თუ როგორ გამოვლინდებოდა იგი. დიალოგმა მოლოდინს გადააჭარბა. ქართველთა ინტერესიც დასმული საკითხისადმი იმაზე ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა. ჩვენთვის პირდაპირ გასაოცარი იყო გერმანული ფილოსოფიისა და ეთიკის დეტალური ცოდნა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია თემის – „საქართველოს თავისუფლება“ – ჩართვა ფილოსოფიურ რეფლექსიაში.

რაიმე კრიტიკული შენიშვნა თუ გაქვთ?

– ცოდნისა და შეხედულებების გაზიარებიდან უნდა გადავიდეთ საერთო პროდუქტიულ დიალოგზე. ამისათვის გერმანელებს წინასწარ უფრო მეტი ცოდნა უნდა ჰქონდეთ საქართველოს შესახებ. ჩვენი ცოდნა არ შეესატყვისება ქართველთა ცოდნას გერმანიის შესახებ.

რას ფიქრობთ სსრ კავშირისა და საქართველოს ურთიერთობაზე?

– სსრკ არის უკანასკნელი, ჯერ კიდევ არსებული კოლონიური სამეფო, რომელიც მე-19 საუკუნის გონითი საფუძვლების ტყვეობაშია. არ შეიძლება შემდგომშიც ასე გაგრძელდეს, რაც შეიგნო მიხეილ გორბაჩოვმა. მისმა „გლასნოსტისა“ და „პერესტროიკის“ პოლიტიკამ მნიშვნელოვანი გზა გაკვალა, მაგრამ თანმიმდევრულად არ ანვითარებს მას, რაც, უპირველს ყოვლისა, ორსფეროში შეინიშნება.

ცენტრალური მპრძანებლური სამეურნეო სისტემის ჩაჭიდება ვერ შექმნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალს. ადამიანებს უშველის მხოლოდ სოციალურად და ეკოლოგიურად პასუხისმგებლური მეურნეობა.

სსრ კავშირმა უნდა გადაჭრას ნაციონალური პრობლემები. ხალხებს მათი ნების წინააღმდეგ ვეღარ დაიმონებენ. მაშინ ისინი დაკარგავენ მათ. მხოლოდ პოლიტიკური გონიერებით შეიძლება მიაღწიონ იმას, რომ ხალხებს დამოუკიდებლობაც მისცენ და, ამავე დროს, სსრ კავშირში ნებაყოფლობით დარჩენის სტიმულიც. ეს გზა არ იქნება ადვილი და, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება მარცხიც განიცადოს.

საქართველომ, როგორც „ოკუპირებულმა ხალხმა“, თავისი გზა ნაციონალური დამოუკიდებლობისაკენ თანმიმდევრულად და ფრთხილად უნდა გააგრძელოს. ფორმულა: „არა სსრკ-დან გამოსვლა, არამედ აღდგენა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა“, არის გონივრული და შორსმჭვრეტელური, იდეალისტური და მომავალზე ორიენტირებული. მის განხორციელებაში მოცემულია დიდი შანსი საქართველოსათვის.

კორნელიუს მაიერი – გისენის უნივერსიტეტის სისტემური თეოლოგიის პროფესორი, ავგუსტინელთა ორდენის იერომონახი, ავგუსტინეს კვლევის საერთაშორისო ჟურნალის რედაქტორი:

– მე ვფიქრობდი, რომ კონფერენციის თემატიკა – „მსოფლმხედველობა, რწმენა, ადამიანის ღირსება“, საქართველოში თანამედროვე პოლიტიკური სიტუაციის თვალსაზრისით უნდა ყოფილიყო შერჩეული და ადიდი-დიდი მოველოდი პოლიტიკისკენ

მიღრეკილ დისკუსიას, მაგრამ სინამდვილემ გადააჭარბა ყველა ჩემს მოლოდინს და, სახელდობრ, სამმაგი ასპექტით:

ა) ჩემი აქამდელი გამოცდილება უცხო ქვეყნებში ყოფნი-სასა ტუმართმოყვარეობის პუნქტში ჩრდილში მოექცა; ამგვარი სტუმართმოყვარეობა, გულითადობა და თავაზიანობა მე ჯერ არ განმიცდია;

ბ) თვალშისაცემია დიდი ინტერესი გერმანული კულტურისად-მი (ენა, ლიტერატურა, ფილოსოფია, თეოლოგია და ხელოვნება), მუშაობენ გერმანულ დუალიზმზე, თარგმნიან კანტს, შელინგს და პეგელს...კითხულობენ ჰაიდეგერს. გერმანულად ახდენენ შილერისა და გოეთეს ციტირებას და იცნობენ გერმანელთა თა-ნამედროვე პრობლემებს.

გ) ძნელია, სათანადოდ შეაფასო პრობლემათა საკუთრივი გაცნობიერების დონე, საქართველოში, რაც მე ამ რამდენიმე დღეში დისკუსიების დროს განვიცადე. ქართველი მონაწილეების შეკითხვები და შეპასუხებანი გვიჩვენებდა იმ ხალხის ფილო-სოფიური სიმწიფის მაღალ დონეს, რომელიც თავისი სახელმწი-ფოებრივი თავისუფლებისა და სუვერენიტეტისათვის იძრძვის და რომელსაც მთელი მისი შემეცნების წარმმართველი და მოქ-მედები სმამოტივირებელი ინტერესები ამ ერთი მიზნისთვის დაუქვემდებარებია.

შეძრნუნებული ვიდექი 9 აპრილს დაღუპულთა გამაფრთხი-ლებელი ძეგლის წინაშე და ვუყურებდი ჩავლილი ათასობით ადამიანის ტრამვას და მომავონდა სახარებიდან მონათხრობი გულმონ्यალე სამარიტელზე; ოღონდ აქ მთელხალხს დაესხნენ თავს, გაძარცვეს და ცოცხალ-მკვდარი დატოვეს; საქართველოს ღია ჭრილობანი მე ქრისტეს ჭრილობებს მაგონებს;

კლაუს გაიგელტი – კონრად ადენაუერის საზოგადოება.

– რეალობამ მოლოდინს გადააჭარბა. მიზანს გვაახლოვებს ამგვარი შესვედრები. მიზანი კი საერთოა: კვლავ გაერთიანებულ გერმანიასთან დამოუკიდებელი საქართველოს თანამშრომლობა.

ერთიან, თავისუფალ და დემოკრატიულ ევროპაში. თანამშრომლობა მრავალმხრივი: მეცნიერული, კულტურული, ეკონომიკური, სპორტული, პოლიტიკური.

ქართულ-ერმანული დიალოგი ყველა დონეზე უნდა გაიშალოს და თანმიმდევრულად განვითარდეს.

ჩვენი ყურადღება, პირველ რიგში, მიიქცია გიორგი ბარამიძის (თსუ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი) მოხსენებამ – „ჰუმანიზმი და ადამიანის ღირსება (ქართული ხასიათის გათვალისწინებით)“

ბატონი გიორგი, პიროვნული თუ ეროვნული ღირსების შესაფასებელი საერთაშორისო კრიტერიუმი დღეს ჰუმანიზმია; თქვენს მოხსენებაში კი ეჭვებელ იყო დაყენებული თვით „ჰუმანიზმის ჰუმანურობა“. იქნებ სრული ტერმინოლოგიური აპარატის გარეშე განვითაროთ, რაშია საქმე?

– ჰუმანიზმა გონიერად ადამიანის არსად აქცია. გონიერად თავის თავზე აიღო მისია, ფარდა ახადოს ყოფნის საიდუმლოს, ანუ ადამიანის შინაგან მიმართებას ყრუდ დახშულ ანთროპოლოგიურ წრებრუნვაში ჩაითრევს, ადამიანური ყოფნის უღელში აბამს... ღვთაებრივი გამოცდილება კი იკარგება, ღვთაებრივისაგან გაძარცვულობა ისადგურებს.

თქვენმა მოხსენებამ ერთგვარი აჟიოტაჟი გამოიწვია როგორც გერმანელ, ისე ქართველ სწავლულთა ერთ ნაწილში.

– გერმანული დელეგაცა, ძირითადში, რომაულ-ლათინური აღმსარებლობის კათოლიკე თეოლოგებისაგან შედგებოდა, ჰუმანიზმი კი სპეციფიკურად რომაული მოვლენაა, მასში უკვე დაკარგულია ძირძველი აზროვნების ის „ბავშვური სამოთხე“, რომელშიც ძველი ბერძნი სახლობდა.

„აჟიოტაჟს“ კი არ მოველოდი, მე ხომ ჩვენი ეპოქის ყველაზე დიდი კათოლიკე თეოლოგსა და გერმანელ ფილოსოფოსს მარტინ ჰაიდეგერს ვემყარები.

რას გვეტყვით ქართულ ჰუმანიზმზე?

– ჰუმანიზმი, ვითარცა მსოფლიო ისტორიული ბედისწერა, მეტ-ნაკლებად ყველა ხალხს შეეხო და მათ შორი სქართველ ხალხსაც. არსებობს ქართული ჰუმანიზმი, მაგრამ იგი არ არის ქართული ხასიათის არსობრივი ნიშანი

ბოდიშს ვიხდი, რომ გაწყვეტინებთ, მაინც სად ჩანს ეს?

– ეს ჩანს, თუნდაც, ქართველი ხალხის ისტორიული ორი-ენტაციიდან. საქართველოს ზნეობრივ-პოლიტიკური ორიენტირი იყო ათენი და არა რომი. გელათი „სხუად ათინად“ უნდა ქცეულიყო. ათენი, ვითარცა კაცობრიობის „ბავშვობის“ სამოთხე, მარად ცოცხლობს მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმსარებელ საქართველოში.

ესე იგი, რაციონალობა, როგორც დასავლური სულიერების განმსაზღვრელი მოტივი, ჩვენთვის უცხოა?

– დიახ, და ეს არ არის ვისიმე „კაბინეტში გამომცხვარი“ რაღაც იარღიყი. აბა დაუკვირდით: „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი, პატარა ვარსკვლავები და-ძმაა ჩემი“ ეს ხალხურია. აქ მთელი კადრია ქართველთა მთავარი გენეტიკური კოდისა, ჩვენი ბუნებრივი მსოფლსაცხოვრისისა.

ქართველში უფრო ძალუმად სცემს წარმოსახვის ძარღვი, ვიდრე თეორიული გონებისა აზროვნება ჩვენთვის არის თავი-სუფალი თხზვის უნარი და ბუნებასთან განდობილობა, ბუნების მწყემსობა...

ალბათ, ვაჟა-ფშაველა, ჩვენი „ტკბილხმოვანი ორფეოსი“ ამ ხაზზეა.

– საერთოდ, ორფეოსი პროტოტიპია პოეტისა, პოეტი კი, ვითარცა სიტყვის მქმნელი, დედაენის ძირეული არსების მწყემსი, ყოფნის საიდუმლოსთან სიახლოვეს ახორციელებს. ვაჟა-ფშაველა რამდენადაც ქართველი პოეტია, ამდენად ქართული ჰუმანიზმის გარეშე დგას.

თქვენ მართლმადიდებლობა ქართული ხასიათის შინაარ-სადაც კი მიიჩნიეთ; ქრისტიანობა ხომ სულიერის პრიმატია ბუნებრივთან?

– ქართველი თავისი ხასიათით მწყემსია; მისი სამწყსოა დედა-ენა და სამშობლო; ამიტომ ქართველის არსება იმთავითვე განხ-ვნილი იყოქრისტეს, ვითარცა „მწყემსი კეთილის“ შესათვისებლად.

მაშ, სამშობლოს გზით უფლის კვლავ მოპოვებისკენ.

– სამშობლო სწორედ ის ფენომენია, საიდანაც განიხვნება წმი-დას თვლსაწიერი და გადმოიღვრება ლვთაებრივის გამოცდილება.

ვალერიან რამიშვილი – თსუ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათ აკანდიდატი

ბატონო ვალერიან, თქვენს მოხსენებას ჰქვია „ეპოქის მსოფლ-მხედველობა და ადამიანის ღირსება“, რასფიქრობთ, როგორია ადამიანის ღირსება თანამედროვე ეპოქაში?

– აუტანლად შეურაცხყოფილია.

ვინ მიაყენა მას ეს შეურაცხყოფა და საერთოდ, რას გულისხმობთ შეურაცხყოფაში?

– ლვთის ხატებასა და მსგავსებაზე დაფუძნებულ ადამიანის ღირსებას სამი სილა გააწნა ევროპულმა მეცნიერებამ: ასტრო-ნომიული, – დედამიწა არ არის სამყაროს ცენტრი (კოპერნიკი); ბიოლოგიური – ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისგან (დარვინი); ფსიქოლოგიური – სული ადამიანისა განსაზღვრულია არაცნო-ბიერი ლტოლვებით (ფრონდი), რაც დამთავრდა ადამიანური ღირსების მეტაფიზიკური საფუძვლის – ლმერთის „სიკვდილით“.

ლმერთმიტოვებულმა ადამიანმა კვლავ დააყენა თავისი თავი სამყაროს ცენტრში.

ქრისტიანულ მსოფლმხედველობაშიც ხომ სამყაროს ცენტრია ადამიანი?

– ეს გარეგნული მსგავსებაა, ღირებულებათა თვითდამდგენი ადამიანი ყველაფრის საზომი და საფუძველია, მაგრამ თვითონ იგი მოკლებულია მეტაფიზიკურ საფუძველს.

მაშ სამყაროს უსაფუძვლო არსება დაპატრონებია?

– დიახ.

როგორია ეს არსება და რა დღეშია მის ხელში ჩავარდნილი სამყარო?

– ეს ტექნიკური არსებაა; მისი სამყაროში ყოფნის წესი ტექნიკურია; იგი სამყაროს თვითჩენის საფუძველზე, მისივე დაუფარავობის გამომჟღავნებით კი არ შედის მასთან ურთიერთობაში, არამედ ტექნიკურ-მეცნიერული აქტივობით ხელოვნურად ზემოქმედებს და იძულებით ნებისმიერად ავლენინებს თავს;

ეს კი ნამდვილი კოსმიური სოდომ-გომორია... კატასტროფაა.

როგორ მოხდა პირველად და როგორ შეიძლება მოხდეს დღეს, ახალი, პირველადი შეხვედრა მარადიულთან, ღმეთთან?

– ქრისტე არის პირველადი შეხვედრის მაგალითი ადამიანისა და საკუთარ თავში თვითმჩენი ღმერთისა.

თუკი მარადიულისთვის შესაძლებელი იყო გამხდარიყო სასრულო, ადამიანური (ქრისტე), მაშინ ადამიანს ფილოსოფიამ უნდა მისცეს იმედი მარადიულთან ახალი შეხვედრისა და უჩვენოს ადამიანისათვის მისაღები და გასაგები გზა მისკენ.

ფილოსოფია საკუთარი ძალისხმევით გააღწევს უფლისაკენ?

– არა. ამგვარი ფიქრი საბედისწეროა. ფილოსოფია აღარ დაუშვებს ასეთ შეცდომას, ფილოსოფიამ ადამიანი „მხოლოდ“ უნდა შეამზადოს უცნაურთან, იდუმალთან, გამოთვლადთან, მოულოდნელთან, სასწაულთან შესახვედრად.

ეს მოლოდინის მდგომარეობაა?

– დიახ!

ესაა თანამედროვე ფილოსოფიის უკანასკნელი სიტყვა?

– ასეა; ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც მემესმის.

სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინზე“ რას იტყვით?

– გოდოს მოლოდინის უმწეობის საპირისპიროდ, აქ მოლოდინი ღმერთის თვითჩენის მუდმივობისა და მიწყივი დაშვების ნიადაგზე ხორციელდება.

აქ უკვე იმედის ნაპერნკალი ჩნდება; ეს ნაპერნკალი შესაძლოა ღვთაებრივი სხივიდანაც იყოს გამოსხლეტილი.

თქვენ უშვებთ ამას?

– რა თქმა უნდა. ადამიანის აღდგენის საფუძველი ხომ ადამიანის სწრაფვასთან ერთად თვით უფლი საქტივობაშიცაა.

ლელა ალექსიძე – თსუ ფილოსოფიის კათედრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

ლელა, თქვენ მაქსიმე აღმსარებელზე გქონდათ მოხსენება. ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესი მხოლოდ თეორიული არ არის. წმინდა მაქსიმე აღმსარებელი ხომ ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მამაა, მისი თხზულებანი ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის მიერ აღიარებულია კანონიკურ ტექსტებად. ეს კი, ცხადია, განაპირობებს სრულიად განსაკუთრებულ ინტერესს მისი აზრებისადმი.

– მართალი ბრძანდებით, კანონიკურობის მომენტი სერიოზული ფაქტორია, ამგვარ ტექსტებს ყოველთვის თან ახლავს ხოლმენ თავისებური, რაღაც სრულიად განუმეორებელი სულიერი ატმოსფერო.

რა იყო თქვენი მოხსენების ძირითადი თემა?

– „შესაქმის“ 1, 26 მუხლი, „ხატად და მსგავსად ღმერთისა“ – წმინდა მაქსიმე აღმსარებლის განმარტებით – იმას ნიშნავს, რომ როგორც „ხატი“, ადამიანი თავისი ბუნებით, მისი ლოგოსით არის

იმთავითვე შექმნილი, ხოლო როგორც „მსგავსება“, „ღმერთის მსგავსად“ ადამიანის სრულყოფა მისი საკუთარი მონდომებითა და აქტივობით განისაზღვრება.

ანასტასია ზაქარიაძე – თსუ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ქალბატონო ტასო, თქვენი მოხსენება – „მითოსი და ბიბლია“ სრულიად ნათლად აყენებს საკითხს: გარცელებული ტერმინები – „ბიბლიური მითები“, „ბიბლიური ლეგენდები“ – უკნონო კომპოზიტებია და შეუთავსებელია ქართველი ერის მსოფლმხედველობრივ ტრადიციებთან. იქნებ, ორიოდე სიტყვით იმაზეც გვიამბოთ, თუ რა იწვევს ასეთი მსოფლმხედველობრივი მასშტაბის გაუგებრობებს?

– მითოსურის და რელიგიურის მჭიდრო ნათესაობა და სტრუქტურული სიახლოვეა ამის ერთ-ერთი მიზეზი; ადამიანური ისტორიის მთელს გზაზე რელიგიური და მითოსური ელემენტები განუყრელად ერწყმიან ერთმანეთს და ურთიერთით არიან განმსჭვალულნი. მაგრამ მათ შორის პრინციპული განსხვავება-ცაა. მითოსურ ხილვაში სამყარო საგნობრივ-ესთეტიკური და ჰომოგენურია. იგი კოლექტიური ცნობიერების ნაყოფია. ხოლო რელიგიაში კი იღვიძებს პიროვნულ-ზნეობრივი ნება. აქ წინა პლანზე ეთიკური მსოფლგაგება გადმოდის. ბიბლიური სინამდვილე არც წმინდა მითოსურია და არც წმინდა ესთეტიკური. ესაა ღმერთან ადამიანის ცოცხალი სულიერი კავშირი. ბიბლიის წიგნებში ყოველივე ეს ნათლადაა დავანებული. – საქართველო მსოფლიოს უძველესი და უმდიდრესი მითოსური ქვეყანაა და ეს ჩვენი დიდი საგანძურია; მაგრამ ბიბლიის მიჩნევა მითოსის ვარიაციად ერთ-ერთი მანიშნებელია კრიზისული სულიერი სიტუაციისა. ბიბლიის სიმაღლეს ნაზიარები ძველი ქართველი ფილოსოფოსნი და ღვთისმეტყველნი მითოსს „ელინთა მეზღაპრეობას“ უწოდებდნენ.

გიგი თევზაძე – ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტი.

ბატონი გიგი, თქვენი მოხსენებაა „მსოფლიშედველობა როგორც ჰერმანევტიკული ფენომენი“, თუ შესაძლებელია, გასაგებად აგვისხნათ, რა იგულისხმება ამაში?

– დაახლოებით აზრი ასეთია: ადამიანი სამყაროში ცხოვრობს; „სამყაროში“, როგორც თავის საცხოვრისში, შესასვლელად მას სხვა საყრდენი არა აქვს, გარდა სამყაროს წინასწარი გაგებისა. გაგების შესახებ სწავლებაა ჰერმენევტიკა. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი ისეთია, როგორი გაგებაც აქვს, ადამიანი ჰერმენევტიკული არსებაა.

„გაგების“ შეცვლასთან ერთად, ადამიანიც იცვლება?

– დიახ; ყოველ ახალ ეპოქას სამყაროს ახალი გაგება შეესაბამება და პირიქით.

რაში მდგომარეობს სამყარო სჩვენეული გაგების თავისებურება?

– ადამიანმა „სუბიექტის“ სახით თავისი თავი გამოყო სამყაროსგან და ისტორია სუბიექტ-ობიექტის წრეში დატრიალდა. ამასთან, ეს გაცნობიერდა როგორც ერთ-ერთი და არა ერთადერთი ჭეშმარიტი გაგება. ამ წრეში ღმერთიც იქნა ჩართული, რაც „ღმერთის სიკვდილის“ ტოლფასი იყო. ეს ხდება მე-19– მე-20 საუკუნეებში; ამიტომაცაა, რომ ნიცშეს, შოპერპაუერს, ჰაიდეგერს აღარა აქვთ არც პლატონის, არც კანტის დარწმუნებულობა.

ამის შემდეგ იწყება ბრძოლა დარწმუნებულობის კვლავ მოსაპოვებლად, რაც, აგრეთვე, ღმერთის კვლავმოპოვებისათვის ბრძოლად შეიძლება იქნას გაგებული.

იქნებ ამ ბრძოლასა და კვლავმოპოვების ჰერსპექტივაზე გვითხრათ რამე?

– ძირითადი გეზი სუბიექტ-ობიექტიდ სამყაროს გაყოფის დაძლევაა. ასეთი გეზი ჰაიდეგერმა დასახა, მაგრამ საქმე ისაა, რომ სუბიექტ-ობიექტი უკვე აღარ თამაშობენ ძირითად როლებს. მათ წრიულ მოძრაობაში ერთმანეთი გააბათილეს. ასე რომ, თვით

სუბიექტის ცნების უარყოფის შემთხვევაშიც კი, აღარ ხერხდება ხსენებული „ნრიდან“ გამოსვლა. ე.ი. სუბიექტის ცნების შემოტანა უნდა იყოს ნამდვილი მიზეზი, იგი გაცილებით უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ. რა იყო მისი შემოტანის მაიძულებელი? ასეთი იყო კითხვის – „რა არის ყოფიერება?“ – დაკონკრეტება: „რა არის სუბიექტის იქით?“ „ახლა თვით „სუბიექტის“ ცნების ამონურვამ რაკი არათუ დაასრულა, არამედ უფრო გაამძაფრა ყოფიერების შესახებ კითხვა, მიგვიყვანა რაღაც პრინციპულად ახლის საჭიროებამდე.

მაშ, „გამძაფრება“ იმ „ახლის“ წინადლეა?

– უეჭველად, რადგა ნხსენებული „გამძაფრება“, სუბიექტის „იქითმყოფის“, თუ შეიძლება ითქვას, მიზიდულობის ძალის გამძაფრებაცაა.

მანანა სანაია – თსუ დოცენტი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ქალბატონო მანანა, თქვენი მოხსენების სათაური შეკითხვაა: „მსოფლმხედველობის მეცნიერულობა: შესაძლოა თუ არა იგი?“

– „მეცნიერულობა“ ნიშნავს საყოველთაობასა და დასაბუთებას. ჭეშმარიტება ერთია და ყველამ მას უნდა მისდიოს. ე.ი. თუ „მეცნიერულობა“ უარვყავით, უნდა დავუშვათ, რომ ვისაც რა მოესურვება, ისაა ჭეშმარიტება. დოსტოევსკი რომ ამბობს, „თუ ღმერთი არ არის, ესე იგი, ყველაფერი დასაშვებია“, აქაც ასეა.ა მიტომ იყო, რომ ფილოსოფია დაჟინებით ისწრაფვოდა, მეცნიერებად ქცეულიყო.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ჭეშმარიტების მეცნიერულ „სურათში“ საერთოდ არ ჩანს ადამიანის ღრმა სულიერი ტკივილები და, გარდა ამისა, არ არსებობს გარანტია, რომ შემდგომი კვლევა მეცნიერების არსებულ მონაცემებს რადიკალურად არ შეცვლის.

ასე რომ, კითხვას, – „შესაძლოა თუ არა მეცნიერული მსოფლმხედველობა?“ – მკვეთრად უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს.

თქვენ თქვით, ჭეშმარიტება ერთი უნდა იყოსო.

– დიახ და „ერთთნ“ მისვლა რწმენითი წანამძღვრების გარეშე არ შეიძლება. ყოველგვარი შემეცნებითი და პრაქტიკული მოღვაწეობის საფუძვლად დევს დაუსაბუთებელი რწმენითი წანამძღვრები და პიროვნული გადაწყვეტილებები. მეცნიერებას ამ საქმეში მხოლოდ დამხმარე როლის შესრულება შეუძლია.

დემურ ჯალალონია – საქ.სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მასწავლებელი.

ბატონი დემურ, აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ თქვა, კონფერენცია საერთო ეროვნული მნიშვნელობის მოვლენააო; რას ფიქრობთ ამაზე?

– ახალ ისტორიულ მიჯნაზე ჩვენ ორიენტირად ვიღებთ დავით აღმაშენებლის საქართველოს; ჩვენი მოძღვრებაა დავითიზმი (ტერმინი ეკუთვნის ბატონ აკაკი ბაქრაძეს), რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს, ეკლესიისა და გელათის აკადემიის შინაგან ერთიანობას.

„გელათი“ – მსოფლმხედველობრივი საყრდენი დავითის საქართველოსი – ესაა ერთდროულად „ათენა“ და „იერუსალიმი“, ფილოსოფიური აკადემია და ღვთისმშობლის ტაძარი. მხოლოდ გელათური ტიპის მსოფლმხედველობრივი ინსტიტუტის აღდგენით იქცევა ჩვენი უნივერსიტეტი ერის სულიერი კონსოლიდაციის ერთ-ერთ კერად. უკვე იდგმება პირველი ნაბიჯები (ავტონომია, სამლოცველოს საფუძველჩაყრა), ერთ-ერთ ასეთ ნაბიჯად მიმარნია ეს კონფერენცია.

რელიგიის დიქტატურა მეცნიერებას ხომ არ ჩაკლავს?

– დიქტატურა ჩაკლავს, მაგრამ აქ იგულისხმება ცოდნის და რწმენის პარმონია, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების სინთეზი. ფილოსოფია საერთო თეოლოგიაა, ხოლო თეოლოგია არის სასულიერო ფილოსოფია. როცა ფილოსოფია კრიზისში შედიოდა, რელიგია უჩვენებდა ხოლმე გამოსავალს. მაგალითად, ასე მოხდა მე-5 საუკუნეში, პეტრე იბერმა (ფსევდო-დიონისებ)

მიაგნო ასეთ გამოსავალს, ხოლო როცა ეკლესიას უდგებოდა მძიმე დღეები, ფილოსოფია ევლინებოდა მხსნელად. მაგალითად, როდესაც ეკლესიას სატანური ინკვიზიცია დაეპატრონა, სწორედ ფილოსოფიამ – ემპირიზმისა და რაციონალიზმის სახით – განდევნა იგი, დღეს ფილოსოფია და მეცნიერებაა კრიზისში, იგი სულიერი მხსნელის ძიებაშია.

ბატონი დემურ, თქვენ გჯერათ, რომ ფილოსოფიას ეროვნული მისიაც აკისრია?

– დღეს საქართველოში ორად ორი ეროვნული ძალაა: განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეკლესია. მე მგონია, მათ უნდა შეუერთდნენ ერის წიაღში მთვლემარე სხვა ძალები. აკი გითხარით, დავითის სახელმწიფოებრივი მექანიზმის აუცილებელი ელემენტი იყო ფილოსოფია.

ირაკლი ბრაჭული – თსუ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ბატონი ირაკლი, თქვენს მოხსენებაში მსოფლმხედველობის რჩმენით საწყისზე იყო ლაპარაკი....

– მსოფლმხედველობა არის მოკვდავში უკვდავების უშუალო და ინტიმური მოცემულობა. ეს კი სარწმუნოებრივი ვითარებაა; პეგელის განსაზღვრით, „რწმენა არის აბსოლუტური გონი მის უშუალო უქადაგობასა და ინტიმურობაში. არსობრივი აზრით, არც შეიძლება არსებობდეს არასარწმუნოებრივი მსოფლმხედველობა.

და მაინც ფაქტია, მეცნიერების, ხელოვნების, ზნეობისა და მითოსის მსოფლმხედველობრივი პრეტენზიები.

– ეს ნიპილიზმის ნიშანია.

რას ნიშნავს ნიპილიზმი და ვინ არის ნიპილისტი?

– ნიპილიზმის ფორმულა, ნიცშეს სიტყვებით, არის „ლმერთი მკვდა“. ნიპილისტი ისაა, ვისაც ლმერთი არა სწამს; როცა აბსოლუტი „მკვდარია“, ადამიანი იძულებულია მისიკომპენსირება

მოახდინოს რაიმეთი: ან ხელოვნებით, ან მეცნიერებით, ან მითო-სით; ამის შედეგია, ვთქვათ, ე.წ. „მეცნიერული მსოფლმხედვე-ლობა“ და ა.შ.

მაშ, ადამიანი ან ნიპილისტია, ან მორნმუნე, მესამე გზა არ არსებობს?

– არსებობს, მას პრობლემატურ რელიგიურობას უწოდებენ. ასეთია თანამედროვე ადამიანი. კამიუ მას „აბსურდის გმირს“ უწოდებს.

რას ნიშნავს ეს?

– მისი ფორმულა დოსტოევსკიმ ჩამოაყალიბა: როცა სტავრი-გინს სწავლაში, მას არა სწავლაში, რომ სწავლაში, ხოლო როცა არა სწავლაში, მას არა სწავლაში, რომ არა სწავლაში.

ასეთი რამ, ალბათ, გარდამავალი პერიოდისთვისაა დამახასიათებლი?

– ალბერ კამიუს სიტყვებით რომ ვთქვათ, „გარდამავალი პე-რიოდი“ ესაა „აბსურდის გმირის“ გეთისმანის ლამეები, სადაც არაფრით დაძინება არ შეიძლება, არამედ საჭიროა მიწყივი სუ-ლიერი სიფხიზლე და ყურადღებით ყოფნა“.

გურამ თევზაძე – თსუ ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე; თსუ ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემების შემს-წავლელი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი, მეცნი-ერებათა აკადემიის სწევრ-კორესპონდენტი.

ბატონი გურამ, ამ ბოლო ხანს, განსაკუთრებით 9 აპრილის შემდეგ, ქართველ ხალხში იფეთქა რელიგიურმა გრძნობამ...სულ უფრო ხშირად და ხმამაღლა გამოთქვამენ აზრს, რომ ყოველგვა-რი მატერიალიზმი და ათეიზმი დაუყოვნებლივ უნდ ააღმოიფხ-ვრას ჩვენი ერის სულიდან.

– დღეს ცხადია, რომ მსოფლიოში ათეისტური საზოგადოების აშენების უდიდესი ექსპერიმენტი სრული კრახით დამთავრდა;

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის არგუმენტი ათეიისტური საზოგადოების სასარგებლოდ;

ვვონებ, დიდროს სიტყვებია: „მე მიყვარს ღმერთი, მაგრამ მე-გობრულად ვცხოვრობ ათეიისტებთან“.

– დიახ, ასე თავდება დიდროს ცნობილი წერილი ვოლტერისადმი;

საზოგადოება სულიერი საყრდენის გარეშე ვერ იარსებებს; რას თვლით ასეთ საყრდენად?

– მორალურ რწმენას.

რაში მდგომარეობს მისი საზრისი?

– კანტის განსაზღვრით, ადამიანი ყოელთვის უნდა იყოს მიზანი და არასოდეს როგორც მხოლოდ საშუალება.

მაშასადამე, ათეიისტისა და თეიისტის პოლარობა მორალით უნდა იქნეს რეგულირებული.

– დიახ. ადამიანი, როგორც მორალურად თვითკანონმდებელი არსება, პასუხისმგებელია თავის თავზე და თავის სამყაროზე. ეს უზარმაზარი ტვირთია. კანტი თვლიდა, რომ მის შესამსუბუქებლად პოსტულირებული იმედია ღმერთი; მოკლედ, ღმერთი მორალურად აუცილებელია.

შესაძლებელია მორალი ღმერთის გარეშე?

– შესაძლოა, მაგრამ თვით კანტიც სიღრმისეული პიროვნული განცდის კარნასით, ამტკიცებს, რომ ათეიისტი, თუ იგი გულწრფელია ამ არაადამიანური ტვირთის გაცნობიერებისას, მაინც ღმერთთან მივა...

გამომსვლელთა უმეტესობა აღიარებდა, რომ „გარდამავალ“ პერიოდში ფილოსოფია „მოლოდინის“ მდგომარეობაშია.

– ასე ფიქრობს მე-20 საუკუნის ყველაზე უფრო გავლენიანი მოაზროვნე მარტინ ჰაიდეგერი; 1972 წელს მან საჯაროდ განაცხადა: ჩემი ფილოსოფია არის ღმერთის ლოდინი.

ქართული ფილოსოფიური ტრადიციისათვის თუ არის ბუნებრივი „ღმერთთან მისვლის გეზი“?

– ქართულ ფილოსოფიაზე, ქრისტიანულ ნეოპლატონიზმზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით მე-20 საუკუნეში, „ოქროს ხანის“ ფილოსოფიის ამაღლობინებლის – შალვა ნუცუბიძის ორიგინალურ კონცეფციაში, – ალეთოლოგიურ რეალიზმში – მოცემული იყო შესაბამისი ტენდენცია. ფილოსოფოსობის საჭიროება და სიძნელე ასე იყო ფორმულირებული: როგორ შეიძლება ადამიანად დარჩე და ადამიანის მიღმურს სწვდე? ადამიანი სამყაროში მარტო არ არის. ამიტომ ჭეშმარიტება ჩვენთვის ჭეშმარიტებას თავისთავად უნდა ემყარებოდეს, ადამიანურ-ლოგიკური, წინალოგიკურზე დამყარებით, შესძლებს თვითდაფუძნებას... ეს საუკუნის დასაწყისია, 20-იანი წლები.

60-70-იან წლებში ზურაბ კაკაბაძემ უფრო მკვეთრად და გასაგებად დააყენა საკითხი: მოკლედ, მთავარი ისაა, რომ აბსოლუტისადმი ნოსტალგია ქართულ აზროვნებაში არასოდეს გამქრალა. ეს პეტრიწული დვრიტა ცოცხლობდა, იგი ცოცხალია დღესაც. მე იმის აღნიშვნაც მინდა, რომ რწმენა და ეკლესია არ არის დასასვენებელი საშუალება და არანაკლები პრობლემაა იმის გარკვევა, ჭეშმარიტად სწამს თუ არა ადამიანს. გავიხსენოთ ლვთის წინაშე გულწრფელი ადამიანის აღიარება: მწამს უფალო, შეენიერნებასა ჩემსა.

დიმიტრი თუმანიშვილი

ხელოვნება და ინდივიდუალიზმი*

„კაცნო, მკვლელნო ღმერთთა“
შარლ ლეკონტ დე ლილი

„ჭუათმყოფელი ადამიანი თავისი ნიჭით
არასოდეს იამაყებს“
პარპერ ლი, „ნუ მოკლავ ჯაფარას“

1983 წლის 2. II, შეუდგა რა ხელოვნების ისტორიის კათედრის გაძლიერებას მიუნენის უნივერსიტეტში, ჰანს ბელტინგმა წაიკითხა შესავალი ლექცია, რომლის სათაურში დასმულია კითხვა: გათავდა თუ არა ხელოვნების ისტორია. თავად მომხსენებელმაც აღნიშნა, პირველი როდი ვარო, ვინც ეჭვობს ხელოვნების იმ სახით არსებობის შესაძლებლობას, რაც მან რენესანსის აქეთ მიიღო. იგულისხმება „ხელოვნება“ როგორც გარკვეული, სრულებით ავტონომიური სფერო, ერთი მხრივ; მეორე მხრივ კი „ხელოვნების ისტორია“, ვითარცა სწორედ იმ თავისთავადი, ერთგვარ არსად წარმოსახული „ხელოვნების“ თვითგანვითარების პროცესი, რომელშიც ცალკეული მხატვარი ერთი რგოლი გამოდის, ამ ობიექტური თვითმოძრაობით განსაზღვრულ-განპირობებული. მხატვარი, აქედან გამომდინარე, მოვალეა „ახალი“ შექმნას, რათა წინ წავიდეს „ხელოვნების“ თვითგამოვლინების საქმე. ასეთია მიახლოებით ის კონცეფცია, რომლის შემუშავება ჯ. ვაზარის ბრალდება (ოცდახუთიოდე წლის წინათ რ. კრაუტჰაიმერი მას საყვედურობდა, ლ. გიბერტის საკუთრივ მხატვრულ მიღწევათა

* დაიწრა 1988 წ; დაიპეჭდა: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, №4. გადმობეჭდილია დიმიტრი თუმანიშვილის მონოგრაფიიდან: „წერილები, ნარკვევები“. თბილისი, გამომცემლობა, „წმინდა წინა“, 2001 წ..

ისტორია ბიოგრაფიული ამბებით გააზავაო!). არსებითად კი კრიტიკის საგანია ის გამოყოფა „ხელოვნებისა“, მისი ის „განთავისუფლება“, რომელსაც ეგზომ უქებდა აღორძინების ხანას ახალი დროის ლიბერალური ტრადიცია. შემთხვევითი ეს მოვლენა ნამდვილად არ არის – ასე თუ ისე, „წმინდა“, „ავტონომიური“ ხელოვნების დაგმობა შეიძლება მოიძებნოს უ. მორისთანაც, Bauhaus-სა და 1920-იანი წლების რუსული „საწარმოო ხელოვნების“ თეორიებშიც. შემთხვევითი არც ის არის, რომ ხელოვანის თვითმყოფი „ხელოვნების“ განმხორციელებლად გაგებას XIX საუკუნის ესტიკიოსებმა – კონრადმა და ფონ მეიერმა დაუპირისპირეს ეფექტური აფორიზმი: „აღარ არსებობს არავითარი ხელოვნება, მხოლოდ ხელოვანი“ და რომ იგი 1950-იანი წლების დამდეგს გაიმეორა (თავისი „ამბავი ხელოვნებისას“ შესავალში) სერ ვ. გომბრიხმა. ქვემოთ გამოჩნდება, რა ზომამდე მგონია გასაზიარებელი ეს თვალსაზრისი. იმაზედაც კი შეიძლება გვესაუბრა, რა მოგვცა ხელოვნების ახალდროინდელმა კონცეფციამ, რა შეგვძინა მხატვრული შემოქმედების საწვდომად. მაგრამ ამჟამად სხვა რამ უფრო საგულისხმო ჩანს: ზოგჯერ ისეც გამოდის, თითქოს საზოგადოდ ყოველგვარი სახვის დასასრულიც ივარაუდება. პირდაპირ ამბობდა ამას 1975 წელს ლ. ფიშერი და ამასთან დაკავშირებით გაიხსენებენ ხოლმე გ.ფ. ჰეგელის ცნობილ წინასწარმეტყველებას. იგი, როგორც ცნობილია, ფიქრობდა, რომ ხელოვნება არ გამოხატავს სულს, ამიტომ აუცილებელი აღარაა და, ბუნებრივია, განწირულიცაა. ეს ასე საბუთდება: სული, თავის უმაღლეს სპირალურ ხვიაზე, აბსოლუტური სულის საფეხურზე, პირველად ხელოვნებად განსახოვნდება – ე.ი. თავს გარედან უყურებს, შემდეგ თავის სუბიექტურობაში ჩაბრუნდება, რაიც, ჰეგელის სისტემაში კი ლოგიკურად, ისე კი ძალზე უცნაურად, რელიგიას უდრის, უფრო ზუსტად, პროტესტანტულ „გულის“ რელიგიას და, ბოლოს, ფილოსოფიად ამაღლდება. ხელოვნება მხოლოდ იმიტომ ხდება ზედმეტი, რომ განვითარებულ სუბიექტურობას ვეღარ იტევს. საკითხი კი ისაა, ესმოდათ კი მუდამ ხელოვნება სუბიექტის გარეთ გამოტანად, რაც საფუძვლად უდევს გ.ფ. ჰეგელის შეხედულებას.

ნოვალისის ერთ-ერთ ფრაგმენტში ნათქვამია: „ყოველი ადა-
მიანი გარკვეული ილად ხელოვანია, იგი გარედან შიგნით კი არა,
შიგნიდან გარეთ შეიგრძნობს. განსხვავება ისაა, რომ ხელოვან-
მა გააცხოველა თავის ორგანიზმში თვითშემოქმედი ცხოვრების
ღივები, მათი გაღიზიანებადობა გაზარდა და შემძლებელი გახა-
და, იდეები სურვილისამებრ... გადმოღვაროს მათი მეშვეობით,
ისინი რეალური სამყაროს თავის ნებაზე გარდასაქმნელად მო-
იხმაროს.“ დღევანდელ ადამიანს ამ მსჯელობაში არაფერი ეუცხო-
ება, არც XIX საუკუნის მკითხველი გაკვირდებოდა დიდად, – ეს
ის აზრია, XVIII საუკუნეში საბოლოოდ რომ ჩამოყალიბდა, მაგრამ
ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ლეონარდო და ვინჩისთან და ტადეო
ცუკარისთან დასტურდება. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რაკი ადრე
ხელოვნებზე მაინცდამაინც არა ფიქრობდნენ, სხვას საზოგადოდ
ვერას ვნახავთო. გამოკვეთილ-ჩამოქნილს, ალბათ, მართლაც
ძვირად თუ, მაგრამ სულ სხვანაირი წარმოდგენის მიგნება მაინც
შეიძლება.

რომის კაპიტოლიუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ფრანჩესკო
პეტრარკა ბრძანებს: – არ გამიჭირდებოდა თქვენთვის მეჩვენებინა,
რომ მგოსანნი გამონაგონის საფარველით ხან ბუნებითი თუ ზნე-
ობითი ფილოსოფიის ჭეშმარიტებებს აამეტყველებენ, ხანაც ის-
ტორიულ ამბებს და ისიც დამედასტურებინა, რისი გამეორებაც
ასე ხშირად მიწევს: პოეტისა და ისტორიკოსის, ან ფილოსოფო-
სის... საქმეთ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ღრუბლი-
ანსა და მოწმენდილ ცას შუა – ორივეს მიღმა იგივე ნათელია,
მხოლოდ მჭვრეტელნი ხედავენ მას განსხვავებულად.“ ძნელი მო-
სალოდნელია ახლებურისაგან ეგოდენ მსხვაობარი მოსაზრება
თავად ფ. პეტრარკასი იყოს, ამ, თუ სულ პირველს არა, ერთ-ერთ
პირველ ნამდვილ „ლიტერატურს“, ვინც თითქმის დაირწმუნა
თავი, რომ მთელი შინაარსი ცხოვრებისა შეიძლება იყოს გამარ-
თულად წერა, რომ ცოდნის დაგროვება და მისი კოხტად გადმო-
ცემა შეიძლება ანაცვალო ადამიანის ყველა სხვა მოვალეობას.
მართლაც, აქვე იგი იმოწმებს ლათინთა ეკლესიის ერთ-ერთი
მამის, ლაქტანციუსის სიტყვებს: „...მგოსნის მოვალეობაა მიმა-
ნიშნებელი ხატების მეშვეობითა და ერთგვარი კეთილმშვენიერე-

ბით გარდასახულად გადმოგვცეს ჭეშმარიტი საქმენი; პირიქით, მთელი თხრობა გამონაგონს დააფუძნო, იმას ნიშნავს, მგოსანი კი არა, უფრო ბრიყვი და ცრუპენტელა იყო.“

ამ გამონათქვამთ ემხრობა ძველი ხელოვნების მთელი სინამდვილე. მთელი მწერლობა ხომ ნამდვილ ისტორიაზე უნამდვილესად მითოსს ემყარებოდა (თვით ზღაპარიც კი, ფანტაზიის შედარებით მეტად შემწყნარებელი!) ანდა თვით ისტორიას (ხოტბანი, ჰაგიოგრაფია და ა.შ.); გამონაკლისი ახალ დრომდე ანტიკური და, ალბათ, ბიზანტიური რომანები თუა. იგივე არ ითქმის დასავლურსა და აღმოსავლურ სარაინდო და სასიყვარულო ეპოსებსა და რომანებზე, ისინიც ან ისტორიულადაა ნაგულვები (მაგ., „არტურის ციკლი“), ანდა ალეგორიულად მიუთითებს სხვა სინამდვილეს. ამის მაგალითია, თუნდაც, დანტეს საიქიოდ მოგზაურობა, რომლის აზრისეული მრავალფეროვნება ცნობილია. არც „ვეფზიტყაოსნის“ შესავალშია ნათქვამი სასხვათაშორისოდ, ჯერ „თამარს ვაქებდეთ მეფესა“, მერე კი, განმარტებად, ტარიელს „ტურფადცა უნდა ხსენება“-ო. ჩანს, რაღაცგვარად „სამთა გმირთა“ ამბავი თამარ მეფას შესხმაა. ეს, რასაცვირველია, არ გამორიცხავს სხვა საზრისებს და, რაც მთავარია, უშუალოდ თხრობა, ე.წ. „სიტყვასიტყვითი“ პლანი ინარჩუნებს თავის შედარებით დამოუკიდებლობას – მოგვიანო რაციონალური ალეგორიებისაგან განსხვავებით. სხვადასხვა საზომები ერთდროულად არსებობს და მოქმედებს – ეს ჩვენს დავით გურამიშვილთან ჩანს შესანიშნავად, სახელგანთქმულ „ზუბოვკაზე“ მეტად, მაგ., მის ვედრებაში მზეთა-მზისადმი (21, 22, 23, 27, 29, 45), სადაც ჩვეულებრივი გასაჭირი (სიცივე, შიმშილი, ტალახში ჩაფლობა) იმავდროულად სულის განსაცდელიცა და ერთის დახსნის მოსურვება – მეორის ხსნისთვის ვედრება. ძველი და ახალი აღთქმის შუა საუკუნეებისათვის ჩვეულებრივი დაპირისპირება იმასაც გვიჩვენებს, რომ ერთი ამბავიც კი შეიძლება „ნიშნავდეს“ სხვას. ამ მტკიცებას თითქოს ეწინააღმდეგება არის ისტორიულეს განსაზღვრება, ხელოვნება შესაძლებელ ქმედებას გვიჩვენებსო, ისტორიისგან განსხვავებით. მაგრამ ბერძნულ ეპოსსა და ტრაგედიაში, რომელზედაც იგი საუბრობს, ქარგა მუდამ ხომ მითოლოგიურია,

მითოსი კი არათუ სინამდვილეა, ყოველგვარი მოქმედების მო-დელი და პარადიგმა, მუდამ განმეორებადი, ასე რომ, მასში შე-საძლებლობა იგივე აუცილებლობაა (სხვაა, რომ არისტოტელეს, ეგებ ეს ამგვარად არ უფიქრია).

ყოველივე ეს სახვით ხელოვნებაზედაც ითქმის – იქნებ მწერ-ლობაზე უმეტესადაც. იგი ხომ მუდამ ხატად-ქმნიდა მითიურ-რელიგიურსა და ისტორიულ ამბებს. ამასთან ერთად, აქ განსა-კუთრებით თვალსაჩინოა ძველი ხელოვნების არსებობის წესი – იგი ასრულებს სავსებით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფუნ-ქციას – მაგ. მაგიურს, ხან რელიგიურს, უფრო ამაღლებული აზრით, ხანაც უბრალოდ რეპრეზენტაციისას. ეს გულისხმობს, რომ აქ ფორმულა „ხელოვნება-თვითგამოხატვა“ სრულებით უად-გილოა. არადა, ხომ უნდა იყოს რაღაც, რაც აერთიანებს ყველა დროის მხატვრულ შემოქმედებას და ხელოვნებად აღგაქმევი-ნებს ქვის ხანის ნახატ-ქანდაკებასაც კი. ხელოვნების ნაირ-გვარ განსაზღვრებათაგან ყველაზე დამაჯერებლად ის მეჩ-ვენება, რომელიც ხელოვნებას სამყაროს ხატად სახავს. იგი რომანტიკოსებმა „აღმოაჩინეს“ და მას აქეთ იგი ათასნაირად ჩა-მოუყალიბებიათ – ფრ. ფონ შლეგელის ფორმულირებიდან „მხატ-ვრობა ღვთაებრივის გამომხატველია“, ვიდრე თავად ჰ. ბელტინ-გის „ხელოვნება სამყაროს გაგებააო“. რომანტიკოსები ამ გზით სუბიექტურ მომენტს უსვამდნენ ხაზს და წინანდელ თვალსაზ-რისებს („ხელოვნება ბუნების მიბაძვაა“, „ხელოვნება მშვენიერე-ბის განხორციელებაა“) უპირისპირდებოდნენ. მათი ეს მონაპო-ვარი დიდმნიშვნელოვანი რომაა და ადრინდელ თეორიებზე და ადრინდელ თეორიებზე მეტადაც უნდა უახლოვდებოდეს ხელოვ-ნების რაობას. თითქოს აშკარაა, მხოლოდ ცალკე ძველი ხელოვ-ნების გამოცდილება, ცალკეც თვით ცნება „ხატისა“ ამ ფორმუ-ლის სულ სხვა წაკითხვის შესაძლებლობასაც გვაძლევს. „ხატი“ ვიღაცისგან აღქმულ-გამოხატულსაც გულისხმობს (სწორედ ამა-ზე ამახვილებენ ყურადღებას რომანტიკოსებიცა და სხვანიც), მაგრამ იმასაც ხომ, რაც აღიძვეს და გამოხატეს, რაც ხატად გამოჩნდა. საქმე ისაა მხოლოდ, ამოსავლად რა ჩაითვლება. ახალი

დროისათვის თავი და თავი განმცდელ-სახისმოქმედი სუბიექტია, ძველისთვის, ასე ჩანს, გამოსახატ-გამოსათქმელი.

მართლაც, ის, რაც ილექსებოდა, სიტყვად ითქმოდა, იხატებოდა თუ ქანდაკდებოდა, არ იყო რამ შემთხვევითი – ყოველივე საგანს ხელოვნებისას ჰქონდა თავისთავადი მნიშვნელობა, კერძო პირთა პორტრეტებსაც კი (ვთქვათ, ვოტიყური ანდა მაგიური ეგვიპტელებთან, სოციალური – რომში). ასე რომ, ხელოვნება წარსულის კულტურისათვის ღირებულს წარმოადგენდა, მათი ფასეულობების გამომთქმელ-უკვდამყოფელი იყო. აქ ხელოვანი საკუთარი „მე“-ს გარეთ გამოტანას (ილიას სიტყვებია) კი არ ცდილობდა, საყოველთაოს ხილულქმნას და, როგორც ყველამ ვიცით, ფორმათაქმნაც შესაბამისი იყო-ხოლმე. ხელოვნება აქ არის ობიექტურად ჭეშმარიტის პიროვნების მეშვეობით გაცხადება – ამიტომაც ესთეტიკური, როგორც ასეთი, არ იპყრობდა ყურადღებას, იგი ბუნებრივი თანამდევი იყო „უკეთ“ გამოთქმულ-გამოხატულისა. ინდივიდუალობაც საგანგებო თავის მტვრევის გარეშე ვლინდებოდა და, რაღა თქმა უნდა, ყველასათვის საერთო ჭეშმარიტებაც ახლებურადვე, ოდნავ სხვა კუთხით აფერად-დებოდა. მაგრამ რადგანაც ცალკეულ კულტურათა ღირებულებითი სისტემები მარადიული, აბსოლუტური ღირებულების დროისმიერი სახეებია (ასე ფიქრობდნენ თუნდაც ქართველი კულტუროლოგები – იხ. ნიკო ჭავჭავაძისა და სხვათა ნაწერები), შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ძველი ხელოვნება შეგნებულად ატარებდა და ნათელპყოფდა ღირებულებებს, რომ სამყარო მასში ხაზგასმულად იყო მოწოდებული თავისი ღირებულებითი ბუნებით, მეტიც, ხილული „ქვეყანა“ აქ მთლიანად ღირებულებათა განსხვაულებაა – ვითარცა ღმერთთა თუ ღმერთის ქმნილი და მათსა თუ მასზე ცოდნის სიმბოლო.

ყველაფერი ეს შესაძლებელი იყო, ვინაიდან ხელოვანი თავს საყოველთაოს მონაწილედ და „მოწამედ“ (ძველი „მოწმობის“ აზრით) გრძნობდა. ამას სოციალური განზომილებაც ჰქონდა, მაგრამ ჩემთვის – მით უფრო, ამგვარ მოვლენებში, მიზეზი და შედეგი ძნელი დასადგენია (თუ საერთოდ დადგინებადი) – უპირატესი მნიშვნელობისაა თვითგანცდა ძველი დროის ადამიანისა. იგი

იყო რგოლი კოსმოსური წრებრუნვისა ყოველნაირ წარმართობაში (ინდურისა და ჩინურის ჩათვლით), ღმერთ-შემოქმედის პირისპირ იდგა იუდაიზმისა და მაჰმადიანობაში, ქრისტიანობაში კი სული-ერ-ხორციელ, ხილულ-უხილავთა წესრიგში ჰქონდა უეჭველი ადგილი. იგი შეიძლება არც მიჰყოლოდა ამ ღირებულებებს, კი-დეც უჩიობა გამოეჩინა, ოღონდ ყოველთვის იცოდა, რას სჩადის, რას უმხედრდება, რას განუდგა. ყველაზე მძაფრად ეს, ცხადია, „ცოდვის“ ქრისტიანულ ცნებაში გამოვლინდა, მისი უმძაფრესი ეთიკური და ემოციური შინაარსით.

მაგრამ აი, რას ამბობს თავის, თავისთავად მშვენიერ „სიტყვაში ადამიანის ღირსების შესახებ“ კომტი ჯოვანი პიკო დელ-ლა მირანდოლა. მამა ღმერთს იგი ათემევინებს: „ქვეყნიერების შუაგულში დამიმკვიდრებიხარ შენ, რათა უკეთ მოიხილავდე ყოველივეს, რაც კი რამ არის ქვეყანაზე. არც ზეციურად გქმენ და არც მიწიერად, არც მოკვდავად და არც უკვდავად, რათა შენ თავად, თავისუფალი და დიდებული ოსტატი, ისეთ სახეს შექმნიდე, როგორსაც ამჯობინებ, შეგიძლია უდაბლეს, უგონო არსებად გარდაისახო, მაგრამ სულმა თუ მოგინოდა, უმაღლესად, ღვთაებრივადაც“. ხომ თითქოს არაფერი – ღმერთიც სამყაროს გამგებლადაა ხსენებული, მისი ნაბრძანებიც – მაგრამ ადამიანი ქვეყნიერების შუაში მოხვდა და დამოუკიდებელია. აქედან ერთი ნაბიჯიღაა – თუმცაკი, არც თუ მცირე ნაბიჯი – ი.გ. ფიხტეს უცნაურ „მე“-მდე, რომელიც არ არის კონკრეტული ადამიანი, მაგრამ არც ღვთაებრივია არსია, რაღაც ასე თუ ისე ადამიანური, ქვეყნიერებას „არა-მე“-დ რომ იქმნის. მეტიც, თვით ფ. ნიცშეს ზარატუშტრამდე, ვინც იტყვის: „ღმერთი რომ იყოს, როგორლა ავიტანდი, ღმერთი არ ვიყო“. ამგვარი თავდაჯერებულობა და თავდაჯერება გასაკვირი არ უნდა იყოს – სხვაფრივ თავის დამკვიდრება „თავისუფალ“ ადამიანს არც შეუძლია. რადგან ძალიან მალე ცხადი შეიქმნა, რომ თავის ნებაზე მიშვებული კაცი თავის ანაბარაც დარჩა და თავის თავში ჩაკეტილიც აღმოჩნდა. იგი, ამ სიტყვის უზუსტესი მნიშვნელობით, გახდა „ყველაფრის საზომი“, ოღონდ, რაკი საკუთარი საზომების შეფასება არ შეეძლო, მის წინაშე წამოიჭრა კითხვა სამყაროზე თავისი ცოდნის ფასის შე-

სახებ, საბოლოოდ კი თვით ქვეყნიერების ნამდვილად არსებობა-არარსებობისა – ამის პასუხიც კი მას თავის შიგნით უნდა ეპოვა. ეს პასუხი კი – მუდმივი ეჭვი გამოდგა, ხან სიამაყით აღსარებული (მაგ., პოზიტივისტებთან), ხან მიჩქმალული, ესაო და, „რატიო“ იქნება თუ გრძნობა, ამას ვენდობითო („განმანათლებლები“, სენტიმენტალისტები...); ოღონდ, დასასრულ, მაინც იმავე გონებისა თუ სხვის რასმე შეფარდებითობა გამოაშკარავდებოდა ხოლმე და, უთუოა, რომ სუბიექტურობაზე დაფიქრებული აზროვნება მხოლოდ სკეპტიციზმი შეიძლება იყოს, უარის თქმა ჭეშმარიტება-მცდარობის ძიებაზე, თვით სამყაროს რეალობის გარკვევაზე. რასაკვირველია, მუდამ იყვნენ ისეთნიც, ვინც ობიექტურ-მარადიულის ძიებაში იყო, და ეგებ, სწორედ მათი თვალთახედვა „წმინდა სახის“ სუბიექტივისტებისაზე მეტად გვიჩვენებდეს მომხდარ გარდატეხას. აი, სამიოდ მაგალითი რელიგიური – ე.ი. უეჭველად მარადი არსის წვდომისკენ მიმართული აზროვნებისა. ჯერ ხომ პროტესტანტიზმა გამოაცხადა რელიგიის ძირითად სინამდვილედ, მის არსებად, რწმენის განცდა – ე.ი. რაღაც სავსებით პიროვნული, პირადულიც კი; როგორლა დარწმუნდება ქრისტიანობის ჭეშმარიტებაში ის, ვისაც არა აქვს ამგვარი განცდა, ან, რაც ალბათ უფრო სწორია, უბრალოდ არ იცის მისი ცნება. შემდგომ, XVII საუკუნის შესანიშნავი მისტიკოსი პოეტი ანგელუს სილეზიუსი, ერთ-ერთ ლექსში ღმერთს ესაუბრება – შენ უჩემოდ ვერ იქნებიო. ეს უცაბედი სიტყვა როდია, არსებითი დამოკიდებულების გამოხატულებაა და ამაში გვარწმუნებს რ.მ. რილკეს ერთი ლექსთაგანი, რომელიც ასე იწყება: „რას იზამ ღმერთო, მე რომ მოვკვდე“. თუ ადრე ღვთიურ ძალას იხმობდნენ, ახლა იგი ან სუბიექტში დავანებული ჰერნიათ, ანდა თავისით უნდა შესწვდნენ აბსოლუტს (ეს პირდაპირ აქვს ნათქვამი რ. შტაინერს). ამაზე მეტიც კი: საამისოდ უნდა გაარღვიონ მთელი ხილული სამყარო, რომელიც მართალია, კი აღარ იციან ნამდვილად თუ არსებობს, ადამიანს კი ნამდვილად მტრულად ადგას გარს. იგი აღარაა ღვთაებრივი, სტრიქონში აღარ ცნაურდება ღვთაებათა ნება, როგორც წარმართთავის იყო, საგნები აღარც მიღმურის ხატებანია, ან, როგორც ქრისტიანთათვის, უფლის

ყოველგანმყოფობის ნიშნები – ისინი ყრუა და შეუვალი, თუმცა კი – მირაჟი. ერთადერთი რამ შეეძლო „ავტონომიურ“ ადამიანს – თავი მის შემოქმედად ნარმოედგინა და გარკვეულწილად ეს ასე ხდება კიდევაც – აკი ჯ. ბერკლიდან მოყოლებული, საცნაური სამყარო ადამიანის გონიერაში კონსტრუირებულადაა აღიარებული, ოღონდ უბედურება ის არის, რომ იგი თავის ამგვარ „შემოქმედს“ არ ემორჩილება. არადა, ყოველივე გარეგანი ახალი დროის ადამიანისათვის აუტანელი ძალმომრეობაა. ეს განა მარტო უსიამოვნო, დამთრგუნავსა და გამანადგურებელ ზემოქმედებაზე ითქმის, საერთოდ ყველაფერზე, რაც „გარედან“ მოდის.

ამგვარი დამოკიდებულება ღირებულებზედაც ვრცელდება. (რაოდენ დამახასიათებელია, რომ მრავალთათვის საზიაროს ახლა, ხმირად, „საყოველთაოს“ კი აღარ, „ინტერსუბიექტურს“ უწოდებენ). ჯერ კიდევ ი. კანტმა დაინახა „ზნეობრივი კანონი“ ადამიანისათვის შიგნიდან კი, მაგრამ მაინც თითქოს უცხო ძალისაგან წაყენებულ მოთხოვნად – და ეს მაშინ, როდესაც სურდა ეთიკის დასაძირკვლება. მოთხოვნა, მოვალეობა, ახლანდელი ყურისთვის აუტანელი სიტყვებია. და ისევ, რაოდენ დამახასიათებელია: ჰ.ჸესეს (რომელიც წრებრუნვის აღმოსავლური თეორიებით ამაოდ ცდილობდა თავის სულში აღმოიფხვრა ქრისტიანულ-იერარქიული ღირებულებითი წარმოდგენები) ერთხელ წამოსცდა: რატომ უბრალო რჩევად არ მომიტანეს მაცხოვრის მცნებანი, მათ რატომ უნდა ჩამაგონებდნენო. ბუნებრივია, ამას ღირებულებათა ზემოქმედების თანდათანობითი შესუსტება მოჰყვა და დღეს ისინი, შეიძლება ითქვას, დამსხვრეულია.

მათი საბოლოო დამხობა მაშინ დაიწყო, როდესაც ფ. ნიცშემ „ფასეულობათა გადაფასების“ მოწოდებასთან ერთად, „ღმერთის სიკვდილი“ გამოაცხადა – ღმერთის იდეა კი უკვე ე. კანტისათვის ზნეობის გარანტი იყო – და ერთგან ისიც დაუმატა: – „იგი ჩვენ მოვაკვდინეთო“. დღევანდელმა სრულმა აღრევამ მსოლოდ დაასრულა ინდევიდუალიზმის ეპოქის დასაწყისშივე დასახული გზა, რომელზედაც ბევრმა იდეამ გასაოცარი გადასხვაფერება განიცადა. აი, მაგ., „თავისუფლება“ ძველად ნიშნავდა (ყოველ შემთხვევაში, ეთიკურსა და რელიგიურ მოძღვრებებში) მოშორებას

იმ დაბრკოლებათა, რომელნიც ხელს უშლიდნენ ადამიანს ღირ-სეულად ეცხოვრა (სიტყვა „ღირსებაც“ დღეს უთუოდ ცოტას თუ ესმის), როგორც პლატონიკოსი ან ჰეგენიანელი იტყოდა, „ადა-მიანის იდეის თანახმად“, ხოლო ბიბლიის ენა „წინაშე უფლისა“ სათნო ყოფნას არქმევს (შესაქმე, 5,24). ახლა კი იგი ესმით რო-გორც ჯერ კიდევ ასგზის კრული, „ბუნებრიობის“ მქადაგებელმა რაბლემ თავის იდეალურ-უტოპიური თელემის სააბატოს: „აკეთე რაც გსურს“, ან ის – თვითნებობაა, თავნებობაა, ყველაზე გასა-ოცარი, ალბათ, ისტორიაა სულისა; „სული“, მუდამ ზეცით მოვ-ლენილი, მიღმურის გამობრწყინება, მაცხოვნებელი, რაც უნდა იყოს, ხორციელზე აღმატებული იყო. რომელიმე მსასოებელი ბერი კი არა, „ბაირონისტი“ მ. ლერმონტოვი წერდა ჯერ კიდევ სულზე: „და ზეცის ჰანგნი ვერ შეგიცვალა შენ ულიმლამო ჰანგმა მიწისამ“; აი, გალაკტიონი კი ამბობს: „სულში ნისლის ტბებია და ქაოსის მხატვარი“; და ან რა გასაკვირია, როდესაც ადამიანს ახლა მხოლოდ „ფსიქიკა“ შეარჩინეს, უმეტესწილად ცხოველურ ვნებათაგან თხზული და თანამედროვე ბუნებისმეტყველებასაც არ შეუძლია ადამიანის დანარჩენ არსებათაგან განსხვავება.

ამავე დროს, იგი ერთხანს მეტად მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა – რადგან მხოლოდ მას შეეძლო ის, რასაც შინაგანად მონოდებული კი იყო, ვერ კი განახორციელებდა „თავისუფალი“ ადამიანი – შეექმნა იმგვარი სამყარო, როგორიც მოეგუნებებოდა, მართლაც დაეკავებინა ღმერთის ადგილი, ყოფილიყო მისის კა-ნონმდებელი – „ხელოვნების კანონებს გენია აწესებს“, ბრძანებს ისევ და ისევ ი. კანტი. საკვირველი სიცხადით გამოთქვამს ახალი დროის მრნამსს კ. ბრენტანო, წერს რა: „ყოველს ჰყავს თავისი უფალი კიდე უფლისა, მარტო იგი და არავის მსახურებს, ასევე – მთქმელიც“. ხელოვანი ახლა – გენია, რომელიც აღფრთოვანებასა და მოწინებას იწვევს; მას ახლა ისევე ეთაყვანებიან, როგორც ადრე – წმინდანებს, ასევე აკითხავენ მის საფლავს, აგროვებენ და ინახავენ მის ნაქონ-ნატარებს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ წმინდანების ნეშთიცა და რელიქვიაც მის რეალურ ძალას ინა-ხავს, აქეთი მხოლოდ სახსოვარია, მხოლოდ უსიცოცხლო ნიშნების თაყვანისცემა. ამან შეიძლება წარმართობა მოგვაგონოს და ჰგავს

კიდეც, ოღონდ წარმართისთვისაც აკლდამა – ცოცხალი სულების სადგომია.

მაგრამ რასაც ხელოვნება ჰქმნის – არანამდვილია, ილუზორული და ესაა თავისუფლების საზღაური. იმავე ი. კანტმა და-ასკვნა – ხელოვნებას არც შემეცნებითი ღირებულება აქვს (თუმცა ამას ყველა როდი ეთანხმება) და არც ეთიკური, არც რამე დანიშნულებაო. ისტორიის ერთი პარადოქსთაგანია, მაგრამ ამ აზრის ერთი დამამკვიდრებელი „იდეათა მწერალი“ ფრიდრიხ ფონ შილერი გახდა. მისი მშვენიერი ლექსი „ღვთაებანი საბერძნეთისა“, მაგალითებრ, ასე მთავრდება: „რამაც მარადის სიმღერაში უნდა იცოცხელოს, ცხოვრებაში ჯერ არს რომ მოკვდეს“. ასე „გათავისუფლდა“ ხელოვნება ყოველგვარი მორალური პასუხისმგებლობისგან – რაც, სხვათა შორის, არცთუ ჯეროვანი დაფა-სებაა მისი ზემოქმედების უნარისა, მაშინ, როდესაც მას, დიახაც, შეუძლია საზენაოც გააღვივოს და ქვენაც. როგორც პიროვნების გამოხატულებას, მას მხოლოდღა გულწრფელობა დაევალა. სიწრფელე რომ აუცილებელია, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელოვანს თითქოს არც აზროვნება ჰქონდეს, არც ქმედების უნარი; როგორც ხელოვანი, იგი მხოლოდ რამეზე დაუფიქრებლად ფორმებს უნდა აღმოაფრქვევდეს. სხვა ყველაფერთან ერთად, სწორედ ამიტომ ცივა – ასე ადრე ჯოჯოსეთში იყო – ჴ. ჴესეს დახატულ ესთეტიკურ– იდეალურ საუფლოში, ამიტომ არ იციან თანაგრძნობა მისეულმა გოეთემ და მოცარტმა, ამიტომაა არაადამიანური მათი სიცილი. ერთ ხანს, ხელოვანს ერთი რამ მაინც ევალებოდა – „მშვენიერის“ ქმნა. ანტიკურ-რენესანსული ტრადიციის სიმძლავრემ ისეთი შთაბეჭდილებაც შექმნა ერთ დროს, ვითომ იგი აბსოლუტური ყოფილიყოს, და მას ზოგჯერ კიდევაც ეპოტინებოდნენ როგორც მართლაც რაღაც აბსოლუტურს, ყოველმხრივ რელატივირებულ სამყაროში. „კლასიკური“ ფორმა თანაც ხომ ადამიანის მიერ განწმენდილი, კანონზომიერებამდე მიყვანილი სინამდვილის ხატიც ჩანდა – ე.ი. ადამიანურიცა და იდეალურიც, არც მიღმური და არც ემპირიული, ისევ და ისევ ადამიანისაგან აღმოცენებული. „კლასიციზმები“, ამიტომაცა, სწორედ რომ „ინტერსუბიექტურის“ შემარჩენების

სურვილით საზრდოობენ, თავიანთ პირადობაზე უარის თქმის ხარჯზე – XVII, XVIII-შიც და XIX საუკუნეშიც: ისინი, არსებითად, ეთიკური მოვლენაა. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ამ ადგილს არავინ ედავებოდა – იგი ეჭვის ქვეშ არც ბაროკოს ხანაში დაუყენებიათ და, არსებითად, არც რომანტიზმის ეპოქაში, – ის კი ცხადი ხდებოდა, რომ ერთადერთი იგი ვერ იქნება. მართლაც, იგი ხომ ჭეშმარიტების გამონაშუქი აღარ იყო. როგორც ადრე, გარეგნული ნიშნებით იყო განპირობებული და გემოვნების ცვლილება თუ ისტორიაში ჩაღრმავება, მას გარდუვლად ძირს გამოუთხრიდა. იგიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაემზო და 1919 წელს ახალგაზრდა რ. იაკობსონმა აღტაცებით გამოაცხადა: „ახალმა ხელოვნებამ ბოლო მოუღო სტატიკურ ფორმებს, ბოლო მოუღო სტატიკის უკანასკნელ ფეტიშს – სილამაზეს... სტატიკის აღმოფხვრა, აბსოლუტის განდევნა – ესაა ახალი დროის უმთავრესი პათოსი“. ისიც უნდა ითქვას, რომ მშვენიერების – ის კი, როგორც რაღაცა გარევეული ფორმა მართლაც ფანტომია – განდევნა, ხელს კი არ უშლის, აძლევს კიდევაც ესთეტიზმს, მეტადრე გრძნობადს – ფაქტურებისა და მისთანათა, რომელიც შეიძლება ყველაზე ანტი-ღირებულებითი ნაწარმოებების თვისებაც იყოს.

რასაკვირველია, არსება ხელოვნებისა არ შეცვლილა. იგი კვლავ რჩება – ბოლო დრომდე რჩებოდა მაინც – ქვეყნიერების ხატად. მხოლოდ თუ ძველად მისი საგანი იყო ჭეშმარიტება, რომელსაც „მე“ გამოსთქვამდა, ახლა უმთავრესია „მე“, რომელიც მეტყველებს და ჭეშმარიტებასაც – თუკი მას სცნობენ! – იმდენად აქვს ფასი, რამდენადაც იგი „მე“-მ მოიპოვა. ეს სხვაობა ჰ. ფონ აინემდა (1905-1983) დაახასიათა როგორც „მითოსური“ და „თვითგამომხატველი“ ხელოვნების დაპირისპირება. პირველი – ენობრივი ბუნებისაა, ხატს – ცვალებადსა, მაგრამ ამოსაცნობს – შესაბამისი კულტურის წევრთათვის საცნაური შინაარსი აქვს, მეორე რიგის ხელოვნებაში კი თავიცა და ბოლოც თვით მხატვარია და, თუ მოისურვა, ენაც მისი შესაქმნელია. ჸ. ფონ აინემი, ამასთან, ფიქრობდა, რომ ხელოვნების არსება მაინც არ შელახულა. მაგრამ ბოლო დროს ჩენილი ნიშნები გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ დღესდღეობით ეს ასე აღარ არის, მხოლოდ – იყო.

იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მხატვრული უნარის, განაცადის ფორმად ქცევის მოთხოვნილება, რასაკვირველია, არაა დამოკიდებული იმაზე, თუ რას ფიქრობენ და მიიჩნევენ ადამიანები, მხოლოდ მათ ე.წ. „განწყობას“ კი ძალუძს ნიჭის (იგი კი მართლაც ნიჭია, მონიჭებულია და ამიტომ აღფრთოვანებისა კი, მაგრამ არა პატივისცემის ღირსი – პატივი იმას შეშვენის, რაც ადამიანმა არჩევანით, ნებელობით ეთიკური გადაწყვეტილების გზით გააკეთა) გამოვლენა სხვა კალაპოტში ჩააყენოს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ღირებულებათა ზემოაღწერილი განქარვება არც უეცარი ყოფილა და ვერც საბოლოო იქნება – ეს მართლაც ადამიანობაზე უარის თქმას გაუტოლდებოდა. საქმე ისაა მხოლოდ, რომ წარმმართველთაგან ისინი ყოვლისწამლეკავი სუბიექტურობის რუდიმენტალურ დანამატად იქცნენ. მაგრამ დიდხანს და ახლაც კი, მრავალთ ეგონათ, რომ ფასეულობანი თანდაყოლილია სუბიექტისათვის და საკუთარ თავს მიენდობა რა, იგი მათ არაფერს აკლებს; ასეთი იმედით არიან დღესაც თუნდაც ქართველი ფილოსოფოსები. ეს, ეგებ, საბოლოო ჯამში, ასეც იყოს, მაგრამ თავის თავში მოქცეულ ადამიანს უჭირს მათი ამოცნობა-მოქმედება, პირადულ-უამიერის და აბსოლუტურ-საყოველთაოს გარჩევა – ტყუილად კი არ ყვებოდნენ ამბავს პარსიფალისას, რომლის გულუბრყვილობამ იგი უგრძნობლად და სასტიკად აქცია.

იყვნენ, ცხადია, ისეთნიც, ვინც შეგნებულად უმორჩილებდა საზოგადო იდეალებს თავის თავსაცა და თავის შემოქმედებასაც – ყოველგვარი „ტენდენციური“ და „ანგაუირებული“ ხელოვნების წარმომადგენელნი. ოღონდ რაკი ეს არ ცვლიდა ძირითად ინდივიდუალისტურ დამოკიდებულებას, ვინაიდან ეს განაზრახი არჩევანი იყო, განჯისმიერი საკუთარი მხატვრული საწყისი, ისევე ითრგუნებოდა ხოლმე, როგორც მრავალ კლასიცისტთან დათრგუნვილა. ამავე დროს, ღირებულებათა ტრადიცია იმდენად ძლიერი იყო, რომ XIX საუკუნის დამდეგის თითქმის ყველა დიდოსტატთან – ზოგიერთი ცნობიერად შეიძლება მისი უარმყოფელიც ყოფილიყო – კვლავ მას ვპოულობთ. მისგან სულდგმულობენ ახალი დროის უანრებიც კი – თუნდაც პეიზაჟი, რომლის აღმავლობა და დაცემა პანთეიზმს უკავშირდება. არც ის უნდა

იყოს შემთხვევითი, რა დიდხანს იწერებოდა შენათხზი „ნამდვილი ამბის“ საფარეველით ანდა რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ „ტიპს“ მწერლობაში. მხოლოდ ღირებულებანი ახლა უკვე მოჰყვებასავით ინდივიდუალურ ამოძახილს და წინანდებური მკაფიოებით ველარ ამოითქმება. ასე რომ ვთქვათ, ხელოვნება – სიტყვა ხელოვნება – შორის დებულმა შეცვალა.

ასეთი მდგომარეობა მარტომდენ ხელოვნებაში როდი გვაქვს – ცხოვრებაშიც და აზროვნებაშიც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ „პროგრესის“ პოზიტივისტური თეორია, რომლის თანახმად ტექნიკურ წინავლას აუცილებლობით მოსდევს ზნეობით-საზოგადოებრივიც და საბოლოოდ ამქვეყნიური ჰარმონიაც მისი მეოხებით შეიქმნება, ქრისტიანული ესქატოლოგიისა და ავგუსტი-ნენეტარის ისტორიის ფილოსოფიის გამატერიალისტებული გარდასახვაა. ასევე, XIX საუკუნეში კი, წარმოუდგენელი იყო ვისიმე მოქმედებასა თუ საქციელზე ვთქვათ – „ეს მისი საქმეაო“ (რაც სხვა არაფერია, თუ არა: „ეს რა ჩემი საქმეა“). ეს ბუნებრივია ახლა, როცა თითქმის აღარაფერი გვაქვს საერთო ზნეობრივი პრინციპებისა, მაგრამ ასეთ დამოკიდებულებას ვერ შეურიგდებოდა ვერც ერთი ღირებულებითად დაფუძნებული საზოგადოება.

ცხადია ისიც, რომ ეს ინერცია უსასრულოდ ვერ იმოქმედებდა და მეოცე საუკუნის ხელოვნებაში აშკარად ჩანს ღირებულებითი საფუძვლების გამოფიტვა, რაც უცნაურ სიფუტუროვეს სძენს ხშირად (ე.ი. თავის თავში დასრულებულობის მხრივ) ფასეულ ნაწარმოებთ. ამ კუთხით საგულისხმოა სამყაროს ტრაგიკულად აღმქმელი ოსტატების, ცალკერდ ფ. კაფუასა, მეორე მხრივაც ორი შვედელის, პერ ლაგერკვისტისა და ინგმარ ბერგმანის შეპირისპირება. ფ. კაფუასთან ფანტასმაგორიული საშინელებანი მუდამ სიმახინჯეა, უეჭველად გადახვევა რაღაც გაუჩინარებული, თვალს მიფარებული, მაგრამ უთუო ნორმიდან; თვით მან ერთ მინიატურაში ეს ვითარება აღწერა როგორც მდგომარეობა გვირაბში მყოფი მგზავრისა, რომლის ირგვლივ შესაზარი ჩრდილები ირევა, მაგრამ სადღაც ნათელი რო პნათის, ეს კი იცის. სულ სხვა არის დანარჩენ ორთან. მათი უცილობელი – შესაბამისად მწერლური – და კინემატოგრაფიული – ოსტატობის იქით ვხედავთ

დაუნდობელ სამყაროს, უაზროს ანდა მასსავით სასტიკი ზეცი-საგან განგებულს. ერთი რამ იციან მათ დადებითი, ერთი რამ ადამიანის ნუგეში – სიყვარული. მაგრამ განა ქვეყნის შემოქმედი, ელემენტთა შემაერთი ანტიკური ეროსი; განა ქრისტიანული ტრფიალება, მოყვასში ღვთიური ნაპერნკლის ხილვით აღგზნებული და ზემთა-ზეცად მიწევნილი – მშობელ-ნაშიერისა თუ სქესთაშორისი ურთიერთლტოლვილება, თავისი ბუნებით ბიოლოგიური, რადგან ალარსად არის ის სხვა ღირებულებანი, რომელიც მათ სულიერ მოვლენად გადააქცევენ; სულ ბევრი ესაა – სერტიმენტალური, არაფრით შემტკიცებული გულჩილობა. ღირებულებითი თალსაზრისით ეს ნაკლია, მეტიც, რელიგიურ ცნებას თუ მოვიშველიებთ – საცოლე.

ღირებულებათა გამოქარვას თან სდევს ორი მოვლენა. ერთი არის ხელოვნების, ასე ვთქვათ, „გამეცნიერება“ – მწერალი თუ მხატვარი ახლა „იკვლევს“ სინამდვილეს (როგორ უყვართ ეს სიტყვა მაგ., რეჟისორებს!). კვლევა – შიგნიდან გარეთ მიმართული მოღვაწეობაა, გაუგებარში გარკვევის მცდელობა, პრინციპულად არაღირებულებითი და პრინციპულადვე – შეფარდებითი. ამასთან, იგი თავისებურ, არასაყოველთაო ენასაც გულისხმობს და ხატოვანების დამცრობასაც. ფიზიკური სამყაროსა თუ „მე“-ს იდუმალი სიღრმეების წარმომჩენად იმუშავებენ რა ხერხებს – სხვა საქმეა, რომ ყველა ამ მიმართულებაში შექმნილია ხატოვნად მეტყველი ნაწარმოებები – იმპრესიონისტები, დივიზიონისტები, აბსტრაქციონისტები, ექსპრესიონისტები ისტორიაში პირველად მიმართავენ საგანგებოდ შემზადებულ „თავის“ მაყურებელს – ზუსტად ისევე, როგორც სამეცნიერო ნაშრომების წამკითხველად სპეციალისტი ივარაუდება. მეორე მოვლენაა „სიახლის ღირებულების“ გაჩენა. თავისი ბუნებით ეს საერთოდ არაა ღირებულება – რადგან მომდევნო სულაც არ ნიშნავს უკეთესს და არც რამ მხატვრული. მაგრამ აბა სხვა რა შეიძლებოდა გამხდარიყო საზომად ინდივიდუალიზმის საუკუნეში, თუ არა განსხვავებულობა? ხოლო ყველაზე ადვილი მოსახელთებელი კი ახლის და ძველის, მყოფისა და არყოფილის სხვაობაა. შეიძლება მართალიც იყოს სერ ე. გომბბრიხი, რომელიც ამ მოვლენას „პროგრსის“ ზემოხსენებული

იდეის ზემოქმედებით ხსნის. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ისედაც ხომ რაღაცამ შეაპირობა, მეორეც, აქ კიდევ ერთი უცნაურობა იჩენს თავს. ინდივიდუალისტი „სხვას“ ვერ ეგუება, მაგრამ სამაგიროდ მარტოობისაგან თავის დასალწევად ძალზე ხშირად უპიროვნო აბსტრაქციებს (სხვაა ლვთაება – ზე-პიროვნული!) იფარებს ხოლ-მე – კანონს, სახელმწიფოს, აბსტრაგირებულ სამშობლოსა და ერს, „პროგრესს“, „ეპოქას“. და მართლაც, აბსტრაქციის გარდა, რომელიც ბუნების ძალასავით ირჯება თითქოს, რა გაართიანებს გათიშულ-განმხოლოებულ პიროვნებებს?

„მეცნიერულობა“ – „სიახლის სურვილის“ თანამდევია ახალი დამოკიდებულებაც ხელოვნებისადმი – „ინტერესით“ და „საინტერესოთი“ რომ გამოიხატება და XIX საუკუნის შუა ხანებამდე თითქოს არსად ჩანს. ჩვენ ხშირად ვამბირებთ ამ „საინტერესოს“, სიტყვას, რომელიც არც მოწონებას ნიშნავს, არც დაწუნებას, არც მიღებას – მხოლოდ ცნობისწადილს აღძრავს, განსჯის ამუშავებას, ჩვენი „მე“-ს სხვა შრეების დუმილისას – არადა ხელოვნება ყოველთვის ერთობით გონება – სულ-გრძნობას მიმართავდა.

და ბოლოს, დგება უამი, როდესაც ინდივიდუალისტური კულტურის წინაშე დგება საკითხი – რისთვისლა ხატის ქმნა? თუ თავი და თავი ინდივიდუალობაა, არათუ – აქედან გამომდინარე! – ყოველნაირი ხელოვნება თანასწორია და ე.ი. (სინამდვილეში რომ ასე არ არის, სხვა ამბავია) კანონგარეშეა კითხვა ნაწარმოების ღირსების შესახებ, მეტიც: სულერთი არ არის რა იქნება პიროვნების კვალი, რით გამოხატავს იგი თავს, რას აქცევს თავის „ნიშნად“ – გატეხილ სკამს, მინაზე გავლებულ ნაკვალევსა თუ სულაც საკუთარ თავს: თავის მოძრაობას, ბოლოს, ცხოვრებასაც? თუკი იგი სხვებს არ უნდა ითვალისწინებდეს, თავისას უნდა გაიძახოდეს მხოლოდ, ეს სავსებით თანმიმდევრულია და ლოგიკური. თვით შემოქმედთ ეს უკიდურესი სუბიექტივიზმი უცნაურად ცხოვრებასთან მიბრუნებად, ესთეტიკური სფეროს დახშულობის გარღვევად ესმით მაგრამ, როგორც გონებამახვილურად შენიშნავს „ხელოვნების“ პოსტრენესანსული გაგების არცთუ დიდი მოტრფიალე, მიუნხენელი ხელოვნების ისტორიკოსი ჰერმან ბაუერი – ამგვარი რამ შეუძლებელი იქნებოდა სწორედ ასე

გააზრებული „ხელოვნების“ ფარგლებს გარეთ: გაცვეთილი ფეხ-საცმელი თუ ცარიელ დარბაზში კაცის წინ და უკან სიარული, სრულებით არაფერია, თუ არა მისი ყოფაცხოვრებიდან ისევ და ისევ „ესთეტიკურად“ გაუცხოვება. ხელოვნება კი არ უბრუნდება აქ ცხოვრებას, ცხოვრების ხელოვნებად, თამაშად გადაქცევას ცდილობს, ისევ და ისევ ზნეობრივად უპასუხისმგებლოდ.

სრული ინდივიდუალისტობა „ნეოავანგარდისა“ სხვანაირად ვლინდება – „ობიექტებსა“ და „აქციებში“ ჩადებული აზრი გამოიხატება ნიშნებით, რომელნიც მხოლოდ თვით მხატვრებს ესმით და ამის გამო ისინი განმარტებას საჭიროებს. თუ ანინდელ მდგომარეობას ძველ, თუნდაც შუა საუკუნეებისას შევადარებთ, ვითარება ასე წარმოგვიდგება. ადრე, რენესანსისა და ბაროკოს ხანაშიც კი, გვქონდა გამოსახულება, რომელიც გარკვეულ დონეზე ყველას ესმოდა; მასში არსებული რაღაც მინიშნებანი მეტად გარკვეულთ უფრო ღრმად ჩავედრის საშუალებას აძლევდა, წარწერა კი, ასე ვთქვათ, „ჭარბი ინფორმაცია“ იყო, უმართებულოდ გაგების გამოსარიცხად. ახლა – რაღაც ნივთი, რომელიც თავისთავად არავის არაფერს ეუბნება – მხოლოდ გაოგნებთ (ეს თეორიულადაც ასეა); სახელწოდება, რომელიც აგრეთვე გაუგებარია და ახსნა, რომელსაც გაიგებ რა, ნივთი-ნიშანი აღარაფრად გჭირდება. ხოლო თუ იგი „ნიშნობს“, ე.ი. რაღაც სხვა სინამდვილეს მიგვახვედრებს, ამად ვერ გამოდგება, რადგან: სიმბოლო (ან, ვთქვათ, სახარების იგავი) მარტივი ფორმაა რაღაცის ძალზე რთულის მოსატანად, ეს „ნიშნები“ კი ძალზე ბუნდოვანი ფორმებია, რომელთაც მოაქვთ გასაკვირველად მარტივი, რაც მთავარია, განსჯისეულ-რაციონალური შინაარსი.

ეს მართლაც აღარ არის ხელოვნება და ამგვარ სუბიექტურობას იგი მართლაც აღარ სჭირდება. და თუკი იგი დღეს არსებობს, იმიტომ მხოლოდ, რომ უბრალოდ ვერაფერი ჩაკლავს ხატქმნის სურვილს. რასაკვირველია, ახლაც შეიძლება ვიპოვოთ ხელოვანი, ვინც ღირებულებებს „ანგაუირებით“ კი არა, ძველ ყაიდაზედ, შინაგანი აუცილებლობით, მათდამი მინდობით ამკვიდრებენ. სამართლმადიდებლობში ასეთი, თითქოს, მხოლოდ ბ. პასტერნაკია, მისი გვიანი ლექსებით. კათოლიკურ სამყაროში უფრო სანუგეშო

მდგომარეობა ჩანს – ამას მიგვანიშნებს თითქოს ჯ. ჩესთერტონის, ს. უნსეტის, ჟ. რუოსა და ო. მესიანის მსგავს შემოქმედთა არსებობა. მაგრამ მთლიანობაში არაღირებულებითი, ინდივიდუალისტური კულტურისათვის (თუკი ღირებულებათა უარყოფის შემდეგ მას კვლავ შეგვიძლია კულტურა ვუწოდოთ) ეს ისევე კანონზომიერია, როგორც ქვაფენილზე ამოსული ბალახი; როგორც ეთიკურად მცხოვრები თანამედროვე ადამიანი – ანინდელი ადამიანი ხომ უპირატესად ბიოლოგიური და ინტელექტუალური არსებაა, მხოლოდ აღარა – ეთიკური.

მრავალნაირი შეიძლება იყოს დღევანდელობის შეფასება. შეიძლება იგი მოგწონდეს, შეიძლება მას ეგუებოდე, შეიძლება მისი ინდივიდუალიზმისვე მეოხებით გაუმჯობესების მოიმედე იყო, მაგრამ მას შეიძლება ღირებულებითი სამყაროს ერთგულების თვალსაზრისითაც შევხედოთ, ნორმალურად არ ჩავთვალოთ ის, რაც ენინაარმდეგება მთელს აქამომდელ სულიერ გამოცდილებას. ამ შემთხვევაშიც საქმეს ორნაირად შეიძლება მიუდგე. ერთი გამოსავალია, ძველთა დროთა ნაკლთა და ბოროტებათა დამვიწყებელმა, დაპერ ყოველივე შეაჩვენო და აპოკალიფსურ ხილვაში გაირინდო. მაგრამ ეს ვერაფერი დაცვა იქნება რწმენისა, რომელიც თან ხომ იმედიც არის დასიყვარულიც. მისი თვალთახედვით კი, უნდა გვჯეროდეს, რომ ეს დრო წავა და, ვითომ – ფასეულობათა გამანადგურებელი, ადგილს დაუთმობს აღორძინებულს მეუფებას ღირებულებებისას. მაშინ კი აღარავინ იტყვის, ქ-ნ მარგარეტ იურსენარს რომ უბრძანებია, ისე, რამდენიმე კულტურასა და რელიგიას ვეკუთვნიო, რაც იმასვე ნიშნავს – არც ერთსაო; ისიც გაგვახსნდება, რომ გამორჩეულობა (ნიჭით თუ სხვა რითამე) უპირატესობა კი არა, მომეტებული პასუხისმგებლობაა – ეს აკი უბნელეს წარმართობაში იცოდნენ, საუკეთესოს – მეფეს, უფლისნულს, მშვენიერებით უზადოს რომ სწირავდნენ; ინდივიდუალიზმის ხანის ნაოსტატარსაც სწორად განვარჩევთ, არც ღირსებას დავუკარგავთ, მარტო დარჩენილი კაცის ტანჯვასაც მეტად ვუთანაგრძნობთ, ოღონდ თვით საუკეთესოთა და უსულიერესთა დამანგრეველ წვლილსაც არ მოვარიდებთ

თვალს და აღარც იმისი შეგვეშინდება, მაცდუნებელსა ან პირ-დაპირ სატანურს (ასეთი კი ბევრი რამ იქმნება XX საუკუნეში – მხატვრობაშიც, მწერლობაშიც, განსაკუთრებით კი – კინემატოგრაფში, რომელიც თავისი ბუნებითაც იდეალურის გამოსახატავად ნაკლები საშუალებითაა აღჭურვილი) თავისი სახელი და-ვარქვათ; ჩვენი ცხოვრების მთავარი მუხტი „ასე მსურს“ კი აღარ იქნება, ძველად რომ იყო „ჯერ არს“; აღარც იმას ვიტყვით – ყვე-ლაფერს მოვიშორებთ დაჭეშმარიტება გადაგვეხსნებაო, არამედ გავიხსენებთ აღნათქვამს მხსნელისას: „ჰსცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იოანე, 8,32).

ლელა ოჩიაური

ბედისწერა და გზები, რომლებსაც ვირჩევთ (ალექსანდრე რეხვიაშვილის იგავები)

XX საუკუნის 60-70-იან წლებში ქართველი კინორეჟისორების 60-იანელთა თაობამ (როგორც ეს იმ ეპოქის ხელოვნების ყველა დარგში მოხდა) მოახერხა „გაეადამიანურებინა“ სამყარო და შემოქმედება ცხოვრების აზრის „გამტკიცებისთვის“ დაეთმო. მათ ფილმებში აშკარად გამოჩნდა, როგორ აღიქვამდა თანამედროვე ხელოვანი სამყაროს, როგორი იყო მისი ქვეყანა და თანამედროვე საზოგადოება; როგორ ხედავდა დროს, საიდან სადამდე ისაზღვრებოდა ის. იყო კონკრეტული პერიოდი – წლები, ეპოქა, დღე, რიცხვიც კი, რომელიც მითურად – ოდესლაც არსებულად ან უკიდურესად განზოგადებულად აღიქმებოდა: რამდენად შეიცვალა სამყაროს ფილოსოფიური ჭვრეტის კრიტერიუმები, რა იქცა კულტურის მთავარ მამოძრავებელ და მახასიათებელ ნიშნად დროის მსვლელობასთან ერთად. ამ თაობის – თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე, გიორგი შენგელაია, ლანა ლოლობერიძე, ლეილა გორდელაძე, თამაზ მელიავა, ელდარ შენგელაია, ოთარ იოსელიანი, მიხეილ კობახიძე, ნოდარ მანაგაძე – ერთ-ერთი და სრულად გამორჩეული წარმომადგენელია ალექსანდრე რეხვიაშვილი.

მისი ფილმები, რომლებიც, ძირითადად, ახალ (თანამედროვე) ფორმებში მოქცეული იგავებია, მთლიანად მოიცავენ და იზიარებენ მეტაფორული კინოს კანონებსა და სამყაროს გაუცხოების/ განტევების დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ სისტემას.

60-იან (გარღვევის) წლებში, საბჭოთა იდეოლოგიისა და ცენზურის პირობებში, თანამედროვე მხატვრის/ავტორის აზროვნება ხარისხობრივად სხვაა, ვიდრე ადრე იყო. მის გამომსახველ იარაღებში მეტი ცოდნა და წარმოდგენები, მეტი ხსოვნა და მოცულობითი მეხსიერებაა „ჩატვირთული“. მისი აზრი უფრო დახვეწილია, ასოციაციების მარაგი – უფრო მდიდარი და მრავალსახოვანი. ტრადიციული იგავის უბრალო სიტუაციები, მყარი

კარკასი, შეპირისპირების პრინციპი არ ითავსებს განხორცი-ელებისკენ მიმართულ სახეს... ალექსანდრე რეხვიაშვილი პო-ულობს მხატვრული გარდასახვის არაორდინარულ ენას „რეალუ-რი“ ეკრანული ატმოსფეროს შესაქმნელად, ეძებს ადამიანის ამქვეყნიური ყოფის არსს, ფილოსოფიური კუთხით ჭვრეტს მის ბუნებას და აქცენტი ცხოვრებისეულ დანიშნულებაზე გადააქვს. რეჟისორი ქმნის იგავებს და ადამიანის არჩევანის შესახებ საუბ-რობს. მისი ფილმები იგავის, მითის, ლეგენდის საფუძველს ეყ-რდნობიან, გამოხატვის ფორმა კი მეტაფორა, სიმბოლო, ნიშანი, ალეგორია. რეჟისორი იყენებს შესატყვის კინოგამომსახველ ხერ-ხებს და მათ ეკრანულ, ვიზუალურ, არაერთგვაროვან ვერსიებს ქმნის.

ასეთია ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმების ზოგიერთი ძი-რითადი მახასიათებელი. ისინი კონცენტრირებული არიან გამომ-სახველ ხერხებზე და ყველაფერი, რაც კადრშია წარმოდგენილი – ყველა დეტალი, კომპოზიციური წყობა – არსებითია, რადგან ისინი აბსტრაქტულ შინაარსს გამოხატავენ. შედეგად, ყოველი კადრი, ძალაუნებურად, ალეგორიულ დატვირთვას იძენს.

უნდა ითქვას, რომ არ არსებობს „თანამედროვე“ და „ისტორი-ული“ ფილმები – არსებობს ფილმები ადამიანის შესახებ, რომ-ლებიც მის შინაგან სამყაროსა და გარემოს, საზოგადოების მი-მართ დამოკიდებულებას აკვირდებიან – წარსულში ან აწმყოში. დრო უცვლელია და სწორედ ესაა 60-70-იანი წლების ქართული კინოს მთავარი თავისებურება – ყველაფერი, რაც ხდება, უა-რის/ფორმის ახალი კანონების დამკვიდრების საშუალებაა, თა-ნამედროვე პრობლემების, მოქმედების დროის გადატანის/გა-ტანისა – სათქმელის, ვითარების განტევების გზების ძიების პა-რალელურად, ცენზურისა და იდეოლოგიის საპირისპიროდ და „თვალის ასახვევად“.

ზოგადად, მითოლოგიური და იგავური სახეები განსაკუთრე-ბით ცოცხალია, განსაკუთრებით მრავალფეროვანი და ყოველ-თვის ცხოვრების რეალობის ამსახველი. მითში ყველა სახე (რი-თაც მეტაფორა, სიმბოლო სარგებლობს) სრულიად ბუნებრივად და სუბსტანციურად აღიქმება.

როგორც ცნობილია, სიმბოლო, მეტაფორასგან განსხვავებით, აზრობრივი თვალსაზრისით ამა თუ იმ სხვა სათქმელზემიუთითებს. არსებობს უფრო შეზღუდული და უფრო ფართო გაგების სიმბოლოები. ყველაფერი, რაც სიმბოლოში, ალეგორიაში, მეტაფორაში ფენომენურად და პირობითადაა გამოყენებული, მითში სინამდვილის ამსახველი ხდება. ე.ი. ხდება რეალური მოვლენებისა და მთელი რეალობით არსებული სუბსტანციების დამკვიდრება. ამავე დროს, სიმბოლოც, მეტაფორაცა და ნიშანიც მითის შემადგენელინანილებია, რომელთაგან საფეხურით მაღლა მდგომი – სიმბოლიკა – უსასრულო სიმბოლიკა პირდაპირ მითში გადადის.

ცნობილია, რომ ყოველი ნიშანი თავის სრულყოფილ მნიშვნელობას მხოლოდ სხვა ნიშნებთან კონტექსტში იძენს. თავის მხრივ, კონტექსტში უფართოესი პრინციპი იგულისხმება. ნიშნის მნიშვნელობას ქმნის ნიშანი, ალებული კონტექსტების ჭრილში. ასეთ შემთხვევაში ნიშანი ყოველთვის არის ნიშანი და არა რაიმე სხვა, თუმცა არსებობს ნიშანი, რომელსაც მნიშვნელობათა უსასრულო რიცხვი გააჩნია.

ზოგად გამსახურდია წერს: „მითოსის თითოეულ სიმბოლოსა და ალეგორიას სპეციფიური ისტორია აქვს. ალეგორია („სხვა რამის თქმა“) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს არა მხოლოდ იგავურ მეტყველებას, არამედ საერთოდ, მეტაფორულ, ხატოვან მეტყველებასაც. კვინტილიანესეული განმარტებით, იგი არის „მეტაფორა კონტინუატუა“ ე.ი. განგრძობილი მეტაფორა. სიტყვა „სიმბოლოც“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს ნიშს, ხატს, სახეს, აგრეთვე იგავურ გამოთქმას, გარკვეული იდეის გამომეტყველს. ამდენად, ეს ორივე ცნება, შეიძლება ითქვას, რომ განუყოფელია როგორც მითოსისგან, ასევე პოეზიისგან.

ამრიგად... ანტიურობაში ალეგორია განიმარტებოდა, როგორც განგრძნობილი მეტაფორა, მეტაფორთა ჯაჭვი, რომელიც სიტყვები მათი ჩვეული მნიშვნელობით როდი იხმარება, არამედ იმ მნიშვნელობით, რომელიც ავტორმა ჩადო მასში“ (1991: 22).

თავის მხრივ, ყველა დრო საკუთარ მითებს ქმნის, ყველა ხელოვანს კი მითის თანამედროვე მოდელი შემოქვს. თანამედროვე

მითების გმირებს იმ ახალ რეალობასთან უწევთ შეგუება, რომელ-შიც მითის თანამედროვე შემოქმედნი ცხოვრობენ და ქმნიან.

1930-1950-იანი წლებისგან განსხვავებით, როდესაც ისტორია იწერებოდა ასახული სინამდვილის ყველა არსებულ კითხვაზე მზა პასუხით, როდესაც რეალური სიუჟეტი უკვე წინასწარ გან-საზღვრულ დასკვნებსა და რეზიუმებთან იყო შეთანხმებული, როდესაც საჭირო იყო არა მხოლოდ დიდი ტყუილი, არამედ ახალი მითოლოგია, 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩნდება ახალი, რევოლუციური ხელოვნება, რომელიც სათანადო ადგილი მიუჩინს ყველასა და ყველაფერს და უეცრად ანგრევს სოციალისტური რე-ალიზმის გენერალური კურსით მყარად ნაგებ მონოლითს, თიხის ფეხებზე მდგომ გოლიათს.

ქართულ კინოში „ნერევის“ პროცესი 1956 წელს, თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის „მაგდანას ლურჯათი“ დაიწყო (ეკატერინე გაბაშვილის მოთხოვნის მიხედვით). 1962 წელს გიორგი შენგელა-იამ გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობის“ მიხედვით გადაიღო ამავე სახელწოდების კინოსურათი, რომელიც 60-იანელთა თაობის რეჟისორების „შემოქმედებით მანიფესტად“ იქცა. ფილმის ოპერა-ტორი ალექსანდრე რეხვიაშვილი იყო (ისევე, როგორც – ელდარ შენგელაიას „მიქელას“, ლეილა გორდელაძის „ძაღლის“, გიორგი შენგელაიას „ფიროსმანის“), რომელმაც ოპერატორის ხედვა და „კინოთვალის“ სიმახვილე, უკვე როგორც რეჟისორმა, ბოლო ფილ-მამდე შეინარჩუნა.

თუ მხატვრული ნანარმოები მოდელირებული სინამდვილეა, ე.ი. თუ სინამდვილე წარმოადგენს სამყაროს კანონების მიხედვით მოდელირებულ მხატვრულ ნანარმოებს, ეს მას სულაც არ უშლის ხელს, დროებით დასცილდეს ასახულ რეალობას და იქცეს რო-გორც საკუთარი ცალკეული, ასევე ყოველივე იმის მოდელად, რაც მის სფეროში დაიკარგა.

წიგნში „ბერძნული ცივილიზაცია“ შვეიცარელი ფილოლოგი, ელინისტი ანდრე ბონარი წერს: „პოეტი იდეას ბევრად უფრო ძლიერად გამოხატავს მოქმედების მსვლელობისას, ვიდრე ქოროს სიმღერები, კორიფეს სიტყვები თუ მოქმედ გმირთა მონოლოგები. ტრაგიკულია არა თავად გმირის სიკვდილი – ეს არაფერია. ერთ

დღეს ჩვენ ყველა მოვკვდებით. ვითარებაში, რომელსაც სოფოკ-ლე და მისი თანამედროვენი აღიქვამდნენ, ტრაგიკულია თავად ლერთის არსებობა, რომლის ურყევი ნებით ხდება ეს სიკვდილი“ (1957: 54).

გურამ ასათიანი მიიჩნევს, რომ ანტიკური ბერძნების მსგავსად, ქართველი ხალხი თითქოს სანამებლად და სათმენად მოავლინა ქვეყნად განვითარებამ, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ამ ხალხს არასოდეს ჰყვარებია თავისი ტანჯვა, უბრალოდ, ისწავლა ტანჯვასთან ბრძოლა, ტანჯვასთან საუბარი, არა მოთმენა, არამედ მასთან შეუგუებლობა: „ქართველი კაცი იმთავითვე შეურიგებელია ბედისწერასთან, თუმცაკი, მისი ეს თანდაყოლილი სილალე, საკუთარი ლირსების შეგრძნების სიამაყე და „ომის მოგების“ შანსი მუდამ ბეწვზე ეკიდა“ (ასათიანი 2022: 46).

დასახელებულ წიგნში ანდრე ბონარი აღნიშნავს, რომ ტრაგედია არ ინერება არც წმინდა და არც დისტილირებული წყლით, ტრაგედია ინერება ცრემლითა და სისხლით, მაგრამ ტრაგედია იმიტომ ინერება, რომ შემდგომში განმწმენდად იქცეს, რომ შემდეგ მოვიდეს კათარზისის ჟამი – ერთგვარი „დაპირება“ განვლილ ტანჯვათა საზღაურად, რასაც მოჰყვება შვება, ხსნა – ადამიანის მიზანი ამქვეყნიურ ცხოვრებაში თუ იმქვეყნად – და მისთვის კვლავ იღება იმ სამოთხის ბალის ჭიშკარი, რომელიც ადამიანმა ოდესლაც დატოვა. იქ უმშვენიერესი ყვავილები ხარობენ, გალობენ ჩიტები და ცა ისე ღრმაა, როგორც არსად და არასდროს. ეს ყველაფერი კი, როგორი ტრაგიკულიც არ უნდა იყოს ცხოვრება, ადამიანს ყოველდღიური ბედნიერების წრეში აქცევა.

მკვლევარი ტრაგედიის გმირს იმ მამაც მფრინავს ადარებს, რომელიც ხმოვანი კედლის გარღვევას ცდილობს. ხშირად იგი იღუპება მაშინ, როდესაც კედელი უკვე გადალახულია. შეიძლება იქით მხურვალების ან რომელიმე სხვა კედელი აღმოჩნდეს, მაგრამ თანმიმდევრული ცდების შედეგად, ადამიანური ყოფიერების ვიწრო ჯურდმული მაინც უნდა გაიხსნას, რის გარანტიასაც გმირის სიკვდილი და გამარჯვება იძლევა.

სწორედ ასეთი გაუბედავი აზრის, შიშსა და იმედს შორის მერყეობის პროცესით მთავრდება ტრაგედია. მაგრამ მთავრდება კი

ის? არცერთი დიდი ტრაგედია ბოლომდე დასრულებული არაა. ფინალი ყოველთვის გახსნილია, დასერილია დაპირებებით, როგორც მეტეორებით, ნებისმიერი დაპირებით, ნებისმიერი იმედ-გაცრუებით, მაგრამ იმედი ყოველთვის არსებობს.

ტრაგედია ყოველთვის იძლევა იმედს. მომავლის ყველაზე დიდ იმედს, და ალბათ, ამიტომაც, მისი დიდი, ძლიერი და პირქუში სამყარო ისეა მოჭედილი იმედებით, როგორც ვარსკვლავებით ზაფხულის ღამე.

თანამედროვე რეჟისორებისთვის სამყარო უსაზღვრო ტრაგიზ-მისა და ამავე დროს, ადამიანის ამქვეყნიური არსებობის პოეტური აღქმის შვებისმომგვრელი დაპირებებითაა აღსავსე. როგორი დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, მაგალითად, „ანტიგონე“ გვაძლევს ადამიანური ყოფიერების გასაღებს მაშინაც, როდესაც არჩევანი უნდა გააკეთო და თქვა – არა, და მაშინაც, როდესაც უნდა გააკეთო არჩევანი და თქვა – დიახ! რადგან ეს სხვადასხვა დროში პიროვნებების არჩევანია. „ანტიგონე“ თანაბრად ათრთოლებს ადამიანის სულებში უხილავ სიმებს და პასუხსაც ჩუმად ღებულობს – „არა“ ან „დიახ“.

ორივე პასუხი მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო, პირველადი და მეორადი შეიძლება გახდეს იმ დროიდან გამომდინარე, როდესაც რეალური მოქმედება ხდება; იმის მიხედვით, რა არის ქვეყნისთვის თანადროული, როგორი უნდა იყოს პიროვნების, ხელისუფალის, საზოგადოების მიზანი და გადაწყვეტილება, მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს გამოწვევაა – ბედისწერის, სახელმწიფოს, ხელისუფლების თუ საკუთარი თავის – ვალდებულებებისა და არსებობის გასამართლებლად.

ესაა ნაბიჯი ბედისწერისკენ, მის საწინააღმდეგოდ, მასთან შებრძოლება; ნაბიჯი, რომლის გადადგმაც მხოლოდ მას შეუძლია. მაშინ ეს მზერა, ეს ნაბიჯი მიზანში ხვდება, ურტყამს იქ, საითაც ისარი მიმართულია და მაშინ ღმერთები იძულებულნი ხდებიან, დადუმდნენ – ხმოვანი კედელი გარღვეულია და მფრინავს დაღუპვა აღარ ემუქრება.

მითის შექნის მიზეზები განსხვავებულია და დაკავშირებულია იმასთან, თუ რა რეალური, და აქედან გამომდინარე, მორალურ-

ზნეობრივი და ფსიქოლოგიური პროცესებია საზოგადოებაში ამა თუ იმ მითის შექმნის პერიოდში.

კოლექტიური, პრაქტიკული გამოცდილება, როგორიც არ უნდა იყოს ის, თაობებში გროვდება, ამიტომ მხოლოდ ის განიხილება, როგორც საკმარისად საიმედო. მითში ჩადებულია წინაპართა სიბრძნის რჩმენა, ამიტომ გარე სამყაროს ფაქტების გაცნობიერება რჩმენის დონეზე ხდება და შეგრძნებებსა და აღქმებს არ ექვემდებარება, არ საჭიროებს.

როგორ უნდა მოიქცეს ავტორი, რომელიც ისწრაფვის თანამედროვე სინამდვილის ჩვენებისაკენ და ამავე დროს, ხელთა აქვს მხოლოდ ის კანონი და პოეტიკა, რომელსაც ამ სახის ხორცშესხმა არ შეუძლია? ჩნდება წინააღმდეგობა, რომლის გადაღლახვა შეუძლებელია, თუ „სკოლის“ პრინციპებზე უარს არ იტყვის, ან არ ეცდება ალეგორიისა და იგავის პოეტიკის გართულებას, მის აფეთქებას შიგნიდან. და ალექსანდრე რეხვიაშვილიც ართულებს იგავის პოეტიკას, ახალ ენასა და გამომსახველ გზებს იგონებს და იყენებს; უამრავ ნაღმს აფეთქებს და ახალი სისტემების აწყობით ახერხებს ახალი ეკრანული სინამდვილის შექმნას.

„მწვანე მდელომდე“ (1973), რომელიც შეიძლება ავტორის მხატვრული და სტილური აზროვნების გამომხატველ ექსპერიმენტადაც ჩაითვალის, ალექსანდრე რეხვიაშვილი იღებს პირველ (სადიპლომო) მხატვრულ ფილმს „ნუცა“ (1971) მიხეილ ჯავახიშვილის მოთხოვნის მიხედვით – ლიტერატურულ პირველსაწყისზე დაფუძნებულ ერთადერთ კინოსურათს. აქ უკვე აშკარად ჩამოყალიბებულია გზა, რომელსაც შემდგომში გაუყვება, რომელიც ბოლო ნამუშევრამდე (მათ შორის, დოკუმენტურამდე) გან-სზღვრავს მის შემოქმედებით ხელწერასა და ინტერესებს. აქედან მოკიდებული, რეჟისორის მხატვრულ-იდეური კონცეფცია – საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში პირვენების მონაწილეობისა და მის მიერ გაკეთებული არჩევანის თემა – მკვეთრ შეფერილობას იღებს, მდიდრდება და სრულფასოვანი ფორმით ყალიბდება ფილმებში „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“ (1978) და „გზა შინისაკენ“ (1982).

ალექსანდრე რეხვიაშვილი უსწრებს დროს, როგორც ფილმების სათქმელითა და პოზიციით (რომელიც თან თანადროულია და თან დაუჯერებლად მარადიული), მსოფლედვით (ეროვნულიდან – ზოგადსაკაცობრიომდე), ასევე, ამ ყოველივეს მხატვრულ ფორმაში, მხატვრულ სივრცეში მოქცევის თვალსაზრისითაც.

თუ მის მხატვრულ ფილმებს: „ნუცა“, „მწვანე მდელო“, „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“, „გზა შინისაკენ“, „საფეხური“ (1986) და „მიახლოება“ (1989) თანამედროვეს თვალით შევაფასებთ (მსოფლიო კინემატოგრაფის თუნდაც უახლესი ნიმუშების ფონზე თუ დღევანდელი კინოენის, ფორმებისა თუ აზროვნების სისტემების გვერდით), დაუჯერებელიც კია, რომ ეს ფილმები 30-ზე მეტი წლის წინათ და თანაც საბჭოთა რეჟიმის პერიოდშია („ჩაკეტილ ზონაში“) გადაღებული.

ალექსანდრე რეხვიაშვილს არავინ ჰყავს და როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, მას არავინ (ვერავინ) ბაძავს, არავინ ცდილობს მისი ქმნილებების არამცთუ მთლიანობაში, არამედ სახეების გამოყენებასაც კი. ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან იმისთვის, რომ გაიმეორო, მიამსგავსო, მიუახლოვდე, ზუსტად ისეთივე უნდა იყო, ისევე უნდა ხედავდე, ისევე უნდა შეგეძლოს შენი ხედვის, შენი სათქმელის, შენი ფიქრების გამოხატვა. ისევე უნდა მეტყველებდე, ისევე უნდა სახავდე. ეს კი ალექსანდრე რეხვიაშვილის სტილია, მისი აზროვნების ფორმაა, მისი ხედვა და წარმოსახვებია. არაორდინარული ხელწერა, ინდივიდუალური სტილი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული აზროვნება, განუმეორებლობა და გამორჩეულობაა და ასლის გადაღებას არ ექვემდებარება.

ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმების ცენტრში ექსტრემალურ პირობებში მოხვედრილი ადამიანები არიან, რომლებმაც არჩევანი უნდა გააკეთონ – იბრძოლონ თუ დამორჩილდნენ, დაიღუპონ, დინებას გაუყვნენ თუ მის წინააღმდეგ წავიდნენ, შეეგუონ თუ შეეწიონ. ეს ადამიანები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, განსხვავებულია მათი ბედი, ხასიათები, პრინციპები, სიცოცხლისუნარიანობა, საზოგადოებასთან, მსგავსი თუ განსხვავებული მოვლენებისადმი დამოკიდებულება. ის, რაც

მათ, პირველ რიგში, აერთიანებს, ისაა, რომ სამივე მსხვერპლია – დროის, გარემოების, საზოგადოების, ბედისწერის. და სამივე – ნუცა, ნიკო, ანთიმოზი – საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვის აქტს აღასრულებს, ოლონდ სხვადასხვა მიზნისთვის და სხვადასხვაგვარად.

ფილმები იგავებია ადამიანის დანიშნულებისა და პასუხისმგებლობის, ზნეობისა და სიწმინდის, სიკეთისა და ბოროტების, შავბნელი ძალისა და სიავესთან შემგუებლობის, სიბრძნისა და გადარჩენის გზების ძიების, ბედისწერისა და, ანტიკური გმირების მსგავსად, მასთან დაპირისპირების, ადამიანური მისის აღსრულების შესახებ ტოტალიტარული სახელმწიფოს, რეჟიმის ძალადობის პირობებში.

ალექსანდრე რეხვიაშვილის სამყარო ფილმიდან ფილმამდე თითქოს უფრო მეტად იშლება და იქსაქსება და ადამიანებიც დოროსთან შესაბამისად იცვლებიან. დრო მათზეც მოქმედებს და ისინი კიდევ უფრო კარგავენ ნიადაგის სიმყარის, სამყაროს მთლიანობის შეგრძნებას და ბრძოლის უნარს. მათ უფრო მეტად ერევათ სიავე და ძალადობა, მაგრამ ისეთი მკვეთრი არჩევანის გაკეთება და ისეთ პირობებში ცხოვრება, როგორც ნუცას, ნიკოსა და ანთიმოზს – „საფეხურისა“ და „მიახლოების“ გმირებს – უკვე აღარ უწევთ.

იმ დროშიც, მანამდეც და მერცეც, როდესაც ხანი გადის და სამყარო ახალ ელფერს იძენს, ახალ ტონებში იფერება (თუნდაც, შავ-თეთრი ფირის მრავალ შრეში, მონოქრომულის ვარიაციებში, პირობითად, ფერადში გადასვლისას), რაღაც მთავარი მაინც უცვლელი რჩება და ეს იმიტომ, რომ ფილმების – იგავურ და მითურ – ფორმატში პრობლემები მარადიულია, მარადიულს კი არა აქვს დასაწყისი ისევე, როგორც არა აქვს საზღვარი და ის დაუსრულებელია, უსასრულოა.

„ლიტერატურული პროცესის უმთავრეს განმაპირობებელ ფაქტორად თვლება იმ ისტორიული ეტაპისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური თუ ესთეტიკური კრიტერიუმები, რომელმაც წარმოშვა ესა თუ ის ლიტერატურული სკოლა თუ ქმნილება. ლიტერატურულ პროცესს ვერასოდეს შევისწავლით მისი წარმომშობი

ეპოქისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ცნობიერების-გან მოწყვეტით, მისგან იზოლირებულად, ვინაიდან იგი თავად არის ანარეკლი ამ ცნობიერების განვითარებისა, მისი სპეციფიკის განსაზღვრა კი შეუძლებელია ამ შინაგანი ურთიერთკავშირის გაუთვალისწინებლად. ამ თვალსაზრით, ლიტერატურის ისტორია განუყოფელია აზროვნების, სულის ისტორიისაგან. დიდი ლიტე-რატურა ყოველთვის ღრმა ურთიერთკავშირი იმყოფება თავისი ეპოქის მითოლოგიურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ თუ მხატვრულ აზროვნებასთან და თავად არის ყოველივე ამის გამომხატველი” (1991: 19).

ნუცა – ბატონის ძალადობისა და შევიწროების პერსონალური მსხვერპლია და მისი ბედი, ერთი შეხედვით, თითქოს არაა მნიშვნელოვანი მოვლენების არც განმსაზღვრელი და არც შედეგი. მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილთანაც და ალექსანდრე რეხვიაშვილთანაც უბრალო გლეხის ქალი ანტიკური ტრაგედიის გმირად იქცევა და თავს უყრის ძალდობის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების ზოგად სახეს. თვითმკვლელობა, ამ შემთხვევაში, წინააღმდეგობა და პროტესტია, ძალადობის კათარზისული მხილება საყოველთაო დიქტატურის წინაშე.

„XIX საუკუნის ქართული ქრონიკის“ მთავარი გმირი – სტუდენტი ნიკო პეტერბურგიდან შინ ბრუნდება, რადგან თანასოფ-ლელებმა მოსარჩლედ, დამცველადა აირჩიეს. სოფელს ერთად-ერთი სიმდიდრე (თავშესაფარი) აქვს – ტყე, რომლის წართმ-ვასა და გაყიდვასაც ქალაქელი ჩინოვნიკები უცხო ენაზე მოლაპა-რაკე (არაკონკრეტულ, თუმცა სრულიად ნათელი წარმოშობის) მომხდურებზე აპირებენ (ალექსანდრე რეხვიაშვილს ფილმი დღეს რომ გადაეღო, თანამედროვეობის პირდაპირ გამოძახილად მივიჩნევდით). ამის შემდეგ იწყება ნიკოს ეკლიანი გზა, რომელიც მეტად ხანმოკლე აღმოჩნდება. ნიკო თავს სწირავს ხალხის გულის-თვის (მათი არჩევანით). იცის, რომ განსაცდელს ვერ აირიდებს და მიდის ქალაქში – სიკვდილთან შესახვედრად

„ქრონიკა“ (რომელიც, პირდაპირი გაგებით, ქრონიკა არ არის) სხვა მნიშვნელობით იტვირთება და მკვეთრად ასახავს რეალურ დროს, თუმცა, ამასთან, დროის განვენილობა ფართოა და მრა-

ვალშრიანი. ადგილის, მოვლენის განზოგადება უმაღლეს ხარისხში გადადის.

ფილმის „გზა შინისაკენ“ მთავარი გმირის პროტოტიპი ისტორიული პიროვნებაა – ანთიმოზ ივერიელი, რუმინეთის მიტროპოლიტი, XVII-XVIII საუკუნის პოლიტიკური, სასულიერო და კულტურის მოღვაწე, რომელიც ოსმალებმა საქართველოდან გაიტაცეს. იგი წერდა და ილუსტრაციებით ამკობდა წიგნებს, იბრძოდა რუმინული ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობისთვის ოსმალოთა წინააღმდეგ. ბოლოს შეიპყრეს, ღირსება აჰყარეს და მონასტერში გააგზავნეს სამუდამოდ მსჯავრდებული. გზად თანმხლებმა იანიჩარებმა მოკლეს და გვამი მდინარეში ჩააგდეს.

ისტორიულ მასალას რეჟისორი თავისებურად მიუდგა – თანამედროვე ადამიანის პოზიციიდან გააანალიზა; საკუთარი რამ ამოიკითხა, გამოიყენა და სხვა დატვირთვით წარმოადგინა; დროს საზღვრები დაუკარგა, სივრცე გაარღვია და წარსული დღევანდელობას დაუკავშირა, რასაც ფილმის სახვითი გადაწყვეტილად შეუწყო ხელი.

როდესაც ამა თუ იმ ხალხის მითოლოგიას სწავლობენ და სურთ გაარკვიონ მითის წარმოშობის საფუძველი, მისი ჩამოყალიბების პროცესი, მკვლევრები ამ გადმოცემებს ხალხის კონკრეტული ყოფისგან მოწყვეტილად განიხილავენ; უმეტეს შემთხვევაში, მითი იმდენად შორეული წარსულის ამსახველია, რომ ხალხის ყოფას დაკარგული აქვს მასში აღბეჭდილი მოვლენების შესაბამიმისი ელემენტები.

„მითის შინაარსი სინამდვილედ ითვლება, პოეტური წარმოდგენა კი ემყარება წარმოსახვის თავისუფალ მოქმედებას. ეს უდევს აგრეთვე საფუძვლად განსხვავებას მითურსა და პოეტურ მეტაფორას შორის. მითური მეტაფორა აცოცხლებს და ასულიერებს ბუნების მოვლენებს, აპიროვნებს მათ, აქცევს მოაზროვნე, მგრძნობიარე არსებებად..., თუმც მითურ და პოეტურ მეტაფორებს შორის, სიმბოლური თეორიის მიხედვით, არ არის პრინციპული განსხვავება, ვინაიდან ორივე შემთხვევაში საგნის ადგილას

დგება ხატი, ანუ სახე. ამრიგად, მითოსური სახისმეტყველება და პოეტური სახისმეტყველება თითქმის იდენტური გაგებებია, ხოლო გასულიერება, გაპიროვნება ანუ პერსონიფიკაცია და „ხატოვანი წარმოდგენა“ (მეტაფორა) განიხილებიან, როგორც მითოსური აზროვნების ძირითადი მახასიათებლები“ (1991: 22).

ალექსანდრე რეხვიაშვილი ახლებურად იაზრებს ისტორიას, რადგან დრომ მას, როგორც ხელოვანს, როგორც პიროვნებას, ახალი იდეალები შესთავაზა. „გზა შინისაკენ“ თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც ტრიპტიქტის ბოლო ნაწილი. ფილმში ძირითად პრობლემას ტოტალიტარულ სახელმწიფოში მოძლადეთა ხელში ჩავარდნილი ადამიანის ბედ-ილბალი წარმოადგენდა. ის აგვირგვინებს კინოსურათების „ნუცა“ და „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“ – სათქმელსა და საავტორო პოზიციას და მათი იდეურ-პრობლემური ხაზის გაგრძელებად წარმოსდგება.

მაშინ, როდესაც არჩევანი თითქმის გამორიცხულია, როდესაც ცხოვრებას ნორმალური ფარგლები არ გააჩნია, როდესაც მუდმივი მონობის ქვეშ შეიძლება საბოლოოდ დაკარგო სახე, ეროვნული თვისებები, ადამიანების წინაშე ძალაუნებურად იბადება პრობლემა, თუ რა იღონონ – შეეგუონ და დაიღუპონ, როგორც პიროვნება, ვიღაცის სურვილებსა და ვნებებს, ვიღაცის ძალაუფლებას დაქვემდებარებული; თუ იბრძოლონ და დამარცხდნენ, ოღონდ მაინც იბრძოლონ.

ალექსი ფილმიდან „მიახლოება“ – ყველა ნიშნითა და თვისებით თანამედროვე ეპოქის წარმომადგენელია, რომლის სამყაროც, მისივე საცხოვრებელი ადგილითაა შემოსაზღვრული, მაგრამ ჩაკეტილობის მიუხედავად (სივრცეში – ბუნებაში გაჭრამდე – ხაფანგიდან თავის დაღწევამდე), რეჟისორის მიერ მოდელირებული სივრცე ისევ და ისევ განზოგადებული გარემოს ანარეკლად აღიქმება. ალექსი არც იბრძვის და არც ვინმეს ქომაგობს. იგი არჩევანს აკეთებს და ტოვებს ქალაქს, მთის უგზო ფერდობით, გაურკვეველი მიმართულებით, მაგრამ სიმაღლისკენ მიეშურება, ბედის საცდელად. ეს მისი არჩევანია.

საერთოდ, ალექსანდრე რეხვიაშვილისთვის დამახასიათებელია რეალურისა და ირეალურის შერწყმა, სახეთა განზოგადება,

ნაცნობ სახეთა ახალ კონსტრუქციებად თუ სისტემებად აწყობა. მასთან ეკრანული მოქმედება აღიქმება, როგორც სარკმლიდან დანახული და მზერის (ობიექტივის) არეში მოხვედრილი სამყაროს შინაგანი პორტრეტის ფრაგმენტები, საეკრანო სიბრტყის მიღმა არსებული ცხოვრების მიკრომოდელი.

მის ფილმებში არ არსებობს მოქმედების კონკრეტული „გე-ოგრაფიული“ ადგილი. სადღაც საქართველოში (შესაძლოა, კიდევ სადღაც), რომელილაც ქალაქში, რომელილაც სოფელში რაღაც ხდება. ფილმებში არ არსებობს დრო, მისი ტრადიციული აღქმა. არც დღეა და არც ღამე, არც ზამთარი და ზაფხული. ყველა-ფერი რაღაც უცნაური, იდუმალი შუქითაა მოსილი. რეჟისორი ქმნის კინემატოგრაფიული სივრცის საოცარ შეგრძნებას. კადრები სავსეა ჰაერითა და მეტად მეტყველი გამომსახველობის მქონე ელემენტებით.

ფირი შავ-თეთრია, უცნაური ვერცხლისფერით ტონირებული. ის ამბავს სიმკაცრეს, ერთგვარ სიპირქუშეს, ტრაგიზმს მატებს. გამოსახულების ძერწვისას გამოიყენება განფენილი განათება, რაც კადრის პირობითობას ამძაფრებს. ზოგიერთ შემთხვევაში შუქი თითქოს შინაგანია, სხვა ვარიანტში – ყოვლისმომცველი, რომელიც ეკრანს იდუმალი ძალით აღბეჭდავს.

კამერა ყოველთვის ნელა, ოდნავ შესამჩნევად მოძრაობს. თითქოს რაპიდით აფიქსირებს გარემოს, ადამიანებს, საგნებს, ქუჩებს, პეიზაჟებს. იქმნება დინამიკურობის, და თან, ერთგვარი მონტონურობის შთაბეჭდილება. ზოგჯერ თვალი ვერ ასწრებს მოძრაობის ნიუანსების, ერთი მდგომარეობიდან მეორეში რბილი გადასვლების აღქმას და ახალი კადრის გამოჩენა მაყურებელს მხედველობიდან რჩება.

პირობითი სამყაროს შექმნისას ფორმა მთლიანად ემორჩილება იდეას. გამომსახველობითი მხარის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია ალექსანდრე რეხვიაშვილის, როგორც ოპერატორის წვლილი. მხატვრული ხედვა და სივრცის განუმეორებელი შეგრძნება მას ეხმარება, შექმნას სწორედ ისეთი პლასტიკური მხარე, როგორიც ჩაფიქრებული აქვს.

ნებისმიერი სიმბოლო, რომელსაც ალექსანდრე რეხვიაშვილი ფილმებში იყენებს, არაერთგვაროვანი მნიშვნელობით აღიქმება. როდესაც საუბარია ამა თუ იმ სიმბოლოსა თუ მეტაფორის ნაკითხვაზე, მნიშვნელოვნია იმის დანახვაც, თუ როგორ კვეთენ ისინი ერთმანეთს, როგორ ერწყმიან შიდაეკრანულ სივრცეს და როგორ გადიან მის საზღვრებს გარეთ, დროისა და ეპოქის მიღმა, იმ განზომილებებში, რომელთა არსი რეალურისა და გამონაგონის ჰარმონიულ წონასწორობაშია.

მხატვრული გადაწყვეტის მხრივ ერთიანი, სტილური ფილმები, როგორც იდეურ ხაზთა არაერთგვაროვანი სპექტრი, არაერთი სიღრმის აღმოჩენის საშუალებას იძლევა. ყველაფერი თითქოს უხილავად ერწმის ერთმანეთს, რადგან აქ ცალკე არც ერთი საკითხი, ფაქტი და ადამიანი არ არსებობს. ყველაფერი ერთიანდება, ერთი-მეორისგან გამომდინარეობს და ერთ ამოცანას ეკვემდებარება. ფილმები ერთიან მეტაფორად აღიქმება და მის პირობით გადაწყვეტას უსვამს ხაზს. ყველა მოქმედი პირი სიმბოლოა და არამხოლოდ ერთ კონკრეტულ პიროვნებას (თუმცა, მათი დახასიათება ზუსტი და მიზნობრივად გათვლილია), არამედ ზოგადსა და მრავალს ასახიერებს.

ბოლო ნლებში ალექსანდრე რეხვიაშვილი (რეალობიდან და მისგან დამოუკიდებელი მიზეზებიდან გამომდინარე) დოკუმენტურ ფილმებს იღებდა – „უკანასკნელნი“ (რაჭის სოფელ ღების უკანასკნელ, ხანდაზნულ მცხოვრებლებზე), „ებრაელთა ბედნიერება“, „აღთქმული მინა.დაბრუნება“ (ებრაელების ისრაელში დაბრუნებაზე), „სამკუთხა წრეში“ (ონის ებრაელთა თემზე), „კოლექციონერი“ (სახვითი ხელოვნების ნიმუშების პერსონალურ მცველზე), „რამაზ ჩხიკვაძე“ (დიდი მსახიობის თავისთავადი პორტრეტი). ბუნებრივია, როდესაც რეჯისორი კინოს ერთი სახეობიდან მეორეში გადადის, ბევრი რამ იცვლება. დოკუმენტური მასალა, მხატვრულისგან განსხვავებით, თავისივე კანონებით აქტიურდება. რეჯისორი სინამდვილეში ზედმეტად არ ერევა, თუმცა, აქაც „თავისას“ და თავისებურად ხედავს და ასახავს, არაიდენტურად, მაგრამ რეალობასთან მაქსიმალურ სიახლო-

ვეში. კვლავ იმ ფასეულობებზე მიუთითებს, რომლებიც იყო და სამწუხაროდ, იკარგება. ამ შემთხვევაში, უკიდურესად მხატვრულ ფორმას, განყენებულ, გაუცხოებულ ეკრანულ რეალობას დოკუმენტურის ესთეტიკით გაჯერებული სამყარო, ადამიანები, მათი ცხოვრება, კონკრეტული საზოგადოება და ბედი, სინამდვი-ლებზე დამყარებული ფაქტები და რეალური მოვლენები ცვლიან.

ალექსანდრე რეხვიაშვილი აჩვენებს იმას, რაც სინამდვილე-შია, მაგრამ წარმავალი ან უკვე გარდასულია და რისი შენახვაც მხოლოდ ხსოვნაში ან ფირზეა შესაძლებელი, რადგან თვით ყვე-ლაზე კონკრეტული რამ, განზოგადებული და მხატვრულ სახედ-ქცეული, დროში ხანგრძლივად არსებობისთვისაა განწირული. იგი აჩვენებს, რაც იყო და იმით, რასაც და როგორც გვიჩვენებს, მარადიულობასთან კავშირს ანიჭებს. ინახავს, რადგან დასაკარ-გად არ ემეტება.

ქვეყანაში, საზოგადოებაში, რომელშიც ძალადობა ბატონობს და ფასეულობათა ნგრევა გარდაუვალია, სადაც დროსა და რე-ალობას ულმობლად მიაქვს ღირებულებები, რომლებითაც ადა-მიანები ცხოვრობდნენ და სამყაროს ავსებდნენ – არსებობით, ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ურთიერთობებით, მიწასთან, ბუნებასთან, ერთმანეთთან სიახლოვით – ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დროის მსვლელობასთან ერთად მათ მრავალი ქარიშხა-ლი გადაუვლის და ყველაფერი წარსულს ბარდება. ეს სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ამ ვითარებაში, „საყოველთაო ნგრევის“ ჟამს, ფასეული ხდება სწორედ ის, თუ როგორ უფრთხილდებიან ადა-მიანები (ფილმში და მიღმა) იმას, რაც ხელიდან უსხლტებათ, რაც იკარგება, რაც გაქრობის პირასაა. მნიშვნელობას იძენს ის, თუ როგორ ახერხებენ ისინი კვლავ სახეშენარჩუნებულ ადამიანე-ბად, კვლავ პროცესების წარმმართველად დარჩნენ; რეალობას, დროის გავლენას გაუძლონ; არ დაემორჩილონ და მასზე ამაღლ-დნენ, აჯობონ დროსაც და გარემოებებსაც, რაც ბედისწერამ არგუნა.

ალექსანდრე რეხვიაშვილის მხატვრული და დოკუმენტური ფილმების გმირები ეძებენ გზას, რომელიც შინ დატოვებს ან შინ

მიიყვანს; ეძებენ იქ, სადაც წამდვილად ეგულებათ და მაშინაც კი, როდესაც გზა კი არა, ზოგჯერ ბილიკიც არ არსებობს. ეს გზები ხშირად სამშობლოსკენ მიემართება, ზოგჯერ წარსულისკენ, ზოგჯერ მშობლიური კუთხისკენ – მასთან სიახლოვისთვის და მის გადასარჩენად, ზოგჯერ კი საკუთარი თავის აღმოსაჩენად. ყველა შემთხვევაში – წინააღმდეგობების წინააღმდეგობით სამხილებლად და დასაძლევად.

ალექსანდრე რეხვიაშვილმა არაერთხელ გაარღვია ხმოვანი კედელი და იმის იქით კიდევ ბევრი კედლის წინააღმდეგობა გადალახა. ბევრჯერ წავიდა ბედისწერის წინააღმდეგ და შინისკენ მიმავალ გზასაც არაერთხელ დაადგა. ის იყო ხელოვანი და ადამიანი, რომელიც ყველასგან გამოირჩეოდა და რომლის გამორჩეული და სრულიად თავისთავადი ფილმები არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო კინოს საგანძუროია. მისი კინოსურათები დღესაც სიხარულის მომგვრელი, მარადიული აღმოჩენებია ხელოვნებაში და იმ კარის გასაღები, რომლის მიღმაც ადამიანის არსებობისა და არარსებობის, ცხოვრების, ხელოვნებისა და მშვენიერების საიდუმლო ინახება.

„მართალია, გველისმჭამელის ხვედრი ტრაგიკულია, მაგრამ, დიდი ანგარიშით, მისი მარცხი სრულ კაპიტულაციას არ მოასწავებს. „ახლადთვალახელილი“ მინდიას სიბრძნე ყოველი ქართველი („წამდვილქართველი“) ადამიანის სულში გაანაგრძობს თავის უწყვეტ არსებობას, უწყვეტ დოიძილს, უწყვეტ ორთაბრძოლას, როგორც სიბრძმავისა და უმეცრების, ასევე უკუნეთოსა და მწუხარების ძალებთან.

ჩვენი ეროვნული სულისკვეთების ბალავარი არც მიამიტი იპტიმიზმია, არც ტანჯვით დაბინდული მზერა და არც სამყაროს ამაზრზენ ჯურდმულებზე ლამაზი ფარდის გადაკვრის სურვილი. მისი ფუძე სხვაგვარია: ეს არის ადამიანის სულის ტრაგიკული გაბრძოლება – მისი გმირული ცდა უკუნეთიდან სინათლის გამოსაგლეჯად“ (2002: 125).

დამოცვებანი:

ასათიანი 2002: ასათიანი გ. „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კლასიკური პოეტიკა“. სათავეებთან. ოთხტომეული. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „განახ-ლებული ივერია“, 2002.

ბონარდი 1957: Bonnard A. *Greek Civilization*. Publisher: Allen and Unwin. Macmillan Co., London, New York: 1957.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.

შურნალის ტიკა

მანანა შამილიშვილი

სატელევიზიო ეთერის „(მა)ვნე(ბლო)ბანი“

„აჲ, მე არ მეგონა, თუ ჩემი გზა აქ მომიყეანდა“...
გოეთე, „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“

„მას ცისფერი ფრავი ეცვა და ყვითელი უილეტი. პირალმა იწვა“... ეს იყო სცენა ვერტერის თვითმკვლელობისა, სიყვარულს ზვარაკადშეწირული მიჯნურის დაუვიწყარი ამბავი, რომელმაც შეძრა თანადროული მკითხველი. ირგვლივ ყველაფერი „ამოძრავდა, აჩოჩქოლდა“, თურმე ოხრავდა და გმინავდა მაშინ ყოველი. რომანტიკოსი ყმაწვილები, გოეთეს გმირივით ყვითელ – ცისფრით შემოსილი, ნებით იზიარებდნენ უილბლო შეყვარებულის ხვედრს, მისივე მანერით, თავში ტყვიით ემშვიდობებოდნენ სიცოცხლეს. თვითმკვლელობის მძლავრმა ტალღამ გადაუარა გერმანიას. ეპიდემიასავით მოედო მერე მთელ ევროპას. სუიციდის გაფრცელების მასშტაბი იმდენად დიდი ყოფილა, ზოგ ქალაქში რომანის გამოცემაც კი აუკრძალავთ.

არც არის გასაკვირი, რადგან იმ დროს ნაბეჭდ (ნაწერ) სიტყვას უდიდესი ძალა და გავლენა ჰქონდა, ხოლო წიგნი ერთადერთი მასობრივი საკომუნიკაციო არხი იყო. დღეს ბეჭდური და აუდიოვიზუალური საშუალებების ბატონობის ხანა უკან მოვიტოვეთ. მათ ტრადიციული მედია შევარქვით და ინტერნეტის ეპოქაში გადმოვინაცვლეთ. ახლა ახალი – ონლაინმედია ვაღიარეთ დომინანტურად.

მაგრამ, რა კავშირი აქვს ამ ყოველივეს გოეთეს თხზულებასთან?

აღმოჩნდა, რომ მათ შორის კავშირი მართლაც მჭიდროა – ასე დაასკვნა ამერიკელმა სოციოლოგმა დევიდ ფილიპსმა, გოეთეს რომანის გამოცემიდან ორი ასეული წლის შემდეგ (ფილიპსი 1974: 340-354). მან თვითმკვლელობის 12 ათასზე მეტი შემთხ-

ვევა შეისწავლა და მსგავსი ისტორიები ახალ ამბებში მათი გაშუქების სიხშირეს დაუკავშირა. მანვე დაამკვიდრა ტერმინი „ვერტერის ეფექტი“, როგორც სუიციდის მიბაძვის აღმნიშვნელი. თვითმკვლელობის გახმაურებული შემთხვევები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქებული, კინოფილმებით ნაჩვენები თუ ლიტერატურაში აღწერილი, ზოგჯერ მართლაც სავალალოდ სრულდება. არც მიმბაძველთა რიცხვია ცოტა.

რა არის ამის მიზეზი, რა ფაქტორებზეა დამოკიდებული ამგვარი ქმედება, როგორ უნდა ავირიდოთ თავიდან ეს უკიდურესობა და რა უნდა ვიცოდეთ გაშუქებისას, უნებლიერ სუიციდის ხელშემწყობი რომ არ აღმოვჩნდეთ, – სწორედ ამ კითხვებზე პასუხების გაცემას შევეცდებით ნაშრომში და შესაბამის მაგალითებსაც მოვიშევლიერთ.

საანამ ნიმუშებს განვიხილავდეთ, უნდა ვთქვათ, რომ „ვერტერის ეფექტის“ გამოვლინების ყველაზე გახმაურებული შემთხვევები უმეტესად ცნობილი არტისტების თვითმკვლელობებს უკავშირდება. დღემდე არ წყდება მითქმა-მოთქმა ჰოლივუდელი ქერალამაზმანის, მერლინ მონროს იდუმალებით მოცული სიკვდილის შესახებ. მისი ცხედარი 1962 წლის 5 აგვისტოს იპოვეს მსახიობის საკუთარ სახლში. 36 წლის მერილინის სიკვდილს (არსებობს ვარაუდი, რომ იგი მოკლეს) მთელ ამერიკაში უამრავი თვითმკვლელობა მოჰყვა. აგვისტოს განმავლობაში თვითმკვლელთა რიცხვი მარტო ლოს-ანჟელესში ორჯერ გაიზარდა. მერილინის გამო ორასზე მეტი ადამიანი გამოესალმა სიცოცხლეს. მსგავსი რამ მოხდა ლეგენდარული მომლერლის, საკულტო როკჯგუფის „ნირვანას“ სოლისტის, კურტ კობეინის სიკვდილის შემდეგაც. 27 წლის კობეინმა თავი იარაღიდან გასროლით მოიკლა, რაც ჰეროინის ზედოზირებას დაუკავშირეს. კუმირის სიკვდილის გამო 30 წლამდე ასაკის უამრავმა თაყვანისმცემელმა მოიკლა თავი. აღსანიშნავია, რომ მერლინ მონროს შემდეგ ამ მასშტაბის სუიციდის შემთხვევა არ ყოფილა.

თვითმკვლელ კუმირთა შორისაა ამერიკელი მსახიობი ჰიტ ლეჯერი. 28 წლის კინოვარსკვლავი საძილე და ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების ჭარბი დოზით გარდაიცვალა. ხმები დაირხა,

თოთქოს კობეინის გადაწყვეტილება შეყვარებულთან განშორებას უკავშირდებოდა (აშკარაა ამ ამბის გმირის ლიტერატურულ პერსონაჟთან დაკავშირების სურვილი). მსახიობის სიკვდილის შემდეგ დაფიქსირდა ნარკოტიკების ზედოზირებით თვითმკვლელობის უამრავი შემთხვევა. მსგავსი ისტორია აქვს როკ მუსიკოსს ჩესტერ ბენინგტონს, რომელიც ჩამომხრჩალი იპოვეს საკუთარ სახლში. არტისტმა თავი ზუსტად ისე მოიკლა, როგორც ორი თვით ადრე მისმა მეგობარმა კრის კორნელიმ, თანაც გარდაცვლილი მეგობრის დაბადების დღეს. კუმირის სიკვდილის შემდეგ მუსიკოსის თაყვანისმცემელთა თვითმკვლელობების ტალღამ მთელ მსოფლიოს გადაუარა.

ახლა გასული საუკუნის დასაწყისში გადავინაცვლოთ და გავიხსენოთ უნგრელი კომპოზიტორის რეჟიონ შერეშის მიერ 1933 წელს დაწერილი სიმღერა, რომელიც მერე „თვითმკვლელების უნგრულ ჰიმნად“ იქცა. რეჟიონ პიანისტად მუშაობდა ბუდაპეშტის ერთ პატარა რესტორანში. მან შეთხზა სიმღერის მუსიკა და ტექსტი. ავტორი ამქვეყნიური ყოფის ამაოებას უმდეროდა. მოგვიანებით, სიმღერის ტექსტი გადაწერა უურნალისტმა ლასლო იავორმა. განახლებულ ვერსიაში რომანტიზებული იყო თვითმკვლელობა, როგორც გარდაცვლილ სატრაფოსთან კვლავ შეერთების ერთადერთი გზა. ამბობენ, მას შემდეგ, რაც ეს ნაღვლანი სიმღერა ფართო პუბლიკამ მოისმინა, თვითმკვლელების რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

„ვერტერის ეფექტი“ (ზოგჯერ „სინდრომის“ სახელითაც მოიხსენიებენ) მხოლოდ რეალური პიროვნებების ისტორიებს როდი უკავშირდება. ეს მოვლენა მედიის მიერ გამოგონილი და აუდიტორიისგან გაფეტიშებული ვირტუალური გმირების მიბაძვითაც ვლინდება. ასე მაგალითად, გერმანიაში „ვერტერის ეფექტი“ კვლავ გაიხსენეს გასული საუკუნის 80-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ტელეეკრანზე სერიალი „სტუდენტის სიკვდილი“ გამოვიდა. ყოველი სერია იწყებოდა თვითმკვლელობის სცენით, სადაც ახალგაზრდა კაცი მატარებელს ბორბლებქვეშ უვარდებოდა. არსებობს სტატისტიკა, რომ სერიალის ექვსი ეპიზოდის ტრანსლირების მანძილზე მსგავსი გზით თვითმკვლელობის რიცხვი 15 – 19 წლის

ბიჭებში გაიზარდა 175 პროცენტით, გოგონებში კი – 167-ით. იგივე განმეორდა სერიალის ხელმეორედ ჩვენებისას.*

ყველას კარგად გვახსოვს 1978 წელს ვიეტნამის ომზე გადაღებული ოსკაროსანი მხატვრული ფილმი „ირმებზე მონადირე“, რობერტ დენირთი და ქრისტოფერ უოკენით მთავარ როლებში. ფილმში არის სცენა, სადაც დატყვევებული ამერიკელი ჯარისკაცები, მათ შორის, ფილმის გმირებიც, იძულებით თამაშობენ „რუსულ რულეტკას“. ამ სცენამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ფილმის ტრანსლირებას ყოველ ჯერზე თვითმკვლელობის ახალ-ახალი შემთხვევები მოსდევდა. ცნობილია, რომ მარტო 1986 წელს „ირმებზე მონადირეს“ 43 ადამიანი ემსხვერპლა.

სწორედ „ვერტერის სინდრომი“ იყო მიზეზი მასობრივი თვითმკვლელობისა კანადის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ქალაქ ატავაპისკეტეში. გასული წლის სექტემბრიდან დღემდე ქალაქის ორი ათასი მაცხოვრებლიდან 101-მა თავი მოიკლა.

საბედისწერო აღმოჩნდა მედიის როლი „არაბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილი რევოლუციების გაშუქებისას. ტუნისში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას უამრავი მიმბაძველის სიცოცხლე ემსხვერპლა. საქმე ეხებოდა 26 წლის ხილ-ბოსტნით მოვაჭრე მუჰამედ ბუაზიზის დაკავებას. პოლიციამ მას შემოსავლის ერთადერთი წყარო, სავაჭრო ფარდული ჩამოართვა და მისი მრავალრიცხვანი ოჯახი ულუკმაპუროდ დატოვა. სასონარკვეთილმა ახალგაზრდა კაცმა პროტესტის ნიშნად ბენზინი გადაისხა და მერიის ნინ თავი დაიწვა. ამ შემზარავმა ფაქტმა ბიძგის მისცა ტუნისურ რევოლუციას, რომელმაც, საბოლოოდ, ბენ ალის რეჟიმი შეიინირა. 2010 წელს ტუნისში მომხდარი რევოლუციის ტალღა გასცდა ერთი ქვეყნის საზღვრებს და მეზობელ ქვეყნებსაც გადასწვდა. მედიით გავრცელებულმა შემზარავმა კადრებმა განაჩენი გამოუტანა სხვებსაც. ბუაზიზის მსგავსად, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა 107-მა კაცმა თავი დაიწვა. მათ ბევრ ქვეყანაში გამოუჩინდათ მიმდევრები.

„ვერტერის ეფექტის“ მკვლევართა აზრით, მედია ხელს უწყობს თვითმკვლელობის კონკრეტული ფორმების პოპულარიზაციას.

* https://www.br-online.de/jugend/izi/deutsch/publikation/televizion/27_2014_2/vom%20Orde_Dunkle%20Seiten%20des%20Fernsehens.pdf

მიმბაძველები საკუთარ თავს აიგივებენ სუიციდის მსხვერპლთან. ისინი ფიქრობენ, რომ თავადაც მსგავს სიტუაციაში არიან. აღსანიშნავია, რომ მიბაძვის მასტიმულირებელი მედიის მიმართ შემუშავდა საერთაშორისო და ლოკალური მნიშვნელობის არაერთი რეკომენდაცია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მოუწოდებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს თავი აარიდონ სენსაციურ ტონს, მსხვერპლთა ჰეროიზებასა და სუიციდის ფორმების დეტალურ აღნერას. ცალკეულ ქვეყნებში შეიქმნა საკუთარი კოდექსები. მაგალითად, ნორვეგიაში საერთოდაც აიკრძალა სუიციდის გაშუქება, თურქეთში კი აკრძალვა გავრცელდა მხოლოდ ფოტოების გამოქვეყნებაზე. ჩვენთან სუიციდის გაშუქების სახელმძღვანელო წესები შეიმუშავა საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ. აღნიშნულ სახელმძღვანელოში განხილულია ის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია მედიისთვის, „გადამდები სუიციდი“ თავიდან რომ აიცილოს.

დღეს აღარავინ დავობს იმაზე, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე. შეიძლება ითქვას, რომ მედია თავად ქმნის საზოგადოებრივ აზრს და მერე აკონტროლებს მას. ამ გავლენის შესწავლა არაერთი ცნობილი მეცნიერის კვლევის საგნად იქცა, რამაც საგულისხმო თეორიებს დაუდო საფუძველი. მათ შორისაა „ჯადოსნური ტყვიის“ თეორია, რომლის მიხედვითაც მედიას შეუზღუდავი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანებზე – ვინც მიიღებს ინფორმაციას, მაშინათვე ექცევა მისი ზემოქმედების ქვეშ. ცხადია, ეს თეორია გადაჭარბებულ ძალას მიაწერდა მასმედიას და ამიტომაც ბევრი კრიტიკოსი გამოუწინდა. აღნიშნული თეორიის მიხედვით აუდიტორია პასიურ მიმღებად აღიქმება – რასაც მიაწვდი, ყველაფერს უსიტყვოდ და მყისიერად იჯერებს. შესაბამისად, იგი უგულებელყოფს თავად რეციპიენტის კრიტიკული აღქმის უნარს – პირად „ფილტრს“, რომელშიც ნებისმიერი ინფორმაცია პერსონალური წარმოდგენების მიხედვით ტარდება (მამილიშვილი ... 2020: 271).

„ჯადოსნური ტყვიის თეორია“ გაამყარა სხვა კონცეფციებმა, რომელთა მიხედვითაც მედია მიბაძვისა და დასწავლის მექანიზ-

მად გვევლინება. მოგვიანებით, ჰერბერტ ბლუმერის კვლევამ, რო-
მელიც ბავშვებზე კინოს გავლენას სწავლობდა, კიდევ უფრო გა-
ამძაფრა საზოგადოების შიში მედიის ეფექტის მიმართ. ნათქვამის
საილუსტრაციოდ გამოდგება გახმაურებული ამბავი, რომელიც
1938 წლის 30 ოქტომბერს ამერიკაში მოხდა. მოსახლეობაში ხმა
გავარდა, თითქოს ქვეყანა მარსელებმა დაიბყრეს. სინამდვილეში,
ეს იყო მწერალი ფანტასტის ჰერბერტ უელსის ცნობილი ნაწარ-
მოების „სამყაროთა ომის“ მიხედვით შექმნილი რადიოპიესა. მას 6
მილიონი ამერიკელი უსმენდა. ინფორმაცია უცხოპლანეტელების
შემოსევის შესახებ ახალი ამბის ფორმატით იმდენად რეალის-
ტურად გადაიცა, რომ ყველამ მაშინვე დაიჯერა. მსგავსი რამ
მოხდა საქართველოში 2010 წლის 13 მარტს, როდესაც „იმედის“
ტელეეთერით „მოდელირებული ქრონიკა“ ვიზილეთ.

ზემოხსენებული თეორია უნაკლო რომ არაა, ნათლად ადას-
ტურებს „მედიის სელექტური და შეზღუდული გავლენის თეო-
რია“, რომლის მიხედვითაც მასმედიას არა ყოვლისმომცველი,
არამედ მინიმალური გავლენა აქვს და იგი იცვლება სხვადასხვა
ფაქტორის ზემოქმედებით. მასმედიის ეფექტების შემსწავლელი
მრავალრიცხოვანი კონცეფციებიდან ყურადსალებია ასევე ე.წ.
„დაგროვების“, იგივე „აკუმულირების“, თეორია. ამ თეორიის მი-
ხედვით, საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური და კულტურუ-
ლი ცვლილებები ხდება მედიის მცირე ეფექტების დაგროვების
შედეგად. საბოლოოდ, აქ მოხმობილი ყველა თეორია ცალსახად
მიანიშნებს მედიის უდიდეს ძალაზე, რომ მისი „დაუინებული და
უწყვეტი ყურადღება რომელიმე საკითხის მიმართ, გავლენის
ეფექტს იწვევს და საბოლოოდ საზოგადოებრივი აზრის შეცვლას
განაპირობებს“ (შამილიშვილი ... 2020: 274).

დასახელებული თეორიები რელევანტურია ჩვენ მიერ განხი-
ლულ პრობლემასთან მიმართებითაც. მედიას ბრალი ნამდვილად
მიუძღვის მიბაძვითი სუიციდის დამკვიდრებაში, მაგრამ არც კე-
თილისმყოფლის მისიაა მისთვის უცხო. მას შეუძლია დადებითი
როლიც შეასრულოს სუიციდის თავიდან აცილებაში. ამის შესახებ
დამატებითი მტკიცებულებები გაჩნდა ბოლო ათწლეულების მან-
ძილზე. მაგალითად, თვითმკვლელობის პრევენციას ემსახურება

მედიის მიერ შექმნილი „პორტრეტები“, რომლებიც ასახავს პირად გამოცდილებას – არასასურველი გარემოებების დაძლევისა და მათი გამკლავების რეალისტურ ისტორიებს. კვლევებმა დაადასტურა, რომ აღნიშნული მცდელობა ზოგიერთ აუდიტორიაში სუ-იციდურობას ამცირებს. ამ დამცავ ეფექტს ეწოდა „პაპაგენოს ეფექტი“, რომელიც „ვერტერის ეფექტის“ საპირისპირ ძალაა. ეს მოვლენა პირველად 2010 წელს აღწერა მკვლევარმა თომას ნი-დერკროტენტალერმა (ნიდერკროტენტალერი ... 2010: 341-345).

ტერმინი „პაპაგენოს ეფექტი“ მოცარტის ოპერის „ჯადოს-ნური ფლეიტის“ პერსონაჟიდან იღებს სახელწოდებას. ოპერის მთავარი გმირი პაპაგენო უილბლო სიყვარულის გამო თავის ჩა-მოხრიბას გადაწყვეტს. საბედნიეროდ, ამ მცდელობას ბოლო წუთს ხელს უშლის სამი ბიჭი, რომლებიც შეახსენებენ მას, რომ თვითმკვლელობა გამოსავალი არ არის. მსგავსად „ჯადოსნურ ფლეიტის“ გმირის მხსნელებისა, მედიასაც შესწევს ძალა დახე-მაროს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფებს და უკიდურესი გა-დაწყვეტილება თავიდან აარიდოს. ამ შედეგის მიღწევა შეიძლება, თუკი ინფორმაციას თვითმკვლელობის შესახებ მართებულად, რეკომენდაციების მიხედვით გავაკრცელებთ.

უნდა შევნიშნოთ, რომ კვლევების შედეგად გამოიკვეთა ერთი საინტერესო გარემოება. სუიციდის მიბაძვის ეფექტი გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა ბეჭდური მედიით გაშუქებისას, ვიდრე სა-ტელევიზიო სიუჟეტებით ტრანსლირების შემთხვევაში. რაც იმით იხსნება, რომ ტელევიზიით გაშუქებული თვითმკვლელობისგან განსხვავებით, გაზითში დაბეჭდილი მასალა საშუალებას აძლევს მიმბაძველს, ტექსტი ამოჭრას, შეინახოს ან კედელზე გააკრას და თავიდან წაიკითხოს. ტელევიზიით მომზადებული სიუჟეტი კი უფ-რო იოლად და სწრაფად ეძლევა დავიწყებას (კუსიანი 2022: 13).

ისიც უნდა ითქვას, რომ რთულია თვითმკვლელობასა და მასმედიით გადაცემულ ინფორმაციას შორის პირდაპირი კავში-რი დაამტკიცო. თუმცა, ფაქტები მეტყველებს, რომ ამგვარი ინ-ფორმაცია ნამდვილად ახდენს გავლენას სუიციდისადმი მიდ-რეკილ ადამიანებზე. მაში, როგორ უნდა ავრიდოთ თავიდან მძი-მე შედეგი, როგორ უნდა გავაშუქოთ და როგორ – არა მსგავსი

შინაარსის თემები? საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მედიის პროფესიონალები გვთავაზობენ შემდეგ რეკომენდაციებს:

დაუშვებელია სუიციდის შემთხვევას მივანიჭოთ ჰიპერტონიული მნიშვნელობა – გამოვიტანოთ მეთაურ ახალ ამბად, მოვიხესენიოთ გადაჭარბებულად ემოციური ლექსიკით („სუიციდის ეპიდემია“, „საშინელებათა ტალღა“ და მისთ.). უნდა ვერიდოთ დეტალიზებას – არ გამოვაქვეყნოთ ვიზუალური მასალა, თვითმკვლელობის დეტალური აღწერით. ეს ყოველივე მზა ინსტრუქციად შეიძლება მიიჩნიოს მსგავს კრიზისულ სიტუაციაში მყოფმა პირმა და მიბაძოს თვითმკვლელს. არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება სუიციდის მიზეზზე (მაგალითად, ტიპური შეცდომაა, როცა ვამბობთ, რომ „ბავშვმა ცუდი ნიშანი მიიღო და გადმოხტა სახურავიდან“, „მავანმა დიდი ფული წააგო კაზინოში და თავი მოიკლა“ და ა.შ.). არ უნდა ჩავულრმავდეთ გარდაცვლილის პირად ცხოვრებას, მის მძიმე პრობლემებს. ნუ გამოვიტანთ დასკვნებს წინასწარ, სანამ ძიება არ დასრულდება. არ მოვიხმოთ დამატებითი საინფორმაციო წყაროები, რომელთაც მსგავსი შინაარსი აქვს.

სუიციდის გაშუქებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ სენსაციური ამბის უკან ადამიანური ტრაგედია, ახლობლების გრძნობები და განცდები. ჩვენ მიერ გაშუქებულმა ისტორიამ სხვასაც რომ არ ავნოს, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები: უნდა ვიპოვოთ სანდო წყაროები, დავეყრდნოთ ფაქტებს. თუ გვსურს მოვიხმოთ სტატისტიკა ან კვლევა, აუცილებლად დავიმოწმოთ. უნდა მოვყვეთ ამბავს ლაკონურად, მოკლედ, ზედმეტი ემოციის გარეშე. თუ ახალი არაფერია სათქმელი, ჯობს სულ ნუ ვიტყვით. გამოვუხატოთ თანაგრძნობა გარდაცვლილის ახლობლებს. ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რა გავაკეთოთ პრევენციისთვის, ნუ დავსვამთ კითხვას – „ვინ არის დამნაშავე“? მოვიშველიოთ ექსპერტული აზრი, განსაკუთრებით, მენტალური ჯანმრთელობის სპეციალისტების რჩევები.

საინტერესოა, რა ხდება ამ მხრივ ჩვენს რეალობაში, რამდენადაა დაცული პროფესიული სტანდარტი და დასახელებული

რეკომენდაციები ქართულ მედიაში. აღმოჩნდა, რომ სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, არც აქ გვაქვს სანუგეშო მდგომარეობა – მედია სცოდავს სუიციდის თემების გაშუქების დროსაც. ტელევიზიები აღნიშნულ თემაზე საუბრისას ყველა იმ ხარვეზს ავლენენ, რაც ზემოთ ვახსენეთ. კერძოდ, ვხვდებით თვითმკვლელობის რომანტიზების მაგალითებს, შემთხვევის ადგილისა და მეთოდის დეტალურ აღწერას, ამბის წამყვან თემად გამოტანას და სენსაციურად გაშუქებას (გარდაცვლილის ოჯახის წევრთა და ახლობელთა კომენტარები, გლოვის ამსახველი სიუჟეტები და სხვა); და რაც ყველაზე მძიმეა – თვითმკვლელობის მხოლოდ ერთ მარტივ მიზეზამდე დაყვანის მცდელობას. გაშუქების ამგვარი სტილი კი ძალზე სახიფათოა, რადგან მსხვერპლის მსგავსად რთულ მდგომარეობაში მყოფისთვის შესაძლოა ერთგვარ მინიშნებად და გამოსავლის გზად იქნას აღქმული.

ნათქვამის დასტურად არაერთი მაგალითის მოხმობა შეიძლება. განსაკუთრებით საყურადღებოა 15 წლის ლუკა სირაძის თვითმკვლელობის შემთხვევა. გავიხსენოთ ეს ტრაგიული ისტორია. 2019 წლის 11 დეკემბერს მოზარდი საცხოვრებელი კორპუსის მეცხრე სართულიდან გადმოხტა და მრავლობითი დაზიანებით რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. მიზეზად ამ შემზარვი ტრაგედიისა დასახელდა დაკავებისას პოლიციელის მხრიდან მასზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობა. ლუკა სირაძე დააკავეს იმის გამო, რომ „მწვანე სკოლის“ შენობაში შეიძარა და კედელზე დატოვა წარწერა – „ამ ცხოვრების დედაც“. მალე ეს სიტყვები ერთგვარ დევიზად იქცა – აიტაცა ყველამ, დიდმა და პატარამ, გაჩნდა წარწერები ქუჩებში, მედიამ კი ლამის ყოველდღიურ სასაუბრო თემად აქცია. ამ მოწოდებას დაემატა ახალი სლოგანი „სისტემა კლავს“. მედიას მიერ ამ ამბის დრამატიზებას მოჰყვა სუიციდის სხვა შემთხვევები.

„ვერტერის ეფექტის“ მსხვერპლი აღმოჩნდა 17 წლის აბაშელი სალომე ქურდოვანიძე, რომელიც თვითმკვლელობამდე ინტენსიურად აზიარებდა სოციალურ ქსელში ლუკა სირაძის ფოტოებს და მის სლოგანსაც – „ამ ცხოვრების დედაც“... ამ შემთხვევას მოჰყვა 23 წლის ბათუმელი ბიჭის თვითმკვლელობის ამბავი.

შეიქმნა მიბაძვითი სუიციდის ერთგვარი სერია, რაც დიდწილად მედიის მიერ სენსაციურად გაშუქებულმა, რომანტიზებულ – დრამატიზებულ – პოლიტიზებულმა ნარატივმა განაპირობა. ნაცვლად იმისა, რომ ამ მძიმე ისტორიების თავიდან ასარიდებელ, პრევენციულ ღონისძიებათა შესახებ ემსჯელა, მედიამ ჩვეულ სტილს არ უძლატა და ტრაგედიისგან შოუ დადგა.

მსგავსად გააშუქა მედიამ თვითმკვლელობის კიდევ ერთი გახმაურებული ამბავი. 23 წლის პროგრამისტის, თამარ ბაჩალი-აშვილის შემთხვევა გვაქვს მხედველობაში. გოგონა 2020 წლის 18 ივლისს გაუჩინარდა, ოთხდღიანი ძებნის შემდეგ კი გარდაცვლილი იპოვეს საკუთარ მანქანაში. ამ ისტორიის შესახებ ტელევიზიები თვეების მანძილზე, უწყვეტ რეჟიმში გვთავაზობდნენ საკუთარ გამოძიებებს, თხზავდნენ ახალ-ახალ ვერსიებს, დეტალურად აღწერდნენ დანაშაულის ადგილს, გადმოსცემდნენ გარდაცვლილის ოჯახის წევრთა ვრცელ კომენტარებსა და გლოვის კადრებს. ინფორმაციის დეტალურ ვიზუალიზებასა და გაშუქების სენსაციურ სტილს მალე მოჰყვა მძიმე შედეგი – 24 წლის ზუგდიდელმა გოგონამ 10 აგვისტოს ზუსტად გაიმეორა პროგრამისტის სცენარი – საკუთარი მანქანით წავიდა უკაცრიელ ადგილას და თავის მოკვლის მიზნით წამლები დალია. საპედინეროდ, მას დროზე მიუსწრეს და გადაარჩინეს.

თვითმკვლელობას არ ეხება, მაგრამ მედიის გავლენის მასშტაბზე მიუთითებს ასევე ფემიციდის სულ უფრო გახშირებული შემთხვევები. საკმარისია, სატელევიზიო ეთერით ვიხილოთ ამ მძიმე დანაშაულის დეტალური და დრამატული გაშუქების მაგალითი, რომ მას ჯაჭვური რეაქციით მოსდევს ახალი ფაქტები. მართალია, ეს თემა სხვა ჭრლშია განსახილველი, მაგრამ მასში არც მედიის „წვლილია“ მცირე. იგივე ითქმის ნარკომანის პრობლემაზეც, როცა მედიის მიერ ნატურალისტურად გადმოიცემა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მძიმე კადრები, ვითომდა გაფრთხილების მიზნით. სინამდვილეში, აქაც „დასწავლის“ სახიფათო ეფექტი მუშაობს და არა პრევენციისა.

მიუხედავად აღწერილი მძიმე შემთხვევებისა, თუკი მოინდომებს, მედიას ნამდვილად შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს

სუიციდთან ბრძოლაში. სწორედ მედიასთან თანამშრომლობით მიიღწევა თვითმკვლელობის პრევენცია. მისი მხრიდან სუიციდური აზრების გამკლავებისა და საკუთარი ცხოვრების მართვის შესაძლებლობების ხაზგასმა ხელს შეუწყობს სუიციდური სტიგმის შემცირებას. ეს ძალისხმევა შედეგს მაშინ გამოიღებს, თუკი პრობლემებზე დაუფარავად ვისაუბრებთ, მივუთითებთ სპეციფიკურ ხარვეზებზე, რომლებიც მომავალში უთუოდ უნდა გამოსწორდეს.

და ბოლოს, ვაღიაროთ, რომ ცუდი მაგალითი გადამდებია. ზოგ-ჯერ სულაც სასიკვდილოა მათოვის, ვინც მასმედიის მიერ გამოგონილ პერსონაჟებს თუ რეალურ პერსონებს ბაძვს. მედიას განსაკუთრებული სიფრთხილე და პასუხისმგებლობის გამძაფ-რებული გრძნობა ჭირდება, როცა მსგავსი შინაარსის ამბავი სააშკარაოზე გამოაქვს. ამგვარ ფაქიზ თემებზე მომუშავე უურნალისტს უნდა ესმოდეს, რომ იოლ პოპულარობასა და რეიტინგზე გამოკიდებას საზოგადოებისადმი ერთგულება ჯობია, თუკი თავის პროფესიაში დღეგრძელი სიცოცხლე სწადია.

„დამბარა უკვე გატენილია“ და სანამ დროა, უნდა დავფიქრდეთ. ვიჩქაროთ, „პაპაგენი“ დღესვე დავიხსნათ, „ვერტერის“ ვერდიქტი კვლავ რომ არ აღსრულდეს.

დამოცვებანი:

კუსიანი 2022: კუსიანი, ნ. „სუიციდის გაშუქების ხარვეზები ქართულ სატელევიზიო მედიაში და მათი გავლენა თვითმკვლელობის ეროვნულ მაჩვენებელზე“. ნაშრომი დაცულია თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებაზე. თბილისი: 2022.

ნიდერკროტენტალერი 2010: Niederkrothaler, T., Voracek, M., Herberth, A., Till, B., Strauss, M., Etzersdorfer, E.,...Sonneck, G. (2010b). *Papageno v Werther effect*. BMJ, გვ.: 341, 5841.

ფილიძსი 1974: Phillips, D. P. *The influence of suggestion on suicide: Substantive and theoretical implications of the Werther effect*. Am Sociol Rev, 39, 1974, გვ.: 340–354.

შამილიშვილი ... 2020: შამილიშვილი, მ., წერეთელი, მ. უურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2020.

მარიამ გიორგაშვილი

ზაირა არსენიშვილის „მოკლე კატოს თავგადასავალის“ ხელახალი გამოცემის გამო

ქართველი მწერალი და სცენარისტი ზაირა არსენიშვილი არა-ერთი გამორჩეული რომანის ავტორია, მათ შორისაა „ვა, სოფე-ლო“, „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისთვის“, „კოლაჟი მთვარის შუქზე“. მასვე ეკუთვნის სცენარები ცნობილი ქართული კინოფილმებისა „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხ-ზე“, „როცა აყვავდა ნუში“, „აურზაური სალხინეთში“ და სხვა. მწერლის მრავალფეროვან შემოქმედებაში საბავშვო ნაწარმო-ებისთვისაც მოიძებნა ადგილი – „მოკლე კატოს თავგადასავალი“ ზაირა არსენიშვილის ერთადერთი საბავშვო ტექსტია. იგი პირ-ველად 2006 წელს გამოიცა, 2022 წელს კი „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ ხელახლა დაბეჭდა. გამომცემლობის მიერ გა-მოქვეყნებული რეიტინგების თანახმად, ისიც, როგორც ავტო-რის დანარჩენი რომანები, მაღავე იქცა ბესტსელერად. ეს, ერთი მხრივ, მწერლის სახელისა და მკითხველის მის მიმართ განსა-კუთრებული სიყვარულის დამსახურებაა, მეორე მხრივ კი თავად ნაწარმოების შინაარსისა, რომელიც ერთდროულად ძალიან ნაცნობი და საყვარელია ქართველი მკითხველისთვის, ამასთან მწერლისეული გამორჩეული სტილის ბეჭედიც აზის. ცალკე აღსა-ნიშნავია ახალი გამოცემის ილუსტრაციები, რომლებიც თათია ნადარეიშვილის მიერაა შესრულებული და განსაკუთრებულ კო-ლორიტს სძენს ნაწარმოებს.

საზოგადოდ, საბავშვო ლიტერატურა ზეპირ ტრადიციას ემ-ყარება – ფოლკლორს, სიმღერებს, მითებს, ლეგენდებს, ზღაპ-რებს. სწორედ ხალხური სიტყვიერების ტრადიცია დაედო სა-

ფუძვლად XVIII-XIX საუკუნეებში მსოფლიოში აღმოცენებულ ტენდენციას, ჯერ ჩანერილიყო (ძმები გრიმები, მუზეუსი და რუნგე, პანს ქრისტიან ანდერსენი) ფოლკლორული ნიმუშები, ამის შემდეგ კი შექმნილიყო ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებები. XIX საუკუნეში, რომანტიზმის ეპოქაში, ჩამოყალიბდა ახალი ჟანრი – ლიტერატურული ზღაპარი, რომელსაც, განსხვავებით ხალხურისგან, ჰყავს ერთი ავტორი და ხშირად ხალხური ზღაპრის მოტივებს ეფუძნება. დროისა და კონტექსტის გათვალისწინებით იცვლებოდა ლიტერატურული ზღაპრის ესთეტიკური პრინციპები, თუმცა მის მიმართ ინტერესი არც რეალიზმის, მოდერნიზმისა თუ პოსტმოდერნიზმის ეპოქაში განელებულა. ზაირა არსენიშვილის „მოკლე კატოს თავგადასავალი“ თამამად შეგვიძლია ლიტერატურული ზღაპრის ჟანრს მივაკუთვნოთ. ბაშვებისთვის მიმზიდველია ამბავი, რომელიც მათ, როგორც მკითხველის გამოცდილებას ერგება და ითვალისწინებს. ცეროდენები, დევები, ზღაპრული ცხოველი (ამ შემთხვევაში ოქროს ვერძი), მზეთუნახავი, დედაბერი, მეფე და სხვები პატარა მკითხველისთვის ნაცნობი პერსონაჟები არიან.

პატარა მკითხველისთვის მნიშვნელოვანია, რომ პერსონაჟთან, მის გამოცდილებასთან რაც შეიძლება მეტი საერთო ნახოს და ადვილად მოახდინოს იდენტიფიკაცია. ეს წაკითხულის უკეთ აღქმასა და რეალურ ცხოვრებასთან გაიგივებას უადვილებს. თუკი ტექსტის მთავარი პერსონაჟი ბავშვია, მისი ამბავი მეტად ახლობელი და გასაგებია მკითხველისთვის, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მან ნაწარმოებში მოცემული რთული მეტაფორები, ქვეტექსტი თუ სხვა კოდები ვერ ამოხსნას. მის ფანტაზიას უკეთ კვებავს პერსონაჟი, რომელსაც ისეთივე სურვილები აქვს, როგორიც მას, რომელიც თან ჰგავს და თან განსხვავდება მისგან. პატარა მკითხველი ადვილად უთანაგრძნობს ასეთ მოქმედ გმირს. მოკლე კატოს ცხოვრება ნაცნობია ბევრი ბავშვისთვის – მას უყვარს ნაყინი, დადის ბაღში, ატარებს ველოსიპედს, მუდამ ესმის მშობლების „არ შეიძლება“, ხდება ავად, სურს დაქმაროს მეგობრებს... ზაირა არსენიშვილი ოსტატურად ახერხებს

მკითხველის შეტყუებას ჯადოსნურ სამყაროში, რომელსაც რეალისტური კარი აქვს და ერთი შეხედვით აქ უცნობი არაფერია.

თხრობა რეალისტურად იწყება – სივრცეც და პერსონაჟებიც, რომელთაც ამბის დასაწყისში ვეცნობით, რეალურია – ნაყინის მოყვარული ცელქი კატო, რომელიც ბაღში დადის და დღენიადაგ მისთვის დანესხებული ნორმების გამო წუნუნებს, ავად გახდება. მას ოთახში 9 ცეროდენა ძმა ეწვევა. სწორედ ამ ეპიზოდიდან რეალისტური თხრობაში ჯადოსნური ელემენტები იჭრება და ზღაპრის მოტივებიც იქვე იჩენს თავს. ლიტერატურული ზღაპრი, როგორც ვთქვით, ხშირად ეფუძნება ფოლკლორულ მოტივებს, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ვლადიმერ პროპის („ზღაპრის მორფოლოგია“) მიერ ჯადოსნური ზღაპრისთვის შემუშავებული უნივერსალური განმეორებადი ფუნქციები საავტორო ზღაპრისთვისაც რელევანტურია – გმირის შინიდან გასვლა (კატო უკვდავების წყლის საძებრად მიდის, რათა მოულოდნელად დახოცილი ცეროდენა ძმები გააცოცხლოს), გმირის გამოცდა (კატო ოქროქსოვილით მოსილ დედაბერთან), გმირი იღებს ჯადოსნურ საშუალებას (ოქროს ვერძი), გმირს გადააფრენენ/მიიყვანენ იმ ადგილას, სადაც საძებნელი საგანია (მოკლე კატო ღმერთთან), გმირი ამარცხებს ანტაგონისტს და შინ ბრუნდება. ალსანიშნავია, რომ საანალიზო ტექსტში გამოკვეთილი ანტაგონისტი არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ერთ ეპიზოდში გამოჩენილ წყლის მნაყავთა მეფეს, რომელიც დილეგში გამოამწყვდევს კატოს. მთავარი გმირის ძირითადი „მეტოქე“ სიკვდილია – მან უნდა გადაალახოს დაბრკოლებები, რათა მეგობრები გააცოცხლოს და გაპარტახებული წაკლოტი აღადგინოს. მოკლე კატოს თავგადასავალი ბედნიერად სრულდება, ისევე როგორც ჯადოსნური ზღაპრები. ბედნიერი დასასრული საბავშვო ნანარმოების მნიშვნელოვანი ელემენტია. პატარა მკითხველი მოწყვლადია, მგრძნობიარე სამყარო და მძაფრი ემოციები აქვს. მისთვის მნიშვნელოვანია სამართლიანობის განცდა, იმედი. საპირისპირ აზრით, საჭიროა იგი ბავშვობიდანვე შეემზადოს რეალურ ცხოვრებას და სამყაროს, რომელშიც ყველთვის ყველაფერი კარგად არ მთავრდება. თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ასაკობრივი თავისებურებები

და ფსიქოლოგიური მზაობა. როგორც წესი, პატარებს, სანამ ისინი გარდატების ასაკში შევლენ, სიამოვნებთ იკითხონ ამბები, თუნდაც წინასწარ იცოდნენ, რომ ყველაფერი ბედნიერად სრულდება.

მითოლოგიის ამერიკელმა მკვლევარმა, ჯოზეფ კემპბელმა, შეისწავლა რა მსოფლიოს ხალხის თქმულებები, რელიგიური სიუჟეტები, ღმერთებისა და გმირების თავგადასავლები, ეპოსები, რომანები, შეამჩნია და შემდეგ გამოიკვლია საერთო სქემა (სურ. 1), რომელსაც ყველა ამბავი ეფუძნებოდა (მიუხედავად იმისა, რომ ხალხთა ამ ჯგუფების უმეტესობა სივრცესა და დროში იმდენად დაშორებულია, რომ შეუძლებელია ეს მსგავსებები კულტურული კომუნიკაციის შედეგად მივიჩნიოთ). რაც უფრო არქაულია ნარატივი, მით უფრო ადვილია ამ სქემების შემჩნევა. სიუჟეტის არქეტიპული ეპიზოდები ხშირად მონაწილეობს საბავშვო ფოლკლორულ ნარტივში, შესაბამისად კემპბელისეული სქემის ამოცნობა საბავშვო ნაწარმოებებშიც ადვილია. გამონაკლისი ამ მხრივ არც „კატოს თავგადასავალია“. რას გულისხმობს ეს შაბლონი? ამბავი იწყება ჯერ რიგითი ადამიანის ჩვეულებრივი ცხოვრების აღწერით. ის არაფრითაა გამორჩეული. ამას მოსდევს „მოხმობა“ – გმირი ეხვევა თავგადასავალში. თავგადასავალი მოიცავს ტყვეობას (კემპბელი ამას ბიბლიური ონიას სიუჟეტის მიხედვით ასათაურებს – „ვეშაპის მუცელი“). კატოს წყლის მნაყავთა მეფე ატყვევებს. ამას მოჰყვება თავდახსმა, რასაც გმირი მოკავშირის მოძებნით ახერხებს (პროპის მსგავსად, კემპბელიც ნაწატივის უმნიშვნელოვანეს ელემენტად შემზეს გამოჩენას მიიჩნევს) – კატო ციხიდან თაგუნების დახმარებით გამოაღწევს. თუმცა ხერხს მიმართავს – თაგუნებს ეტყვის, რომ კარგად სიმღერა შეუძლია და მაყრად გაჰყვება მათ.

„მაგიური ფრენა“ კემპბელისეული სქემის მნიშვნელოვანი ელემენტია. კატო ხვდება ღმერთს. ღმერთის სახე ნაწარმოებში არქეტიპული, სრულად ანთროპომორფულია – სათვალიანი ჭაღარა მოხუცი, გენიოსი მათემატიკოსი, რომელიც კოსმოსურ ხომალდს მართავს. სწორედ ღმერთი დააყენებს კატოს უკვდავების წყაროს გზაზე, რის შემდეგაც გოგონა შეძლებს თავისი მთა-



სურ. 1

ვარი მისიის შესრულებას. ამრიგად, გმირის მოგზაურობა შედგა. კატო ჩვეულებრივი გოგონადან გადაიქცა გმირად (ცეროდენების სამყაროში დედოფლადაც აღიარეს).

მთელი ეს გზა – გმირად ქცევის ამბავი – ძალიან დინამიკურია, რაც მნიშვნელოვანია საბავშვო ნაწარმოების სიუჟეტისთვის.

მოვლენები ერთმანეთს სწრაფად უნდა ენაცვლებოდეს და ნაკლები ადგილი ეთმობოდეს აღნერით ტექსტებს. ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკისი, იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს: „ბავშვის მოძრავი ბუნება სრულიად ვერ მშვენიბს დიდ ხანს შეჩერებას გრძელის, გაჭიანურებულის პლასტიკურის სურათების კითხვასა და გაგებაზედ. ...საბავშვო მოთხრობაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მოქმედების დახატვას, დრა-

მატიზმსა და პლასტიკური აღწერა უნდა იყოს მოკლე და შე-ეხებოდეს მხოლოდ უმთავრესს საგნის ნაწილებს. ...საბავშვო მოთხოვნების წერა მეტად ძნელია და მოითხოვს საფუძვლიან მოსაზრებას, გულისყურის დამყარებას კაი ხნობითა და მუყაითს შრომას“ (გოგებაშვილი 1954: 18). „მოკლე კატოს თავგადასა-ვალის“ სიუჟეტი ძალიან დინამიკურია. ნაწარმოები ოცდაერთ მოკლე თავადაა დაყოფილი, რაც აადვილებს ტექსტის აღქმას, ინტერესს აღუძრავს მკითხველს და არ აძლევს მას მოწყენის ან მოდუნების საშუალებას. ამასთან, პატარა მკითხველისთვის ეს ქმნის უამრავ სივრცეს, სადაც შეუძლია დროებით შეწყვიტოს კითხვა, გაჩერდეს.

მწერალი, რომელიც ბავშვებისთვის წერს, გარდა შინაარსისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტექსტის ენობრივ მხარეს, ლექსიკას. საბავშვო ტექსტი ლექსიკურად უნდა შეესაბამებოდეს სიტყვათა იმ მარაგს, რომელიც გარკვეულ ასაკში აქვს ბავშვს, ამასთან, ასწავლიდეს ახალ სიტყვებს, უმდიდრებდეს ლექსიკურ ფონდს. ზაირა არსენიშვილის მწერლური ენა მდიდარია, სიტყვა-კაზმული, მსუეყ. „მოკლე კატოს თავგადასავალში“ არაერთ იდი-ომატურ გამოთქმას, რთულ ლექსიკურ ერთეულსა თუ დიალექ-ტიზმს ვხვდებით. მაგალითად: „ალო გაიტანეს“, „კაი დახლის დადგომა“, „კვერის გამოცხობა“, „დაწერნაქებული“, „კოჭობი“ და სხვა. ბავშვისთვის ისინი გაუგებარი იქნება, თუმცა კონტექსტიდან გამომდინარე მათ შინაარსს ამოიცნობს და, ამასთან, დაეხმარება ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში. დასაფასებელია, რომ ტექ-სტის ახალ გამოცემას სქოლიობის სახით ზოგიერთი, ბავშვის-თვის სავარაუდოდ უცხო სიტყვისა და გამოთქმის განმარტება ერთვის.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ წიგნის ახალი გამოცემის დასურა-თებასაც. ილუსტრაციები საბავშვო წიგნის განუყოფელი ნაწილია. ადამიანები ნახატების საშუალებით უძველესი დროიდან იღე-ბენ და გასცემენ ინფორმაციას. ნახატები წიგნებში მკითხველის ყურადღებას იქცევს, მით უმეტეს, თუ მკითხველი ბავშვია. ბევრი საბავშვო მწერალი თავად ასურათებდა ნაწარმოებს (ანტუან

სენტ ეგზიუპერი, ბეატრიქს პოტერი, ლუის კეროლი). თუკი ზრდა-სრულ მკითხველს ილუსტრაციები წარმოსახვას უღვიძებს, ტექ-სტის შინაარსის უკეთ აღქმაში ეხმარება, პატარა მკითხველის-თვის მას სხვა, მეტად მნიშვნელოვანი დატვირთვაც აქვს: „ილუსტრაციების საშუალებით მას ტექსტის გაგება იქამდე შეუძლია, სანამ კითხვას ისწავლის. „მოკლე კატოს თავგადასავალი“ უხვა-დაა დასურათებული – ვხვდებით როგორც მინიატურულ ნახა-ტებს ფურცლის კიდეებში, ისე სურათებს, რომლებსაც წიგნის ორივე გვერდი უკავია. სურათები სიუჟეტის ყველა მონანილეს ასახავს და მიჰყვება ნაწარმოების კომპოზიციას. პატარა მკითხ-ველი ტექსტის წაკითხვის გარეშეც ადვილად ამოიცნობს მის ში-ნაარსს, ვინაიდან ფაქტობრივად სიუჟეტის ყველა საკვანძო ეპი-ზოდია გამოსახული. ხოლო თუკი კითხვის არმცოდნე ბავშვს უფ-როსი წაუკითხავს ამ ნაწარმოებს, შემდეგ ჯერზე ბავშვი ნახატების დახმარებით იოლად გადმოსცემს და გაიმეორებს შინაარსს. გარ-და მისა, რომ თათია ნადარეიშვილის ილუსტრაციები ზუსტად იმ ეპიზოდებს ასახავენ, რომლებიც, ასე ვთქვათ, საკვანძოა ტექს-ტში, ყურადღებას იქცევს ფერთა პალიტრა და სტილი. ცნობი-ლია, რომ პატარებს ფერადი ნახატები ურჩევნიათ შავ-თეთრს. დღეს ბაზარზე თითქმის ვეღარსად ნახავთ შავ-თეთრი სურათე-ბით გაფორმებულ საბავშვო წიგნებს. ეს წარსულია, საბავშო გა-მოცემების ისტორიის კუთვნილება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართული წიგნის ბაზარზე ხშირად შევხდებით დასურათებულ წიგნებს, რომლებიც სავსეა ჭრელი, ერთმანეთთან შეუწყობელი ფერებით შექმნილი ნახატებით. თათია ნადარეიშვილის ილუსტრაციებს გამოარჩევს ერთგვარი სისადავე და პარმონია, რო-მელსაც, ვფიქრობ, რამდენიმე ფერის სხვადასხვა გრადაციით აღწევს. „მოკლე კატოს თავგადასავალის“ ილუსტრაციებში ფი-რუზისფერი და წითელი ფერი დომინირებს, თვალს არ ღლის ფერთა სიჭრელე და, ვფიქრობ, არჩეული სტილი ზუსტად შეესა-ბამება ნაწარმოების სტილსაც. გათვალისწინებულია ისიც, რომ საბავშო ილუსტრაციები მეტ-ნაკლებად რეალისტური უნდა იყოს, ბავშვი ვერ აღიქვამს აბსტრაქტულ ფორმებს. მოცემულ

ნახატებში, მართალია, არ ვხვდებით დეტალიზაციას, მაგრამ მთლიანობაში ისინი ადვილად აღქმადია ბავშვისთვის, ვინაიდან ფორმების იდენტიფიცირება ადვილია.

ამრიგად, ვფიქრობთ, ზაირა არსენიშვილის „მოკლე კატოს თავ-გადასავალი“ პატარა მკითხველისთვის (და არა მხოლოდ) ძალიან საინტერესო და მიმზიდველი ტექსტია. ავტორი შესანიშნავად ახერხებს ფოლკლორული და ზღაპრული ელემენტების, ქართული კლასიკური საბავშვო ლიტერატურის ტრადიციისა და ავტორისეული ინდივიდუალიზმის შერწყმას. ამბავი არ არის მორალისტური, თუმცა მკითხველს დააფიქრებს ისეთ მარადიულ ღირებულებებზე, როგორებიცაა მეგობრობა და თანადგომა. ვიმე-დოვნებთ, „მოკლე კატოს თავგადასავალი“ ბევრი პატარა მკითხველის საყვარელი წიგნი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

არსენიშვილი 2022: არსენიშვილი, ზ. მოკლე კატოს თავგადასავალი. თბილისი: ბაქურ სულაკაურის გამომცემლობა, 2022.

გოგებაშვილი 1954: გოგებაშვილი, ი. თხზულებანი. ტ.2. თბილისი: საქ. სსრ. გან. სამინ. პედ. მეცნ. სამეცნ.-საკვლ. ინ-ტი., 1954.

ლევან გელაშვილი

ქართული ფუტურიზმის ასი წელი

2022 წელს ქართული ფუტურიზმის პირველი მანიფესტის გა-
მოქვეყნებიდან ასი წელი შესრულდა.

ქართულ ფუტურიზმს წინ უძღვდა ქართულ კულტურაში და-
წყებული მოდერნიზმის განახლების ტალღა. პოეტების სიმბოლის-
ტური სკოლა, სახელწოდებით „ცისფერი ყანწები“, ტიციან ტაბი-
ძემ და მისმა მეგობრებმა ქუთაისში 1915 წელს ჩამოაყალიბეს.
ორდენის წევრი, პოეტი კოლაუ ნადირაძე მოგვიანებით წერდა:
„ქართული ლექსი გახდა გემოვნების დაცემისა და საოცარი ჩა-
მორჩინილობის მაჩვენებელი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა,
თითქოს რუსთაველი უფრო თანამედროვე პოეტი იყო, ვიდრე
აკაკის მიმბაძველ პოეტთა ლეგიონი“.

სიმბოლისტების მიზანი იყო ქართული პოეზიის მსოფლიო რა-
დიუსით გამართვა, ახალი ინოვაციური ევროპული გამოცდილე-
ბის გადმოტანა და ძველი პოეტური სახეების გადახალისება.

პაოლო იაშვილის სიმბოლიზმის მანიფესტში და ასევე მის ზო-
გიერთ ლექსშიც იგრძნობა ფუტურისტული გავლენები და მარი-
ნეტის მანიფესტის ექი.

1916 წელს სამშაბათს, 7 ივნისს პაოლო იაშვილი მოხსენებით
გამოვიდა ფუტურიზმის შესახებ. იმდროინდელ პრესაში ვკითხუ-
ლობთ: „ქალაქის თეატრში გაიმართება საჯარო კამათი. პაოლო
იაშვილი წარმოსათქვამს მოხსენებას ჩვენი მოსვლა, ჩვენი ყოფნა
ჩვენ მომავალში ფუტურიზმი. როგორ ესმით ჩვენში ფუტურიზმი.
ფუტურიზმი და, „ცისფერი ყანწები“..

პეტროგრადის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთი-
დან თბილისში ავანგარდისტი მხატვრების, მწერლებისა და პო-
ეტების დიდი ნაკადი ჩამოვიდა.

1909 წლის 20 თებერვალს „ფიგაროში“ დაბეჭდილი ფილიპო ტომაზო მარინეტის ფუტურიზმის მანიფესტი რუსეთში 1909 წლის მარტში გამოქვეყნდა გაზეთ „ვეჩერ“-ში და მაღე ტიფლისის ვაჟთა I გიმნაზიის ხატვის მასწავლებლის ბ. ლოპოტინსკის მეშვეობით საქართველოშიც მოხვდა. ერთ-ერთი პირველები, ვინც ჩვენში ფუტურისტულმა იდეებმა გაიტაცა, იყვნენ ლაპოტინსკის მოსწავლეები – ძმები პოეტი ილია და მხატვარი კირილ ზდანევიჩები.

პირველი „ფუტურისტების სინდიკატი“ თბილისში 1917 წლის შემოდგომაზე შეიქმნა ილია და კირილე ზდანევიჩების ინიციატივით. სხვათა შორის, ამ გაერთიანებაში რუსეთიდან ჩამოსულ მოღვაწეებს გარდა, ლადო გუდიაშვილიც შედიოდა.

თავად ტერენტიევი ასე იხსენებს ამ ფაქტს: „1917 წელს კავკასიის არმია ტფილისის გავლით რუსეთში ბრუნდებოდა. ჩვენი კომპანია ყველა გამვლელს აჩვენებდა ჭკვიან მიკროსკოპს. გოლოვინის გამზირი №8, ყოფილი სადურგლო სახელოსნო, გადაკეთებული „ფუტურეუბიშე“.

ეს ვიწრო ოთახი ხალხით იჭედებოდა. უსმენდნენ რუსული ფუტურიზმის ისტორიას და გზას განაგრძობდნენ... ჩვენ კი ვისხედით. სამი წლის განმავლობაში წაიკითხეს ორასზე მეტი მოხსენება.

1918 წლის დასაწყისში ა. კრუჩინიშვილი, ვ. ტერენტიევმა და ილია ზდანევიჩმა შექმნეს ჯგუფი „41⁰“ და გამოსცეს ამ ჯგუფის მანიფესტი. ჯგუფის დასახელებას „41⁰“, მისი წევრები იმით ხსნიდნენ, რომ ტიფლისი, ისევე, როგორც ახალი მსოფლიო კულტურის სხვა ცენტრები – ტოკიო, ნიუ-იორკი და მილანი – მდებარეობს ამ გეოგრაფიულ განედზე.

41⁰-მა გამოსცა არაერთი წიგნი, ჩაატარეს სალამოები და წაიკითხეს ლექციები.

იპოლიტე ვართაგავა 1919 წლის წერილში ავადმყოფურ შემოქმედებას უწოდებს ფუტურიზმს: „ფუტურისტები სთვლიან თავიანთ გრძნობათა პროგრესიულ ევოლუციის შედეგად ესეც მაჩვენებელია მათის ფსიქიკის მერყეობისა და ნერვების დაზიანებისა. ბ-ნი რობაქიძე კი სხვა და სხვა ციტატებით და ბევრ მწერალთა სახელების ჩამოთვლით ცდილობდა მკითხველი დაერწმუნებინა

(„საქართველოში“), რომ აღნიშნული ფაქტი სრულებით ნორმალური მოვლენაა, მაშასადამე, ამ მხრივ ფუტურისტები სრულებით ნორმალურად გრძნობენ და ჰქმნიან. მე კი ამ წერილში ხაზგასმით და გადაჭრით ვამბობ, რომ ნაჩვენები ფაქტები და კიდევ ბევრი რამ, სხვა ფუტურისტებში და მათს შემოქმედებაში რასაკვირველია, (ტიპიურს და გულრნფელს ფუტურისტებში) ავადმყოფური და ფსიქოპატალოგიური მოვლენაა“.

ათიან წლებში იუმორისტული უურნალები „ლახტი“, „მათრახი“ და „ეშმაკის მათრახი“ ფუტურისტებზე ფელეტონებს და იუმორისტულ პუბლიკაციებს ბეჭდავდა. ამ პერიოდის პრესიდან ჩანს, რომ სიმბოლისტებსა და ფუტურისტებს შორის განსხვავებას დიდად ვერ ხედავდნენ. სიმბოლისტებს ფუტურისტებს უწოდებდნენ. საინტერესოა, რომ მოგვიანებით სიმბოლისტებსა და ფუტურისტებს შორის გაცხარებული დაპირისპირებაც სუფევდა.

ა. კრუჩიონიხმა ტიფლისში 1917-1919 წლებში გამოშვებული საკუთარი წიგნების ბიბლიოგრაფიული სია შეადგინა. მასში წარმოდგენილია 40-ზე მეტი გამოცემა. ყველა ეს წიგნი გამოიცემოდა მცირე ტირაჟით – შერეული ბეჭდვითი და ხელით ნაწერი. „სოფია მელნიკოვას ნაკრები“ – ბოლო წიგნია, რომელიც შეიქმნა ფუტურისტების მიერ საქართველოში. 1919 წელს ა. კრუჩიონიხი ბაქოში გაემგზავრა, ძმები კი – საფრანგეთში, რის შემდეგაც ორგანიზაცია „41⁰“-მა თავისი არსებობა შეწყვიტა.

1922 წლის 23 აპრილს თბილისში, კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა ქართველი ფუტურისტების პირველი სალამო. იმავე წლის 6-7 მაისს გამოიცა პირველი ქართული ფუტურისტული მანიფესტი. მანიფესტს ხელს აწერდნენ: ნიკოლოზ თავდგირიძე, აკაკი ბელიაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ბესარიონ ჟლენტი, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ ორაგველიძე, პოლ ნოზაძე, ალექსანდრე გაბესკირია, მზია ერსითავი. სწორედ ეს თარიღი მიიჩნევა ქართული ფუტურიზმის დაბადებად.

1923 წლის 2 თებერვალს ქართველმა ფუტურისტებმა ასეთივე სალამო ჩაატარეს ხელოვანთა სასახლეშიც. იმ პერიოდის პრესში არაერთი ცნობა გვხვდება ამის შესახებ: „1923 წ. პარასკევს, 23

მარტს სახელმწიფო კონსერვატორიაში ქართველი ფუტურისტები გამართავენ თავის პირველ, გამოსვლითი ხასიათის საღამოს...

1923 წ. მომავალ შაბათს და კვირას, წალვერსა და ბორჯომში ბენო გორდეზიანი, სიმონ ჩიქოვანი და პოლ ნოზაძე წაიკითხავენ საჯარო ლექციებს ქართულ „ფუტურიზმზე“ და მოაწყობენ დისპუტს“.

ბესარიონ ჟლენტის მოგონებებიდან: „ქუთაისის გიმნაზიას ვამთავრებდი, როცა ფუტურისტთა ჯგუფი დაარსდა. ამ ჯგუფთან ერთად 1923 წლის გაზაფხულზე ქუთაისში ჩავედი. ჩემთან ერთად იყვნენ აკაკი ბელაშვილი და სიმონ ჩიქოვანი. მე და ჩაჩავა ბულვარის პირდაპირ ერთი დიდი სახლის სახურავზე ავედით, კოსტუმები უკულმა ჩავიცვით და ლექსების კითხვა დავიწყეთ. ქალაქში მოძრაობა შეჩერდა. განცვიფრებული გვიცქერდნენ გამვლელ-გამომვლელნი. აცნობეს მილიციას. სახურავიდან ჩამოგვყარეს და დაკითხვა დაგვიწყეს. ამ დროს ქუთაისში იმყოფებოდა ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მამია ორახელაშვილი. მან გვიშუამდგომლა, მილიციას ჩვენი თავი გააშვებინა, ჩაგვაბარა ქალაქის განათლების განყოფილებას. ვალია ბახტაძემ დაგვარიგა, ფული მოგვცა და სადგურზე გამოგვაცილა. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთ „კომუნისტში“ ვკითხულობთ ვალია ბახტაძის წერილს სათაურით „უნიჭო კლოუნები“.

გთავაზობთ ნაწყვეტს ბახტაძის წერილიდან „უნიჭო კლოუნები“: „ქართველ ფუტურისტებში (სახეში გვყავს ისინი, რომლებსაც მონოპოლიათ აუღიათ ეს სახელწოდება ჩვენში) გამოინახებოდენ ერთი ან ორი ისეთები, რომლებიც მართლაც შეასრულებდნენ რამდენიმეთ მაინც რევოლუციონერ მწერალ ვლადიმირ მაიაკოვსკის როლს ქართულ ხელოვნებაში, რომელსაც – სხვათა შორის – ასე ეჭირვება მაგარი, მკვეთრი, მჭრელი, დაუზოგავი ხელოვნების ჩაქუჩი მისი მართლაც რომ გამომპალ ქვა-კუთხედის შესანგრევად, რასაც ჩვენის აზრით, შესძლებს მხოლოდ ქართული ხელოვნების მაიაკოვსკი. სხვათა შორის, გაკვრით აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ ეგრედ წოდებულ პროლეტარულ მწერლებში ასეთს ჯერ ჩვენ ვერ ვხედავთ.

ქართველი ფუტურისტების გამოსვლამ ქ. ქუთაისში – საბოლოოდ გაფანტა შესაძლებლობაც მათზე რაიმე იმედის დამყარებისა.

ეს იყო მართლაც რომ იშვიათად სანახი „ორიგინალური“ თავისი უტიფრობით – დემონსტრაცია სრული უკულტურობისა, საცოდავი უცოდინრობისა და სამაგალითო უნიჭობისა.

რასაკვირველია ყველას ეპატიება იყოს ის, რაც ის არის, თუ გინდ უნიჭობა კლოუნიც, მაგრამ როდესაც ასეთები ლამობენ თავისი უნიჭობა და ტაკი მასხარაობა დაფარონ სხვების ნიჭით და დამსახურებით, როდესაც წარმოუდგენელია უკანასკნელ საფეხურამდე მისულ ქუჩურ მეშჩანობას (ფუტურისტების „გამოსვლა“ იყო ნამდვილი ქუჩური ლაყბობა – ყალბი და უშინაარსო „ორიგინალობას“ მოყვარული მეშჩანინისა) ისინი ასაღებენ, როგორც მემარცხენეობას პოეზიაში და, წარმოიდგინეთ ხელოვნების რევოლუციონერებათაც მოაქვთ თავი – ჩვენ არ შეგვიძლია არ შევძახოთ მაშინ მათ: – ციც ყმაწვილებო! რევოლიუცია (ხელოვნებაშიც სხვათა შორის) – არც ისე იაფად დაგვიჯდა ჩვენ, რომ თქვენისთანაებს მივსცეთ უფლება მისი სალაყბოთ აღებისა“.

ალექსანდრე ბარამიძის მოგონებებიდან: „ნიკოლოზ ჩაჩავას შემდგომ ყველა იცნობდა როგორც იშვიათად დარბაისელ კაცს, მშვიდსა და უწყინარს, მაშინ კი იგი მეთაურობდა ფუტურისტების თითქმის ყველა დებოშს მნერალთა კავშირში თუ სხვაგან, საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ ფუტურისტების ჯგუფი არ იყო ერთფეროვანი. ზოგი, ასე ვთქვათ, მაქსიმალისტი იყო, ზოგი ზომიერი, ზოგიც შემთხვევით მიკედლებული. ქართველ ფუტურისტებს ფაქტობრივ არ ჰქონიათ ერთიანი ლიტერატურულ-ესთეტიკური იდეალები, ერთიანი სამოქმედო პროგრამა. აბა, რა ჰქონდა, ფუტურისტული, მაგალითად, დემნა შენგელაიას, ან ლევან ასათიანს, ან თუგინდ აკაკი ბელიაშვილს?

ფუტურისტი ჩაჩავა გარეგანათებების ბოძებზე ადიოდა და იქიდან კითხულობდა ლექსებს, გამოირჩეოდა ფერადი არაორდინალური ჩაცმულობით, ჰალსტუხის ნაცვლად კი ბოლოკი ეკიდა. ერთ-ერთ საღამოზე ნიკოლოზ შენგელაიასთან ერთად პაოლო იაშვილს კვერცხები დაუშინა.

ნიკოლოზ შენგელაიაც ჯერ დადაისტი იყო, შემდეგ ფუტურისტი, ბოლოს კი კინოში გადაინაცვლა, როდესაც მარჯანიშვილი მოიხიბლა მისი ორატორული ნიჭით.

1924 წელს გამოვიდა „H₂SO₄“, რომელიც, სხვათა შორის, იუნიებოდა, რომ 1924 წლის 9 ივლისისათვის გამოვიდოდა გაზეთი“. მაგრამ ასეთი გამოცემა არ განხორციელებულა. „H₂SO₄“ იყო როგორც უურნალის დასახელება, ასევე ფუტურისტული ჯგუფის სახელწოდებაც.

1924-1925 წლებით თარიღდება „ლიტერატურა და სხვა“ (რედაქტორი ნიკოლოზ ჩაჩავა). ყდა და და კომპოზიცია – კირილე ზდანევიჩისა. უურნალში ტექსტების ვიზუალური მხარე მინიმუმამდეა დაყვანილი. 1925 წლის 5 დეკემბერს გამოვიდა გაზეთი „დროული“ (რედაქტორი უანგო ლოლობერიძე). დაიბეჭდა კიდევ ორი ნომერი (1926 წელს) და „დროულმა“ არსებობა შეწყვიტა. გაზეთი იუნიებოდა, რომ გამოვიდოდა უურნალი „ზერო“ უ. ლოლობერიძის რედაქტორობით. მაგრამ ასეთი -უურნალი არ -გამოცემულა. 1927 წლის აპრილში უურნალ „მემარცხენეობის“ პირველ ნომერს ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია: ბ. ულენტი, დ. შენგელაია, ნ. ჩაჩავა; მეორეს, რომელიც 1928 წლის ზაფხულში დაბეჭდილა – რედაქტორი სიმონ ჩიქოვანი.

„მემარცხენეობაში“ ახალი წევრებიც გამოჩნდნენ: სიმონ დოლიძე, სტეფანე კასრაძე, აკაკი განერელია, დავით კაკაბაძე, ლეო ესაკია, მიხეილ კალატოზიშვილი, ნუცა ლოლობერიძე, ლევან ასათაანი, ვარლამ უურული, სერგეი ტრეტიაკოვი (ვლ. მაიაკოვსკის შემდეგ რედაქტორობდა „ნოვი ლეფს“). ყდის გაფორმება ეკუთვნოდა ირ. გამრეკელს. ამრიგად, ე. ნ. ქართველ ფუტურისტთა (ანუ ავანგარდისტთა) პერიოდული გამოცემები: „H₂SO₄“, „ლიტერატურა და სხვა“, „დროული“ და „მემარცხენეობა“ 1922-1928 წლებში განხორციელდა. ჯგუფის ევოლუცია არ ყოფილა ერთგვაროვანი. უკიდურესი ფუტურისტული ნარატივის კუთხით დაიწყო პირველი გამოცემა, მაგრამ ბოლო გამოცემა მკვეთრად განსხვავდება პირველისაგან.

ქართველი ფუტურისტები გასაბჭოების შემდეგ საქართველოში ევროპულ მიმდინარეობას წარმოადგენდნენ. თავიანთ თე-

ორიულ წერილებში ისინი ხშირად ახსენებენ და იმოწმებენ რუს ზაუმნიკებს. პროლეტარული კრიტიკა გააფრთხებით იბრძოდა მათ წინააღმდეგ: „ფუტურიზმი ინტერნაციონალური მოვლენა არ არის. პირვანდელ გაგებას ამცდარი გამოხმაურება ჰპოვა ინდუსტრიალურათ ჩამორჩენილ წვრილბურულუაზიულ სახელმწიფოებში. ის მოექცა მერყვევ ინტელიგენციის ფალანგაში, როგორც ბრძოლის ფორმალურ მეთოდით გაბრუებული და ლიტერატურულ ტრიუკებით ავსებული მიმართულება. ფუტურიზმი ეთვისება ბურუუაზიულ ინტელიგენციის ნეპადახსნილ ესთეტიურ თამაშს. „H₂SO₄“ საქართველოს ბურუუაზიულ მუცელში შექმნილი ლიტერატურული ფაქტია“ („პროლემაფი“ 1925 წელს. № 2, გვ. 144-150).

„საჭიროა გაირკვეს ფუტურიზმის სოციალური ძირი, შეფასდეს მისი შინაარსის ისტორიულ-პროგრესიული როლი, მისი ფორმალურ ექვივალენტის პარალელურათ. კლასიკური ანალიზის მოდებით, ფუტურიზმის უარყოფითი სოციალურ ფორმალური ღირებულება დამტკიცდება“. „H₂SO₄“-ის თეორიულ-პრაქტიკული ანარქიული ფსიხიკა არსებითად დაცილებულია პროლეტარულ მასის შემეცნებას და გაგებას. მით უმეტეს არ ჩაითვლება ქართული ხელოვნების ორგანიულ კავშირის აღმდგენელად“ (რონდელი. „დეკადანის საზღვრებთან“. ჟურნ. „პროლემაფი“, 1925 წ., №4).

დადაიზმი საქართველოში გრიგოლ ცეცხლაძის, რაჟდენ გვეტაძის და ტიციან ტაბიძის ხელში განვითარდა. „H₂SO₄“-ში ქართველ ფუტურისტებს გამოქვეყნებულია ქვთ ტიპიური დადაისტური ნაწარმოებები. განსაკუთრებული წვლილი მაინც ტიციან ტაბიძეს მიუძღვის. ორიგინალური ლექსებისა და წერილების გარდა (ტიციან ტაბიძემ 1923 წელს დადაიზმის შესახებ „მეოცნებენიამორებში“ გამოაქვეყნა ორი წერილი: „ირონია და ცინიზმი“ და „დადაიზმი და ცისფერი ყანწები“), გაზეთ „რუბიკონში“ არაერთი თარგმანი დაბეჭდა ამ თემის გარშემო. მისივე წერილიდან ვიგებთ, რომ გრიგოლ რობაქიძე კაფე „იმედში“ სიტყვით გამოსულა და მძაფრადაც გაუკრიტიკებია დადაიზმი იგორ კრუჩიონისის, ილია ზდანევიჩისა და ტერენტიევის მიერ მოწყობილ საღამოზე.

მიუხედავად რობაქიძისადმი უდიდესი პატივისცემისა, ტიციან ტაბიძე გულისტყენით აღნიშნავს: „იმ ღამეს გრიგოლ რობაქიძე დარჩენილიყო თავისი თავის მიმდევარი, დადაიზმი უკვე ფაქტი იყო საქართველოში. ეს იყო დაგუბებული იარის გახსნა, ბალდამის დაწვეთება“. როგორც ჩანს, ეს გამოსვლა ძალიან ემოციური იყო რობაქიძისათვის. ამავე წერილიდანვე ვგებულობთ, რომ ამ სალამოს დასწრებია ლადო გუდიაშვილიც, რომელიც მას შემდეგ სახლში ჩაკეტილა და რობაქიძის პორტრეტი დაუხატავს: „გრიგოლ რობაქიძე, არნივის თავით, რომელსაც გადმოსდის ტვინი ბალდამივით და შუბლი შედრეკია ისე, თითქოს მაცხოვარს ჩასცეს ლახვარი“.

გრ. რობაქიძე დადაიზმის და ფუტურიზმის საკითხს შეეხო თავის წერილში „სადარბაზო ბარათი“: „აქ საჭიროა ორი ფრთის შესახებ ლაპარაკი. მაიაკოვსკის ტიპის ფუტურიზმი ტეხნიკურად მისალებია, მაგრამ მისი სულიერი არსება გამოხრულია. ირონიისთვის საჭიროა, ირონიის ტარება, როგორც ნიღაბისა. საუბედუროდ ამ ტიპის ფუტურისტებს ირონია შიგ პირში ურტყამს, და აქედან არის მათი ტანის ლრძობა და მანქვა. შეიძლება მე მიპასუხონ, რომ აქ არის საკუთარი თავის ირონია (რაც ჯერ კიდევ გერმანელ რომანტიკოსებმაც იცოდენ), მაგრამ ასეთი ირონია გულისხმობს პიროვნების ინდიურ გაებას როგორც „Uqadche (რაც არ იცოდენ გერმანელ რომანტიკოსებმა და არ იციან, მგონია მე დღევანდელმა ევროპის პოეტმაც, რომელნიც ლაპარაკობენ ირონიაზე), თუ აქ ირონია ჰბურავს სახეს, „ზაუმნიკების“ ტიპის ფუტურისტებს სახე სულ გამოხრული აქვთ. იქ ნიღაბის იქეთ სახე სულაც არ სჩანს, უფრო ღრმაა კიდევ ეს გრძნობა დადაისტების მიმართ.

ვინმე რომ გაასულელო, თვითონ არ უნდა იყო სულელი. მაგრამ დადაისტები პატარა ხალხია, ამისთვის თავს არ იწუხებენ და სხვის მაგივრათ თავის თავს ასულელებენ. მართლაც იქმნება მდგომარეობა, რომელსაც ხელს ვერ მოუჭერ – მაგრამ ეს არის უფრო „დროის ნიშანი“ ვინემ რამე ღირებულება. მაგარ სიტყვების ლექსიკონი კი მათ შეუძლიათ ვისგანაც უნდა ისწავლონ, თუ გინდათ მოხუც ვოლტერისგანაც, რომელმაც ჩვენ პლანეტას და-

უძახა: „Les latrines de l'umverso (ფრონიდის მეთოდით შეიძლებო-და ბევრი რამის გაგება ბებერი სკეპტიკის კუჭის მონელების შესა-ხებ) გამოძახება, რომელსაც ესვრიან ქვეყანას პომუნულუსები – ეს ჯიბეში თითის ჩვენება ციკლონის მიმართ: ჭეშმარიტათ გა-სართობი სანახავია.

რობაქიძის ვასილი კამენსკისადმი მიძღვნილ ლექსში კი ვკითხულობთ:

„დადგება ხანი: შენც მოდუნდები:
გიღალატებენ ძველნი მდერანი.
ფიქრი დაგამხობს: ვის რად უნდები:
ხმაჩახლეჩილი ბერი ვერანი.
წამოგებურვის სევდა რუსული,
გადატრუსული ვით ნაპურალი.
და მრისხანებით პირგალურსული
აღარ დაგინდობს თეთრი ურალი.
ჩაგეთესლება ტვინის დუბეში
გადაშენების ავი შივილი:
უკანასკნელი შენი ნუგეში
იქნება მხოლოდ ბავშვის უივილი.
ბაბუ ვასძა: გვითხარ ზღაპარი:“

დადაიზმს და ფუტურიზმს უარყოფით შეფასებას აძლევდა პაოლო იაშვილიც და მიხეილ ჯავახიშვილიც.

საბჭოთა მთავრობა პროლეტარი მნერლების საშუალებით ებრძოდა ავანგარდისტულ დაჯგუფებებს და წარმატებით ანად-გურებდნენ მათ პრესის ფურცლებზე. მძაფრია ის კრიტიკული წერილები, რომლებიც იმ პერიოდის პრესაში იბეჭდებოდა. 1928 წელს ქართული ფუტურიზმი დასრულდა. ამავე წლიდან საბჭოთა ცენზურამ ფორმალიზმის ბრალდებით ავანგარდისტების დევნა დაიწყო. ნიკოლოზ ჩაჩავას მიერ მიწერილი წერილიდან ცნობი-ლია ფრაზა – „ожидание опасностей риск“ საშიშროების (საფრთხის) მოლოდინი და რისკი. 1932 წელს კი შემოქმედებითი გაერთიანე-ბების გაუქმების დეკრეტით აიკრძალა ლიტერატურული დაჯგუ-ფებები და ერთი საერთო კავშირი შეიქმნა.

სხვათა შორის, გაჩნდა დაპირისპირება თავად ფუტურისტებს შორისაც. ცნობილია, რომ პრესის ფურცლებზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბენო გორდეზიანი და ბესარიონ ულენტი.

ქართული ფუტურიზმი პოლიტიკური წნევის ქვეშ, საბჭოური რეჟიმის დასაწყისში არაერთგვაროვან გარემო პირობებში ვითარდებოდა. ამითომ იყო, რომ გაზიეთ „დროულის“ მეორე და მესამე ნომრებს ანერია „მემარცხენე ფრონტის ყოველკვირეული ლიტერატურული ორგანო“. ისე გამოდის, თითქოს ქართულმა ფუტურიზმა უარყო ავანგარდისტული მიდგომები და ბოლოს ნებაყოფლობით გაერთიანდა პროლეტარულ მნერლებთან.

ტრაგიკულია შემდეგი სიტყვები ნიკოლოზ ჩაჩავას 1960 წელს დაწერილი ავტობიოგრაფიიდან: „1928 წლიდან 1936 წლამდე არ გამომიქვეყნებია არცერთი ლექსი. ზუსტად ამდენი წელი დამჭირდა იმისათვის, რომ შემეცვალა ჩემი მიდგომები, გავთავისუფლებულიყავი რადიკალური მემარცხენებისგან“.

იგივე ბედი ხვდა სხვა ავტორებსაც, ზოგი სრულიად ჩამოშორდა ლიტერატურას.

ქართველი ფუტურისტებიდან 1937 წელს დახვრიტეს ჟანგოლობერიძე და პავლე ნოზაძე, ბიძინა აბულაძე კი გადაასახლეს.

უურნალი „პროლემაფი“ წერდა: „საბჭოთა საქართველომ შეძლო ფეოდალური ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია. „H₂SO₄“ ევროპაში დრომოქმული ფუტურიზმის და სხვა დახურდავებული იზმების უკბილო დეკლარაციაა. ბურჟუაზიულ ხელოვნების ხარახურის გადმოტვირთვა პროლეტარიატის ხარჯზე. მორნმუნე ფუტურიზმი, ტვინნალრძობი დადა, ჯამბაზის კონსტრუქტივიზმი“...

ამონარიდები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელ ვითარებაზე.

მემარცხენე ფრონტის დეკლარაცია (საქ. პრ. მწერ. ასოც. მე-3 პლენუმი, „პროლეტარული მნერლობა“, 1930 წ., № 4): „პარალელურად იწყება ჩვენი ფრონტის ევოლუცია იდეოლოგიური ხაზით. ჯგუფს ჩამოშორდა – ან ჯგუფის წევრებმა ჩამოიშორეს ზაუმნიკურ-დადაისტური, ფუტურისტული, „პუნქტარობა“ და გადავიდენ ფუნქციონალურად საჭირო პროდუქციის შექმნაზე. ჩამოყალიბდა საქართველოს ხელოვნების მემარცხენე ფრონტი, რომელშიაც

შევიდნენ მწერლების გარდა საბჭოთა სინამდვილეში მოღვაწე კინო-რეჟისორების პირველხარისხოვანი კადრი და სახვითი ხელოვნების მოწინავე მუშაკები და მთლიანად ჩვენი ფრონტი დადგა კომუნისტურ კულტურის მშენებლობის პრინციპზე. ყოველივე ეს არის მოტივი დღეს წამოყენებული წინადადებებისა. პროლეტარულ მწერალთა და მემარცხენე ფრონტის მჭიდრო კავშირის დამყარებისათვის“.

ქართული ფუტურიზმი არ არის ერთგვაროვანი და თანმიმდევრული ლიტერატურული მოვლენა, ის შეზავებულია დადაიზმთან და რუსულ ზაუმნიკურ ელემენტებთან. ქართული ავანგარდიზმი და მოდერნიზმი ერთმნიშვნელოვნად ევროპული მოვლენა იყო საქართველოში – ქართული კულტურის ევროპული არჩევანი და განვითარების ბუნებრივი გეზი.

ფუტურიზმი არ არის მხოლოდ მიმდინარეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ეს არის სამყაროს ახალი ინოვაციური ხედვა, რომელსაც, შეიძლება, არ შეუქმნია მაღალმხატვრული ლიტერატურული ტექსტები და ამ მხრივ არც ქართველი ფუტურისტები არიან გამონაკლისები – მაგრამ მათი თეორიული ნააზრევი და ლიტერატურული მემკვიდრეობა უნდა გავიაზროთ კაცობრიობის ისტორიაში დაწყებული გლობალიზაციის პროცესის ჭრილში, სახელოვნებო და ტექნოლოგიური განვითარების ხანგრძლივი პროცესის გათვალისწინებით. ფუტურიზმი გაჩნდა როგორც მყისიერი მსოფლგანცდა და საზოგადოებრივი კულტურული რეცეფცია ახლად გამოჩენილ ტექნოლოგიურ სიახლეებზე, რომელიც ცვლიდა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას.

ქართულმა ავანგარდიზმმა დადებითი გავლენა მოახდინა ქართულ კულტურაზე.

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში ფუტურისტული მუსიკალობა, რიტმი, ტონალობა მის ლექსებში შენარჩუნდა და არ გამქრალა მას შემდეგაც, რაც მან გაიარა ფუტურისტული პერიოდი. იტალიელი ქართველოლოგი, ფუტურიზმის მკვლევარი ლუიჯი მაგაროტო ქართული ფუტურიზმის ლიდერის, სიმონ ჩიქოვანის ფუტურისტულ პოეზიაში გამოყოფს წარსულთან კავშირის ძლიერ ტენდენციებს. იგი აღნიშნავს, რომ უღერადობის თვალსაზრისით წინ-

მსწრები ზაუმური მცდელობები ჰქონდა ბესიკს და მაგალითად მოპყავს მისი ცნობილი ლექსი „ტანო ტატანო“. მეცნიერის აზრით, ჩიქოვანის ფუტურისტული გამოცდილება სათავეს იღებს არა მხოლოდ ქართული ზეპირსიტყვიერების სამყაროდან, არამედ ქართული კლასიკური მემკვიდრეობიდანაც (მაგაროტო 1991: 3).

ქართველი ფუტურისტების სახელთანაა დაკავშირებული ქართული ფილმების პირველი რეცენზიები – კინოკრიტიკული წერილები, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შალვა ალხაზიშვილი, რომელიც აქტიურად წერდა ქართულ კინოზე.

ნიკოლოზ შენგელაიამ ფუტურიზმიდან და დადაიზმიდან კინოში გადაინაცვლა მას შემდეგ, რაც მარჯანიშვილი მისი ორატორული ნიჭით მოიხიბლა. მისი კინოლექსების მონტაჟურობა და რიტმი გადავიდა მის ფილმში „ელისო“.

ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ბენო გორდეზიანის შრიფტი „H₂SO₄“-თვის, რომელმაც გაამდიდრა ქართული ტიპოგრაფია.

დღევანდელი გადასახედიდან დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფუტურიზმის ეტაპი კანონზომიერი იყო ყველა იმ ავტორის-თვის, ვინც იმ წლებში ეს არჩევანი გააკეთა. კანონზომიერი და გარდაუვალი იყო ეს პროცესი ქართული კულტურისთვისაც, როგორც მსოფლიო გამოცდილებისა და ტექნოლოგიური რევოლუციის განუყოფელი ნაწილისთვის.

ფუტურისტული ტექსტები უნდა გავიგოთ ფუტურიზმის მსოფლიმხედველობრივი სისტემების გავლით. ის, რასაც ფუტურისტები ამბობდნენ, დღეს სხვადასხვა ფორმით ხორციელდება ინტერნეტისა და ჭკვიანი პროგრამების მეშვეობით. მათი ნააზრევი სხვადასხვა ხაზით განვითარდა სახელოვნებო თუ საზოგადოებრივ სფეროებში. ფუტურისტული მეთოდები გაქრა, მაგრამ მათი მიზნები ცოცხალია თანამედროვე ინტერაქტიულ ტექნოლოგიურ გარემოში. ფუტურისტული თეზისი – ადამიანის შეცვლა ტექნოლოგიით, დღეს წარმატებით ხორციელდება. ურბანული რიტმი სხვადასხვა სახით ვლინდება ელექტრო ტექსტებში. ორაზროვნად უდერს დღეს ფუტურისტული იდეოლოგიის წარმომადგენლის, ჯინო სევერინის წერილი „მანქანურობის ხე-

ლოვნება“ (1923): „ჩვენ გვიღებენ, როგორც მექანიზმებს, ჩვენც ვგრძნობთ, რომ ფოლადისაგან ვართ აშენებულნი. ჩვენ მანქანები ვართ, ჩვენ მექანიზებულნი ვართ, როგორც ჩვენი სამყარო“.

ფუტურისტული წერილობითი ტექსტები უნდა განვიხილოთ მთლიანად ხელოვნების სფეროს გამოცდილების გათვალისწინებით, ისინი უმთავრესად, კინოგამოცდილების მარაგით, რადგან ისინი თავს ხელოვანებად თვლიდნენ და არა მხოლოდ ლიტერატორებად, კინონარატივის შექმნას ცდილობდნენ მწერლობაშიც. ტექსტის კინემატოგრაფიულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ქართულ ფუტურიზმში.

ფუტურისტების ვიზუალური ფორმებით გატაცებას, გარკვეულწილად, ძველი მითოლოგიის გაცოცხლება უდევს საფუძვლად.

ლიტერატურის განვითარების ადრეულ ეტაპზე ცეცხლთან შესრულებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, გონებაში წარმოსახული ხატების გაცოცხლება, მითიური დანიშნულების მოვლენაა, სადაც ცეცხლი, როგორც ყველაზე ძლიერი საკრალობა, ტექსტის ერთგვარი ჰერმენევტია. ცეცხლთან კავშირი არ არის მხოლოდ გამოსახულების ისტორიული ეტაპი. ცეცხლთან შესრულებული ლიტერატურული ამბების ქმნადობა ვიზუალური აღქმის აქტიც იყო, რომელიც იწვევდა ასოციაციას, ქმნიდა ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს ენაში, მეტყველება მდიდრდებოდა პოეტური სახეებითა და მეტაფორებით.

სცენარის წერის სახელმძღვანელოში ჩერვინსკი ცეცხლის გარშემო შემოკრებილთა კოლექტიურ ფოლკლორულ შემოქმედებას განიხილავს, როგორც შემოქმედებით აქტს, რომელიც უნდა წარმოიდგინო ცეცხლის ყურების დროს ნათქვამი ტექსტის მიხედვით: „სცენარი არსებობდა ათასი წლის წინაც, კინემატოგრაფის აღმოჩენამდე. ვაგანტები და მენესტრელები ჰყვებოდნენ ისტორიებს, როგორც წესი, კოცონის წინ. გამოქვაბულებში და ჯუნგლებში ბავშვები ძილისპირულისთვის მშობლებს ზლაპრის მოყოლას სთხოვდნენ“ (ჩერვინსკი 1992: 5).

ნებისმიერი ამბავი ნიშანთა სისტემის ფარგლებში განისაზღვრება. საკომუნიკაციო არხის მიხედვით ამბავი შეიძლება მოყოლილი იყოს, როგორც ვერბალურ ნიშანთა სისტემით, ასევე ვი-

ზუალურად ან აუდიოვიზუალურად. ცეცხლთან შესრულებული ნარატივი პოლისემანტიკური მოვლენაა, სადაც ამბების თხრობა ერთდღოულად შეიცავს ვერბალურ და აუდიო-ვიზუალურ ნიშნებს.

თანამედროვე ადამიანმა ცეცხლი ტექნოლოგიური კომფორტის ჩარჩოში მოაქცია. თანამედროვე ტექნიცისტურ გარემოში ადამიანის ცეცხლთან ურთიერთობის თავდაპირველი ტრადიცია დაიკარგა. მხოლოდ ასანთის, გაზქურის ან სანთლის ანთების დროს თუ ვიხსენებთ ცეცხლთან პირდაპირ კონტაქტს (ეკო 2015: 89).

სწორედ სინათლის ნაკადის შედეგად მიღებული გამოსახულება თანამედროვე ადამიანის არაპირდაპირი კავშირია ცეცხლთან, როგორც სინათლესთან. ცეცხლთან შესრულებული რიტუალები: ამბების თხრობა, სიმღერა თუ ცეკვა ხედვით-ვერბალური გამომსახულობითი ფორმები იყო. ეს გახლდათ როგორც თხრობის გახსნილი სივრცის, ასევე გამოსახულების სასურათე ცქერის მანძილი; სიბრუნეში მაყურებლის მობილიზება ერთი სინათლის (ცეცხლის) წერტილის ირგვლივ ცენტრზე, რომელიც აერთიანებდა მაყურებლისა და მსმენელის ემოციებს ზუსტად ისე, როგორც საუკუნეების შემდეგ ეს კინოთეატრში ხდება.

მეოცე საუკუნის ადამიანმა ისწავლა ცეცხლის მართვა. ნათურის გამოგონება შეგვიძლია სინათლის დამორჩილებად მივიჩნიოთ (ლეპტოპი, პლანშეტი, ტელევიზორი თუ სხვა ნებისმიერი ეკრანული მოწყობილობა წვრილი ნათურებისგან შედგება. ასევე საპროექტო აპარატი, თავისი ისტორიული წარსულითაც ნათურისგან მიღებული სინათლის წყაროსგან იკვებება). ცეცხლი, როგორც უნივერსალური გარდასახვის საშუალება, ჩვენს დროში ვლინდება ცეცხლის ბელეტრისტიკად, პოეზიად, მითოლოგიად და ფსიქოლოგიად, რასაც არაფერი ისე არ გამოხატავს, როგორც მეოცე საუკუნის სანახაობითი, კოლექტიური აღქმის საჯარო კინო და ტელე ტექნოლოგიები.

წარმოდგენები მოძრავი გამოსახულების ენის შესახებ ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა, თუმცა ეს შესაძლებლობები არასდროს ისე არ განვითარებულა, როგორც კინოს დაბადების შემდეგ მოხდა.

ოციან წლებში დაიწყო კინოცენტრიზმის პროცესი, კინო გახდა ხელოვნების ყველაზე ინოვაციური და პოპულარული დარგი, რომელსაც ყველაზე მჭიდროდ სხვა სახელმწიფო დარგებთან შედარებით ლიტერატურა და მწერლები დაუკავშირდნენ. კინოსა და ლიტერატურის ეს კავშირი და ურთიერთგავლენა საინტერესოდ აისახა ქართულ მწერლობაში. ქართული ფუტურიზმი იყო „როგორც ეკრანი მყოფადერი რეალობის ასახვა“ (H2SO4 1924: 37). ლიტერატურის მეთაურად გამოაცხადეს ჩარლი-ჩაპლინი, ფუტურისტებისათვის „პოეტი მისაღები იყო როგორც სცე-არი“. დადას მეშვეობით ფუტურისტები ხალხურ მეტყველებას დაუკავშირდნენ. მათი ვიზუალურად შესრულებული ლექსები საწყისთან მიბრუნებაა, ხოლო ვიზუალური და აუდიო შთაბეჭდი-ლებით მიღებული ემოცია სიტყვაში კოდირებული პოლისემიური დანიშნულების აღდგენას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ ხალხურობა და კინემატოგრაფიული თხრობის სიჩქარე ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ქართულ ფუტურიზმში.

ფუტურისტები თავად მსჯელობდნენ და განმარტავდნენ თავიანთ შემოქმედებას. მემარცხენე პერიოდულ ორგანოში „ლიტერატურა და სხვა“ აკაკი ბელიაშვილის წერილში აღხაზიშვილი დახასიათებულია, როგორც მწერალი, რომელიც კინემატოგრაფიული სისწრაფით აღწერს მოვლენებს (ბელიაშვილი 2011: 366).

შალვა აღხაზიშვილი, რომელიც კინოთი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული, თეორიული მოსაზრებების გარდა, პრაქტიკულადაც ცდილობდა კინონარატივის შექმნას. მისი ლექსი „100“, ლიტერატურულ საზღვრებში ცეცხლური ენერგიისგან ეკრანის შექმნის ისტორიული ექსკურსისა და კინონარატივის შექმნის წარმატებული მცდელობაა.

ალიო მირცხულავა 1924 წლის მოდერნისტულ და რიგ შემთხვევაში, აშკარა ფუტურისტულ კრებულში „მერრეხი“ (მოგვიანებით ცენტურამ ამ წიგნიდან არასასურველი ფურცლები ამოხია, სარჩევში კი სათაურები შავი ტუშით გადაფარა), გამოქვეყნებულ ლექსში „კინო“, რომელიც გაერთიანებულია ციკლში „კინოლოგუნგები“ ცეცხლის, კინოს (ელექტრონის) და ფუტურიზ-

მის ურთიერთმიმართების სწორედ ალნიშნულ პოეტურ კონტექსტს ქმნის.

მეოცე საუკუნეში ხელოვანი ადამიანები, განსაკუთრებით, ფუტურისტები დაინტერესდნენ ახლად გამოჩენილი კინემატოგრაფით. საქართველოში სხვა ლიტერატურული დაჯგუფების-გან განსხვავებით, მხოლოდ ფუტურისტების ლიტერატურულ-მა გაერთიანებამ მიაქცია ყურადღება კინოს და ერთის მხრივ, რეცენზიებით ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება კინემატოგრაფის მიმართ, მეორეს მხრივ კი ნოვატორული მცდელობებით გაამდიდრა ლიტერატურული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები. ფუტურისტების და დადაისტების კოლაჟები კარგად გადმოგვცემს ლიტერატურული საზღვრების რღვევას და ერთ-დროულად განსხვავებულ ნიშანთა სისტემის ერთ სივრცეში ორგანიზებით, დინამიკური კინო ნარატოლოგიური და ლიტერატურული ხედვით-ვერბალური შექმნას.

ლიტერატურული ტექსტი ყოველთვის იყო გარკვეული გამოწვევა ხელოვნების სხვა დარგების განვითარებისა და ახალი ფორმების წარმოჩენისათვის. XX საუკუნეში ეს დამოკიდებულება ახალ ფაზაში შევიდა და კინოს დაბადების შემდეგ ახალ ფორმებად გამოვლინდა.

მონტაჟური სისტემები ქართულ ფუტურიზმში სიტყვებისა და ფრაზების დანაწევრებაში და გრაფიკულ გამოსახულებასთან თანაარსებობით გამოიკვეთა, რომელიც ცვლიდა ტექსტის ტრადიციულ ფორმას და მას კინემატოგრაფიულ კადრთან მაქსიმალურად მიმსგავსებულ მონტაჟურ ლიტერატურულ სეგმენტებად აქცევდა.

ფუტურისტი შალვა ალხაზიშვილი ერთის მხრივ ადასტურებს, რომ იმხანად საზოგადოების დიდი ნაწილი იმპრესიონისტულ ტენდენციებს ტექნიციზმის ეპოქით ხსნიდა, თუმცა ის, როგორც ფუტურისტი, უფრო მნვავე და რადიკალური ტექნიციზმის შემოტანას მოითხოვდა ლიტერატურაში. სიტყვის „გაკინემატოგრაფება“ ფუტურისტებმა დაიწყეს და ამის ნიშნები, ფოტოგრაფი-ის გავლით, იმპრესიონიზმშიც შეინიშნება. ლიტერატურა ფლობდა

იმ ხერხებს, რაც მოგვიანებით ცეცხლიდან, როგორც სინათლის ენერგიიდან განვითარებულმა კინომ იტვირთა. თავიდანვე კინოს შესაძლებლობები ლიტერატურის ჩართულობით გამოიკვეთა. სწორედ სინათლის ნაკადის შედეგად მიღებული გამოსახულება, თანამედროვე ადამიანის არაპირდაპირი კავშირია ცეცხლთან, როგორც სინათლესთან. ცეცხლთან შესრულებული რიტუალები: ამბების თხრობა, სიმღერა თუ ცეკვა ხედვით-ვერბალური გამომ-სახველობითი ფორმები იყო.

ეკრანული გამოსახულების ცეცხლთან დაკავშირება, როგორც ცეცხლის მითოლოგების თავისებური გამოხატულება, ოციანი წლების საზოგადოების ერთ-ერთი თვისებაა. გრიგოლ რობაქიძე რეპორტში აღნიშნავს, კინოს ისტორიაში პირველი სამეცნიერო ფანტასტიკური ფილმის საყურებლად, კინოთეატრში წასვლას და ნახვას. რაშიც აცნაურებს თავის დამოკიდებულებას (რობაქიძე 2014: 421) „უნდა ვნახო სახელგანთქმული ფილმი „მეტროპოლისი“ სახელგანთქმული რეჟისორის ფრიც ლანგისა. ჩვენ უკვე ნოლენდორფპლაცზე ვართ. შენობაზე წარწერა: ეტროპოლის „Ein Film von Fritz Lang“ ნორენდორფის მოედანზე მხოლოდ ამ სიტყვებს ხედავ, ელექტრული ცეცხლით რომ წერია“. საინტერესოა რომ გრიგოლ რობაქიძე ერთ-ერთ წერილში ბაში-აჩუკს განიხილავს როგორც კინორომანს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცეცხლის მისტიკური საკრალური ბუნება საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში სუბლი-მირებული სახით, კვლავ განაგრძობს არსებობას დღევანდელ სამყაროში.

პირობითად, ფუტურისტულ ტექსტებში შეიძლება ორი ხაზი გამოვყოთ: 1. კონკრეტულ ენაში ცნობილი სიტყვები ნახევრად ლოგიკურ ან ალოგიკურ ბმაშია გამოყენებული. 2. ავტორმა მუსიკალური ჟღერადობის მისაღწევად შექმნა და გამოიყენა ისეთი სიტყვები, რაც გაუგებარია და არ შეიცავს რამე კონკრეტულ მნიშვნელობას. ქართველ ფუტურისტებთან მონტაჟიც ორ-გვარი ბუნების არის: (1) როდესაც ავტორი ზუსტი თანმიმდევრობით გვითითებს მონტაჟურ ჭრებს და (2) როდესაც ფუტურისტი პოეტი თავისუფალ ინტერაქტიულ კავშირს ამყა-

რებს მკითხველთან. ამ შემთხვევაში მკითხველი თანაავტორიც ხდება, რადგან ის კონტექსტური აღქმისთვის საკუთარ ინდივიდუალურ მონტაჟურ ბმას იყენებს, ტექსტის ჩარჩოში განთავსებულ ასოებთან და სიტყვებთან მიმართებაში. ასეთი მხატვრული კონტექსტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ფუტურისტები დადაისტების მსგავსად ცდილობდნენ მიახლოებოდნენ ხალხურობას და ბაჟშვის ნაივურ აღქმას, როგორც სამყაროს ირაციონალური ველის წვდომის საშუალებას.

ფუტურისტებმა ბერძნათა კომპლექსები მონტაჟის საშუალებით დაუკავშირეს ერთმანეთს. წარსული ტრადიციებისგან გამოთავისუფლებული შინაარსი თანამედროვე ტექნიცისტურ გარემოში მყოფი ადამიანის მიზანსწრაფვებს უნდა შეესაბამებოდეს. დიდი და პატარა შრიფტი, ხაზგასმული და გამუქებული სიტყვები ავტორს საშუალებას აძლევს მკითხველის ყურადღება მიაქციოს მისთვის საჭირო წერტილ-ცენტრზე. ქართველმა ფუტურისტებმა „ახალი ნივთის ასაგებად“ ფუტურიზმში ჩართეს და და ელემენტები და კინემატოგრაფიული რიტმი შექმნეს. მათ გაამახვილეს ყურადღება ქართული ანბანის ასოების მოხაზულობაზეც. ამბის ვლინების კინემატოგრაფიული კონტექსტი მწერლის „კონტროლის საზღვრებს“ მიღმა მკითხველის ჩართულობით იძადება.

ფუტურისტები სიტყვის ქიმიურ დაშლას, სწორედ ეკრანული გამოსახულების დაშლის ანალოგით ახდენდნენ. ამიტომაა რომ ფუტურისტულ ტექსტში ფორმა და სტრიქონები დაჩეხილია, გრაფიკული ტექნიკა მასალის რიტმულობის აქცენტირებას ემსახურება. მხოლოდ ამით შეიძლება გამოხატო კინომონტაჟი.

ცეცხლის მითოლოგება მეოცე საუკუნის ოციან წლებში კინოტექნოლოგიების სახით სუბლიმირდა. კინოტექნოლოგიების დანერგვამ და კინოთეატრებში სიარულის რიტუალურმა კულტურამ ცეცხლის მაგიური დანიშნულება სულ სხვა კონტექსტში გააცოცხლა, ცეცხლის ალუზიამ ქართველი ფუტურისტების შემოქმედებაშიც იჩინა თავი. ფუტურისტული ტექსტში კინორიტმი თავისებურ გამოძახილს იძლევა ცეცხლის საკრალურ ბუნებასთან.

ოციანი წლების ფორმალისტური ძიებები არაერთი ქართველი ავტორის შემოქმედებაში აისახა. დაწყებული პროცესი, რომელიც საბჭოთა პერიოდში შეწყდა, არ გამქრალა. სხვადასხვა დროს არა-ერთ ავტორთან კინონარატივი შეინიშნება ეს იქნება მეოცე სა-უკუნის 80-იან წლებში მოდერნისტული ტენდენციები, თუ სოც-რეალისტური იმიჯებით გაჯერებული ნანარმოები.

დღეს უკვე თანამედროვე ტექსტი საქსეა ვიზუალური ნიშნებით. მანქანური ტექნოლოგია ბელესტრისტიკაში ნელ-ნელა შემოიპარა და სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს.

ფუტურიზმის მსგავსად ხშირად თანამედროვე რომანში (ზ. ჯიშკარიანის „საღეჭი განთიადები“) არამხოლოდ ტენოლოგიური რობოტიკაა ჩართული, არამედ თხრობაც კინემატოგრაფიული და ზოგადად ეკრანული კოდების შესაბამისია. ყველაფერი რაც ხდება ფილმური თხრობის ამ გარდაუვალ კანონს ემორჩილება.

ამ სტატიის ავტორმა ქართველი ავანგარდისტების (ფუტურისტების და დადაისტების) ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად „ქართული ავანგარდიზმის“ კრებული შეადგინა.

ეს პირველი ცდაა ქართული ავანგარდიზმის (ფუტურიზმის და დადაიზმის) კრებულის შედგენისა. ერთი საუკუნის შემდეგ, ამ გადმოსახედიდან გასაბჭოებისას დაწყებული ავანგარდისტული პროცესების ანალიზისთვის მეცნიერებს და ამ საკითხით დაინტერესებულ ფართო მკითხველს საშუალება ეძლევა ერთად თავ-მოყრილ ავანგარდისტულ მასალებს გაეცნოს.

კრებულში შესულია ქართველი ფუტურისტების და დადაისტების შემოქმედება (პოეზია, პროზა, გრაფიკული ნამუშევრები და პუბლიცისტიკა), რომელიც იბეჭდებოდა მათსავე ჟურნალებში: „H2SO4“, „ლიტერატურა და სხვა“, „მემარცხენეობა“ და გაზეთ „დროულში“. ქართველი ავანგარდისტების შემოქმედებასთან ერთად წარმოდგენილია მათი ბიოგრაფიებიც და ბიბლიოგრაფიაც. წიგნში შეხვდებით ალიო მირცხულავას ფუტურისტულ ლექსებს

1924 წლის კრებულიდან „მერრეხი“ და გრიგოლ ცეცხლაძის ლექსებს დადაისტური კრებულიდან „პოეტის ყეფა“. პაოლო იაშვილის „პირველთქმას“, ლექსებს და პუბლიცისტურ წერილებს, ტიციანის წერილებს, ლექსებს და თარგმანებს მეოცნებე ნიამორებიდან, რაუდენ გვეტაძის პოეზიის ნიმუშებს „მეოცნებე ნიამორებიდან“, „შვილდოსანიდან“ და „თოლაბულუსის სარტყელიდან“.

კრებულში ასევე წლების მიხედვით მოცემულია XX საუკუნის 20-30-იან წლებში პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი ცნობები, დეკარაციები და კრიტიკული წერილები ქართული ფუტურიზმის და დადაიზმის შესახებ, რომელიც იმ პერიოდში გამოკვეყნდა ჟურნალებში: „მომავალი“, „პროლეტარული მწერლობა“, „ქართული მწერლობა“, „მნათობი“, „ჩირალდანი“, „ხელოვნების დროშა“, „სიმართლის გზა“, „ლეფ“, „მეოცნებე ნიამორები“, „თეატრი და ცხოვრება“ (იუმორისტული ჟურნალები „ლახტი“, „მათრახი“ და „ეშმაკის მათრახი“). და გაზიეთებში: „კომუნისტი“, „ბარრიკადი“, „რუბიკონი“, და „ტრიალუნა“. გარდა ამისა კრებულში შეტანილია ამონარიდი გრიგოლ რობაქიძის პიესიდან „მალშტრემ“. კრებულში შესულია ასევე გალაკტიონ ტაბიძის ლექსები და დღიურები, მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერები ფუტურისტებზე და ლავრენტი ბერიას სიტყვით გამოსვლის სტენოგრამიდან ამონარიდები. ფუტურისტების თეორიული წერილები უხეშ ორთოგრაფიულ და გრამატიკულ შეცდომებს შეიცავს, ცხადია წიგნში დაცულია ავთენტურობა და ისინი იმ სახით არის წარმოდგენილი როგორც დაიბეჭდა იმ დროს.

წერილის ბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ ქართული ფუტურიზმის დაარსებიდან ასი წლის შემდეგ, ქართული ავანგარდისტული პროცესები სამეცნიერო კვლევების ახალი გამოწვევების წინაშეა. იმედს გამოვთქვამთ რომ ჩვენი შედგენილი კრებული დიდ დახმარებას გაუწევს მეცნიერებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

გელაშვილი 2020-2021: გელაშვილი ლ. კინოსა და ტექსტის ურთიერთებულების სემინარის XX საუკუნის 20-იან წლებში. სამეცნიერო პრომების კრებული №1 (11). თბილისი: 2020-2021.

გელაშვილი 2021: გელაშვილი ლ. ქართული ავანგარდიზმი. თბილისი: 2021.

ეკო 2015: ეკო უ. მტრის ხატის შექმნა. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2015.

ფოტოგრაფიულ ... 2018: ფოტოგრაფიულ-ბინოკულარული ნარატივი ქართულ მოდერნისტულ ტექ-სტებში. თბილისი: 2018.

ჩერნიშევსკი 1992: ჩერნიშევსკი ალ. როგორ გავყიდოთ კარი სცენარი სარფიანად. წერის ოსტატობის სახელმძღვანელოების მიმოხილვა. ელექტრონული წიგნი. 1991.

გია არგანაშვილი

თამაზ ნატროშვილი (1937-2021)

არიან მწერლები, რომელთა ცხოვრება ქვეყნის ლიტერატურულ პროცესთან იგივდება. ისინი ქმნიან ამა თუ იმ ეპოქის ეთიკურ და ესთეტიკურ ნორმებს, აყალიბებენ პროფესიული საქმიანობის ქცევის წესებს, განსაზღვრავენ შემოქმედებით ამინდს, უანგაროდ არიგებენ (გასცემენ) ნანარმოების თემას, იდეას თუ სიუჟეტს, თავად კი მხოლოდ იმიტომ ერიდებიან ვრცელი ფორმატის ტექსტზე მუშაობას, რომ მაშველებივით ყოველთვის იქ არიან, სადაც ლიტერატურას უჭირს, ხოლო საკუთარი სათქმელის აკუმლირებას მცირე ფორმატის ტექსტებში უკეთ ახერხებენ.

ასეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის მწერლისა და ისტორიკოსის, თამაზ ნატროშვილის (1937-2021 წ). უკანასკნელი წლების ნამუშევართა ვრცელი სია, რომელიც რამდენიმე ათეულ გვერდს მოიცავს ... და მასში წმინდა მეცნიერულ კვლევასთან და ისტორიულ ესეებთან ერთად... მრავლად არის თარგმანები, ბელეტრისტული ტექსტები, პუბლიცისტური ნარკვევები, რეცენზიები, კრიტიკული წერილები და მრავალი სხვა.

ამ ნაშრომებს წერილის ბოლოს კვლავ დავუბრუნდები. ახლა კი მეითხველს უნდა გავახსენო მწერლის გამორჩეული წიგნი „მაშრიყით მაღრიბამდე“, რომელიც ისტორიულ ესეთა კრებულს წარმოადგენს. ის გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწერებოდა და შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ტოტალიტარული რეჟიმის პირობებშიც მწერალმა შემოქმედებითი სიმაღლე და პროფესიული პატიოსნება შეინარჩუნოს.

ეს წლები პოლიტიკურ თუ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში მრავალი სახელდებით გვახსენებს თავს. მათ შორის ყველაზე პოპულარული, ალბათ, ე.წ. ხრუშჩივის პერიოდის „დათბობა“ (რუს. хрущёвская ёткепель), რომელიც საბჭოთა კავშირში განხორციელებული რეპრესიების დაგმობას და გადასახლებულთა და

დახოცილთა ოფიციალურ რეაბილიტაციას გულისხმობდა და გარკვეულწილად, სიტყვის თავისუფლებას და ცენტურის შერბილებასაც შეეხო.

ქრონოლოგიურად კი ეს წლებიც საბჭოთა საქართველოს 70-წლიანი ცხოვრების ერთი ეტაპია, რომელიც ყოველთვის სკკპ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის) ყრილობებისა და პარტკონფერენციების „შუქზე“ მიმდინარეობდა, შრომითი აღმაფლობის „დიდებულ მატიანეს“ კი შემოქმედთა ხუთწლედებად და შვიდწლედებად დაყოფილი სულიერი ღვაწლითაც ავსებდა.

სწორედ ამ იდეოლოგიური წესის პირობებში, კომუნისტური ლოზუნგების და დროშის ქვეშ ხელოვნების სხვადასხვა დარგში არცთუ იშვიათად გაერთებოდა იმედისმომცემი სხივი, რომელიც შესანიშნავი მხატვრული ტექსტების შექმნის ნიშანს იძლეოდა. ამგვარი შედევრების სოცრეალისტური ეპოქის ნიმუშებიდან გამოყოფა და გადარჩენა დღევანდელობის მთავარი ამოცანაა.

ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ნოდარ წულეისკირის რომანი „ზესნახე“. მხატვრული ტექსტი, რომელიც გიგანტური მშენებლობების მხარდასაჭერად, საბჭოური ინტერნაციონალიზმის და სოციალისტური ცხოვრების წარმატების მატიანედ უნდა შექმნილიყო, სინამდვილეში კი სწორედ იმ ტენდენციების მხილების „დოკუმენტად“ იქცა, რომელზეც წერას იმ დროს მხოლოდ არალეგალურ უურნალებში თუ თვითგამოცემებში ბედავდნენ.

ასევე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტელეფილმების სტუდიაში შექმნილი ბრწყინვალე მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „თუში მეცხვარეც“ თავდაპირველად რომელიმე რიგით პარტკონფერენციაზე დასმული ამოცანებისა და მიზნების „ცხოვრებაში განხორციელების“ ვიზუალურ მტკიცებულებად იყო ჩაფიქრებული, თუმცა შემოქმედებითი ჯგუფის პროფესიონალიზმმა და ნაწარმოების მხატვრულმა გააზრებამ სრულიად გადაფარა იდეოლოგიური დაკვეთის საფუძველი.

დაბოლოს, ავტორი არ ცდილობს დამალოს და მკითხველიც კარგად ხვდება, რომ 60-იანი წლების ჩვენი ლიტერატურის საეტაპო ნაწარმოები გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“ სწო-

რედ მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნქვეშ იწერებოდა...

ყოველივე ამის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭოთა საქართველოს შემოქმედებით ცხოვრებაში იკვე-თება ქართველი ხელოვანის (მწერლის) ზოგადი პორტრეტი, რო-მელიც უარს არ ამბობს საბჭოთა დაკვეთაზე და თავისი პროფე-სიონალური ოსტატობის და ლიტერატურული პატიოსნების ხარჯზე ქმნის სოცრეალისტური დოგმებიდან თავისუფალ ძალზე მაღალიდეურ ნანარმოებებს, რომლებიც ყოველგვარი შედავათის გარეშე იმსახურებენ ადგილს ქართული ლიტერატურული მემ-კვიდრეობის მოკლე სიაში..

ამ ადამიანების განვლილი ცხოვრება კი გვარწმუნებს, რომ დიდ შემოქმედებას არ აშინებს მკაცრი დროება. ტოტალიტა-რულ რეჟიმს არა გააჩნია პროფესიონალ შემოქმედთან ბრძოლის უტყუარი იარაღი. ეს, როგორც ზოგადი თვისება ხელოვნებისა, ყოველთვის წარმატებით მუშაობს და ჭეშმარიტ შემოქმედსაც ვერავინ აუკრძალავს საკუთარი პრინციპების ერთგულებას.

თუმცა ამგვარი შემოქმედებითი გმირობა ყოველთვის მოი-თხოვს განათლებული, კულტურული, გემოვნებიანი, ტრადიციების ერთგული პიროვნების არსებობას, რომლის ბიოგრაფია მის დაბადებამდე ბევრად ადრე იწყება (როგორც ამ შემთხვევაში) და მისი გარდაცვალების შემდეგაც გრძელდება.

ჩვენ ვსაუბრობთ მწერალზე, რომელმაც თავისი შემოქმედე-ბითი მოღვაწეობის პირველი ნახევარი საბჭოთა რეჟიმის პირო-ბებში გაატარა და თავისუფლების სამი ათეული წლის განმავლო-ბაში არცერთ თავის ადრე დაწერილ სიტყვაზე არ უთქვამს უარი, არც რამე შეუცვლია მასში და არც გაუმძაფრებია, არც რეპ-რესირებული მწერლის როლი მოურგია და შესაბამისად, არც ბი-ოგრაფია „გადაუწერია“, რათა უფრო მძაფრი შთაბეჭდილება მო-ეხდინა ახალი თაობის მკითხველზე.

საგულისხმოა, რომ ტრადიციულად ამ უანრში (ისტორიული ესე) მანამდეც დიდი ლიტერატურული გამოცდილება გვქონდა. ამავე დროს სწორედ მეოცე საუკუნეში შეიქმნა უსახელო თავ-განწირვის (გურამ რჩეულიშვილის „უსახელო უფლისციხელი“)

განზოგადებული მაგალითი, რომელიც ახალი ტიპის პატრიოტიზმის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა ერის ცხოვრებაში.

თამაზ ნატროშვილს ყველანაირი პირობა ჰქონდა (აღზრდა, განათლება, ინტერესი, ეპოქის მოთხოვნილება), რათა ხელი მოეკიდა ურთულესი ლიტერატურულ-ისტორიული ჟანრისთვის. ეს კი მისგან უცხოურ წყაროებში დაცული მასალების თარგმნას, შესწავლასა და სისტემატურ მეცნიერულ კვლევა-ძეებას მოითხოვდა, რაც თავისთავად პერიოდულ პუბლიკაციასაც გულისხმობდა.

გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებაში მუშაობისას თამაზ ნატროშვილი სისტემატურად აქვეყნებდა სამეცნირო სტატიებს, რომლებიც ყოველთვის სერიოზული ორიენტალისუტური დისკუსიების საგანი ხდებოდა.

მწერალი და ისტორიკოსი წლების განმავლობაში მუშაობდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში (1983-1992), მონაწილეობდა „ილიონის“ გამოცემებში (1999-2004) მთავარი რედაქტორის მოადგილედ, ხოლო ბოლო წლებში ახალგაზრდა ლიტერატორებს თავი უურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში ყოფნით და საინტერესო საუბრებით დაამახსოვრა.

ბუნებრივია, რომ თითოეული ეს სამსახური (რედაქცია თუ გამომცემლობა) ყოველთვის გარკვეულ პოლიტიკურ ან ბაზრის კონიუქტურას ემორჩილება (შეიძლება, ეს დათმობა ლირებულებათა დაცვის სურვილითაც იყოს გამოწვეული), რაც პატიოსან ლიტერატურულ მუშაკს ავალდებულებს მონაწილეობა მიიღოს ამ პოლიტიკის განხორციელებაში, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველგვარი რეჟიმის, პოლიტიკის, იდეოლოგიის, პარტიული თუ კერძო ინტერესების მიღმა ერს ყოველთვის გააჩნია საკუთარი ცხოვრების გრძელვადიანი პროგრამა, რომელშიც მონაწილეობის სურვილს და ვალდებულებას მხოლოდ ერთეულები – უმეტესად, აქტიურ ცხოვრებას შეგნებულად გარიდებული ადამიანები გრძნობდნენ და ახორციელებდნენ.

ამ „დაფარული პროგრამის“ მიხედვით, XIX საუკუნე ისტორიული მასალის (მათ შორის იყო არქეოლოგიური, ნივთიერი და დო-

კუმენტური მასალა, ასევე ხალხური ზეპირსიტყვიერება), შეგროვების ეპოქად იქცა, ხოლო მეოცე საუკუნეს მისი ხელახალი წაკითხვისა და ანალიზის ურთულესი მისია უნდა ეტვირთა.

სწორედ მეცხრამეტე საუკუნიდან გადმოგყვა გონივრული შეგონება იმის შესახებ, რომ ერის განვლილი ცხოვრება მხოლოდ ბრძოლის და თავგანწირვის ისტორია არ ყოფილა. ეს უნდა დაენახა მკითხველს, უნდა ერწმუნა, რომ ამ კუთხით მატიანის ხელახლა წაკითხვა სწორედ იმ ნიჭის აღმოჩენას შეუწყობდა ხელს, რომელიც დამოუკიდებლობის პირობებში გამოადგებოდა ქართველ ერს.

თავის სტატიაში „არ ხმლითა მხოლოდ“ თამაზ ნატროშვილი სწორედ იმ ტრადიციულ ცოდნას ენინააღმდეგება, რომ ქართველებს დღემდე ხმლით უჭამიათ პური, რომელიც ლამაზი აფორიზმივით კი ჟღერდა, მაგრამ სინამდვილის მხოლოდ ერთ მხარეს ითვალისწინებდა: „განა ხმლით ჭამდა პურს პიეტრო დე ველას წიგნში მოხსენიებული ხუცესი გიორგი? შირაზის სახელგანთქმული ბალების მოვლა-პატრონობას ანდობდა მას იმამყული ხან უნდილაძე და ხანდახან ისპაანშიც კი გზავნიდა, რათა სეფიანი ხელმწიფის ბალებისთვის მიეხედა გამოცდილ მებალეს.“

— კითხულობს ავტორი და სხვაც მრავალი მაგალითი მოჰყავს იმის ნიშნად, რომ უწინდელი ქართველები ცხოვრების არცერთ მხარეს არ აქცევდნენ ზურგს. მკითხველს ახსენებს შაპ-თამაზის კარზე მოღვაწე ქართველ მხატვარს სიაოშ-ბეგ ქართველს, ისპაპანში მოღვაწე ქართველ ოსტატებს, ვაჭრებს (ერთ მათგანს ინდაურიც კი შემოუყვანია ვენეციიდან ისპაპანში) და ცნობილი იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს იმონმებს იმის დასამტკიცებლად, რომ ცხენშებმული ოთხვალა ფორანი პირველად სწორედ ქართველებს შეუტანიათ ირანში.

ეს ისტორიისადმი მწერლის დამოკიდებულების მხოლოდ ერთი მხარეა, ამის პარალელურად თამაზ ნატროშვილი უცხოურ მასალებში გულდასმით დაეძებს ქართული იდენტობის სხვადასხვა ნიშნებს, რომლებიც არანაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან მეცნიერული ძიების გზაზე ის თავიდანვე გამორიცხავს ლეგენდებისა და ილუზიების ტყვეობაში ყოფნას.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ავტორის პოზიცია, როდესაც ის, როგორც ისტორიკოსი, როსტომ ხანის (იგივე ხოსრო მირზა, ქაიხოსრო ბატონიშვილი), ქართლის ბაგრატიონების უკანასკნელი წარმომადგენლის, მოღვაწეობას აფასებს. მისი აზრით, ფიზიკური მოსპობის პირას მისული ქართველი ერის სასარგებლოდ თავად ცხოვრებამ (!) გადაწყვიტა, რომ თეიმურაზთან ბრძოლაში გამარჯვების სასწორი როსტომ ხანისკენ გადახრილიყო, რადგან როგორც ბიბლიური სიბრძნე გვასწავლის, „ყველაფერს თავისი უამი აქვს ამქეყნად, რომ არსებობს უამი წყლულებისა და უამი კურნებისა, უამი ნგრევისა და უამი შენებისა, უამი ტირილისა და უამი სიცილისა, უამი გოდებისა და უამი განცხრომისა, უამი ომისა და უამი მშვიდობისა“

თუმცა მწერალ თამაზ ნატროშვილს არ ავიწყდება როსტომ ხანის მეფობის ნეგატიურ მხარე, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ რჯულნაცვალმა ბაგრატიონმა გზა გაუხსნა „ყიზილბაშურ“ გავლენას საქართველოს ყოფა-ცხოვრებაში და ამის დასტურად ის იმონმებს ბერი ეგნატეშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის საყვედლურებს გამაპმადიანებული მეფის მიმართ.

ალწერს რა ქართლის სამეფო კარზე განვითარებულ მოვლენებს, ავტორი უღრმავდება ერთი შეხედვით „უინტერესო“ დეტალებს, ის, თუ ვის მიმართ გაიღო ვახტანგმა დიდი ძღვენი უცხოეთში, ვინ აქეზებდა ქართლში ან კახეთში გასაბატონებლად ერეკლეს, ვის მიართვა ოსმალეთში ქრთამი არჩილმა, რათა იმერეთში გამეფებულიყო და როგორ „ჩაიარა“ ქსნის ერისთავმა ყაენთან ვახტანგის დასასმენად...

ომებსა და სისხლისლვრას შეჩვეულ მკითხველს შესაძლოა მოსაწყენადაც ეჩვენოს ამგვარი კულუარული ამბების თხრობა, ვიდრე არ შენიშნავს, რომ ავტორი ამას შეგნებულად აკეთებს, შეგნებულად აყოვნებს თხრობას, რათა მკითხველი მიხვდეს, რომ ისპაპანის თუ ისტამბულის გზებზე სიარული და ადგილობრივ ყაენ-ფაშებთან საქმის ჩაწყობა ჩვენთვის არასოდეს დასრულდება, მალე ამ გზებს და ქალაქებს მოსკოვი და ლენინგრადი შეცვლის, ხოლო იმ დროს, როდესაც მკითხველი ამ ტექსტს პირველად ეცნობოდა, შესაძლოა ცეკას რომელიმე მდივანი კრემ-

ლის კაბინეტებში პოლიტბიუროს რომელიმე წევრის მოსყიდვას ცდილობდა, რათა ამით მნიშვნელოვანი თანამდებობა და ცხოვრების სარჩო მოებოვებინა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ეს ტექსტები იწერებოდა, ისტორიის შესწავლას და ისტორიული ფაქტების ანალიზს ისევ ის წმინდათწმინდა ფუნქცია ჰქონდა, რაც ოდითგან ჰქონია: ისტორია უნდა გამხდარიყო არა ქედმალობის, ამ-პარტავნობის, ფსევდოპატრიოტიზმის წამახალისებელი, არამედ აწმყოსთვის გამოსადეგი რეალური ცხოვრების საფუძველი. ერის გრძელვადიანი მიზნების დაგეგმვა კი გულისხმობდა არა მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენას, არამედ ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებას, მსოფლიო პოლიტიკის გააზრებას და მასზე დროულ და გონივრულ რეაგირებას.

ამ ამოცანას თამაზ ნატროშვილის ისტორიული ესეები საუკეთესოდ ასრულებდა.

ისტორიულ ანალებში მუშაობის დროს მწერალი არაერთ საორგანიზაციის „გადაუწყვეტელ“ საკითხს ეხება და თითქმის არასოდეს არიდებს თავს მასზე საკუთარი აზრის გამოთქმას. მკითხველისთვის ამ მხრივ უდავოდ საინტერესო იქნება ავტორის მიერ დიდი მოურავის – გიორგი სააკაძის პერსონის განხილვა.

ისტორიული ესეში „ნუ გათათრდები“ თამაზ ნატროშვილი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ფურცლებზე ავტორის მიერ მიწერილ ერთ ამბავს იხსენებს, რომელშიც საოცარი ფრინველის შესახებაა მოთხოვილი: „ნუ გათათრდები – ეგვიპტის მტრედი, მომცრო ფრინველი, მსგავსი გვრიტისა; მისირსა და შირაზში ცხოვრობს. ესენი ოდეს მგზავრს კაცს ნახავენ, იწყებენ ძახილს ქართულის ენით: ნუ გათათრდები! და ამ მიზეზით თა-თარნი უნდებენ გიაურ-ყურში, ვითომ უსჯულო ფრინველი“.

დღევანდელი მკითხველი უთუოდ არ დაიჯერებს ამ ლეგენდას და შესაძლოა მისი „ნამდვილობის“ უარსაყოფად გუგლშიც კი არ მოერიდოს ფაქტობრივი მასალის მოძიებას, მკითხველი – შემოქმედი კი უმალ მიხვდება, რომ ავტორმა სწორედ აქ მიაგნო იმ „მექანიზმს“, რომელიც შუასაუკუნეების „ქართლის ცხოვრების“

ამ საორქოფო საკითხს აღქმის და გადაწყვეტის სასურველ კუთხეს უძებნის.

მართლაც, ეს „უცხო“ ფრინველი ჩვენი ცხოვრების ყველაზე ტრაგიკულ ამბავს გვახსენებს, რომელიც ქართლ-კახეთის მოსახლეობის აყრას და უცხო მიწაზე გადასახლებას უკავშირდება. გვახსენებს იმ ეპოქის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს, მათ შორის მარტყოფისა და მარაბდის ომებს, რომლებმაც ყირაზე დაყენა შაჰ-აბასის მიერ ისპაანში გამზადებული ყველაზე მზაკვრული გეგმა საქართველოს ისტორიისთვის...

თამაზ ნატროშვილი იმონმებს თურქი ისტორიკოსის, იბრაჟიმ ფეჩევის ჩანაწერს, რომლის აზრით, თავისი მეფობის ორმოცი წლის განმავლობაში შაჰ-აბასს ასეთი მძიმე დანაკლისი არ განუცდია, როგორიც გიორგი სააკადესთან დაპირისპირებამ არგუნა ირანის მბრძანებელს: „მოურავის მეოხებით და მოურავთანა-ვე ბრძოლაში დაიღუპა და განშორდა წუთისოფელს შვიდი სახელოვანი ხანი, რომელთა ტოლები ყიზილბაშის ქვეყნებში არ მოიძებნებოდა“.

მწერალი თხრობაში ურთავს მიხეილ თამარაშვილის პირად არქივში დაცულ ნიკიფორე ირბახის მიერ რომში იტალიურ ენაზე შედგენილ რელაციას, რომელიც ამ პერიოდის, უშუალოდ კი გიორგი სააკადის შესახებ ძალზე საინტერესო ცნობებს ინახავს, თუმცა ის აღარ ერთვება დიდი მოურავის პიროვნული ღირსების შესახებ გამართულ საუკუნოვან პოლემიკაში. აქ ისტორიკოსი ნამდვილად ჩაგრავს მწერლის უქმ ცნობისმოყვარეობას და „წვრილმან“ ამბებზე მაღლა ქვეყნისათვის ეროვნული იდენტობის (წუ გათათოდები) შენარჩუნების საკითხს აყენებს, რაშიც ნოსტელ ფალავანს უთუოდ ლომის წილი უდევს.

წიგნში „მაშრიყით მაღრიბამდე“ მკითხველი ვერ გამოტოვებს ისტორიულ ესეს „სიკვდილიც ღალატიანი“, რომელშიც ავტორი გიორგი სააკადის თანამედროვეს, მის მსგავსად ამღვრეული ბიოგრაფიის მქონე ზურაბ არაგვის ერისთავის აღსასრულს გვაცნობს. ამ რამდენიმეგვერდიან ტექსტში მთელი ეპოქაა ჩატეული. ხალხის მეხსიერებაზე და ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით

მწერალი ისეთ მასშტაბურ ტრაგედიას აღვენერს, რომელშიც „სიძულვილს გვერდით დაჰყვება სიყვარული და უხვად დაღვრილი შავი სალებავი მაინც ვერ აქრობს გაკიცხული და წყევლამით-ვლილი ზურაბის რაღაც იდუმალ მომხიბვლელობას“.

ზურაბისთანა ბატონი ვინდა გამოვა ხმლიანი...

ჩვენ, ამ ტექსტის მკითხველი, სამი ათეული წელია უკვე და-მოუკიდებელ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ამ წლებმა კი თითქოს უფ-რო დაგვაახლოვა შუასაუკუნეებთან, რადგან... ჩვენ უკვე ვნახეთ ერთი პრეზიდენტის, ერთი პრემიერის, მრავალი პოლიტიკური თუ სახელმწიფო მოღვაწის ბუნდოვანებით მოცული სიკვდილი, ასევე მრავალი ღალატი თუ განირვა... ამ გამოცდილების გათ-ვალისწინებით ჩვენ შეიძლება უფრო ობიექტურნიც ვიყოთ წარსულის შეფასებაში.

ისტორიის ამგვარი „წაკითხვის“ და გააზრების პროცესს ხელს უწყობს თამაზ ნატროშვილის მიერ ლიტერატურული პრინ-ციპებისადმი ერთგულება, რაც მეცნიერული კვლევის სხვადა-სხვა მეთოდის პარალელურად მწერლის მოღვაწეობას ზნეობრივ დასაყრდენს უქმნის.

ამ აზრის ავტორისეული ფორმულირება ბევრად უფრო გა-საგებად აყალიბებს სათქმელს:

„ისტორიის შესწავლას რომ მეცნიერულ მიზნებთან ერთად დიდი ეთიკურ-მორალური მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათ-ვის, კარგა ხანია საკამათო აღარ არის. ყოველ ხალხს ესაჭიროება არა მარტო მეცნიერება ისტორიისა, არამედ მკითხველთა ფარ-თო წრისთვის გამიზნული თხრობაც ისტორიისა. მნიშვნელოვან-წილად, სწორედ ასეთი ხასიათის ლიტერატურა აყალიბებს ადა-მიანებში მართებულ და უმართებულო წარმოდგენას წარსულზე და დამოკიდებულებას თავიანთი ქვეყნის აწმყოსა და მომავლი-სადმი. ამიტომაც მხატვრულ, სამეცნიერო – პოპულარული ტი-პის წაშრომებს განსაკუთრებული მომთხოვნელობით უნდა მივუდგეთ.“

თავისი მოღვაწეობის გზაზე მწერალს და ისტორიკოსს კიდევ ერთხელ მოუხდა არჩეულ ჟანრზე საფუძვლიანი მსჯელობა („ლიტერატურული საქართველო“ 1983, 3 დეკემბერი). მიზეზი, რამაც თამაზ ნატროშვილი აიძულა ამ თემას ხელახლა მიბრუნებოდა (მკითხველს უფლება აქვს ამის შესახებ იცოდეს) იმ დროისთვის ძალზე გახმაურებული ისტორიული თხზულების „უქარქაშო ხმლების“ გვერდებზე თამაზ ნატროშვილის ნაშრომის ავტორის მოუხსენიებლად გამოყენება იყო.

სამწუხაროდ, იმ დროს პლაგიატის ამომცნობი პროგრამები არ არსებობდა და მწერალს საკმაოდ ვრცელი მუშაობა მოუხდა, რათა ამ ფაქტის უტყუარი მტკიცებულება აღმოეჩინა და პლაგიატის უსიამოვნო შედეგებზე მიეთითებინა ოპონენტისთვის:

„მხატვრული ისტორიის თხრობაში, ეგებ სავალდებულო არც იყოს რომელიმე სპეციალური გამოკვლევიდან, ვთქვათ, რამდენიმე სტრიქონის თუ საყოველთაოდ აღიარებული დებულების დამონმებისას მისი ავტორის მითითება, მაგრამ ყოვლად შეუწყირებელია, როდესაც ანალოგიური ჟანრის წიგნიდან თითქმის უცვლელი სახით მეორდება მთელი აბზაცები, გვერდები და ცალკეული ნარკვევები, რომლებიც ქართველი მკითხველისათვის, მეტნილად, ახალ მასალას შეიცავს.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ „უქარქაშო ხმლების“ ავტორს საერთოდ ახასიათებს ჩემი წიგნიდან მითვისებული მასალის „შელამაზების“ ტენდენცია“.

შესაძლოა, თამაზ ნატროშვილის პროტესტის მიზეზი იმდენად მისი ნაშრომის მთლიანი თავების დაუკითხავად და მოუხსენიებლად გამოყენება არც ყოფილა და მის წუხილს ისტორიის „შელამაზების“ ტენდენცია უფრო იწვევდა, რომელიც იმ წლებში რაღაც მოურჩენელ სენად ექცა როგორც ჩვენს ცხოვრებას, ასევე ლიტერატურულ და ისტორიულ ტექსტებს. მწერალი სწორედ ამის მაგალითებზე უყვება მკითხველს: „დამონმებული მაქვს პიეტრო დელა ვალეს სიტყვები: „მე ვთვლი ქართველებს ერთ-ერთ ულამაზეს ხალხად მთელ მსოფლიოში“ („მაშრიყით მაღრიბამდე“, გვ.95). ლ. სანიკიძე, სამი საუკუნის შემდეგ, უსწორებს ნათქვამს:

„მე ქართველებს ვთვლი ყველაზე ულამაზეს ხალხად მთელ მსოფლიოში“ („უქარქაშო ხმლები“, III, გვ. 214).

იგივე დელა ვალე აღნიშნავს: „საქართველო, როგორც იქ ნამყოფთაგან გამიგონია, ულამაზესი ქვეყანაა და ძალიან ჰგავს ჩვენი ლომბარდის ყველაზე მშვენიერ ადგილებსო“ (მაშრიყით მაღრიბაძე „გვ.85), მაგრამ „უქარქაშო ხმლების“ ავტორს არც ეს აკმაყოფილებს და დელა ვალეს ათქმევინებს შემდეგს: „ამბობენ, ლომბარდიაზე უფრო ლამაზი არისო საქართველო“ („უქარქაშო ხმლები“, III, გვ. 219).

სამწუხაროდ, „შელამაზების“ ტენდენცია თანდათანობით უფრო საგანგაშო სახეს იღებდა და მკითხველი ისტორიული ფაქტების აშკარა გაყალბების მონმეც ხდება. თამაზ ნატროშვილი დეტალურად უდრმავდება ამ საკითხს.

საქმე ეხება ჩვენი ისტორიის საკმაოდ ცნობილი ტრაგედიის, ქეთევან დედოფლის ნამებისიმ ეპიზოდს, სადაც დედოფლის მოძღვარზეა საუბარი, „უქარქაშო ხმლების“ ავტორს ამგვარად უცდია ისტორიული ფაქტის შეცვლა: „გიორგი ხუცესს დაეძგერნენ ჯალათები, დედოფლის ნინაშე „გასათათორებლად“, გაიბრძოლა გიორგიმ. დაშნები დააძგერეს ჯალათებმა, დაფლითეს და დაასახაჩრეს. სირცხვილს სიკვდილი არჩია ქართველმა და გული შეაძგერა ჯალათის ხელით მოქნეულ იატაგანს“ („უქარქაშო ხმლები“, III, გვ.224).

თამაზ ნატროშვილი ცდილობს ისტორიული სიმართლე არ დაკარგოს, ამისთვის ნათქვამს ჯერ თავად ქეთევან ნამებულის შვილის, თეომურაზ პირველის ბიოგრაფიულ ტექსტს უპირისპირებს, რომელშიც ავტორი კვნესა-ვაებით მოვითხოვს დედის ნამების ყოველ დეტალს:

ნობათი მოხვდა, მონახეს მერე გიორგი მღვდელია,

პოვეს, აჩვენეს ყოველი მას იგ, რაც სატანჯველია.

მღვდელმან რა ნახა, შეშინდა, იგი ცეცხლი და შიშები;

ლახვარნი ანუ სამსჭვალნი, ლურსმანი, რაცა შიშები;

შეკრთა, ათრთოლდა, დაეცა თავსა ზარი და შიშები,

გულსა ჩაეხმო, ვერა ქმნა სასარჯლო ანგარიშები.

თამაზ ნატროშვილი იმოწმებს ასევე ბერი ეგნატაშვილის ნათქვამს: „და ახლდა თან მღვდელი ვინმე იმერელი და იგიცა გაუთათრეს“.

იგივეს ადასტურებს ანტონ კათალიკოსიც: „ხოლო ხვდა დრო ხუცესასა მოწოდებისა და მოუწოდეს მტარვალთა და სატანჯუ-ელთაგან მძრწოლარემან უარჲყო მანცა ქრისტე“.

შესაძლოა, ჩვენც იმაზე მეტი დროს ვუთმობთ პლაგიატის ამ შემთხვევას, ვიდრე ის იმსახურებს. ბოლოს და ბოლოს ორმოცი წლის წინანდელი ეს პოლემიკაც უკვე ისტორიის კუთვნელებაა. საავტორო უფლების დარღვევა კი აშკარაა (თამაზ ნატროშვილი გაზეთის რამდენიმე გვერდზე ასაბუთებს თავის ბრალდებას) და მომავალი მკვლევარი თუ მკითხველი უთუოდ გაითვალისწინებს ამ რეალობას, როდესაც მას ერთ ან მეორე ტექსტზე მოუწევს მუშობა.

მსგავსი მაგალითების მოხმობას კი აღარ გავაგრძელებთ (ის მართლაც ძალზე ბევრია და თითქმის სრულად არის წარმოდგენილი თამაზ ნატროშვილის საპასუხო წერილში ლევან სანიკიძისადმი). ჩვენი მიზანი კი მხოლოდ ლეგენდების მსხვევაა, გვინდოდა, რომ ამ მიმართულებით ავტორის ძალისხმევა გვეჩვენებინა დღევანდელი მკითხველისათვის, რადგან ჩვენს დროშიც არნახულად მოიმატა ისტორიული ფაქტების გაყალბების შემთხვევებმა. სამწუხაროა, რომ საზოგადოებაც არანაკლები ინტერესით ეწაფება ამგვარ ზღაპრულ მონათხრობს, რომელიც ინტერნეტსივრცებში ფეიკის სახელითაა ცნობილი და საფუძველს, ალბათ, უხსოვარი დროიდან იღებს.

ჩვენ კი ზოგადად შევეხებით თამაზ ნატროშვილის ღვანლს ისტორიული ესეისტიკის დარგში, რომელშიც ავტორის სხვადასხვა გამოცემებში („მაშრიყით მაღრიბამდე“ (1974, 1978, 1991); „წელი ერთი და ათასი“ (1988); „დაღათუ იყოს სიკვდილი“ 1994; „ახსოვდა თუ არა საქართველო“ 1995; „მოყვასი შორეული რომიდან“ 1996, 2004) და სხვ. არის გაცხადებული.

ამ წიგნებმა იმთავითვე მიიქციეს ცნობილ მეცნიერთა და მწერალთა ყურადღება. ზოგიერთმა მათგანმა კი მოკლედ ასე ჩამოაყალიბა თავისი შთაბეჭდილება:

გურამ ასათიანი: „მოვუსმინოთ თამაზ ნატროშვილს, შესანიშნავი, მართლაც ხელიხელსაგოგმანები წიგნის „მაშრიყით მაღრიბამდე“ ავტორს.

სარგის ცაიშვილი: „ავტორი ობიექტური მემატიანის როლს ირჩევს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გონივრული ზომიერებით გამოთქვამს საკუთარ მსჯავრს ამა თუ იმ პიროვნების საქციელზე, ფაქტსა თუ მოვლენაზე... ნარკვევების აბსოლუტური უმრავლესობა შესრულებულია თხრობის მოსაწონი ასტატობით, რომელსაც არც ემოციურობა აკლია და არც მასალის დაუფლება“.

როსტომ ჩხეიძე: „თამაზ ნატროშვილის ესეების მხატვრული გარსის მომხიბლავი უბრალოება და სილადე, სტილური ექსპესია შეუმჩნეველს ხდის იმ ჯაფას, რაც თვითონეული ცნობისა თუ დეტალის ძიებას, მოპოვებას, დაზუსტებასა თუ ერთმანეთთან მისადაგებას ესაჭიროებოდა“.

ლევან ბრეგაძე: „დროა მკაფიოდ ითქვას, რომ თამაზ ნატროშვილის სახით ჩვენ საუცხოო მწერალი გვყავს – მისი „მაშრიყით მაღრიბამდე“ შედევრია“.

და ბოლოს, თავად თამაზ ნატროშვილის შეფასებაც, როცა ის „აიძულეს“ თავი დაეცვა ცილისნამებლებისგან:

„ეს მხატვრულ-ისტორიული ნარკვევები ციდან არ ჩამოცვენილა. საჭირო იყო ახალი მასალის მოძიება იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ და სპარსულ წყაროებში, საჭირო იყო დაწვრილებითი შესწავლა მ. თამარაშვილის პირად არქევში დაცული იტალიელ მისიონერთა ხელნაწერი რელაციებისა, მათი თარგმნა და შეჯერება ქართულ წყაროებთან, სათანადო ანალიზი, სპეციალურ გამოკვლევათა გათვალისწინება და ბოლოს – შესაბამისი ლიტერატურული ფორმით ამეტყველება, მხატვრულ – ისტორიული ნარკვევების შექმნა. ერთი სიტყვით, მეტი რომ არა ვთქვათ, დასახელებული წიგნი ხანგრძლივი და დაძაბული შრომის ნაყოფია“.

თითქოს, რა უნდა თქვას მკითხველმა თარგმანის შესახებ, გარდა მისი ხარისხისა. თუმცა გვახსენდება ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილი, რომელშიც ავტორი მთარგმნელს არა მხოლოდ ტექსტის მხატვრულ დონეს, არამედ სათარგმნელი ტექსტის არჩევანს უწუნებს.

დღეს კი, როდესაც თარგმანის პოლიტიკა მთლიანად კომერციაზეა დაყრდნობილი, ეს საკითხი ჩვენს დროშიც არანაკლებ პრობლემური ხდება და კითხვა „როგორ უნდა ვთარგმნით?“ ადგილს უთმობს უფრო აქტუალურ კითხვას „რას ვთარგმნით“.

ალბათ, იმავე ამოცანას უყენებდა თამაზ ნატროშვილი საკუთარ თავს, როდესაც ვარლამ შალამვის – გემოვნებიანი და მაღლი ოსტატობით გამორჩეული მწერლის შემოქმედების თარგმანს მიჰყო ხელი.

თუმცა მე თამაზ ნატროშვილის შემოქმედებასთან პროფესიული შეხება მწერლის სიცოცხლეში, ედუარდ ჰეილის მოთხოვნის „უსამშობლო კაცი“ თარგმნის შემდეგ მომიწია.

XIX საუკუნეში დაწერილი ეს ამერიკული მოთხოვნა ძალზე დროული აღმოჩნდა სახელწიფოებრიობის შექმნის საზღვარზე მყოფი ჩვენი მკითხველისათვის. მოთხოვნაში აღნერილი ისტორიასა და ჩვენ შორის თითქმის ორი საუკუნე იდგა და წლების ეს რაოდენობა ზუსტად ემთხვეოდა დროის ის მონაკვეთს, რამდენითაც ჩვენ ჩამოვრჩით ცივილიზებულ სამყაროს.

ამდენად, ეს პატარა მოთხოვნა შესაძლოა უფრო მეტადაც გამოგვდგომოდა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, ვიდრე რომელიმე სხვა იდეოლოგიური ტრაქტატი ან კონსულტაცია. როგორც ჩანს, ამის საჭიროება მთარგმნელმა სხვებზე უფრო ადრე იგრძნო.

ამ თარგმანისადმი მიძღვნილ წერილში „ნოლანის სახელმწიფო“ („ჩვენი მწერლობა“) 2003 წელში ვწერდი: „ჩემთვის ეს მოთხოვნა მართლაც „ახალია“, ახალია ჩემ მიერ მოპატიუებული მკითხველისთვისაც, რადგან ჩემსავით, არც მან იცის, თუ რა ფერისაა მისი სახელმწიფო დროშა, ან რა უნდა იყოს მასზე გამოსახული…“

და კიდევ არის რაღაც ისეთი ამ მოთხოვნაში, რაც ჩემს ლიტერატურულ-პოლიტიკურ (არაპარტიულ) აზროვნებას ახალ სარბიელს აძლევს.

თუ ერთ დღეს თქვენც ნოლანივით გაიღვიძეთ (გემზე) და ნახეთ, რომ თქვენი სამშობლო, რომელიც ისედაც ჩიტის მოშლილ ბუდეს ჰგავს, ხელახლა ეხვევა ავანტიურისტულ ქსელში, რომ არონ ბარს კიდევ რაღაც ახალი მამაძალობის ჩადენა განუზრახავს (არონ ბარები ხომ მრავლადა გვყავს), შეუკურთხე მას, განუდექი და დაივიწყე. დაიწყე შენს „კაიუტაში“ ახალი სახელმწიფოს (ნოლანის სახელმწიფო) მშენებლობა“.

ქართველ მკითხველს უყვარს ტექსტში სიმბოლოების ძებნა, მაშინაც კი, როდესაც ის იქ საერთოდ არ არის და განსაკუთრებით მაშინ, თუ აშკარად იგრძნობა მისი სიჭარბე. ამ მოთხოვნისადმი ახალგაზრდა თაობის გაუნელებელ ინტერესს კი მისი სწორედ ამგვარი დასასრული იძლევა:

„ფილიპ ნოლანს უყვარდა თავისი სამშობლო, როგორც არ ჰყება-რებია არავის; მაგრამ ის იყო ყველაზე უღირსი მის შვილთაგან“.

დაბოლოს, თამაზ ნატროშვილის, როგორც მწერლის დახასიათებისას თემათა და იდეათა სიმრავლე ვახსენე და მკითხველს შევპირდი, რომ მწერლის უკანასკნელი წლების ნამუშევართა ვრცელ სიას კიდევ მივუბრუნდებოდი თუნდაც იმის ნარმოსაჩენად, თუ რაოდენ მრავალფეროვანია მწერლის სათქმელი და როგორ არის მისი თითოეული ესე, ნარკვევი, სტატია თუ მოგონება თემებით მდიდარი (რომელთა ნაკლებობა დღეს ყველაზე მეტად იგრძნობა ჩვენს ლიტერატურაში).

სამაგალითოდ ერთ-ერთ რიგით სტატიაში ვაჟა-ფშაველას ლექსის სტრიქონში „იას, ბნელ ხევში მოსულსა ...“ ნაგულისხმევი მეტაფორის გაშლაც იკმარებს.

ერთი შეხედვით, ეს ბიოგრაფიული ესეა, რომელსაც ავტორი მშობლიური კახეთის გახსენებით და დიდედას „სამშობლოში“ სტუმრობით იწყებს. აქვე ვიგებთ იმის შესახებ, თუ როგორ უნ-

დოდა დიდედას თავისი დისტვილის სახელი დაერქმია ავტორი-სათვის და რა ისტორიას ინახავს, ერთი შეხედვით, ეს უბრალო გადაწყვეტილება.

„ჩემი დაბადების მოწმობის ასაღებად მმაჩის ბიუროში რომ გააგზავნეს და სახელის არჩევაც რატომდაც მას მიანდეს, ჩანს უმაღვე გაახსენდა ვასო თამაზაშვილი (ლალატით მოკლული ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი. გ. ა.), მაგრამ სახელის გამეორებას მოერიდა. ალბათ იფიქრა, ჩემს შვილიშვილს იმის უბედობა არ დაებედოსო და შორი გზა მოიარა. საკუთარი სახელიდან წარმოქმნილი გვარი ისევ სახელად აქცია და დაბადების მოწმობაში ჩამინერა“.

ამ ამბავს ბუნებრივად მოჰყვებოდა დიდედას სამდურავი აჯანყების მეთაურის, ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი, რომელმაც მისი დისტვილი (ვასო თამაზაშვილი) თან არ წაიყვანა და აქ სიკვდილს შეატოვა.

ავტორს კი მისი სუფრაზე დანდობით მოკვლა რატომდაც საფურცლის ტრაგედიას და ზურაბ ერისთავის სიკვდილზე გამოთქმულ ხალხურ ლექსს ახსენებს:

აუყვავებენ სუფრასა:
სიძევ, შაქე ხილსაო!
გიდალატებენ, ზურაბო,
ელიან შენსა ძილსაო.

შემდეგ კი ამ დრამატურგიულ ძაფზე ნიგვზის ლებნები-ვით ესხმება (ავტორიც ხომ კახეთში ტრიალებს) ქაქუცა ჩოლოყაშვილის კახეთში სტუმრობის ამბავი, 24 წლის აჯანყების ტრაგიული ეპიზოდები, საქართველოს შორეული ისტორია, დავით აღმაშენებლისა და ურჩი ფეოდალების ამბავი, ქართველ მეფეთა დასავლეთთან კავშირის დამყარების წადილი, პიეტრო დელაველას რომის პაპისადმი მიმართვა, ვახტანგ ორბელიანის საყვედური დასავლეთის მიმართ, პოლონეთის განირვა ევროპის დიდი ქვეყნების მიერ, ერთა ლიგის უარი საქართველოსთვის წევ-

რობაზე და ამ პატარა ქვეყნის რუსეთისთვის დათმობა – თემები, რომელთა პირდაპირ თქმა დღესაც ბევრ გაუგებრობას გამოიწვევდა, მაგრამ ავტორის მიერ ისინი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში, როგორც ყურძნის ტკბილ წვენშია ამოვლებული და მკითხველს შეუძლია ავტორთან ერთად გაიმეოროს, რომ დიდებული პოეტი ნათელმხილველის თვალით ჭვრეტდა ისტორიულ პანორამასაც და სამომავლო პერსპექტივებსაც.

ტექსტის მთავარი სათქმელი კი, ალბათ, თავიდანვე უნდა მეთქვა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი რომ ვაჟა-ფშაველას ამ უნუგეშო ლექსში საქართველოს ბედს ხედავდა („ეს ლექსი ხომ საქართველოზე უთქვამსო“) და მისი აზრით, პოეტი სტრიქონებში ერთდროულად ქვეყნის წარსულს, აწმყოს და მომავალსაც სჭვრეტდა:

იას, ბნელს ხევში მოსულსა,
დიდი ჭანდრები ჰყარავდა,
ეწადა დიდხანს სიცოცხლე,
ნადილს აღარა ჰმალავდა:
ინაბებოდა, ჰკრთებოდა,
მზის სხივს ელოდა მაღლითა;
შეჰვითინებდა სამყაროს
გაშტერებულის თვალითა,
მზის სხივი აკლდა, ელოდა,
მზე აღარ ამოდიოდა,
ჩიქილად მისი სხივები
თავზე არ ეფინებოდა.

.....
ია სჭენებოდა, კვდებოდა,
მინასვე ებარებოდა.
გაღმა კი ყვავილთა გუნდი
სამოთხეს ედარებოდა;
მზე უხვად ნათელსა ჰყენდა,
ჯავრი არ ეკარებოდა;

იას სიკვდილი ამ დროსაა
მით უფრო ემნარებოდა, –
ჰედავს, რომ სხვანი ლხინობენ,
მას მიწა ეფარებოდა.

საგულისხმოა, რომ თამაზ ნატროშვილის ეს ესე (უფრო კი ნოველა) 1996 წელს დაიწერა („ლიტერატურული საქართველო“ 14-21 ივლისი, 1996), როდესაც შიდა თუ გარე ომებში გახვეული ჩვენი ქვეყნა ჯერ კიდევ გზაჯვარედინზე, არჩევანის წინაშე იდგა და ისტორიული გამოცდილების მხატვრული გააზრება და გათვალისწინება სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო მისთვის.

მკითხველმა კი ამ მხატვრული ქსოვილიდან სათქმელის გაშიშვლება რომ მოინდომოს, ხელთ უთუოდ პარტიული დევიზი და პოლიტიკური ორიენტაციის გამრუდებული ვექტორი შერჩება, რომელიც მომავალი დაპირისპირებისა და კონფლიქტის მიზეზი შეიძლება გახდეს.

თამაზ ნატროშვილს მეცნიერის ალლო და ზომიერების გრძნობა ეხმარება, რომ გარკვეული ისტორიული მოვლენების მიმართ მის მიერ გამოთქმული ეჭვი (რაც არ უნდა უსაბუთო მოგვერვენოს) ყურადღებას და ღრმა დაკვირვებას იმსახურებდეს იმის გათვალისწინებითაც, რომ დღევანდელი ჩვენი შეცდომების უმრავლესობა სწორედ წარსულის შეუფასებლობიდან მოდის.

ამ მიზეზით მთელი მისი შემოქმედება ეს არის დროთა კავშირის აღდგენის, ისტორიული მოვლენების გაცოცხლების, დღევანდელობასთან დაკავშირების წარმატებული მცდელობა.

სხვა დროს მეც სხვებივით მიწუნუნია ამა თუ იმ მწერლის, მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის შრომის დაუფასებლობაზე და ალბათ, ამ წერილსაც ამ სამდურავით დავასრულებდი. თუმცა მივხვდი, რომ ეს შეურაცხყოფდა თამაზ ნატროშვილის არჩევანს, რომლის ლოგიკური შედეგი სწორედ ამგვარი უხმაურო მოღვაწეობა იყო.

ერთადერთი, რაც მასთან დაკავშირებით თავს მახსენებს, ესაა ანანურის სამხრეთ კედელზე დიდი ტაძრის მშენებლობის სარქა-რის (ხელმძღვანელის) ქაიხოსრო ბალსარაშვილის წარწერა: „უნყის ლმერთმან, რაც შეძლება მქონდ, დღივ და ღამ მოუსვენებლად ვშვებოდი, არ ვეც ძილი თვალთა ჩემთა, ვიდრემდის განასრი-ლებდენ მონასტერსა მასო“.

ჩვენ კი, მის თანამედროვეთ, ალბათ, სწორედ ამიტომაც, თამაზ ნატროშვილის დალლილი მზერა შემოგვრჩა ხსოვნაში.

დავით კლდიაშვილი – 160

ლალი ავალიანი

შემოქმედი და „რეჟიმი“ დიდი მწერლის ტკბილ-მწარე ხვედრი

რეჟიმი №1

დავით კლდიაშვილი დაიბადა 1862 წელს, იმდროინდელი რუსეთის იმპერიის „განაპირა“ ქუთაისის გუბერნიაში; მაშინ ბატონი ყმობაც კი არ იყო გაუქმებული.

ახალ დროებასთან მორგებულმა ხელმოკლე მამამ, „კილეჭსკი რეგისტრატორმა“ სამსონ კლდიაშვილმა 7 წლის ბიჭი დედის ტკბილ კალთას მოაშორა და ქუთაისში მცხოვრები რუსი ექიმის ოჯახს მიაბარა რუსულის შესასწავლად. ეს იყო ბავშვობის პირველი დიდი ტრავმა მწერლისათვის. ცოლ-ქმარმა კეთილად მიიღო იგი, თუმცა პირველსავე დღეს გაპარვა სცადა: „კიბეზე მტაცეს ხელი და დამაბრუნეს მტირალი... მწარედ მოვთქვამდი; მოვიდა მამაჩემიც, მაგრამ ვერც იმან დამაწყნარა. გამაბრუნეს სოფელში რამდენიმე ხნით. შემდეგ ჩამოსვლაზე დედაც გამომყვა და, როგორც იქნა, დამამაგრეს ამ ახალ ოჯახში. ორივე ცოლ-ქმარი დიდი სიყვარულით მეპყრობოდნენ და სულ მოკლე ხანში მიმიჩიერა... ისე შემიტყუეს, რომ ჩემი საკუთარი ოჯახი თითქმის დამავიწყებინეს. სულ მოკლე ხანში შემასწავლეს ენაც, წერა და კითხვაც“ (დ. კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზედ“).

შემდგომ, მრევლოვის მოსამზადებელ სასწავლებელში ნიჭიერ პატარას აღარ გასჭირვებია ყოფნა, მით უმეტეს, რომ სამსონი იმსანად ქუთაისში მსახურობდა.

მამას ერთადერთი ვაჟიშვილის მომავალი იმთავითვე ჰქონდა განსაზღვრული, – სამხედრო კარიერა, რაც ცხოვრების სახსრით უზრუნველყოფდა მას. ბატონი ყმობის გაუქმების შემდეგ

თავადაზნაურობის გაღარიბება გარდუვალი იყო: „თავადაზნაურობა დიდი ხალისით აძლევდა ბავშვებს მთავრობას, რადგან ის ზრდიდა თავის ხარჯზე და მშობლებს ანთავისუფლებდა ყოველი ხარჯისაგან შვილის აღსაზრდელად“ (დ. კლდიაშვილი, იქვე), მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში მათ მიზანმიმართულად ავიწყებინებდნენ დედაენას და ქართულ ტრადიციებს.

9 წლის ბავშვი სრულიად მოუმზადებელი იყო უცხო ქვეყნისათვის. მას ელდა ეცა, როცა სამსონმა რუსეთში გამგზავრება აუწყა, ფოთის პორტამდე კი მიაცილა შვილი, მერე კი უჩუმრად გაეცალა. მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეძლო სამსონმა ვაჟიშვილისათვის არდადეგებზე სამგზავრო ფულის გაგზავნა შინ დასაპრუნებლად. დედას, კესარია ღოღობერიძეს, რომელმაც თავის დროზე ქართული წერა-კითხვა ასწავლა ბავშვს, მონატრებულ დედისერთასთან სალაპარაკოდ თარჯიმნად მაზლისშვილი მოევლინა. დავითის ადრეული ბავშვობის მთავარი გასართობი დედულების უზარმაზარ ეზოში მდგარი სამზარეულო სახლი იყო: „აუარებელი ხალხი ფუსფუსებდა, მიყვარდა აქ ყოფნა, აქ შუაცეცხლის პირას მოყაყანე ხალხში გარევა. რა ზღაპარს, რა არაქს, რა ამბავს, რა ხუმრობას არ გაიგონებდი ხოლმე! ვუჯექი მუხლებზე ხან ერთს, ხან მეორეს და ვუსმენდი ამათ გაუთავებელ ლაპარაკს“ (დ. კლდიაშვილი, იქვე). ახლა კი, კიევის სამხედრო გიმნაზიის 11 წლის მოსწავლეს, მათი საუბარი არ ესმოდა.

არდადეგების მეშვეობით და, განსაკუთრებით, კიეველი ქართველი სტუდენტების დახმარებით, დავითმა ასე თუ ისე აღიდგინა დედაენის ცოდნა. თუმცა მათი საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1880 წელს, როცა კიევის გიმნაზიაში წარჩინებით დაასრულა სწავლა, მხოლოდ „ჩიქორთულად“ მეტყველებდა.

სხვა პიროვნულ ღირსებებთან ერთად, დავით კლდიაშვილი უხვად იყო დაჯილდოებული მადლიერების გრძნობით, რასაც მისი მემუარებიც მეტყველებს; კიევის სამხედრო გიმნაზიაში გამეფებული ლიბერალური მიმართულების, ახალგაზრდა დირექტორის პედაგოგიური ნიჭის, კიევის უნივერსიტეტის პროფესორების მოწვევის, საგანთა საუკეთესო შერჩევის (ლათინურისა და

ძველბერძნულის ნაცვლად – ფრანგული და გერმანული ენები, მუსიკა, დურგლობა, წიგნის ყდაში ჩასმა, ხეზე კვეთა და სხვ.) გამო პატივისცემის განცდას გადასწონის დიდი მადლიერება აღმზრდელის, მიხაილ ესიკორსკის მიმართ: „ეს კაცი ნამდვილი მამა აღმოჩნდა მისდამი მიბარებულ ბავშვებისათვის, განსაკუთრებით ჩვენთვის, ქართველებისათვის. არ ვიცი, თუ იმაზე მეტი სიყვარულობა და გულითადი მოპყრობა შეიძლება, ვეცოდებოდით შორიდან მოყვანილი ბავშვები“ (დ. კლდიაშვილი, იქვე).

გიმნაზიის პირველი ხარისხით სწავლადამთავრებულებს, მათ შორის 18 წლის დავით კლდიაშვილს კვლავ სახელმწიფო ხარჯზე ეკუთვნოდა უმაღლესი სამხედრო განათლების მიღება. აქ კი უმანვილყაცს დიდი იმედგაცრუება ელოდა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში გამეფებული მკაცრი სალდაფონური სულისკვეთებისა და სულთამხუთავი ატმოსფეროს გამო.

დავითს ახალი სასწავლებელი სატანჯველად მოევლინა, რადგან სწორედ აქ იგემა პირველად უმკაცრესად სამხედრო დისციპლინის „სიამენი“ და სისასტიკითა და ახირებულობით განთქმული დირექტორის გენერალ სამოხვალოვის შეურაცხმყოფელი და-მოკიდებულება მოსწავლეთა მიმართ. იგი განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი კიეველი გიმნაზისტებისადმი, „ლიბერალებსა“ და „ოტრიცატელნაია როჟას“ უწოდებდა მათ.

დავით კლდიაშვილმა ამასაც გაუძლო: საბედნიეროდ, სასწავლებელი მხოლოდ ორნლიანი იყო. 1880 წლის აგვისტოში მან დაამთავრა სასწავლებელი და სექტემბრის ბოლოს უკვე დანიშნულების ადგილს, ბათუმის სამხედრო ნაწილს მიაშურა.

იმდროინდელი ბათუმი, ოთხი ათასი მოსახლით, „პორტო-ფრანკოდ“ (თავისუფალ ეკონომიკურ ზონად) იყო გამოცხადებული; ქალაქი არც კი ეთქმოდა: მოუვლელი, ჭაობიანი უკაცრიელი უბნები, ციება, ათასი ჯურის საეჭვო ხალხი, ფაცხები და ქოხმახები, როტშილდის მენავთობეთა ქარხნები და, რა თქმა უნდა, „ძლევამოსილი“ რუსეთის ჯარის ნაწილები. გარე სამყაროს ნავსადგურიდან ფოთამდე თუ დაუკავშირდებოდი, რკინიგზაც კი არ იყო დამთავრებული. 1883 წელს რკინიგზის მშენებლობის დასრულებამ, ხოლო 1885 წელს პორტო-ფრანკოს გაუქმებამ

ბაბილონის გოდოლად აქცია ბათუმი: დაიწყო ნამდვილი თარეში მიწების მუქთად ან მოტყუებით შესაძენად, ტყეების უმოწყალო გაჩეხვა და თურქეთში მუჰაჯირების იძულებითი გაძევება. ყველაზე უფრო დაჩაგრულად გამოიყურებოდნენ ქართველები – ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ბათუმის შემოერთების შემდეგ ჩამოაყალიბა ქართული სკოლა, თუმცა მუსლიმანი ქართველები შიშობდნენ, შვილები არ გაგვიქრისტიანონ და ნაკლებად ეტანებოდნენ მას.

ნიჭიერი, მშრომელი და პასუხისმგებლობით აღსავსე 20 წლის ოფიცერი დავით კლდიაშვილი იმთავითვე აღასრულებდა თავის მოვალეობას, ბედმა რომ არგუნა. სამი წლის სავალდებულო სამსახურის შემდეგ გადადგომასა და საზღვარგარეთ ნასვლაზე ოცნებობდა, რაც უსახსრობის გამო არ მოხერხდა: 1908 წლამდე შემოსავლის ერთადერთი წყარო მისთვის საძულველი ჯარი იყო.

მემუარებში ვხედავთ ჭეშმარიტი მწერლის თვალით დანახულ პანოპტიკუმს: ქედმაღალ, უვიც, თავნება შოვინისტ რუს სამხედრო მაღალიჩინოსნებს, მათ ზერელე დამოკიდებულებას საქმისადმი, ახირებებსა თუ გაუგონარ სისასტიკეს ქვეშევრდომებისა თუ „ტუზემცების“ მიმართ, 1905 წლის რევოლუციის შემდგომ სასაკლაოს ბათუმის ქუჩებში, – და, საპირონოედ, – დავით კლდიაშვილის, ოფიცრისა და ლირსეული ადამიანის ჰუმანიზმსაც და დაურიცხებელ დაპირისპირებასა და დაუმორჩილებლობას უსამართლობის მიმართ.

ეს იყო ბენვის ხიდზე სიარული წერვების უკიდურესი დაძაბვის ფასად; 1908 წელს „არაკეთილსაიმედო“ პოდპოლკოვნიკი დავით კლდიაშვილი აიძულეს გადამდგარიყო.

„გათავდა ჩემი სამხედრო სამსახურიც. ეს არაფრად მაწუხებდა. სამწუხარო ის იყო მხოლოდ, რომ ჯანმრთელობა ძლიერ შემერყა. შფოთში, შეუნელებელ აღელვებაში გატარებულმა წლებმა თავისი ქნეს – მომტეხეს, ავადმყოფი გამხადეს. მივატოვე ბათუმი, სადაც ოცდაექვსი წელიწადი გავატარე და საცხოვრებლად გადავედი ქუთაისში, რომლის მახლობლად ჩემი სამშობლო სოფელია, სიმონეთი“ (დ. კლდიაშვილი, იქვე).

მწირი პენსიის ამარა დარჩენილ დაწვრილშვილებულ დავითს კვლავ მოუხდა სამსახურის ძიება: ქუთაისში ქალაქის თვითმმართველობაში მიიწვიეს, მისთვის საძნელო, უფერული და უჩვეულო აღმოჩნდა ახალი სამსახური, მაგრამ რა გაეწყობოდა... სამი წლის შემდეგ მწერალი შავი ქვის მრეწველთა საბჭოში გადავიდა საქმის მწარმოებლად, იქც ქალალდებში იყო ჩაფლული, მაგრამ დიდ კმაყოფილებას გვრიდა საბჭოს შემადგენლობა და მათი საზოგადო-საქველმოქმედო მოღვაწეობა: თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩი იყო, – ღრმა ცოდნით აღჭურვილი, დიდებული პიროვნება, მოადგილე – დავითის მწერლობის უპირველესი დამფუძნებელი – ჩინებული კრიტიკოსი და მწერალი კიტა აბაშიძე.

დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და გადამდგარი პოდპოლკოვნიკი ოსმალეთის ფრონტზე გაიწვიეს; 53 წლის ჯანგატებილ დავითს ეს უდიდეს განსაცდელად მოევლინა: იაპონიასთან ომში სასტიკად დამარცხებული და შერცხვენილი რუსული გენერალიტეტი გააფთრებით მიიჩევდა ნინ, ქვას ქვაზე არ ტოვებდა, უმოწყალოდ ულეტდა ადგილობრივ მოსახლეობას, ამას დაერთო ბრიყვული მრავალმილიონიანი პროექტი ბათუმიდან ტრაპიზონამდე რეინიგზის სწრაფი გაყვანისა, რაც იმთავითვე განწირული იყო. „ეს გაგიჟება იყო, ნამდვილი გაგიჟება დასამხობად გამზადებული წესწყობილების მონათა. ყველაფერი იმხობლა, ინგრეოდა. ყოველდღე, ყოველი მხრიდან – დამარცხების, გახრნის ამბები. რყევა, რღვევა – დღითი დღე“ (დ. კლდიაშვილი, იქვე). უკეთურებისა და უსამართლობის მიმართ ფიცხი და შეუვალი დავითი სუბორდინაციას ხშირად არღვევდა; ამასთან, ლაზების გამოსარჩლებისათვის მას საველე სასამართლოც ელოდა. ბედად, თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო.

„უკუღმართი და მკაცრი იყო ცხოვრების სკოლა... როგორ შეეძლო ასეთ გარემოებაში დავით კლდიაშვილს შეენარჩუნებინა სიყვარულით გამთბარი გული, ადამიანის პატივისცემა და ნდობა, რომელიც მას ახასიათებს მთელი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე?“ გერონტი ქიქოძის ამ რიტორიკულ შეკითხვას თავად დავით კლდიაშვილმა გასცა პასუხი თავისი ცხოვრების წესით, პიროვნული ღირსებით, სამოქალაქო აქტივობით.

მიუღებლად მიმაჩნია „რეჟიმისთვის“ გადამეტებული ზეგავ-ლენის მინიჭება შემოქმედზე, რასაც ლამის გადააყოლონ XX სა-უკუნის დიდებული ქართველი კლასიკოსები. კმარა მწერლობაში „პომო სოვიეტიკუსების“ ძიება; თანაც, ეს მხოლოდ საბჭოთა ეპოქის პრობლემა ხომ არ არის! ამ თვალსაზრისის გასაბათი-ლებლად სანიმუშოა რუსეთის იმპერიის პოდპოლკოვნიკის დავით კლდიაშვილის (რომელმაც სამ რეჟიმს გაუძლო ლირსეულად) მთელი შემოქმედება. მისი სამწერლო აღზევება XIX-XX სს. მიჯ-ნას დაემთხვა. შედარებით მოკრძალებულია მისი წვლილი XX საუკუნეში. პარადოქსია, რომ ძირითადად, საძულველ ჯარში მსა-ხურებისას შეიქმნა მწერლის შედევრები („მსხვერპლი“, „სოლომან მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირ-ვება“, „დარისპანის გასაჭირი“).

„უბედურების“ (1914) შემდეგ უიმედობით შეპყრობილმა დავით-მა თითქმის დაანება წერას თავი.

დავითს ჯანმრთელობამაც უმტყუნა, არც „პარტიათა სამე-ფოდ“ ქცეული სამშობლოს მომავალი ეიმედებოდა, ილიას მკვლე-ლობისა თუ რადიკალურად განწყობილ და ანტიეროვნულ პო-ლიტიკოსთა ქმედებათა გამო.

მწერალს, რომელიც სამხედრო სამსახურის დროს შესაშურ საზოგადოებრივ აქტივობას იჩენდა ბათუმის ქართველობის სა-კეთილდღეოდ და დიდი ამაგიც დასდო ქალაქის აღორძინებას, რომელმაც დაუყოვნებლივ დუელში გამოიწვია „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ შავრაზმელი რედაქტორი პალმი ქართველთა შეუ-რაცხელისათვის, როგორც ჩანს, აღარ შესწევდა არც ლონე და არც ჯანმრთელობა. მისი დაავადება წერვიული ხასიათისა იყო - წერდა მოგვიანებით სერგო კლდიაშვილი.

„პირდაპირ შემაძრნუნებელია დავით კლდიაშვილის გმირთა მარტოობაო“ – შენიშნავდა გრიგოლ კიკნაძე. მარტოობა, გაუ-ცხოება და დეპრესია არც მწერლისათვის იყო უცხო: იგი გარი-ყულად გრძნობდა თავს, ძლიერ განიცდიდა, რომ ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ველარ წერდა, პარტიათა ჭიდილში „ძველმოდური“ საზოგადოებრივი საქმიანობაც წარსულს ბარდე-ბოდა. ამას ისიც დაერთო, რომ წამოიქოჩირა ქართული ლიტერა-

ტურის მოდერნიზაციის მომხრე ახალგაზრდობაც. უნდა ითქვას, რომ დავითი შესანიშნავად იცნობდა უცხოურ მწერლობას, მათ შორის – მოდერნისტებს: კითხულობდა რუსულად და ფრანგულად, თეატრისა და ოპერის დიდი მოყვარულიც იყო....

პირველი ომის დაწყებისთანავე ომში გაწვეული დავითის ჯარის ნაწილი ოსმალეთის ფრონტზე ნასვლამდე რამდენიმე თვე ახალსენაკში იდგა; იქ დაწერა „უბედურება“; სერგო კლდიაშვილს, რომელმაც მამას ჩააკითხა, ერთი სული ჰქონდა ცხენით ეჯირითა, მამამ კი პიესის გადათეთრება სთხოვა. მამა-შვილმა ერთად გადაიკითხა ნაწერი. დავითს პიესა დასაბეჭდად უნდა გადაეგზავნა, მაგრამ უცრად გადაიფიქრა: „–იყოს ჯერ, არ გავგზავნი... ჩემი პირველი მოთხოვნა ანთებული სანთლებით დავიწყე. ოცდახუთი წლის შემდეგ კი ეს უკანასკნელი პიესა ანთებული სანთლებით თავდება. ისეა, თითქოს გათავდა ჩემთვის ყველაფერი... იყოს, ჯერ არ გავგზავნი“ (ს. კლდიაშვილი, „ახლობელი და შორეული“).

მცირედი გადახვევა: 1980-81 წლებში ბატონი სერგოს შედგენილი დავითის რჩეული ორტომეულის რედაქტორი გახლდათ. მწერალს თვალის ჩინი თითქმის წარმეული ჰქონდა, ამიტომაც ფაქტობრივად ყველაფერზე მე ვაგებდი პასუხს; რასაკვირველია, ბატონ სერგოსთან შეთანხმებით. პიესათაგან მხოლოდ ორი – „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედურება“ შეარჩია, რასაც სიამოვნებით დავეთანხმე: „ირინეს ბედნიერება“ მართლაც ვერ შეედრება ზემოხსენებულ პიესებს. „უბედურება“ მგონი მე უფრო მომწონდა, ვიდრე მას. სწორედ ამ დროს ბატონმა სერგომ უცნაური რამ მითხვა (საუბარში ხშირად იშველიებდა რუსულს): „Эта пьеса интересна по форме“... მამამ ის მეტერლინკთან გაჯიბრებით თუ გამოჯავრებით დაწერაო. პიესა მართლაც უაღრესად ნოვატორულია არა მხოლოდ „ფორმით“, რა თქმა უნდა, – შინაარსითაც. ამის დასტურია გელა კანდელაკის შესანიშნავი, გამაოგნებელი კინოფილმი „უბედურება“.

მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზედ“ დავით კლდიაშვილს სრულიად იგნორირებული აქვს საქართველოს დამოუკიდებლო-

ბის სამი წელი, გასაგებია მიზეზიც: თხზულება დაიბეჭდა „მნა-თობში“ 1925 წელს, ცალკე წიგნად – 1926 წელს.

თვითმპყრობელობის დამხობას იგი, ფრონტიდან დაბრუნებული, ქუთაისში შეეგება: „პეტერბურგიდან არეულ-დარეული ამბები მოდიოდა. ათასი ხმები, ჩუმი ლაპარაკი; ერთგვარი შიშიანობა. ახალი ამბების გასაგებად ყოველ დილას მოვეშურებოდით შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაკენ. ...თითქმის სამი დღის განმავლობაში პეტერბურგი გაჩუმებული შეიქმნა. ჩვენც საბჭოში კიტა აბაშიძის მაგიდას ვუსხედით, გაჩუმებულნი, ახალი ამბავის მომლოდინენი.

...უცებ გაიღო კარი და ოთახში შემოვარდა აღელვებული ქუთაისის თავი ილიკო ჩიქოვანი. ხელში ქალალდი უჭირავს; აღელვებული მივარდა კიტას, გადახვია და გადაკოცნა. ...გადასცა დეპეშა, რომელიც ხელში ჰქონდა. კიტამ წაიკითხა დეპეშა, დეპეშა იყო ნიკოლოზის გადადგომისა და დროებითი მთავრობის სახელმწიფო სათავეში ჩადგომის შესახებ. მიღებულმა ამბავმა თვალის დახამხამებაში შემოიარა მთელი ქალაქი, ეცნობა ყველას.

სიხარული, ერთმანეთის მილოცვა, ყვირილი, ყიუინი, სიმღერა, ქუჩებში აუარებელი ხალხი, აღელვებული, ხმაურიანი ლაპარაკი.

– მოვესწარით, მოვესწარით! გაუმარჯოს თავისუფლებას! ვაშა! ვაშა!“ (დ. კლდიაშვილი, იქვე).

აქვე ვიტყვი, რომ ბედის მნარე ირონიით, კიტა აბაშიძე ვეღლარ მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას: გარდაიცვალა 1917 წლის, დეკემბრის თვეში, 47 წლისა.

რეზიმი №2

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო „დიდი გადმოსახლება“ (სერგო კლდიაშვილი) აქამდე თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად სახელდებული საქართველოს დედაქალაქში. თბილის მიაშურა დამოუკიდებლობით ფრთაშეს-ხმულმა ხელოვანებმა დასავლეთ საქართველოდან, მათ შორის ქართველმა მწერლებმა ქუთაისიდან. სერგო კლდიაშვილიც, სხვა „ცისფერყანწელებთან“ ერთად, თბილისში გადმოსახლდა. დავით

კლდიაშვილს, არც სახსარი გააჩნდა და არც ჯან-ღონე, რომ თბილისში დაფუძნებულიყო: მეუღლესთან ერთად 1918 წელს საცხოვრელად მშობლიურ სიმონეთში დაპრუნდა.

1919 წელს თბილისში, ახალგაზრდა მწერალთა ძალისხმევით, პირველად აღინიშნა დავითის ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

იმ დროს, როცა თბილისში ლიტერატურისა და ხელვონების არნახული აღზევება დაიწყო, დავითი ერთგვარად გარიყული აღმოჩნდა. მის სათანადოდ დაფასებასა და პოპულარიზაციას უთუოდ ხელი შეუწყო იუბილემაც. „ცისფერყანწელები“ პაოლო იაშვილის დიდ დამსახურებად მიიჩნევდნენ, რომ მან, „შეიძლება ითქვას მარტო ერთმა გაუმართა დავით კლდიაშვილს იუბილე“ (გაზ. „რუბიკონი“, 1923 წ., №13).

ამ იუბილეს შესახებ არაფერი გვეცოდინებოდა: სერგო კლდიაშვილის საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებულ მემუარებში ამაზე კრინტიც კი არ იყო დაძრული. საპედიტოროდ, არსებობს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული პატარა კრებული „დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ“ (თფილისი, 1920). მასში თავმოყრილია მწერლის 30 წლის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლექსები და მისალმებები. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა დავითის მიერ მოთხოვნილი ავტობიოგრაფია, ჩაწერილი და გადმოცემული არტემ ახნაზაროვის მიერ.

მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო შიუკაშვილის მისალმებიდან: „ფართო საზოგადოება იცნობს მხოლოდ სუფთად დაბეჭდილ ფურცლებს ავტორის სახელის ზედნარწერით, მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის, თუ რა პირობებში უხდება, რად ულირს ქართველ მწერალს ამ სუფთა ფურცლების შექმნა, ნორმალურ პირობებში მწერალი მთელ თავის ნიჭს, დროს, ენერგიას ახმარს მწერლობას; მწერლობა მისთვის არის ერთადერთი საქმე, პროფესია. ...ამ სახის, ამ შინაარსის მწერლები ჩვენში არ მოიპოვებიან. ძალ-ღონე, დრო, ენერგია ხმარდება სრულებით სხვა რამ საქმეს, რომელიც ერთადერთი საღსარია მისი არსებობისა; მწერლობა მისთვის არის იშვიათი დღესასწაული მისი მოღლილი სულისა!

...თქვენ, ძვირფასო დავით, ტიპიური წარმომადგენელი ბრძან-დებით ასეთი „სხვათა შორის“ მწერლისა, ტიპიური ქველმოქმედი, ზვარაკი ერის სამსხვერპლოზე. ...და აი, – შევცექით ამ მსხვერპლშენირვაში გაჭალარავებულს, ქანცმილეულს, მაგრამ ისევ თავმდაბალს, ლმობიერად მომღიმარს და, თუ სხვა არა, ჩვენ – თქვენს ამხანაგებს ხომ კარგად გვესმის, ჩვენ ხომ დიდი სიმწვავით ვგრძნობთ, თუ რად გილირთ ასე ადვილად სათქმელი 30 წლის სამწერლო მოღვაწეობა!“ ამ მიმართვაში არაფერია გადაჭარბებული: სამწერლო და საზოგადოებრივ სარბიელზე ეძიებდა დავით კლდიაშვილი თავისი „მოღლილი სულის დღესასწაულს“. იგი დიდებულ წინაპართა, ერის ტვირთმზიდავთა ნაფეხურებით გაკვალულ გზას ადგა განუხრელად და უღალატოდ. მძიმეზე მძიმე იყო მეფის რუსეთის ჯარში მსახურებასთან ერთად მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეობის შეთავსება: იგი „ინვოდა“ შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიც, რამაც არცთუჭარმაგი დავითი, თავის სიმონეთელი თანატოლებისაგან განსხვავებით, ღრმა მოხუცს დაამგვანა.

1919 წლის იუბილე, ცხადია, შვებას და კმაყოფილებას მოჰვრიდა დავით კლდიაშვილს, მით უმეტეს, რომ იგი, უფროსი თაობის თანამოკალმეთა დარად, დამოუკიდებლობის ეიფორიულ პერიოდში აშკარად ჩრდილში აღმოჩნდა; ამას მისი შემოქმედებითი უნაყოფობაც ერთვოდა. „ჩემი ავადმყოფობის გამო შეწყდა ჩემი ლიტერატურული მუშაობა, დიდად ვწუხვარ ამისათვის“ – განუცხადებია მწერალს ინტერვიუში, რომლის ფინალი მაინც საიმედოდ ჟღერდა: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემის ძვირფასის სამშობლოს განთავისუფლებას მოვესწარი და ეს დიდებული, ყოველის ქართველისათვის სანატრელი და ბედნიერი დღე ჩემის თვალით ვიხილეო.

ასე დაამთავრა თავისი ნაამბობი ჩვენმა პატივცემულმა იუბილარმა და თვალებში სიხარულის ცრემლი მოერია“ (დასახელებული კრებული). სწორედ ამ იუბილეზე წარმოუთქვამს პაოლო იაშვილს ექსპრომტი – „ოფორტი. დავით კლდიაშვილს“.

XX საუკუნის II ნახევარში ლიტერატურის ისტორიკოსები ერთხანს ბჭობდნენ იმის თაობაზე, – რომელი საუკუნისათვის

მიეკუთვნებინათ 1931 წელს გარდაცვლილი დიდი მწერალი. თავად დავით კლდიაშვილი თავის შემოქმედებას აღბათ უფრო XIX საუკუნეს მიაკუთვნებდა: „ბედი მწყალობდა. სიყვარულიანი, თბილი, ენერგიის გამაღვიძებელი სიტყვა ზედმეტადაც მხვდებოდა. კიტა აბაშიძე, ივ. გომართელი, ხომლელი („აკაკის კრებულში“), საშა წულუკიძე („ნოვოე ობოზრენიეში“), თავიანთი თანაგრძნობით პირდაპირ მაქეზებდნენ და მიწვევდნენ სამუშაოდ; განსაკუთრებით პირველი ორი.

ამგვარივე მოსიყვარულე პირები შეხვდა სცენაზე ჩემს პატარა პიესებსაც. ...ეს სითბო, ეს სიყვარულიანობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასდროს არ დაკლებია იგი და ამიტომაც ჩემი გავლილი ლიტერატურული გზა ბედნიერად გავლილ გზად მიმაჩნია“ (დ. კლდიაშვილი, იქვე).

ჩემი აზრით, დავითის მთელი შემოქმედება, მათ შორის პიესები – „ხალასი ოქრო“ (აკაკი ფალავა) – პერიოდიზაციას არ ექვემდებარება, რადგან „გენიოსია, შინაგანად არტისტია, თვითონაც არ იცის ისე“ (მიხეილ თუმანიშვილი).

პირველად კი, დავით კლდიაშვილი, ყველაზე ბედნიერად და კომფორტულად თავს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გრძნობდა, რადგან მოწოდებით არა მხოლოდ შემოქმედი, არამედ სოციალურად უაღრესად აქტიური მოქალაქე იყო. XX საუკუნეში მას საზოგადო სარბიელი დაეხშო, ამას დაერთო ავადობა და შემოქმედებითი კრიზისი. დამოუკიდებელ საქართველოში, დავით კლდიაშვილი, თხემით ტერფამდე ქალაქელი, უსახსრობის გამო სიმონეთს შეეფარა, რამაც მისი მელანქოლია კიდევ უფრო გაამნვავა. ამას მშობლიური ბათუმის დაცემის ელდაც მოჰყვა.

რეზიმი №3

აღმოჩნდა, რომ საქართველოს ანექსიის შემდეგ, მმართველ წრეებს მწარედ ჰქონდათ დამახსოვრებული მწერლის პოდპოლკოვნიკობაც და მისი გაუზიარავი ეროვნული მრნამსიც.

ბატონი სერგო კლდიაშვილის მონათხობი:

1924 წლის ზაფხულში დავით კლდიაშვილი მკურნალობდა ბორჯომში, სადაც დაგვიანებით ჩააღნია სახალხო აჯანყების ამბავმა. აჯანყება მალევე დიდი სისასტრიკით ჩაახშეს, მაგრამ დავითს თავისიანებზე ფიქრი არ ასვენებდა. მან მიატოვა მკურნალობა და სიმონეთს მიაშურა. იმერეთშიც ამ დროისათვის ბევრი მსხვერპლი, ბრალიანი და უბრალო, მოჰყოლოდა ამ ამბავს.

სერგო კლდიაშვილი ამ დროს ცოლითა და ჩვილი ქალიშვილით სიმონეთში იმყოფებოდა. მას, მშობლიურ სოფელში ცოლშვილით თავშეფარებულს, თავი საიმედო ადგილას ეგულებოდა.

დავითს ოჯახის კარგად ყოფნის ამბავის გარდა, არაფერი უტრიალებდა თავში. წარმოიდგინეთ მისი გაოგნება, როცა უკვე „სამშვიდობოს გასული“ სვირის რკინიგზის სადგურზევე და-აპატიმრა ადგილობრივი მილიციის უფროსმა. მან, ცხარე პროტესტის მიუხედავად, იქვე სარდაფში შეაგდო „მეფის პოლკოვნიკი“; უხეშადაც მოექცა, ისე მძლავრად ჰკრა ხელი, რომ თავი კედელს მიანარცხებინა. ბედზე ეს ამბავი გაეგო ოფიცერ შალიკაშვილს, რომელმაც სასწრაფოდ შეატყობინა მეთაურებს დიდი ქართველი მწერლის დაპატიმრების ამბავი. მათ, დიდი ყოყმანის შემდეგ, შეურაცხყოფილ დავითთან დაუქადნიათ, სახლისაკენ რომ მიიჩქარი, იქ შენი ვაუ დაგხვდება, რომელიც ჩამოხრიბის ღირსიაო!

შინაურებისათვის თავზარდამცემი და მოულოდნელი იყო ეს ამბავი, მაგრამ საფრთხე ორივე მამა-შვილს რომ ემუქრებოდა, ამაში კარგად გარკვეულან და ერთადერთ გამოსავლად მიუჩნევიათ ქუთაისში პარტიულ მუშაკთან ვალია ბახტაძესთან მისვლა, რომელიც აჯანყების ლიკვიდაციისათვის ყოფილა მივლინებული დასავლეთ საქართველოში.

შემფოთებული და დაბნეული სერგო კლდიაშვილი შეღამებისას გამოსულა სახლიდან და ფეხით გასდგომია გზას. ქუთაისამ-დე ოციოდე კილომეტრი ჰქონდა გასავლელი. მიღიოდა ხან ტყით, ხან შარაგზით. რამდენჯერმე პატრულსაც გადააწყდა, მაგრამ შველოდა რედაქციის, მისი თქმით, „იკლიკანტური“ ნიგნაკი (მა-შინ სერგო კლდიაშვილი თბილისის გაზეთ „მუშის“ რედაქციაში

მუშაობდა), რომლის მეოხებითაც დაუბრკოლებლივ უშვებდნენ. შუაღამე კარგად გადასული იქნებოდა, როცა ქუთაისში ჩავიდა.

მივიდა სერგო კლდიაშვილი თავისი დარდითა და გაჭირვებით ვალერიან გაფრინდაშვილთან, მან დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი, კარგადაც მოასვენა და გამოაძინა.

სერგომ, როგორლაც შეაღწია ვალია ბახტაძესთან. იგი (როგორც იმდროინდელ პარტიულ მუშაკთა ნაწილი) კრიტიკოსობდა კიდეც და ცხადია, კარგად იცნობდა კლდიაშვილებს. ვალია ბახტაძემ მაშინვე უთხრა სერგოს – დავითსა და მის მეუღლეს ხელსაც ვერავინ ახლებსო და შესაფერისი მონმობაც მისცა; მაგრამო – იქნებ შენ კი იყავი ამ საქმეებში გარეული და ამისათვის მე პასუხს ვერ ვაგებო. გაგზავნა საწყალი სერგო კლდიაშვილი ჩეკისტ კუჭუხიძესთან. გააყოლეს კაცი სერგოს და იქვე, ბალში თავშეყრილ პატიმრებს მიუერთეს. აქაც დიდხანს უაზროდ იყო, ბოლოს, როგორც იქნა, გაუშვეს.

ვალერიანთან მიაგნო სერგოს მისმა ცოლმა, რომელიც ჩვილი ბავშვით დილიდან გამოსდევნებოდა ქმარს.

დავითის ხელშეუხებლობის ქალალდით დაიმედებულნი, ისინი გაემგზავრნენ თბილისში, სადაც სერგომ რედაქციაში მუშაობა განაგრძო.

დავითი მართლაც აღარავის შეუწუხებია, თუმცა ამ ინციდენტმა ღრმა კვალი დააჩინია მის შელახულ თავმოყვარეობას. იგი მთლად განმარტოვდა, თავის თავში ჩაიკეტა.

ეს ამბავი მომიყვა ბატონმა სერგო კლდიაშვილმა 1979 წლის 4 ივნისს, მონათხრობი ჩავინწერე ცხელ კვალზე, იმ დღესვე, სამორდე საათის შემდეგ: შეძლებისდაგვარად – მთხოვნელის სტილის შენარჩუნებით.

ცხადია, ამ თავხედობამ და განუსჯელობამ დავითის ფსიქოკაზე ძალზე უარყოფითად იმოქმედა: ნერვიულობა, უეცარი გარინდება, კაპრიზები და საოცარი მოწყენა კიდევ უფრო გაუღრმავდა; სიმონეთში დამკვიდრება თითქმის გაპარტახებულ სახლში მოუხდათ; რომ არა ერთგული მეუღლის სულის სიმნევე, გონიერება და სიმარჯვე, მისი სოფელში ცხოვრება გაუსაძლისი

გახდებოდა. მარტოობას ვერ იტანდა, სიმონეთელ ბავშვობის მე-გობრებთან ყოფნა ახალისებდა: იშვიათი მთხობელი, მათთან ბაასში მონოლოგურ სტილზე გადადიოდა, საათობით შეეძლო ძველი ამბების მოყოლა, რაც დიდ შვებას გვრიდა.

სერგო კლდიაშვილი: „დავითისათვის წარსულის გახსენება უბრალო მოგონებები არ არის. მას ანვალებს წარსულის სურათები და სახეები. ისინი გამორჩენ ლიტერატურულ გზაზე და ახლა ეპოტინებიან. ...გადაიშლება წარსული, საოცარი, ხან მშვიდი, ხან მღელვარი... პირველად ვტედავ და ვაძლევ შეკვეთას: დასწეროს მემუარები.

— ვისთვის იქნება ეს საინტერესო? რა იყო ისეთი ჩემი ცხოვრება? ჩემს თავზე ვილაპარაკო? ეს ხომ ტრაბახი გამოვა...“ (ს. კლდიაშვილი, იქვე).

რაოდენ მადლიერი უნდა ვიყოთ სერგო კლდიაშვილისა, რომელმაც მამის დასარწმუნებლად წარმატებული „ფანდი“ მოიშველია: დიდი გაჭირვება კი იყო, მაგრამ საკუთარი ფული, ვითარცა უურნალ „მნათობის“ ავანსი, ისე გაგზავნა სიმონეთში. პასუხისმგებლობით გამორჩეული დიდი მწერალი სულ მოკლე ხანში ეწვია თბილისს და „მნათობისათვის“ მემუარების დასაწყისი ჩამოიტანა. XX საუკუნის მხატვრულ-დოკუმენტური უანრის შედევრი „ჩემი ცხოვრების გზაზედ“ ჯერ უურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა (გამომცემლობა „ფედერაცია“, 1926).

მართალს ბრძანებს სერგო კლდიაშვილი: დავითმა უბრალო მემუარები კი არა, თავისი საუკეთესო მოთხობების თანასწორი დაწერა.

მელომანი დავითისათვის ნამდვილი დღესასწაული იყო თბილისში თუნდაც იშვიათად ჩამოსვლა და ქართული ოპერით ტკბობა. ბათუმში, სამხედრო სამსახურის დროსაც, პატარა ვაჟიშვილების თანხლებით, იგი ყოველთვის ესწრებოდა გასტროლებზე მყოფი იტალიური ოპერის სპექტაკლებს.

სიცოცხლის მიმწუხრს, 1929 წელს დავითი თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იწვა, ჯანმრთელობა დიდად არ გამო-

უკეთდა, თუმცა ფრანგული რომანების კითხვით და ავადმყოფებთან ბაასით იქცევდა თავს.

„პროლეტარული ასოციაციის“ გარდა, დავითს სხვადასხვა თაობის მწერლები დიდად აფასებდნენ, მათ შორის „ცისფერყანწელებიც“ (ჯგუფი 1932 წლამდე დე-ფაქტო თუ არა, დე-იურე არსებობას ინარჩუნებდა). მათი დიდი ძალისხმევით გადაწყდა 1930 წლის 29 ივნისს მისი იუბილეს გამართვა, მაგრამ სანოლს მიჯაჭვული მწერალი კატეგორიულად უარობდა. სიმონეთში ჩასულმა სერგო კლდიაშვილმა, ამაო მცდელობის შემდეგ, დავითს შეატყობინა – მწერლები ჩამოდიან შენს მოსანახულებლად და ღირსეულად უნდა დახვდეო. მათი სტუმრობის გამო დავითს ხალისი შეემატა, მასპინძლის მოვალეობამ გამოამჯობინა კიდეც; სერგო სვირის სადგურში ცხენებით დახვდა სტუმრებს (ზალვა დადიანი, შალვა აფხაიძე, დავით სულიაშვილი, ივანე ყიფიანი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მინიშვილი). „ხშირად უგრძვნია დავითს მეგობრების ალერსი, მაგრამ ამ დღეს კიდევ სხვანაირად ბედნიერი იყო. ამ დღეს ერთხელ კიდევ ძლიერად იგრძნო ის დიდი სიყვარული, რომლითაც მისი სიცოცხლის დასასრული გვირგვინდებოდა.“

– სიხარული მიეცა მაგათ! გამამხნევეს, ძალა მომცეს. მივდივარ თბილისში, იუბილეც რომ არ იყოს, მივდივარ. დიდი სიყვარული ჰქონიათ ჩემი!“ (ს. კლდიაშვილი, იქვე).

როგორც ჩანს, დავით კლდიაშვილი მაინცდამაინც არ მოუხიბლავს თავის უიბილეს; 1930 წელს ყველა ღონისძიებაში საბჭოური დიქტატი იგრძნობოდა. საიუბილეო საღამოს თავმჯდომარის ნათქვამმა ერთმა ფრაზამ („მწერალი თავის მოთხოვნებში დაუნდობლად ამათორახებდა და დასცინოდა ხელმოკლე აზნაურებსო“), ისე შეაწუხა დავითი, რომ „ვიდრე მისალმებები და მილოცვები დამთავრდებოდა, დაღვრემილი, თითქოს გულმოსული, იჯდა სავარძელში. ...დამთავრდა ორატორების გამოსვლა. საბოლოო სიტყვა იუბილარს უნდა წარმოეთქვა. დავითს მღელვარება ემჩნეოდა. მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და თქვა:“

— არა, მე არავინ არ გამიმათრახებია, არ დავცინოდი იმ უბე-დურ ადამიანებს. მე ისინი მეცოდებოდნენ, მებრალებოდა ადა-მიანი, რომელიც მახინჯმა ცხოვრებამ გააუბედურა და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა. მე მიყვარდა ჩემი ხალხი, ცრემლებს ვღვრიდი, მის გამწარებულ ცხოვრებას რომ ვხედავდი და ამ გულისტკივილით, მათდამი სიბრალულით სავსე ვწერდი. ასე რომ არ ყოფილიყო, მე ახლავე უარს ვიტყოდი ჩემს ნაწერებზე. მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე წინ მიმიძლოდა მხოლოდ ადამიანის სიყვარული“ (ს. კლდიაშვილი, იქვე).

ამის შემდეგ დავითს დიდხანს არ უცოცხლია, 1931 წლის გაზაფხულზე მთაწმინდაზე პოვა უკანასკნელი განსასვენებელი.

მარი აბრამიშვილი – 100

ზორა ცხადაია

მარი აბრამიშვილი – „გადაუღებელი წვიმების“ ელეგია

პოეზიისთვის და მკითხველისთვისაც, ზოგადად, ემოციურია და შთამბეჭდავი ავტორის ტკივილიანი ბიოგრაფიის პასაჟები, მაგრამ რელობაში ის დრამაა, რომელიც შლის ადამიანს, მის ბეჭნიერებას და მარადიულ მწუხარებად რჩება სულის სილრმეში... გულის ერთ მხარეს... მარი აბრამიშვილის საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრება და შემოქმედება, დღევანდელი გადასახედიდან, ნათელი სურათია იმისა, თუ როგორ შეუძლია სულ რამდენიმე ერთეულ სასტიკ წელს „ააყირავოს“, ააფორიაქოს მთელი ცხოვრების ათწლეულები. იგი ერთადერთი პოეტი ქალია, რომელსაც ორმოცანი წლების რეპრესიები შეეხო... შეეხო მაშინ, როცა სრულიად ახალგაზრდა, 22 წლისა იყო, რომელიც, მისივე სიტყვით, მხოლოდ და მხოლოდ სწავლაში, ხელმოკლეობაში, მეგობრების სიყვარულში, პატიოსნებასა და ოცნებაში გასულიყო. მოგვიანებით დაწერს: „მიწყდა, მიჩუმდა ტკბილი გალობა, / რა დრო გავიდა, რა დრო გავიდა! / ეპეი, ჩემო ყვანვილქალობავ, – გოგოვ, ჩავლილო ჩითის კაბითა“.../. თავის დროზე (როცა ახალგაზრდამ წავიკითხე ეს სტრიქონები) მიფიქრია, ბანალურად – ჩავლილ სიყვარულის წლებს იხსენებდა სინანულით პოეტი... აქ სინანული არის უთუოდ, მაგრამ უფრო ხელშესახები სულიერი ჭრილობით, ლალი, ჩითისფერადებიანი დაკარგული გაზაფხულების გამო... მარი (მარიამ) აბრამიშვილმა 1940 წელს დაამთავრა თბილისის მე-18 (ამჟამად 51-ე) საშუალო სკოლა. 1944 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. უკვე ამავე უნივერსიტეტის ბიბლიოგრაფიული განყოფილების თანამშრომელი იყო, როცა უნივერსიტეტიდან ბაქრაძის ქუჩისკენ მიმავალი (მეგობრისთვის პურის წიგნაკი მიჰქონდა) 1945 წლის 27

მარტს დააპატიმრეს: „ტროტუარზე, ზედ ჩემს ფეხებთან ხრჭი-ალით დამუხრუჭდა შავი მანქანა. სასწრაფოდ გაიღო კარი და საშუალოზე ოდნავ მაღალი, ლურჯი დრაპის პალტოში ჩაცმული სომეხი კაცი გადმოვიდა, წინ დამიდგა და ღიმილით მითხრა: მარი, გთხოვთ (ხელი გაღებული კარისკენ წაიღო), ათი წუთით თქვენ-თან საქმე გვაქვს. წამსვე ავუღე ალღო შექმნილ ვითარებას, უსიტყ-ვოდ ჩავჯერი მანქანაში“, – გაიხსენებს შემდეგ მარი აბრამიშვი-ლი. ალბათ იმ დღის, კარგა ხნით უკანასკნელი თავისუფალი და მშვენიერი დღის მოგონებაა ასევე, უკვე ასაკში შესული პოეტის ნათქვამიც:

რა მშვენიერი დღე იყო!
როგორ შვენოდა მზე.
ის დაბლა ჩამოდიოდა,
ჩვენ ვმაღლდებოდით ზე.
რა მშვენიერი დღე იყო,
დღესაც სიცოცხლედ ღირს
ცხოველმყოფელი ნათელი
იმ მშვენიერი დღის.
კვლავ ანანავებს ტალღები,
კვლავაც ნალელჲყოფს მზე
მეკობრეთაგან გაძარცულ
იმ ჩვენს შორეულ გემს.
რა იდუმალად გიყვარდი,
როგორ მიყვარდი მეც.

„მეკობრების“ მეტაფორულ სახეში, რა თქმა უნდა, ტოტალი-ტარული სისტემის გაწვრთნილი ჩეკისტები მოჩანან...

მარი აბრამიშვილს ბრალი წაუყენეს ხელნაწერი ჟურნალის „ანათემა“ გამოცემა (ყდაზე ხელმოწერები: პ. გრუზინსკი, შ. მჭედ-ლიშვილი, მ. აბრამიშვილი, ვ. კეკელიძე, თ. შანშიაშვილი, ი. ბალა-ხაშვილი. ჟურნალის სახელი მარი აბრამიშვილის შერჩეული იყო), მასში გამოქვეყნებული ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციური ლექსები, თუმცა იქ არაფერი იყო ისეთი, ქვეყნის დაქცევად რომ ჩაეთვალათო, – წერს რევაზ კვერენჩილაძე, მაგრამ სახლში კი

აღმოუჩენიათ მწვავე პოლიტიკური ლექსები (მარი აბრამიშვილის, პეტრე გრუზინსკის, შალვა მჭედლიშვილის...)... ტალახაძემ დაადო სანქციაო... რამდენჯერმე სმენია მარის ეს გვარი თავისი მამისა-გან, უპატიოსნესი ქართველი კაცისაგან. მარის მამას და ტალა-ხაძეს ერთად უსწავლიათ თბილისის გიმნაზიაში და ახლა ეს კაცი მეორე შვილს უპატიომრებდა (მარის ძმამ, გივი აბრამიშვილმაც, 1941 წლიდან 8 წელი გაატარა ციხეებსა და ბანაკებში, პოლიტი-კური ბრალდებით)... „რას ეძებდით ბელინსკის ქუჩაზე ჩვენს პა-ტარა ოთახში. რას ეძებდით? რა ნახეთ იქ პატიოსანი სილარი-ბის გარდა? სიყვარულზე დაწერილი ლექსების გარდა?.. რას ამოიკითხავთ? ჩემი ქვეყნის და ერთი ბიჭის ტრფიალის გარდა“... გვიან, გვიან დაამატებს პოეტი ქალი ამას მოგონებების წიგნში „ბედისნერის განაჩენი“, რომელიც 2016 წელს გამოსცა მისმა ქა-ლიშვილმა, ლია აბრამიშვილმა. წიგნი ცოცხალი სურათია კო-მუნისტური პოლიტიკური დევნის, დასმენის, დაპატიმრების, ძა-ლადობით გამოძიება-აღიარების, გაუსაძლისი სიცივისა და შიმ-შილის, დახვრეტის შიშისა და ყოველგვარი სისასტიკის განცდი-სა... მოგონებაში იმასაც წერს, რომ უურნალის პირველი ნომერი იყო მისი შედგენილი. აღარც ერთი ლექსი არ ახსოვდა იქიდან, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი თავისი ერთი ლექსიდან:

გარეთ ქარია,
არივ – დარია
მტვერი, ვაება
და გაზაფხული.
სტირის, ირწევა ახლა ჩემშიაც
სული შეშლილი და დაზაფრული...

და ნაწყვეტი პეტრე გრუზინსკის ერთი პატარა ლექსიდან:

დღეს ბაგრატიონს აღარ არტყია
მეფე ერეკლეს პირბასრი ხმალი.
ნაირმალივით გულზე მატყვია,
შენი პატარა ფეხების კვალი.

1945 წლის 27 მარტიდან 1946 წლის აპრილის ბოლომდე თბილისის შინაგან ციხეში იყო, სამარტოო საკანში. „დამცინეს, – წერს იგი, – რომ მე მშიერსა და ძველმანებში გამოწყობილს რა მეპოლიტიკებოდა“. მარტო დარჩენილი გაშიშვლებულ ნარზე კი-თხულობდა ზეპირად შეთხზულ ლექსებს ხმამაღლა... მთელი წელინადი გიში ეგონათ. ჩემს სიცოცხლეში რომ არ მემღერა, ვმღეროდი კიდევაც ათასგვარ სიმღერას და ყოველ დილა-საღამოს ვიმოწმებდი ჩემივე თავს, ჯერ ისევ ჭკუაზე ვიყავი თუ მართლა შევიშალეო... 6 წელი მიუსაჯეს, ქ. კოტლასში გადაასახლეს, მაგრამ იქამდე რუსეთის რამდენიმე ქალაქის ციხეში ამყოფეს: თბილისი – როსტოვი, როსტოვი – მოსკოვი, მოსკოვი – გორკი, გორკი – კიროვი, კიროვი – ვიატკა... გორკის ციხეში ახედ-დახედეს და დამცინავად ჰკითხებს: Стихи ещё пишешь? სასაცილო იყო მათთვის ეს საცოდავი გაპუნეული გოგო (როგორც თავად იხსნებს) და რა ზიანის მოტანა შეეძლო მის ნაჩხაპნს იმ ქვეყნისათვის, რომელ-მაც გერმანიას ომი მოუგოო...

ეს მძიმე გზა გამოიარეს მისმა მეგობრემაც, რომლებსაც, პირდაპირ თუ ირიბად, კავშირი ჰქონდათ უურნალ „ანათემას-თან“. 1945 წლის 7 მარტს დააპატიმრეს პეტრე გრუზინსკი, შალვა მჭედლიშვილი, თამარ შანშიაშვილი (მარი აბრამიშვილის გადმოცემით, სულ არაფერში რომ არ ერია) და იზა ალნიაშვილი (აგრეთვე უდანაშაულო, პეტრე გრუზინსკის თაყვანისმცემელი და მეგობარი). სასჯელს მხოლოდ პეტრე გრუზინსკი გადაურჩა, რადგან მისი საქმე მოისპო, როგორც სულით ავადმყოფის მიმართ შედგენილი, რომელიც პასუხს არ აგებდა თავის მოქმედებაზე. მას თბილისის ფსიქიატრულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობა დაუწესეს.

მძიმე ბიოგრაფიული შტრიხები მოგვანებით მარი აბრამიშვილის ლირიკაში გაუღერდა, თუმცა, რომ არა მოგონებების წიგნი, გაჭირდებოდა ზოგი რამის გაგება, თუნდაც იმ მწარე ისტორიისა, რაც მარის დედას გადახდენია მაშინ, როცა მისი შვილი „ჩორნი ვორონით“ გადასახლებაში მიჰყავდათ. მთელი ოჯახი: დედა, მამა, დები საბარგო ავტომობილით დასდევნებიან. გზაში მანქანა ისე მძლავრად ამხტარა, დედას ორი თითი მოჰყოლია უანგიან

რკინაში. არათითი გაუკერავთ, მაგრამ ნეკს არ ეშველა და სახსარი წაუჭრიათო, – იხსენებს და ამის გამოძახილია გარდაცვლილი დედისადმი მიძღვნილი ორი ლექსი: „ხელისგულზე მომწვარი ერბოკვერცხი“ და უსათაურო „არათითივით მეოთხე ვარ“. წლების მერე ისევ ისეთი ხელშესახებია განვლილის წარმოსახვა – „გაძვალტყავებული თითების“ სევდა და ტკივილი, როგორც მაშინ, როცა მშობელი თავგამეტებით მისდევდა შემზარავ „ჩორნი ვორონს“.

ომის –

სიცოცხლის და სიკვდილისა
მე შენ მაჩვენე თავი და ბოლო,
დღეს მოგონება გპატრონობს მხოლოდ
და თბილ უბეში სათუთად გისვამს.
ო, არ იფიქრო, რომ დამეხსენი!
შენ არ მომკვდარხარ, ტკივილო დიდო,
გაძვალტყავებულ თითებით თვითონ
მოაშთე იგი – სიკვდილი შენი.
მე შენი სახის ვარ წამკითხველი,
ხმა შეგიძლია არ გამცე სულაც.
და ეფერება ახლა შენს სურათს
ჩემი ამაოდ დამწვარი ხელი.

გარდაცვალების შემდეგ უძღვნის ლექსს მამასაც, „ვინც მოწინებით აბიჯებდა ქართულ მიწაზე, ვისაც ეწერა ქართველობა გულის ფიცარზე, ქართული სუფრის ვინც იცოდა მადლი და ყადრი, ვის ზედმეტ სიტყვას ვერ ეტყყოდა რიდით და ხათრით, ვისაც ლექსითაც ვერ შებედა, ცოცხლობდა ვიდრე“... ხუთი შვილის მამა – „უსპეტაკესი, ვაჟკაცური, ამაყი, მკაცრი, მამა იყო და... მამა არის ჩემი ის კაცი“... ასეთს იხსენებენ მარი აბრამიშვილის მამას სხვებიც, რომლებიც იცნობდნენ. ხუთი შვილის აღმზრდელი, რბილიც და მკაცრიც. მისი „სიმკაცრე“ უთუოდ წარსულის ტრაგედიის ნაკვალევი იყო. ვეძისში, მათი მრავალსულიანი (შვილები, შვილიშვილები...), ეზოიანი სახლის ჭიშკარი საღამოს 9 საათზე უნდა ჩაკეტილიყო, ამ დროს ყველა შინ უნდა ყოფილიყო.

რეპრესიაგამოვლილი ორი შვილის წარსულს მამისგან ოჯახის-თვის სამუდამოდ დაეწესებინა მეტი სიფრთხილე...

მარი აბრამიშვილის საქმეში ერთ-ერთ ბრალდებად წაყენებულია ის ფაქტი, რომ მან ლექსი მიუძღვნა კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის დევნილ და იმ დროისთვის უკვე ლიკვიდირებულ მუსტაფა (ლევან) შელიას (აქვე აღნიშნავენ, რომ აბრამიშვილი პროცესზედაც ალიარებდა მტრულ განწყობას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. პოლიტპატიმრობაში ნამყოფი (1937-1940) ახალგაზრდა მუსტაფა შელიას თაოსნობით ჩამოყალიბებული ყოფილა არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, რომლის მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა. მას დასდევდნენ დასაჭრებად. მეგობრებმა: ჭაბუა ამირეჯიბმა, გოგი წულაძემ, ლევან აბდუშელიშვილმა (მუსტაფას ბიძამ) და სხვებმა ურჩიეს, თურქეთში გადასულიყო, რაზეც არ დასთანმხდა. მიზეზი სიყვარული იყო. ვერ ტოვებდა საყვარელ გოგონას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცალმხრივი სიყვარული იყო. ის გოგონა, დღეს უკვე საუკუნეს მიტანებული, ასე იხსენებს: ჭაბუამ მთხოვა, დანერე წერილი და აუხსენი, რომ მასზე არ ფიქრობ... იქნებ წავიდეს და თავს უშველოსო. ჭაბუას კარნახით, მართლაც, დავწერე პატარა ბარათი, რომელშიც ვუსურვებდი ყველაფერს კარგს, რომ ვაფასებდი, როგორც კარგ ახალგაზრდას, მაგრამ მის მიმართ სხვა გრძნობა არ გამარინდა... მალე დააპატიმრეს ჭაბუა ამირეჯიბი, გოგი წულაძე და მუსტაფას ბიძალევან აბდუშელიშვილი, რომელიც დახვრიტეს. მუსტაფა დაჭრისას მოკლეს თბილისში... ამის შემდეგ თათული (თამარ) მასხარაშვილი დიდხანს ატარეს შინსახკომში, თავისი პატარა წერილიც იქ დახვდა. გამომძიებელმა გამრეკელიძემ, ბიძამისის, ბონდო დადიანის, ახლობელმა დაინდო თურმე, სიმართლის ალიარება ურჩია და ასე გადარჩა მაშინ თათული დაპატიმრებას (ასეთებიც ხდებოდა, როგორც ჩანს)... იმასაც დავამატებ, რომ ქალბატონმა თათულიმ ახლაც გულისტკივილით გაიხსენა ეს ამბავი: ძალიან მეცოდებოდა, უზომოდ მწყდებოდა გული. დღემდე მენანება, კარგი ახალგაზრდა იყო, კარგი მომავალი ჰქონდა... მარ ი აბრამიშვილს ჩხრეკისას უპოვეს მუსტაფა შელიასადმი მიძღვნილი უსა-
240

თაურო ლექსი „მ. შ“-ს ინიციალით, სულ სამი სტროფი (გამომძიებლებს არ გასჭირვებიათ ინიციალების გაშიფრვა). პირველ სტროფში ახალგაზრდა პოეტი ქალი სწორედ იმ ბიოგრაფიულ ფაქტს გულისხმობს, რომელიც გაგვიმხილა ქ-მა თათულიმ (პოეტს ეს ლექსიც გადაუცია თათულისთვის და დღეს მასთან ინახება. ზ. ცხადაია, თამარ (თათული) ლვინიაშვილი, წიგნში: „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა, 2019, გვ. 593-607):

კიდევ ცოცხლობენ ამაყ სუნთქვით თურმე გმირები,
მაგრამ დაახრჩვეს, თავის სატრფოს ვინცა ყვარობდა,
ჰო, ქართველნო, კიდევ ბევრნი განიგმირებით
იმ საშსვერპლოზე, საქართველოდ რომა ყვაოდა...

სად არის სული, ამაღლება, გრძნობის მწვერვალი.
ყველგან ციხეა, ყველგან დარი ავდარიანი,
დღეს რაა ყოფა, თუკი ნაზი ლექსის მწერალიც
ისე ყალბია, როგორც ყველა ადამიანი?

პატარა ერი თავის კუთხეს აღარ მმართველობს,
როგორც ცხვრის ფარა, სხვის კომბლის ქვეშ მიედინება
და ალბათ მალე შენს პირმშო შეიღს, ჰე, საქართველოვ,
ცხოვრების გზაზე სულით მოღლილს მიეძინება.

– „1944 წელს დაწერილი ლექსი, რომელიც ჩემს სხვა ლექსებთან ერთად შინასახეობმა დააპატიმრა 1945 წელს (ავტორიანად) და დღემდე მისი არქივის ტუსაღია. მ. ა.“, – ასეთია პოეტის მინაწერი. მარიმ არაფრით არ აღიარა, რომ ეს მუსტაფა შელიასადმი მიძღვნილი ლექსი იყო, საერთოდაც – არავინ არ გათქვა, მაგრამ, მისივე მოგონებით, სხვას გაუმხელია ამ მიძღვნის ადრესატი და ავტორის ვინაობა. ასევე, მარი აბრამიშვილის ლექსის „ჩვენ ამ საღამოს წაგვიყვანენ“ ქვეშ რუსულად მინაწერიც უჩვენებიათ მტკიცებულებად: „ამ ლექსის ავტორია მ. აბრამიშვილი“...

„ეს არეულ-დარეული, გადაღლილი გონებით ჩაწერილი სტრიქონები ზღვაში წვეთია, იმ ზღვის წვეთია, რომელიც მე რაღაც

სასწაულით გადმოვცურე და არც ნაპირზე დამხვედრია ჩემსკენ
გამოწვდილი ხელი“, – წერს პოეტი თავის მოგონებებში...

მე რომ მეტირა,
ტბა დადგებოდა
ცხელი და მლაშე.
მე რომ მეცინა –
მთის წყაროებს
მოჰკლავდათ შური,
მაგრამ
იმ დღიდი მწუხარებით
თვალები გაშრენ;
მაგრამ
იმ დღიდი სიხარულით
გავნაბე სული.

მარი აბრამიშვილი 1947 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან. 1951 წელს უურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა მისი ლექსები. პირველი პოეტური კრებული „ციცინათელა“ 1957 წელს გამოიცა, 1970 წელს მიიღეს მწერალთა კავშირის წევრად. ამ დროს უკვე ოთხი პოეტური კრებულის ავტორი იყო. სიცოცხლეში მისი ოცამდე წიგნი გამოიცა. მარი აბრამიშვილის ლექსები თარგმნილია რუსულ-თურქულ, ოსურ ენებზე; თავად მან თარგმნა პუშკინის, ლერ-მონტოვის, ბლოკის, ესენინის, ბელა ახმადულინას, ევგენი ევტუ-შენკოს და სხვ. ლექსები. 1993 წელს მიღებული აქვს მწერალთა კავშირის ყოველწლიური ლიტერატურული პრემია, 2000 წელს კი მიენიჭა სახელმწიფო პრემია. 2002 წელს დაჯილდოვდა ლირსების ორდენით... და მაინც, მარი აბრამიშვილმა რეაბილიტაცია მხოლოდ საუკუნის დასასრულს, 1989 წელს მიიღო.

სამშობლოს თემა ტრადიციულად ერთ-ერთი გამორჩეული თემა იყო 50-60-იანი წლების ქართული პოეზიისათვის, შედარებით – თავისუფალი წინა ათწლეულებისაგან, როცა ბელადების სახელების დართვით, კომუნისტური პარტიისადმი რევერანსით უნდა დაწერილიყო თუნდაც შედევრი... მარი აბრამიშვილი გულ-

წრფელია, როცა ომში დაღუპულ, „სამშობლოსთვის დაცემულ“ გმირებზე წერს:

დგანან გმირები –
განა მართლა დაწვეს გულები?
დგანან გმირები –
სამშობლოსთვის დაცემულები.

სხვა რამ დიდების
ვინ ყოფილა ან კი მძებნელი?
პოი, მამულო, შენთვის მკვდარნი –
დგანან ქეგლებად.

სამშობლოს სიყვარულს უძღვნის პოეტი ლექსებს: „მე თქვენი საქართველო ვარ“, „ზოგი ფიქრი ზღვა არი“, „არგვეთელები“, „ცი-სარტყელა თმოგვის ციხესთან“, „რუსთაველის საქართველო“, „ვარძია“, „თამარის წყარო ვარძიაში“, „აბასთუმანი“, „ქართული მინა“ და სხვ. მათში ჩანს ისტორიული წარსულის, ქართული მიწის და ცის სიყვარული, სიყვარული სიკვდილამდე: „ყოველ სიმღერას მე მირჩევნია / ამ მტკვრის სიმღერა, / ამ მტკვრის დუდუნი, ათასგვარ ხმაში გამირჩევია / ჩემი ქართული მიწის ბუბუნი. / ყოველგვარ ხილვას / მე მირჩევნია ამ ცის, ამ მთის და / ამ მზის ყურება, / რადგან ჩემია / და სიკვდილამდე მომეწყურება“... კიდევ უფრო ემოციურია პოეტის ნათქვამი მაშინ, როცა წერს:

უნდა დაშორდე –
რომ გაიგო სამშობლოს ფასი,
უნდა დაბრუნდე –
რომ ინამო უკვდავი ვაზი;
უნდა შეგცივდეს –
რომ იცოდე,
რას ნიშნავს ჭერი...

მრავალი მიძღვნილი ლექსია მარი აბრამიშვილის ლირიკაში: „რუსთაველის სურათთან“, „დები ჭავჭავაძენი“, „აკაკის“, გრიგოლ

კიკნაძისადმი მიძღვნილი „ვაჟა-ფშაველას კაბინეტში“, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, მუხრან მაჭავარიანის, შოთა ჩანტალაძის, ჯანსულ ჩარკვიანის, ვარო ვარდიაშვილისადმი და სხვ.

მარი აბრამიშვილის 1977 წელს გამოცემულ წიგნს წამძღვარებული აქვს მურმან ლებანიძის წინასიტყვაობა, რომელშიც ჩანს გულწრფელი პატივისცემა პოეტი ქალისადმი, მისი ლირიკისადმი, რომელსაც იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გასცნობია (ისინი ასაკითაც ტოლები იყვნენ). იხსენებს იმ პირველ შთაბეჭდლებებს და წერს, რომ ახალგაზრდა პოეტები მაშინ ბევრს ველოდით მარი აბრამიშვილისგან. წიგნი კი მოგვიანებით, მხოლოდ 1957 წელს გამოსცაო...

აქ მინიშნებაც არ არის იმ მიზეზებზე, რამაც ეს „დაგვიანება“ გამოიწვია... მურმან ლებანიძე აღნიშნავს მარი აბრამიშვილის პოეტური სამყაროს მრავალფეროვნებას და მაინც – უფრო რელიეფურად სამ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას: პატრიოტული ლირიკა, სატრაფიალო ლირიკა და ფიქრი ცხოვრებაზე; „ნაზირი რომანტიკული ბურუსი ახლავს სიყვარულის განცდას საერთოდ მარის ლექსებში“, – წერს პოეტი, რომელმაც კარგად იცის ამ „ბურუსით მოცული“ განცდის შესახებ. ასე უნდა ითქვას. არადა, სრულიად გარკვეული და მეტყველია ის ტკივილები, რომლებიც მარის სატრაფიალო ლექსებში იგრძნობა:

მე ბავშვობა გამეპარა პატარას
და ქარიშხლის ფრთებზე შემსვა ნიავმა...

ოცნების, სიხარულისა და სიყვარულის ოქროხანა წაართვეს სრულიად ახალგაზრდას...

უკანასკნელი პაემანის
განყდა ლოდინი...
და ათრეულმა ნაბიჯებმა
დაჰკარგეს ქარში
მაღალ ჭაბუკის სილუეტი –

ო, რა ხანია!
სხვათა თვალისთვის
უჩინარნი, მიუწვდომელნი
დედოფლობას რომ მპირდებოდნენ
და მპირდებოდნენ –
ჩამოქცეულან ის კოშკები
ო, რა ხანია! ო, რა ხანია.
(„ო, რა ხანია“)

რაც კარგი იყო, რასაც განუმეორებელი სიხარული მოჰქონდა,
ყველაფერი მხოლოდ წარსულში დარჩა, დაუნისლავი ხსოვნით:

როგორ მინდა, შორიდან,
შორიდან, შორიდან,
კვლავ მოვიდეს ბარათი,
როგორც ერთხელ მოვიდა,
კვლავ ვახსოვდე სიყვარულს
დაუნისლავ ხსოვნითა,
კვლავ ვუყვარდე შორეულს
შოორიდან, შორიდამ.

„განშორება“ ჰქვია ლექსს, რომელშიც იმ სიხარულის, იმ სიყ-
ვარულის, იმ ბედნიერი დღეების დასასრულია გახმიანებული:

სად მიდიოდა
მატარებელი,
რომელ ქალაქში,
რომელ დაბაში?
სად მიებჯინა მზერა
ლამეში
ელმაგლის თვალებს –
სად ჯანდაბაში?
სად მიდიოდა მატარებელი,

საით ეძახდა
გზების სიშორე?
გული –
ბორბლებში დატანებული,
რას მიჰკიოდა
ლამის სიშავეს?
სად მიღიოდა მატარებელი?

უნდა ითქვას, რომ სატრფიალო თემატიკა უმთავრესია მარი აბრამიშვილის ლირიკაში. მის ლექსებზე მრავალი სიმღერაა შექმნილი, განსაკუთრებულია „აი, სად შემხვდი“ და „იქნებ მართლა“. მის მკითხველს და მსმენელს დღესაც არ დატოვებს გულგრილს ის სრულიად გულწრფელი, ტკივილიანი სიმართლე, რომელიც, სადღაც ცხოვრების შუაგულში, ლექსად გადაქცეულა. თავს უფლებას ვაძლევ, დღეს, 100 წლის პოეტი ქალბატონის ეს ლექსი მთლიანად შევახსენო მკითხველს.

აი, სად შემხვდი, ვით დამისთევა,
მე კი თურმე სად დამღლამებია, –
შენ რომ გიყვარდა,
ის ქალი მე ვარ,
შენ უიმედოდ არ გყვარებია.
მე ახლა შენს ნინ დაღლილი ვდგევარ,
ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს, –
შენ რომ ეძებდი,
ის ქალი მე ვარ,
მითხარი, ხომ არ დავაგვიანე?
თუნდაც უსიტყვოდ დამუნჯდეს ენა,
მე უშენობის დაღი მატყვია;
შენ რომ გინდოდა,
ის გული მე მაქვს –
ვიცი, სხვა გული არ გინატრია.
შენ ეძახოდი შორს, შენგან წასულს
და ხმა ქარიშხალს ჩაუქოლია.

შენ ეძახოდი ვიღაცა ასულს
და ჩემს მეტს
არვის გაუგონია.
მე ახლა შენს წინ დაღლილი ვდგევარ,
ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს,
შენ რომ ეძებდი,
ის ქალი მე ვარ, –
მაგრამ, ვაი, რომ დავაგვიანე.

დაკარგულის, განუმეორებლის სევდა ბურავს მის სატრფი-
ალო ლირიკას, განპილებული, უსამართლობით დაჩაგრული ყმან-
ვილქალობის მოსაგონრად:

წვიმს და.... შავად შენისლულან მთები,
წვიმს და... წვიმამ ალარ გადაიღო,
იქნებ მართლა აღარ შევრიგდებით,
იქნებ მართლა განშორება იყო?

ეს ლექსები, შეიძლება ითქვას, „გადაუღებელი წვიმების“
(მუდმივი ტკვილების) ელეგიაა... მეტაფორებია, რომლებშიც
დღესაც სევდიანად ხმიანობს პოეტი ქალის შემოქმედებითი სული.

ნომრის სტუმარი

„ჩამოიმარცვლა წელიწადის კრიალოსანი“...

(ინტერვიუ ვახტანგ ჯავახაძესთან)

ბატონი ვახტანგ, თქვენ მე-20 საუკუნის 60-იანელთა თაობის წარმომადგენელი ბრძანდებით. ისევე როგორც მე-19 საუკუნეში, „სამოციანელთა“ მწერლობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაშიც. როგორ დაახასიათებთ თქვენი თაობის გამორჩეულ ღვანლს, შემოქმედების იდე-ოლოგიურ, სოციალურ და ესთეტიკურ მხარეებს?

ჩემი აზრით, მე-20 საუკუნის 60-იანების მწერლობაში განსაკუთრებული ის იყო, რომ, პირველ რიგში, ერთად მოვიყარეთ თავი ჩემი თაობის მწერლებმა, იცით ალბათ, უნივერსიტეტში ჩვენი გასაკუთრებული ჯგუფის არსებობის შესახებ. თითქმის ერთნაირი შესაძლებლობების მქონენი ვიყავით და მსგავსი პირობები გვქონდა ლიტერატურული მუშაობისათვის. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის, რომ სტუდენტობისას, როდესაც ჩვენ ჩამოვყალიბდით როგორც მწერლები, სტალინი გარდაიცვალა და შეზღუდვებიც ისეთი აღარ იყო. თანდათან იწყებოდა თავისუფალი აზროვნების აღდგენა, ამას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა; ბევრი რამ, რასაც ვერ გაბედავდნენ ჩვენი წინა თაობის პოეტები, ყოველ შემთხვევაში, ფარულად აკეთებდნენ ამას, ჩვენ შედარებით თავისუფლად შეგვეძლო. ესთეტიკის თვალსაზრისითაც ბევრი შეიცვალა, განსხვავებული ლიტერატურა შემოვიდა, წავიკითხეთ რემარკი და ჰემინგუეი, რომლებსაც მანამდე არ ვიცნობდით. თუმცა ყველაფერი შეზღუდული იყო, ძალიან ცოტა შემოდიოდა უცხოური ლიტერატურა, მაინც რაღაც გაიხსნა, ფილმებიც გამოჩნდა უცხოური. ჩვენი თაობისა ვინც იყო, არა მარტო ახალგაზრდა მწერლებს, მხატვრებსაც ეს თავისუფლება დაგვეხ-

მარა შემოქმედებაში. გარდა ჩვენი ჯგუფისა, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ მწერლობაში ისეთი სახელებია, შედარება არაა წინა პერიოდთან.

თუმცა, ამას ვერ ვიტყვით მე-20 საუკუნის დასაყისზე, მოდერნიზმის ეპოქაზე, მანამ, სანამ საბჭოთა იდეოლოგიზმირებული მწერლობა ჩაანაცვლებდა ყველაფერს. თქვენს „უცნობში“ წერთ, როგორ იმართლებს თავს გალაკტიონი, არ ვყოფილვარ მოდერნისტიო და სიმონ ჩიქვანი არნმუნებს, იყავი და თავის დროზე ეს არაჩვეულებრივი იყო, შემდეგ კი დაძლევა მოახერხეო.

რა თქმა უნდა. გალაკტიონი ბრაზდებოდა იმ პერიოდს რომ გაუხსენებდნენ, დაახლოებით 200 ლექსი ტომეულებში არა აქვს შეტანილი, შედევრები ყველა, წარმოგიდგენიათ?! ისე იყო დაშინებული.

ილია ჭავჭავაძემ ქართულ სინამდვილეში დაამკვიდრა პოეტინინამდლოლის ტრადიცია. მწერლის როგორც ერის გამორჩეული წარმომადგენლის, ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელის როლი ინერციით მე-20 საუკუნეში, საბჭოთა ეპოქაშიც გაგრძელდა. დიდი ამერიკელი მწერალი, ჯონ სტაინბეკი, რომელმაც 1947 წელს სსრკ-ში იმოგზაურა და ამ მოგზაურობის შთაბეჭდილები დღიურების სახით გამოსცა, ერთგვარი გაკვირვებით იხსენებს, რა მნიშვნელოვან ადამინად მიაჩნიათ მწერალი ერთ-ერთ საბჭოთა რესპუბლიკაში, საქართველოში მაშინ, როდესაც ამერიკაში ის მარგინალურ ფიგურად ითვლებათ. პოსტსაბჭოთა ეპოქაში თვალსაჩინოა ის, რომ შემოქმედთა ახალი თაობა საკუთარი ნებით ამბობს უარს ამ პატივზე და სოციალური პასუხისმგებლობისგან განდგომას ამჯობინებს.

რა მოხდა, თქვენი აზრით, რომ მწერლობამ ერის წინამდლოლობის თვალსაზრისით უკანა პლანზე გადაინია? ქართული მწერლობის დავალება სხვა გახდა?

ვერ გეტყვით. ილია ჭავჭავაძის და 60-ანელების დროს, ვფიქრობ, მაინც უფრო ძლიერი იყო რუსეთის ბორკილი. ჩვენს პერი-

ოდშიც იგივე სიტუაცია დარჩა კაცმა რომ თქვას, ისევ რუსეთის იმპერიაში შევდიოდით, მაგრამ ჩვენ ბავშვობიდანვე გვასწავლიდნენ, რომ ცარიზმი იყო მჩაგვრელი საქართველოსი და საბჭოთა ხელისუფლებამ პირიქით, გაგვათავისუფლა. რა თქმა უნდა, ეს სიმართლე არ არის, მაგრამ ქართული ენა აღარ იდევნებოდა ისე, როგორც მე-19 საუკუნეში, როდესაც ქართულად სწავლება აკრძალული იყო, იქმნებოდა ილუზია, რომ გარკვეულ ეროვნულ თავისუფლებას მართლაც მივაღწიეთ. რაკი გარკვეულწილად წნევი შემცირდა, როგორც ჩანს, საპასუხო რეაქციაც ნაკლები იყო. აღარ იყო საჭირო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მსგავსი რევოლუციონერობა.

თუმცა, მწერლის გამორჩეული როლი არც მეოცე საუკუნეში იყო დავიწყებული. ის, რომ მწერალი აღარ არის ერის ლიდერი, მეტიც, რომ ცოტა არ იყოს, ირონიული კონტაციები შეიძინა ე.წ. ეროვნულმა ფასეულობებმა, უფრო ჩვენს დღევანდელობას ეხება. პოსტმოდერნისტული ეპოქის დამოკიდებულებაა ასეთი...

ჯონსონმა, ინგლისელმა მწერალმა და ლექსიკოლოგმა თქვა, პატრიოტიზმი გარენრების თავშესაფარია და მეორე ინგლისელმა, დირსმა გაამძაფრა, უკანასკნელი თავშესაფარიო. ასეთი რამის თქმა მხოლოდ დიდი ერის შვილს, ინგლისელს შეეძლო. ქართველი ამას ვერაფრით იტყოდა, რადგან ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ყოველთვის პატრიოტიზმი, არა მარტო ჩვენთვის, პატარა ერებისთვის ზოგადად. მახსოვს, სკოლებში იწერებოდა თემები, პატრიოტიზმი ილიას, აკაკის... შემოქმედებაში. დარწმუნებული ვარ, თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთ თხზულებას არ მისცემდნენ დასაწერად მოსწავლეებს. თუმცა, სხვათაშორის, ჩვენს გვერდითაც იყვნენ მწერლები, რომლებიც პატრიოტიზმს ბოროტად იყენებდნენ, იყო ასეთი შემთხვევებიც, მაგრამ, ზოგადად ის, რომ პატრიოტიზმი გარენრების თავშესაფარია, ქართველისთვის მიუღებელია. ქართველისთვის პატრიოტიზმი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა, დარწმუნებული ვარ, ყველა პატარა ერის შვილისთვის.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების და მომდევნო, საბჭოთა პერიოდის მნიშვნელოვანია ქვეტექსტები, ტექსტის დაფარული პლასტები, მეტაფორები. ჩვენ დროში, განსაკუთრებით პროზა, მეტისმეტად გაუბრალოვდა, მნერალს აღარ სჭირდება სათქმელის დაშიფვრა, ზედმეტი ძალისხმევის გამოჩენა საიმისოდ, რომ მკითხველამდე მიიტანოს თავისი სათქმელი და ცენზურასაც თავი დააღნიოს. ხომ არ გააუბრალოვა ამან მნერლობა?

ახლა, კაცმა რომ თქვას, აბსოლუტური თავისუფლებაა. ის კი არა, ლექსიც დავწერე, რომელიც ასე იწყებოდა: „მენატრება ცენზურა...“, ხუმრობით ვთქვი, რასაკვირველია, მაგრამ ამის მოთხოვნილება გამიჩნდა.

ერთ-ერთი კითხვა, რომლის დასმასაც თქვენთვის ვაპირებდი, ასეთია: ეთანხმებით თუ არა აზრს, რომ მე-20 საუკუნის ქართული პოეზია გალაკტიონის ხაზს გაჰყვა. ამ ძირითადი მაგისტრალური ხაზის რა დინებებზე შეიძლება მსჯელობა? თუმცა, თქვენს პასუხს „უცნობის“ დასასრულს მივაგენი, სადაც წერთ: „გალაკტიონის შემდეგ ქართული პოეზია წავიდა და მიდის გალაკტიონის გზით, თითქოს გალაკტიონმა მაქსიმალურად ამონურა თანამედროვე პოეტური შესაძლებლობანი, თავისუფალი ლექსიდან – ვიდრე ვირტუოზულად აულერებულ სტრიქონებამდე, თვით პალინდრომამდე. გალაკტიონის შემდეგ ქართულ პოეზიაში თვისობრივ სიახლეებზე, ისეთ დიდ ორიგინალობაზე, რომელიც მოიტანა ვაჟაფშაველამ აკაკი წერეთლის შემდეგ, ანდა თვითონ გალაკტიონმა აკაკისა და ვაჟას შემდეგ – ლაპარაკი შეუძლებელია.“

ნადვილად ასეა. ამ თემაზე დავით წერედიანთან მქონდა პოლემიკა. ჩემი მეგობარი იყო და საუკეთესო ლიტერატორი; მან დაწერა, მე-20 საუკუნის ქართული პოეზია გალაკტიონის გზით არ წავიდაო და ამაში არ ვეთანხმები. თუმცა, აღნიშნავს, რამე სი-ამოვნება თუ მიმღია პოეზიისგან, პირველ რიგში, ეს გალაკტიონის ლექსებიაო, მაგრამ ამატებს, მე-20 საუკუნის პოეზია გალაკტიონის გარეშეც დიდი პოეზია იქნებოდაო... ჩემი ღრმა

რწმენით, ძალიან დაზარალდებოდა მე-20 საუკუნის ქართული პოეზია გალაკტიონის გარეშე. მე-20 საუკუნე არის გალაკტიონის საუკუნე.

„გალაკტიონოლოგიის“ პირველ კრებულში დაბეჭდილ ინტერვიუში, დიდ პოეტთან თავისი დამოკიდებულების შესახებ საურისას, ბესიკ ხარანაული ამბობს: „თუ გავლენაზე მიდგება საქმე, ადრეული, ტრადიციული ლექსები უფრო სავსე მქონდა მისით, მაგრამ ეს არ მაქმაყოფილებდა. რაღაც სხვა მინდოდა, ის, რასაც ვერ ვაპოულობდი იმაში, რაც უკვე შექმნილი დამხვდა... მე რაღაც სხვას ვეძებდი, მით უმეტეს, რომ დამხვდა გალაკტიონი, რომელიც თითქოს მაფრთხილებდა, „ასე წერა აღარ შეიძლება“... პირადად თქვენი, პოეტ ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებაც სრულიად გამორჩეულია; ირონიულ-პაროდიული მოტივი, ენობრივი ექსპერიმენტები და ვიტუზული სიტყვათნყობანი ქართულ პოეზიაში „ვახტანგურების“ სახელით დამკვიდრდა. თქვენც გქონდათ შეგნებული მცდელობა, გაქცეოდით გალაკტიონის გავლენას?

არა მგონია, რომ სადმე გავიქეცი. ჩვენ მაინც გალაკტიონის სკოლის მონაცეები ვართ. ეგ კი არა... მე-20 საუკუნეში გალაკტიონის გარდა, ოცამდე შესანიშნავი პოეტია, უმაღლესი რანგის პოეტები არიან, მაგრამ გალაკტიონი მაინც სხვა სიმაღლეა, დაახლოებით, პლატინა და ოქრო რომ შეადარო ერთმანეთს. გალაკტიონის 1915 წლიდან 1926 წლამდე დაწერილი ლექსები ქვეტექსტიანი ლექსებია. ეთერ შუშანიას მოგონება არსებობს ასეთი: გალაკტიონი მოდიოდა აკადემიაში და იცინოდა, ვკითხე, რა ხდება ბატონო გალაკტიონ-მეტქი და სიცილითვე მიპასუხა, აგერ, ერთი ახალგაზრდა კაცი შემხვდა, მყითხა, ბატონო გალაკტიონ, რა აზრი დევს თქვენს ლექსში „სიკვდილი მთვარისგან“, რომ ვერ ვუპასუხე, ისე გამიბრაზდა, თითქოს ვიცოდე და არ ვეუბნებოდეო. გალაკტიონი გენიალურ ლექსებს ქმნიდა ისე, რომ ხშირად თვითონაც არ იცოდა კონტექსტი. მაგალითად, „ოცნება, ნახაზი, საგანთა უარით“. მე ვთქვი, რომ ეს აუხსნელია. თეიმურაზ დოიშვილმა მითხრა, მე შემიძლია ავხსნაო. კი ბატონო, შენ ახსნი,

მაგრამ დავსვათ ათი კრიტიკოსი და ყველამ თავისი დაწეროს, არცერთი ერთმანეთს არ დაემთხვევა-მეთქი. ყველა თავისებურად წაიკითხავს, მაშასადამე, ახსნა არა აქვს. გიორგი ლეონიძემ თქვა, სხვათამორის, გალაკტიონი რომ გარდაიცვალა, ორიოდე წლის შემდეგ: გალაკტიონს ჰქონდა ისეთი ურუანტელი, როგორიც არ ჰქონდა ქართულ პოეზიაში არავისო. კონსტანტინე გამსახურდიამ კი თქვა, რომ შოთა და ვაჟა-ფშაველა ვერ დაწერდნენ გალაკტიონის ლირიკულ შედევრებსო. მართალი იყო, იმიტომ, რომ ეს ქვეტექსტი მხოლოდ გალაკტიონს აქვს. რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსანს“ და ვაჟას პოემებს გალაკტიონი ვერ დაწერდა, მაგრამ, ამით, ჩემი აზრით, გამსახურდია იმას გვეუბნება, რომ სამივე ერთი სიმაღლეა, დაახლოებით. ლირიკულ ჟანრში გალაკტიონს ბადალი არა ჰყავს და ასეთი ქვეტექსტიანი ლექსები, როგორიც არის ეს 12 წელიწადი, მეორე რენესანსი ქართული პოეზისა, მსგავსი, რა თქმა უნდა, არავის აქვს.

თქვენი ცხოვრების ოცდაოცრამეტი წელი გალაკტიონს მიუძღვით. მგონია, რომ მხელია, თავადაც შემოქმედმა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი უშურველად შეალიოს სხვა დიდი პოეტის, თუნდაც ეპოქის შემქმნელის ცხოვრების კვლევას, არქივების მტვერში გაუჩინარებული მისი ცხოვრების უცნობი ფურცლების აღმოჩენას. დღეს „უცნობის“ გარეშე ნარმოუდგენელია გალაკტიონის შემოქმედების, ბიოგრაფიის შესწავლა. თქვენი, როგორც პოეტის, ბევრი თაყვანისმცემელი აღნიშნავს, რომ „უცნობმა“ თქვენი პოეზია „შეავინროვა“. რა თქმა უნდა, იმას ნინასწარ ზუსტად ვერავინ განსაზღვრავს, რა ნარმატებას მოუტანს ესა თუ ის წიგნი. ელოდით თუ არა „უცნობის“ ამ მას-შტაბის პოპულარობას და გული ხომ არ გწყდებათ, რომ ამან, გარკვეულწილად, თქვენი, როგორც პოეტის პოპულარობა დააზარალა?

მეორე მხრივ, მხოლოდ „უცნობი“ რომ დაგენერათ, მაშინაც კი შეგეძლოთ რუსთაველის სიტყვების გამეორება; „ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდესო“.

ბაჩანა ბრეგაძემ მითხრა, შენი „უცნობი“ რომ წაეკითხა გალაკტიონს, თავს არ მოიკლავდაო. ეს საუკეთესო კომპლიმენტი იყო, რომელიც ამ ნიგნისათვის მიმიღია. სხვათაშორის, პირველი გამოცემის შემდეგ გაზეთში წავიკითხე, რომ თენგიზ აბულაძე აპირებს, გადაიღოს ფილმი ვახტანგ ჯავახაძის „უცნობის“ მიხედვით. გამეხარდა. იმ დროს ერთმანეთს არ ვიცნობდით. მერე სამსახურში მოვიდა ჩემთან, ოთახში შემოსვლისთანავე მითხრა, ბატონო ვახტანგ, თუ იცით, რა გენიალური წიგნი დაწერეთო. ძალიან შემრცხვა; ვუპასუხე, ბატონო თენგიზ, ეს წიგნი გალაკტიონის დაწერილი უფროა, ვიდრე ჩემი და ამიტომ მოგეწონათ-მეთქი. არაო, მითხრა, თქვენს მეტი მაგ წიგნს ვერავინ დაწერდაო. მაშინ ვუამბე, რომ უკვე მეორე ვარიანტიც მქონდა, პირველზე ორჯერ დიდი და მალე ისიც გამოიცემოდა. როგორც დაიბეჭდება, მოგართმევთ ეგზამპლარს-მეთქი; წიგნის გამოსვლამდე ვერ მოვიცდი, დედანი ხომ გაქვს, წამაკითხეო. ერთი სტამბაშია, მეორე სახლში მაქვს და ორშაბათს მოგიტანთ-თქო, დავპირდი. პარასკევი დღე იყო. ორშაბათამდეც ვერ მოვიცდიო, იმავე დღეს, სახლიდან წაიღო მანქანაზე ნაბეჭდი ვერსია. სამწუხაროდ, ფილმის გადაღება ვერ მოასწრო. 1993 წლის იანვარში დამირეკა, ვისაუბრეთ; მითხრა, ახლავე უნდა შევუდგეთ საქმესო. ეჩქარებოდა, მხატვარ დიმა ერისთავთან ერთად აპირებდა მუშაობას; აპრილში გარდაიცვალა. მისმა დეიდაშვილმა, რუსუდან ქებულაძემ მითხრა, ავად რომ იყო, სანახავად მივედი, ამბობდა, გალაკტიონი მაინც უნდა მოვასწრო, აუცილებლად უნდა მოვასწროო. რამდენიმე წლის შემდეგ თენგიზის ვაჟს მოვუსმინე ტელევიზით, ყვებოდა, როდესაც მამა ცუდად იყო და იწვა, დაფიქრებული, ხმას არ იღებდა დიდხანს, ბოლოს იტყოდა, ეს კადრი გადაღებულიაო. გონებაში იღებდა კადრებს ავადმყოფი... შეყვარებული იყო ამ წიგნზე და გალაკტიონზე, რა თქმა უნდა.

ასე, რომ, თუ ჩემი პოეზია დაზარალდა „უცნობის“ პოპულარობის გამო, ჩემი, როგორც ლიტერატორის რეალიზებად ლირდა ამ წიგნის დაწერა. კომპენსაცია, ამ „ზარალის“ გამო, დიდი მივიღე და ჩემი მხრიდან, ეს სრულიად გამართლებულია, ასე მიმაჩნია.

ეს 40 წელიწადი არის უბედინიერესი წლები ჩემს ცხოვრებაში. გალაკტიონი, როგორც მასწავლებელი მიდგას გვერდით და მის სამყაროსთან ურთიერთობა. 92 წლის კაცი ვარ, თავს უბედინიერესად ვთვლი. ახლაც, ას გვერდზე მეტი ახალი მასალა მაქვს და-წერილი მომდევნო გამოცემის შესავსებად.

„უცნობის“ უკვე შვიდი გამოცემა ვიხილეთ. თავად წერთ, ყველა წიგნი უკანასკნელი მეგონაო, 1988 წლის მოკრძალებული გამოცემიდან მოყოლებული, რომელიც ბოლო, 2020 წლის 1100 გვერდიანი წიგნის დახლოებით მეოთხედი მოცულობისაა. როგორც ჩანს, გალაკტიონის არქივი ამოუნირავია.

ნოდარ ტაბიძე რომ გარდაიცვალა, მისმა ვაჟმა, გიორგიმ მომიტანა ის უცნობი საარქივო მასალა, რომელიც მასთან ინახებოდა. ყველაფრის ასლები გადმომცა, რაც ოჯახში ჰქონდათ. ნოდარის გარდა, ამ მასალაზე არავის უმუშავია. მათი გათვალისწინების გარეშე „უცნობს“ წერტილს ვერ დავუსვამ. ამჯერად ორტომეულის გამოცემას ვფიქრობ, ისე გაიზარდა.

კვლავ თქვენ პოეზიას რომ დავუბრუნდეთ. 2016 წელს ჯერ „ლიტერტურულ გაზეთში“ დაბეჭდილმა, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოცემულმა თქვენმა პოემამ თუ დიდი მოცულობის ლექსმა, „ელეგიამ“, რომელიც მეუღლის ხსოვნას მიუძღვენით, დიდი პოპულარობა მოიპოვა. სოციალური ქსელებიც სხრაფად დაიპყრო და, თანამედროვე ეპოქაში, პოეტური ტექსტებისადმი შემცირებული ყურადღების ფონზე, გასაკვირად დიდი ინტერესი გამოწვია არა, უბრალოდ, ლიტერატურთა შორის, არამედ მკითხველთა ფართო წრეშიც. იმდენად, რომ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ბრძანეთ, ახალი პოეტური კრებულის გამოცემას იქამდე არ ვგეგმავ, ვიდრე მკითხველს „ელეგია“ არ დაავიწყდება და რაღაც სხვასთან შესახვედრად მზად არ იქნებაო. 2017 წელს „ელეგიამ“ სამი ლიტერატურული პრემია მოგიტანათ, მათ შორის, მეორედ „საბა“, რომელიც პირველად გალაკტიონის გამოცემის შეტანილი

განსაკუთრებული წვლილისთვის, ფაქტობრივად „უცნობის“ გამო გქონდათ მიღებული. კრიტიკოსებმაც ბევრი დაწერეს. გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ვახტანგ ჯავახაძის „სხვანაირი“ ლექსია, რაღაც ახლის დასაწყისია არა მარტო მის შემოქმედებაში, არამედ ქართულ პოეზიაში. მასთან დაკავშირებით გაჩნდა ტერმინი ნეონატურალიზმი. თუ ელოდით ასეთ წარმატებას?

ამხელა პოპულარობას ნამდვილად არ ველოდი. სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი პოეზის მკითხველის მიმართ. ყაზბეგის ქუჩის ბოლოს მაღაზიაში წიგნებს ვათვალიერებდი, აილო ერთმა ქალმა წიგნი, გადაშალა, უი, ლექსები ყოფილაო, წამოიყვირა და ცივად დააგდო. წარმოგიდგენიათ, როგორი დამოკიდებულებაა!

ჩემი მეუღლე რომ გარდაიცვალა, ერთი თვის შემდეგ მომინდა ლექსი დამეწერა და დავიწყე. ჩემი ვარაუდით, ის უნდა ყოფილოყო 20-30 სტრიქონიანი ლექსი. ასე ჩავიფიქრე, მაგრამ ვერ გავჩერდი, 10 თვე ვწერდი და დავწერე 450 სტრიქონი. ჩემს ვაჟს, ირაკლის ვუთხარი, ლექსებს ახლა ალარავინ კითხულობს და მითუმეტეს, ამხელა ლექსის ვინ წაიკითხავს-მეტქი. მოხდა ისე, რომ „ელეგია“ ჩემი ყველაზე პოპულარული ლექსი გახდა. როგორც თქვენ აღნიშნეთ, სამი პრემია მიიღო ერთ წელიწადში. არ ველოდი, თუმცა, ჩემი ახსნა მაქვს: არსებობს დედის, დის, ცოლის ნატირლები. მამაკაცის მიერ ცოლის დატირება ახალი ჟანრია. მთელი ცხოვრება მე და ჩემი მეუღლე ჩვენ-ჩვენი ოჯახური თუ სამსახურეობრივი საქმეებითა და პრობლემებით ვიყავით დაკავებული, ერთმანეთისთვის ნაკლებად გვეცალა. ამას დაემატა ის, რომ ჩემი შვილები, ირაკლი და ირინა ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მარტო რომ დავრჩი ამ სახლში, ჩემი მეუღლის ნივთების გარემოცვაში, ეტყობა ამ ყველაფერმა კიდევ უფრო გაამძაფრა ჩემი ალქმა...

თითქოს გააცოცხლეთ ეს ჩვეულებრივი, ყოფითი, ყოველდღიურად მოსახმარი ნივთები, ლექსის ემოციურობას დიდწილად სწორედ ეს განაპირობებს...

დიახ, დიახ.

სხვათაშორის, მე „უცნობი“ რომ დავწერე, პირველად ბესიკ სარანაულს წავაკითხე. აქვე, გადაღმა სახლში ცხოვრობდა. სამ-სახურშიც, ათი წელიწადი ერთ ოთახში ვისხედით და ოჯახებით ვმეგობრობდით. მან მითხრა, ამიერიდან შენ გალაკტიონის შესახებ დაწერილი წიგნის – „უცნობის“ ავტორი იქნები და შენს ლექ-სებს დაივინყებენო. როდესაც „ელეგიისთვის“ მივიღე მეორედ საბა, სამადლობელ სიტყვაში მოვყევი ეს ამბავი და ვთქვი, დღე-ვანდელი „საბა“ ნიშნავს გალაკტიონის მიერ რეპრესირებული ჩემი ლექსების რეაბილიტაციას და ეს ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია, რადგან მივიღე არა გალაკტიონის, არამედ ჩემი მეუღლის პროტექციით-მეთქი. მით უფრო მნიშვნელოვანი იყო „ელე-გიის“ პოპულარობა ჩემთვის, ამ ფაქტმა დამარწმუნა, რომ ლექ-სები კიდევ შეიძლება დავწერო.

თქვენი ცხოვრების 50 წელზე მეტი იმდროინდელი საქართველოს ყველაზე დიდ გამომცემლობაში გაქვთ გატარებული, რომელსაც დროდადრო სახელი ეცვლებოდა, „სახელმწიფო გამომცემლობით“ დაწყებული გამომცემლობა „საქართველოთი“ გათავებული. რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა მე-20 და 21-ე საუკუნის საგამომცემლო საქმიანობას შორის. თავი რომ დავანებოთ ტექნიკურ რევოლუციას, ლინოტიპის კომპიუტერებით ჩანაცვლებას, ასევე, – საბჭოთა ტოტალიტარულ სახელმწიფოში არსებულ ცენზურას ე.წ. მთავლიტის სახით, რომელიც სტრიქ-ნებს შორის გაპარებულ ანტისაბჭოთა ქვეტექსტს ეძებდა, არანაკლებ რადიკალურ განსხვავებად მიმაჩნია გეგმიური გამომცემლობიდან საბაზო ეკონომიკაზე გადასვლა, როცა გამომცემელმა პირველ რიგში მოგება უნდა გათვალისწინოს, ე.წ. ბესტსელერებზე ინადიროს და არცთუ იშვიათად, საკუთარ ლიტერატურულ გემოვნებზე თქვას უარი ან, თუნდაც, პოეზიის გამოცემაზე. რამდენადაც ვიცი, ზოგიერთი თანამედროვე ქართული გამომცემლობა ასეც იქცევა, რადგან ლექსებს დღეს ნაკლები მეითხველი ჰყავს და მისი გამოცემა არცთუ მომგებიანია.

53 წელი ვიმუშავე წიგნის გამომცემლობაში... არადა, მქონდა ბევრი შემოთავაზება, ბევრად უკეთესი პირობებით, უფრო დიდი თანამდებობა, ხელფასი... არ ვიცი, ბედისწერა იყო, ალბათ, ვერ წავედი, მაინც ბოლომდე შევრჩი იქ. კარგი საქმეა, მწერლებთან ურთიერთობა, წიგნთან ურთიერთობა. მართლაც, საქართველოში ყველაზე დიდი გამომცემლობა იყო. მაგალითად, მთელი „მერანი“ რასაც გამოსცემდა, უფრო მეტ წიგნს გამოსცემდა ჩვენი მხოლოდ ერთი, მხატვრული ლიტერატურის განყოფილება. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა გამოვეცით, ბევრი სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია განხორციელდა...

თანამედროვეობას თუ შევადარებთ, დღეს მეტი თავისუფლებაა ყოველმხრივ. ჩვენ დროს, რუსულად თუ არ იყო გამოცემული მწერალი, ისე უფლება არ გვქონდა, ქართულად გვეთარგმნა და დაგვეპეჭდა. ახლა მთელი მსოფლიოს ლიტერატურა ხელისულზე უდევთ თანამედროვე გამომცემლობებს და ისეთი ფუფუნების უფლებასაც აძლევენ თაქს, რომ ერთი და იგივე მწერლის ერთსა და იმავე წიგნს რამდენჯერმე თარგმნიან და ბეჭდავენ. თანამედროვე მწერლების თაობას რაც შეეხება, ჩემზე და ჩემს თაობაზე მეტად განათლებულები არიან. ის, რომ ბევრი გამომცემლობაა, კონკურენციასაც უწევენ ერთმანეთს, ეს მისასალმებელია. ჩვენ დროს ორად-ორი გმომცემლობა ბეჭდავდა მხატვრულ ლიტერატურას, „საქართველო“ და „მერანი“, მოგვიანებით, საბავშვო ლიტერატურის განყოფილება გამოგვეყო და ცალკე გამომცემლობა, „ნაკადული“ დაარსდა. რა თქმა უნდა, ახლა საბაზრო ეკონომიკაც განსაზღვრავს საგამომცემლო სტრატეგიას, მაგრამ, მაგალითად, გამომცემლობა „ინტელექტი“, რომელთანაც მე ვთანამშლომლობ, პოეზიასაც აქტიურად გამოსცემს. გასაგებია, ყველაფერი მოგებას ვერ მოიტანს, მაგრამ სწორი ტრატეგიის შემთხვევში, უფრო გაყიდვადი წიგნებით დაბალანსება, განონასწორება შესაძლებელია. ძალიან კარგი, გონიერი გამომცემლები გვყავს, კარგ წიგნებს გამოსცემენ. ცოტა კორექტურის, ტექნიკური რედაქტირების თვალსაზრისით არაა იმდენი კონტროლი, რამდენიც ჩვენს დროს იყო, ამას შედარებით

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ მრავალფეროვნების მხრივ შედარებაა არაა, არა მარტო მხატვრულს, დოკუმენტურ პროზასაც საინტერესოს ბეჭდავენ და, რაც მთავარია, ხელმისაწვდომია მთელი მსოფლიოს ლიტერატურა ჩვენთვის.

ჩვენს დროს ქაღალდი იყო იაფი ძალიან, შესაბამისად, წიგნიც იაფი იყო და მაინც, თუ არ გაიყიდებოდა, ჩამოწერდნენ ბოლოს, არ იყო პრობლემა, თუმცა, ჩვენი გამომცემლობა 400 ათასი მანეთის მოგებას იძლეოდა ყოველწლიურად, დახლქვეშ იყიდებოდა წიგნები, მათ შორის, პოეტური კრებულები, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, ასიათასობით ტირაჟით გამოიცემოდა და იყიდებოდა

ახალგაზრდა მწერლები ახსენეთ, ჩვენზე გაცილებით განათლებულები არიან...

როდესაც მეკითხებიან, რა შეხედულების ვარ ახალგაზრდა მწერლებზე, ყოველთვის ვპასუხობ: ვინაიდან ესენი ბავშვობიდან კითხულობენ მთელი მსოფლიოს ლიტერატურას, გაცილებით მეტი პოტენციალია მათში და იმედი მაქვს, დარწმუნებულიც ვარ, ძალიან კარგი პოეტები და პროზაიკოსები მოვლენ შემდეგ და შემდეგ. ჯერ ერთი, ენები იციან, დადიან უცხოეთში, რაღაც პერიოდი ცხოვრობენ კიდეც. რა შედარებაა, სად ჩვენი მდგომარეობა და სად მათი.

ახლახანს თქვენი კიდევ ერთი პროზაული კრებული გამოიცა, სათაურით „გალაკტიონის გარეშე“. მასში თქვენი ის ჩანაწერები, მოგონებები და ლიტერატურული წერილებია შესული, რომლებიც გალაკტიონს არ უკავშირდება. თუმცა, წიგნის სათაურიც და დიზაინიც, ყდაზე გამოტანილი გალაკტიონის ავტოპორტრეტის ცარიელი ჩარჩო კიდევ ერთხელ აჩვენებს, რა იყო და არის თქვენი ცხოვრების მთავარი საქმე. საინტერესო იყო იმის გაგება, რომ თქვენი მონანილეობით მზადდება ანა კალანდაძის არქივის, დღიურებისა და პროზაული ჩანაწერებისგამოცემა. ამ საქმეში თქვენი გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, მკითხველს ნინ ანა

კალანდაძის კიდევ ერთხელ აღმოჩენა ელის, იმ პირველზე არა-ნაკლებ შთამბეჭდავი, როდესაც 17 წლის პოეტის ლექსები პირველად ნაიკითხეს ომისშემდგომ მნერალთა კავშირში. ძალიან საინტერესოა, მოგონებების ნაწილი, თქვენი მშობლიური ქუთა-ისის, დედულეთის – გურიის შესახებ და იმ ადამიანების სახელე-ბის კიდევ ერთხელ გახსენება, რომლებმაც თავისი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი კვალი დატოვეს ქართული კულტურის, განათლების სფეროში. ცოტას ამ წიგნის შესახებაც ხომ ვერ გვეტყოდით?

მართლაც ასეა. როგორც გითხარით, ორმოც წელზე მეტი გალაკტიონის სამყაროში გავატარე, ჩემი ფიქრის და ლიტერა-ტურული შრომის მთავარი ნაწილი მას მივუძღვენი, თუმცა, გამომცემლობაში ხანგრძლივი საქმიანობიდან და მწერლური ცხოვრებიდან გამომდინარე, მქონდა უამრავი შეხვედრა, ურთი-ერთობა, დროდადრო ვაქვეყნებდი ლიტერატურულ წერილებს, არა გალაკტიონის შემოქმედებაზე, იბეჭდებოდა ჩემთან ინტერ-ვიუები, დიალოგები, მქონდა ჩანაწერები, მოგონებები... ყველა-ფერ ამას თავი სწორედ ამ წიგნში მოვუყარე, თუმცა, ყველაფერს არა... გადავარჩიე, რაც ჩემთვის ძვირფასად და მნიშვნელოვნად მიმაჩნდა.

რამდენად მნიშვნელოვანია, როდესაც ავტორს თავად ეძლევა საკუთარი არქივის გადარჩევის საშუალება? ხშირად, ისეც ხდე-ბა, მწერლის გარდაცვალების მერე გამოქვეყნდება-ხოლმე მი-სი ჩანაწერები. ძნელია, რამდენად ისურვებდა იგი იმ ყველაფ-რის უცვლელად გამოქვეყნებას, რაც ოდესმე დღიურის სახით დაუწერია...

ვერ გეტყვით, სხვათაშორის, ბოლო წლებში მხატვრულ ლიტე-რატურაზე გაცილებით მეტს დოკუმენტურ პროზას ვკითხულობ. ყოველთვის საინტერესოა მოგონებების, ჩანაწერების, დღიურე-ბის გაცნობა. ყველა ადამიანი, რა თქმა უნდა, სუბიექტურია და მაინც, დოკუმენტური პროზა ეპოქის სურათს გვიხატავს. ამას

წინათ ქუთაისიდან დამირეკეს, რეზო ჭეიშვილის მოგონებები გამოვეცით და ჩამოგიტანთო. შვიდი ტომი ყოფილა, ყოჩალ რეზოს, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამდენი ჩანაწერი ჰქონდა. მისმა გამომცემელმა, ელგუჯა თავბერიძემ მითხრა, ყველაფერი შეულამაზებლად, შეუმცირებლად დავბეჭდეთ და ცოტა უსიამოვნებებიც შეგვხვდაო, რაზეც ვუპასუხე, რეზო პატიოსანი, სუფთა კაცი იყო, დარწმუნებული ვარ, რაც წერია, ყველაფერი სიმართლეა-მეთქი.

რაც შეეხება ანას დღიურების გამოცემას, ამაზე დიდი ხანია ვმუშაობ მის ძმიშვილთან და რძალთან ერთად. ძალიან კარგი წიგნი იქნება. მართლაც, მთელი ქართული მწერლობის ცხოვრებისა და კულისების ამბებია, ყველაფერი ჩაწერილი აქვს. წლების წინ, ანასთან ერთად ვენეციაში ვიყავი და მისი დღიური რომ წავიკითხე, ბევრი ისეთი რამ აღმოვაჩინე, საერთოდ რომ აღარ მახსოვდა: ვის შევხვდით, რა გვითხრეს, რა ვუთხარით... იმასაც წერს, ვახტანგ ჯავახაძე ერთი იმათგანია, ვისაც ხშირად ვურეკავ, რჩევებს ვეკითხები და ვის რჩევასაც ყოველთვის ვითვალისწინებო. ასე იყო, ახლო მეგობრები ვიყავით, ძალიან მიმნდობი იყო ანა. მისი მესამე წიგნის რედაქტორი ვიყავი, ერთად განვიხილეთ, ლენინისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი ჰქონდა, ამოვულე ყველა, არ გინდა-მეთქი. დიდი ხნის მერე მითხრა, შენ რომ წიგნიდან ის ლექსები ამომიღე, ისეთი შეგრძნება მქონდა, სიკვდილმისჯილ პატიმარს რომ ეტყვიან, თავისუფალი ხარო და ის კი არ მიდის, რადგან ნათქვამი ვერ დაუჯერებიაო. 1960 წელი იდგა, სტალინი ცოცხალი აღარა იყო უკვე და იმიტომ გავბედე, თუმცა მაინც დიდი გაბედულება იყო ჩემი მხრიდან, ერთია, ყურადღებას მიაქცევდნენ თუ არა წიგნში რომ ლენინზე ლექსები არ იყო, მაგრამ რომ გაეგოთ, მე ამოვიღე, უეჭველად დამსჯიდნენ. ანას მოგონებაა ესეც: 1967 წელს, სიმონ ჩიქოვანის გარდაცვალებიდან ერთი წლისთავზე ტელევიზიაში სასაუბროდ მიიწვიეს ანა კალანდაძე, გურამ ასათიანი, გია მარგველაშვილი და ბესო ულენტი. ბესო ულენტს უთქვამს, ანას ლენინი არ უყვარს, ლენინზე ლექსები არ შეიტანა წიგნში, თავის მართლება დავიწყე, ჩავილაპარაკე,

გამომცემლობაში ამომიღეს-მეთქი, არაო, შენ ლენინი არ გიყვარსო, არ ეშვებოდა თურმე ბესო ულენტი და გურამ ასათიანი მიშველებია, ბატონო ბესო, ანამ წიგნიდან ამოიღო ლენინზე ლექსები, გულიდან კი არ ამოუღიაო...

ასევე, განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა მურმანთან, ათი წლით იყო ჩემზე უფროსი, მაგრამ საუკეთესო მეგობრები ვიყავით, ჩემი ირინას ნათლიაც არის. ამ წიგნში განსაკუთრებით ხაზგასმული მაქვს მისი, როგორც გამომცემლის საქმიანობა, მისი დამოკიდებულება მნერლებთან, ცენზურასთან. ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო მურმანისთვის წიგნის როგორც შინაარსობრივი, ისე გარეგნული მხარე, ასევე, საკუთარი მეთოდები პქონდა, ცენზურისათვის როგორ შეეპარებინა საკუთარ წიგნებში ისეთი ლექსები, პოლიტიკურად მთლად „კეთილსაიმედოდ“ რომ ვერ ჩაითვლებოდა. მოგვიანებით თავად დაარსა გამომცემლობა „ალგეთი“ და ძალიან კარგი წიგნებიც დაბეჭდა.

რაც შეეხება ამ ჩემს ბოლო წიგნს, განყოფილებებად დავყავი: მცირე მემუარები; ლექსიდან ლექსამდე. პოეზია და პოეტები; მისალმება და გამოთხოვება; გასაუბრებანი.

გამორჩეულად ძვირფასია ჩემი ბავშვობის ქუთაისის მოგონებები, მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლზე, ვანო ვარლამიშვილზე, რომელიც საფრანგეთში ემიგრირებული ცნობილი ქართველი მხატვრის, ფელიქს ვარლამიშვილის ძმა იყო და მისმა მოსწავლეებმა ამის შესახებ არაფერი ვიცოდით, რადგან ემიგრანტი ნათესავების ყოლა და მით უფრო, მათზე საუბარი იმ დროისათვის სიცოცხლისთვის საშიში საფრთხის შემცველი იყო. ჩემი კლასის დამრიგებელზე, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგზე, ირაიდა ეზიკაშვილზე, რომელიც მინდია და სევდია უგრეხელიძეების ბებია გახლდათ; ქუთაისის გიმნაზიის შენობაში განთავსებულ ჩემს ვაჟთა პირველ სკოლაზე, რომელიც 1951 წელს დავამთავრე, 1949 წელს კი თბილისის პიონერთა სასახლეში, რესპუბლიკურ კონფერენციაზე წავიკითხე მოხსენება „აკაკი წერეთელი ქუთაისის გიმნაზიაში“; ჩემს დედულეთზე, გურიაზე, რომელთან კავშირი დღესაც არ გა-

მიწყვეტია. რამდენიმე ძალიან აქტიური ქართულის ახალგაზრდა და მასწავლებელია ჩოხატაურში, რომლებმაც ძალიან შეაყვარეს ლიტერატურა მოსწავლეებს, რამდენჯერმე თბილისშიც ჩამოიყვანეს და ღია გაკვეთილი აქ, ჩემს სასტუმრო ოთახში ჩაატარეს. მოგონებები მწერლებზე, მხატვრებზე, მეგობრებზე, ვისთანაც ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ურთიერთობა მქონია; ლიტერატურული წერილები პოეტების, პოეზიის შესახებ...

ამჟამად ორი წიგნს ვამზადებ გამოსაცემად. ერთი, როგორც გითხარით, „უცნობის“ შევსებული ორტომეულია და მეორე ლექსების კრებული, რომელშიც ძველიც და ახალი, „ელეგიის“ შემდეგ დაწერილი ლექსებიც შევა. მერე, ვანხოთ.

ესაუბრა მირანდა ტყეშელაშვილი

ანტონიო გამონედა

ანტონიო გამონედა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ესპანური პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. იგი არაერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია. 2006 წელს გამონედას ესპანურენოვან სამყაროში ყველაზე პრესტიული – სერვანტესის პრემია მიენიჭა. მანამდე, 1988 წელს გახდა პოზის ეროვნული ჯილდოს მფლობელი, 2006 წელს დაჯილდოვდა რეინა სოფიას იბეროამერიკული პოეზიის პრემიით და სხვ.

ანტონიო გამონედა 1931 წელს დაიბადა ქალაქ ოვიედოში. მისი მამა, მოდერნისტი პოეტი, სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა და მხოლოდ ერთი კრებულის გამოქვეყნება მოასწრო. მამის სიკვდილის შემდეგ ანტონიო დედასთან ერთად მშობლიური ოვიედოდან ქალაქ ლეონში გაემგზავრა, სადაც საბოლოოდ დასახლდა კიდეც.

პოეტის ბავშვობამ სიღარიბისა და ფრანკოს რეპრესიების ფონზე ჩაიარა. თოთხმეტი წლისამ ერთ-ერთი ბანკის ოფისში დაიწყო მუშაობა. მომდევნო თცდათხი წლის განმავლობაში სამსახური არ შეუცვლია, იცვლებოდა მხოლოდ თანამდებობები.

მომავლმა პოეტმა განათლება კულტურისა და ლიტერტურის სფეროში მიიღო. სწავლის საფასურის გადახდა საკუთარი ძალის-ხმევით უნდა ახალგაზრდობიდან მოყოლებული, ინტენსიურად აქცეუნებდა ლიტერატურულ უურნალ-გაზეთებში.

1969 წელს გამონედა რეგიონულ განყოფილებაში გადავიდა სამუშაოდ და კულტურული პროექტების განხორციელებას შეუდგა. ამას მოჰყვა სიერა პამბლეის ფონდის ხელმძღვანელის თანამდებობა. ფონდი მუშებისა და გლეხების განათლების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

ცენზურასთან პრობლემების გამო გამონედა ხანგრძლივი დროის განმავლობაში იძულებული იყო უარი ეთქვა გამოქვეყნებაზე, თუმცა წერა არ შეუწყვეტია. ლექსების დაპეჭდვა მხოლოდ ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, 80-იანი წლებიდან შეძლო. მისი წიგნები გამოსვლისთანავე კასტილია და ლეონის პრემიითა (1985) და პოზის ეროვნული ჯილდოთი (1987) აღინიშნა.

გამონედას შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მხატვრებთან თანამრომლობას, რომლის დროსაც პოეტი და მხატვარი ერთად ცდილობდნენ შეექმნათ პოეტური სახის ადეკვატური ვიზუალური ხატი. ამ მხრივ წარმატებული გამოდგა თანაშემოქმედება ცნობილ აბსტრაქციონისტ ანტონიო ტაპიესთან, ალვარო დელგადოსთან, ამალია ბოსალთან, ხუან კარლოს მესტრესა და ლუის მოროსთან.

გამონედას განსაკუთრებული ინტერესი სხვა შემოქმედების მიმართ ასახვას პოულობს ესეების კრებულში, სადაც იგი ცნობილი პოეტების, ხორხე გილენის, ლუის სერნუდას, ბერნარდ ნოელის, ბლანკა ვალერას, ნაზიმ ჰიკმეთის, ხოსე ანხელ ვალენტესა და სხვათა შემოქმედების ღრმა ლიტერატურულ რეფლექსიებს გვთავაზობს.

ანტონიო გამონედას 50-იანელთა თაობას აკუთვნებენ, თუმცა თავად პოეტი ამ მოსაზრებას არ იზიარებს, რადგან მისი შემოქმედება დამოუკიდებლად ვითარდებოდა და რეალურად არასოდეს გადაკვეთილა ამ შემოქმედებით ჯგუფთან. ამას ემატება ისიც, რომ გამონედას სრულიად განსხვავებული, საკუთარი სტილი აქვს, რომლის წყალობითაც მან გვიან, მაგრამ მაინც მოიპოვა აღიარება. როცა სერვანტესის პრემიის მიღების შემდეგ 50-იანელთა შესახებ დაუსკვეს კითხვა, გულწრფელობის შემოტევისას პოეტმა უპასუხა, რომ სახელწოდება „50-იანელთა თაობა“, მისი აზრით, მხოლოდ მარკეტინგული ხრიკია: „ჩემთვის რომ ეკითხათ, ალბათ, უფრო დაუნდობელი ვიქნებოდი და ვიტყოდი, რომ ეს თაობა არ არსებობს, ის მოიგონეს, რათა რამოდენიმე მევობარს თავის თანამედროვეებს შორის უპირატესობა მოეპოვებინა, პოპულარული გამხდარიყო და საკუთარი სახელი სახლმძღვანელოებში მოეხვედრებინა. რაც შემეხება მე, ჩემი მიმართულებით მათ არც ერთი ნაბიჯი არ გადმოუდგამო, ეს არც მე გამიკეთებია“.

ახლა უკვე ოთხმოცდაათი წლის გამონედა ხშირად საუპრობს პოეზიის როლზე ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამბობს, რომ „გული წყდება იმის გამო, რომ თანამედროვე საზოგადოებამ არ დატოვა ადგილი პოეზიისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მიღიონობით

ადამიანი მის გარეშე, უბრალოდ, ვერ ცხოვრობს. მათ ნამდვილად აქვთ საჭიროება და სურვილი, რომ პოეზიას საკუთარი სივრცე ჰქონდეს დეპუმანიზებულ საზოგადოებაში. პოეზია ხომ ასატანს ხდის ჩვენ ცხოვრებას, რომელიც, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ობიექტური სახით ავლენს თავს, უფრო ხშირად კი ბოროტია“.

ინტერვიუ

მოდით, პოეზიით დავიწყოთ. თქვენი წიგნი „ეს შუქი“ უკვე ორ ტომად გამოვიდა. ნუთუ თხუთმეტი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც თქვენი პოეზია პირველად გამოჩნდა, ამაზე მეტი დაგროვდა. იქნებ უჯრაში უფრო მეტიც დარჩა?

„ეს შუქი“ პირველად 2004 წელს გამოიცა. თხუთმეტი წელია, ტექსტები გროვდება. მართალი გითხრათ, რაოდენობას უნდობლად ვუყურებ. ამას ისიც ემატება, რომ თავის დროზე გადავწყვიტე „შხამის წიგნი“ არ გამომეცა. ახლა კი საჭიროდ ჩავთვალე ისიც შემეტანა კრებულში. დანარჩენი ლექსები ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის შრომის შედეგია. მე მგონი, საკმაოდ ბევრი გამოვიდა, ზედმეტიც კი.

როდის შეგიძლია თქვა, რომ ზედმეტი დაიწერა?

როცა ერთი და იგივეს უბრუნდები და იმეორებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ესათუ ის საკითხი – თუმცა, ეჭვი მეპარება, პოეზიაში საკითხები არსებობდეს – შენთვის ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. ამიტომ ისევ უბრუნდები და აქ იწყება გამეორება და გადამუშავება. ვცდილობდი რაღაცეები დამეხვენა, თუმცა ამ საქმეში დამარცხება თავის პირობებს გვკარნახობს.

თქვენ შემთხვევაში საქმე გვაქვს უსასრულო დამუშავებას-თან. თქვენი ახალი გამოცემის შემთხვევაშიც ასეა. ჩემი აზრით, ქსოვისა და დაშლის ამგვარი მონაცვლეობა არის კიდეც ნამდვილი შემოქმედება.

არ უავრყოფ, არიან ავტორები, რომლებსაც ლექსი პირველივე ჯერზე აქვთ მზად, იმასაც ვაღიარებ, რომ ჩემთვის ძნელია უცებ ალმოვაჩინო ეს მოუხელთებელი ნაყოფი, ეს ნაპერნკალი ტექსტში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, თვით გენიოსების შემთხვევაშიც კი პოეზიის კონსტრუირება (არქიტექტონიკა) მხოლოდ დამუშავების შედეგად ხდება შესაძლებელი. ნახეთ თუნდაც სესარ ვალეხო, გინდაც სხვები, ისინი ხომ გამუშავებით სრულქმნიდნენ ტექსტებს. ჩვენ კი, დანარჩენები, იმას ვაკეთებთ, რისი ძალაც შეგვწევს.

სტილის არჩევას თქვენ სავალდებულოდ არ თვლით, ალბათ, იმიტომ, რომ თქვენი სტილი უკვე ზუსტად მონიშნეთ „ტყუილის აღნერაში“, რომელიც 1977 წელს გამოვიდა და ესპანურენოვან ლიტერატურაში სრულიად ახალი სათქმელი მოიტანა.

არ ვიცი, რა არის სტილი და არც არასოდეს მივისწრაფოდი მისკენ. მე სხვა რამ უფრო მაინტერესებს, მაგალითად, ლექსის კონსტრუირება. პოეზია სივრცეში კი არ იქმნება, არამედ დროში. ამით ის ცეკვას ან მწერლობას უფრო წააგავს. უცნაურია, არსებობს გარკვეული ნება კონსტრუირებისა, ნება იმისა, რომ პოეზია უფრო გამძლე გახდეს. ხელახლი გადამუშავების მიზანი სწორედ ეს არის. ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ჩვენ პოეტური არქიტექტურის შექმნას ვცდილობთ.

პოეზიის მისია ჭეშმარიტების წარმოჩენაშია?

არ ვიცი, რა არის ჭეშმარიტება. ფიზიკური რეალობა უმნიშვნელო და აღნერითი კატეგორიაა. მაგალითად, წვიმს. კი, ნამდვილად ასეა, მაგრამ ყველაფერი აქ მთავრდება. რა არის ჭეშმარიტება? ამას ემოციურ ამოძახილად ნუ ჩამითვლით, ჩემთვის ეს უპასუხო კითხვაა. პოეტური ტექსტი ნუგეში და თავისფლებაა, ამბობია, როგორც ეს ხოსე ლუის პარდომ, ჩვენმა გამოჩენილმა ფილოსოფოსმა აღნიშნა. ჭეშმარიტად ასეა!

მიგელ კასადო თქვენი წიგნის ეპილოგში, რომელიც ერთ-მნიშვნელოვანი სახელწოდებით, დრო კითხულობს ლექსებს“ და-ასათაურა, აღნიშნავს, რომ 2003 წელს გამოყვეყნებული „ინტიან დანაკარგების“ ბოლო ნაწილი უკვე შეიცავს იმ „ხელშესახებ ემ-ბრიონს“, რომელიც მომდევნო თხუთმეტი წლის განმავლობაში თქვენს პოეზიაში იკითხება.

ეს მიგელ კასადოს შეფასებაა, რაც, ვფიქრობ, უფრო შეესაბა-მება 1977 წლის კრებულს „ტყუილის აღნერას“, რომელიც იმ დროს არ გახმაურებულა, ალბათ იმიტომ, რომ ცოტა დაბნეულობა გამოიწვია საზოგადოებაში. მაგრამ დრო დაეხმარა ამ წიგნს უკეთ ყოფილიყო გაგებული და გაცხადებული. ითქვა, და ალბათ მეც იგივეს ვიტყოდი, რომ „ტყუილის აღნერა“ ჩემი მომდევნო პოეზიის წყაროა, თუმცა ეს პერსპექტივა დაგვარგე. ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში სულ სხვა რამ მოხდა: სიბერისა და დალლილობის გამო ჩემი პოეზია არარსებობის ცნების ირგვლივ აიგო.

თქვენ დაწერეთ: „ეს სიბერეა. (...)/შეკითხვები უნდა შეწყდეს“. უკვე აღარ გაქვთ შეკითხვები?

შეუძლებელია შეკითხვები ამოინუროს, მაგრამ იმ შეკითხვებმა თხუთმეტი, ოცი წლის წინ რომ მწვავედ მეჩვენებოდა, ახლა სიმძაფრე დაკარგეს. შეიძლება იმიტომ, რომ რაღაც შეკითხვებს უკვე გავეცი პასუხი, მეტ-ნაკლები სიცხადით, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც ამოვწურე. ამიტომ ახლა ამ შეკითხვებს ძიების მუხ-ტი აღარ ახლავს.

იქნებ სიკვდილის სიახლოვის, არარსებობაში დაბრუნების გამო მოხდა ასე?

სიკვდილის გარდაუვალობა ყოველთვის არსებობდა ჩემ პოეზიაში და ახლაც ასეა: სიკვდილთან შეგუება შეუძლებელია, მის მოსვლამდე შესაძლებელია მხოლოდ მშვიდი ინსცენირება. ამიტომ ვერ ვიტყოდი, რომ ეს აზრი ბოლო წლებში მომეძალა. სიკდილის

პერსპექტივა ბავშვობიდან თან მდევს. ჯერ კიდევ ძალიან პატარას მშვენივრად მესმოდა სამოქალაქო ომის რეპრესიების მთელი სიმძიმე, რომელმაც საბოლოოდ დაანგრია, ან იქნებ შექმნა კიდეც ჩემი ბავშვობა, და არა მხოლოდ ბავშვობა. ისეთი ძლიერი კვალი დატოვა ჩემში, რომ ალბათ, ამით აიხსნება სიკვდილის მუდმივი მყოფობა ჩემს ცხოვრებაში. შეიძლება ზედმეტად პირდაპირი ნათებამია, მაგრამ ასეა.

სიკვდილთან შეეგუება შესაძლებელია? ვერა?

სიკვდილის ჩვევა, მისი გონიერივი და ემოციური გაცნობიერება ჩემთვის გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა. დედაჩემა, ყოველგვარი ცუდი განზრახვის გარეშე, მამის არყოფნის გრძნობა გამიძლიერა. არასოდეს დაუმალავს, რომ მამა ძალიან ენატრებოდა და და ეს ჩვენი ურთიერთობის ფორმა გახდა. თუ ამ გარემოებებს ერთმანეთს დავუმატებთ – დამთრგუნველ გარემოს, ფრანკოს სასტიკ გენოციდს და დედის მიერ მოწოდებულ ნოტებს ობლობის შესახებ, გასაგებიგახდება ჩემი გონიერის ამგვარი მიღრეკილება სიკვდილისადმი.

თქვენი პოეზია ცდილობს ნათელი მოჰვინოს ამ ფიქსირებულ პერიოდს ორ არარსებობას შორის?

ეს რაღაც გონიერით შეუცნობლია. თითქოს, სიცრცე ამ ფრჩილებს შორის – არსებობაა. მაგრამ გაფრთხილებთ, მხოლოდ თითქოს. აქედან იღებს სათავეს მთელი ეს გაუგებრობა, რომელსაც ჩვეულებრივ ენაზე ცხოვრებას ვუწოდებთ. ძალიან მალე 88 წელი შემისრულდება, სადაცაა არარსებობას დავუბრუნდები და ეს წინასწარ ვიცი. მთელი ხათაბალაც ის არის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ, ამ წუთას ვარსებობთ და ამავდროულად ვიცით, რომ ეს დამთავრდება. ცხოველებიც ხომ მოკვდავები არიან, მაგრამ მათ წინასწარ არაფერი იციან. ტრაგედია ის არის, რომ ადამიანი ერთადერთია, ვინც გონიერისმიერი ტერმინებით რომ ვთქვათ, საქმის კურსშია, რომ ფინალი გარდაუვლია.

იმის თქმა, რაც არ ითქმის, თქვენთვის ამბოხის ფორმაა? თუკი ასეა, თქვნი აზრით, ეს არის პოეზიის დანიშნულება?

ერთგვარი წნები, რომ როგორლაც ითქვას გამოუთქმელი, ყველა პოეტს აწუხებს. ყველას თავის ხარისხით, მაგრამ უკლებლივ ყველას. მათაც კი, ვინც რეალიზმით ზედმეტად არიან გატაცებული და როგორც თავად ამბობენ, „წერენ მხოლოდ იმას, „რაც ცხადია“. გამოუთქმელზე, როგორც გათავისუფლებასა და აჯანყებაზე, საუბრობს ფილოსოფონის ხოსე ლუსის პარდო და ამტკიცებს, რომ პოეტური სიტყვა, თუკი ის მართლაც ცნობიერებიდან მოდის, ქმნის ამოუცნობს, რომელიც არ განეკუთვნება კონვენციურ ენას. საუბარია განსხვავებულ ენაზე, რადგან ეს უკანასკნელი ენინააღმდეგება ჩვეულებრივ ენას, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ძალაუფლების ენა და მას ევალება თქვას ის, რაც შესაძლებელია. პარდო ერთმანეთს უპირისპირებს პოეზიის ამოუცნობობას და ძალაუფლების ენას და მიდის დასკვნამდე, რომ ეს ამბოხის ფორმაა. ანუ, პოეზიის ამბოხი არ მდგომარეობს მის თემატიკაში, სწორსა და არასწორში, არამედ თვით ენის ბუნებაში, რომელიც ძალაუფლების ენის ბუნების საპირისპიროა. ის ენები, რომლებიც ბოლომდე გამყარებული არ არიან საკუთარ თავში, ამბოხს შეიცავენ.

ვინ წყვეტს, რა არის ამოუცნობი? თქვენ წერთ: „მხოლოდ ამოუცნობია მუდმივი“.

პოეზიის შეუცნობელი ბუნების გამოა, რომ არ არსებობს ერთი წიგნი, წიგნი იმდენია, რამდენი მკითხელიც არსებობს. როცა ქარიშხლის ცნებას გადმოვცემ, ეს უშუალოდ ქარიშხალი კი არ არის, რომელიც მე იძერის ჩრდილო-დასავლეთში წარმოვიდგინე, ან მკითხველმა წარმოიდგინა რომელიმე პატაგონიასა თუ ამაზონის სელვაში. ყველა ახალი წაკითხვა ლექსს განუმეორებელ რეალობას ანიჭებს. ღრმა პოლისემანტიკურობის გამო, ლექსში შეუცნობელს ღრმად ეხები, უფრო ღრმად, ვიდრე სხვა ნებისმიერი გამოვლინების დროს. ამ საზღვრებში უნდა გამოვყოთ ორი განს-

ხვავებული მიდგომა: ან მკითხველი ეყრდნობა ამოუცნობს, რომელიც ძალიან ახლოსაა კონვენციურ ენასთან; ან ის ხელმძღვანელობს იმ ლინგვისტურ-პოეტური კომპონენტებით, რასაც მას ავტორი სთავაზობს. როგორ უნდა შეიგრძნო ჰომეროსის ტექსტი ან ბიბლია დღეს არსებული ლინგვისტურ-პოეტური კანონიკით? ეს შეუძლებელია. იგივე ითქმის თანამედროვე ტექსტებზეც.

ანუ პოეზიის ერთ-ერთ ფუნქციად ამბოხს მოიაზრებთ? სხვა ფუნქციებიც არსებობს?

მას აქვს კიდევ სულ ცოტა ორი სხვა ფუნქციაც: პოეზია გულისმხობს პოეტისთვის თავისუფლების მინიჭებას. ისეთივე მექანიზმია, როგორც ალსარება კათოლიციზმში. საუბრობ შენს დანაშაულზე, აღმოთქვამ და სუფთავდები, თავისუფლდები. და მეორე: პოეზია სიამოვნების გენერირების ფორმაა, მაშინაც კი, როცა ტანჯვაა გადმოცემული. გავიხსენებ ხორხე მანრიკეს „სიმღერები მამის სიკვდილზე“, ეს მტკიცნეული ტექსტია, თუმცა მისი კითხვის დროს სიამოვნებას შევიგრძნობთ და თან არც ტანჯვას ვკარგავთ თვალთახედვიდან.

თქვენი წიგნი „ტყუილის აღნერა“ გარდამავლი პერიოდის ერთგვარი ქრონიკებია, იმ დროისა, რომელსაც თქვენ „სიტყვით ნამება“ უწოდეთ. ხომ არ იყო ეს გაფრთხილება იმ ცუდის შესახებ, რაც დღეს ჩვენს თავს ხდება?

გარკვეულად ასეა. იმ წუთას მივხვდით, რომ ყალბ გარდატეხსათან გვქონდა საქმე. მოვიდოდა დემოკრატია და გახდებოდა მხოლოდ საბურველი, რომლითაც კვლავ უსამართლობებს დაფარავდნენ. რა თქმა უნდა, აღარ შევესწრებოდით დაცხრილვას, თავის მოკვეთას ან წამებას, სამაგიეროდ იქნებოდა ეკონომიკური უსამართლობა, სიღარიბე, უსახლვარობა, უმუშევრობა... ყველაფერ ამას სწორედ დემოკრატიის სახელით ეძლევა ლეგიტიმაცია ესპანეთში და მის საზღვრებს გარეთაც. ეს სიყალბისა და ტყუილის ცნობიერებაა. ვინც რეალურ გარდატეხას მოველოდით

და თან ვიცოდით, რომ დემოკრატია მხოლოდ გარეგნული და ფიქტიურია, ხითათით ვუცქერდით მოავალს. სამწუხაროდ, ეს ცვლილება მართლაც მოჩვენებითი აღმოჩნდა.

2006 წლის სერვანტესის პრემიის ცერემონიაზე თქვენი სიტყვა სიღარიბეს მიუძღვებით. და ეს იმ დროს, როცა დანარჩენები ბრიყვებივით ცრუ სამოთხეში ვცხოვრობდით, სადაც არ არსებობდნენ ღარიბები და ექსპლუატირებულები და მტკიცედ გვჯეროდა, რომ ყველანი საშუალო კლასს მივეკუთვნებოდით.

ყოველთვის კარგად ვცნობდი რეალობის გრიმს და ვიცი, როგორი ძნელია ამ ნიღბის ჩამოხსნა. მაგრამ ეს ჩვენი ვალია. სერვანტესმა თავის ნაწარმოები სიღარიბეში ცხოვრებისას დაწერა და ფურცელზე საკუთარი ცხოვრებისეული და სოციალური მდგომარეობა გადმოიტანა. სერვანტესისის დიადი წიგნები მისი გარემოდან, მისი წარმომავლობიდან, დაჩაგრული კლასიდან იღებს სათავეს. არსებობს და იარსებებს პოეზია, რომელიც ითვალისწინებს სიღარიბეში ცხოვრების ცნობიერებას. სიღარიბესთან დამოკიდებულება, საკუთარი იქნება თუ სხვისი, ჩემ პოეზიაშიც ავსახე. ბოლოს ვიტყოდი, რომ სიღარიბეში ცხოვრება ერთია და მეორეა იყო იმის სოლიდარული, ვინც ასე ცხოვრობს. შესაბამისად, ეს ორი მდგომარეობა სხვადასხვაგვარ პოეზიას შობს.

წერის დროს სიღარიბე არასოდეს დაგვიწყებიათ.

იმიტომ, რომ საუბარია მოქმედებაზე სიღარიბიდან და არა უშუალოდ სიღატაკეზე. აქედან ამოვდივარ, რადგან ეს ჩემი ტერიტორიაა. მართალი გითხრათ, ახლა ეს უფრო ასატანია, ვიდრე სამოცი წლის წინ იყო. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თვალი დავხუჭო იმაზე, რასაც ჩემნაირები განიცდიან, იმ ათასგვარ ექსპლუატაციასა და სიმძიმეზე, რაც სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის გამო ხდება.

მოქმედებისთვის საჭიროა მიზანი, უტოპია. თქვენ კიდევ შეგ-
რჩათ ეს შემართება?

დიახ, არის ერთი უტოპია, რომ დავუპირისპირდე მოხმარე-
ბის დიქტატურას. კონსუმერიზმი ტოქსიკური ხრიკია, რომლის
მეშვეობითაც ეკონომიკური ძალაუფლება უზრუნველყოფს სამუ-
შაოსთვის გადახდილი ანაზღაურების უკან დაბრუნებას. როცა
ხელფასი 100 ევროთი იზრდება, ეკონომიკურმა ძალაუფლებამ
უკვე იცის, რომ ამ თანხას ხუთმაგი ოდენობით მიიღებს უკან.
ისინი მოხმარებაზე მუდმივ დამოკიდებულებას ქმნიან, რომ გა-
რანტირებული ჰქონდეთ მუდმივი შემოსავალი. ჩვენ ხელახლა
უნდა ჩამოვიყალიბოთ სილარიბის ცნობიერება, რაც არის კიდევ
ჩვენი რეალობა, იმისთვის, რომ მშვიდობიანი, მაგრამ შედეგიანი
რევოლუცია მოვაწყოთ.

„სიღარიბე“ – ასე ეწოდება თქვენი მოგონებების მეორე ტომს,
რომელიც ძალიან მალე გამოვა.

და ალბათ ეს ჩემი ბოლო წიგნი იქნება. ეს წიგნი მეხსიერებასა
და დროში სამოგზაუროდაა დაწერილი იქიდან მოყოლებული,
როცა თოთხმეტი წელი შემისრულდა და პროლეტარ ახალგაზრდად
ვიქეცი. პირველ ტომში „კარადა სავსე ჩრდილებით“ თავი მოვუ-
ყარე ბავშვობის მოგონებებს ოვიედოზე, სადაც დავიბადე და ლე-
ონზე, სადაც ქვრივ და ასთმიან დედასთან ერთად გავემგზავრე. აქ
შეგხვდებათ შეწყვეტილი ფრაგმენტები დღიურების სახით, ასე-
ვე ადამიანებთან შეხვედრის შესახებ დაწერილი მოთხრობები და
მოგზაურობის ქრონიკებიც კი. სამოცდათოთხმეტი წელიწადი
ბევრ მოსაყოლს აგროვებს. აქვეა ჩემი ნააზრევი მწერლობის შესა-
ხებ და აკვიატებული ტექსტები სილარიბეზე, დედაზე, შვილებზე,
შვილიშვილებზე, გაუჩინარებულ მეგობრებზე და თავისთავად
ცხადია – პოეზიაზე. ერთი სიტყვით, ცხოვრებაზე, რომელიც მე
მხვდა წილად.

ფრანგოს ცენზურამ „კასტილიური ბლუზიდან“ მარქსის ციტატის „სირცხვილი რევოლუციური გრძნობაა“ ამოღება ვთხოვათ, თქვენ კი უარი განაცხადეთ. ეს სიტყვა – „რევოლუცია“, დღესაც შეგრჩათ ბაგეზე.

ის მიზეზები, რამაც მარქსს ეს სიტყვები კვლავ დააწერინა, ისევ ძალაში რჩება და დიას, სირცხვილი საკუთარი დანაშაულის აღიარების ფორმაა და მასზე გამარჯვების სურვილიც. ამიტომაც არის ის რევოლუციური. მე ს იტყვა რევოლუციაში არ ვგულისხმობ იგივეს, რასაც ყოფილი სანდინისტი დანიელ ორტეგა ან რასაც ესპანური ფაშიზმი გულისხმობდა „მოსალოდნელ რევოლუციაში“. ცნება „რევოლუცია“ ახლა ძალიანაა აღრეული. საჭიროა დაინმინდოს და ახლანდელ რეალობას მოერგოს. კლასიკური რევოლუციები დღეს ვერ გამოდგება, რადგან ეკონომიკური ძალაუფლება გააუქმებს და დაბლოკავს მათ. ან იქნებ იმიტომ, რომ თავად უღალატეს საკუთარ თავს. პირველი სწორი ნაბიჯი იქნებოდა მოგვეძებნა ფორმულა, რომელიც ძალიან მცირით, ძალიან ლოკალურით დაიწყებოდა და შექმნიდა ალტერნატიულ რეალობას, სადაც ადამიანთა ბედი საერთაშორისო კორპორაციებსა და გადასახდებზე არ იქნებოდა დამოკიდებული. კომპულსიური კონსუმერიზმის გაქრობასთან ერთად, პირველ რიგში მანქანებისა და ტექნიკის მოხმარების შემცირების ხარჯზე, ნებნელა შესაძლებელი გახდებოდა დიდი კომერციული ცენტრების ჩანაცვლება მცირე ბიზნესით, გაცვლა-გამოცვლითა და პატარა კომპერატივებით. მე ამას ვერ მოვესწრები, მაგრამ ახლა ეს არის ის რევოლუცია, რომელსაც ვხედავ და რომლის იმედიც მაქვს.

ზოგიერთი მოაზროვნისაგან აპოკალიპტურ რიტორიკას ვისმენთ. ისინი ვერ ხედავენ სამომხმარებლო კაპიტალიზმის ალტერნატივას. თქვენი სიტყვები ძალიან მაგონებს „ძმობას იმედის გარეშე“.

მე იმავე აზრზე ვრჩები, რაც დიდი ხნის წინ დავწერე. ვისურვებდი ძმობას იმედით, თუმცა ალბათ ეს რთული მისაღწევი

იქნება. სანამ ხელახლა არ დავნერგავთ სილარიბის ცნობიერებას, ამას ვერ შევძლებთ. კიდევ უფრო ნაკლები შანსი დაგვრჩება, თუ ისევ გავაგრძელებთ მანქანების, ტელფონებისა და ნარკოტიკის მოხმარებას – იმ უამრავი პროდუქტისა, რომელთა შორის უკვე განსხვავებასაც ვეღარ ვხვდები. ყველა მათგანი ეკონომიკური დანაშაულის ფორმაა, რომელიც ტყუილზე, არაჯანსაღ დამოკიდებულებასა და ექსპლუატაციაზე დგას. რა ლაპარაკი უნდა, რომ „ვოთსაფერები“ ქმნიან ახალ დაავადებას, რომელიც უფრო მძიმეა, ვიდრე კანაფის მოხმარება. იმედად ისლა რჩება, რომ ჩვენი დამოკიდებულება ემპათიად იქცეს. არსებობენ ცხოველთა სახეობები, მაგალითად ცხვარი, ჭიანჭველები, რომლებიც ყოველგარი ცნობიერების გარეშე ცხოვრობენ კოლექტიურ თანაგრძნობაში. ჩვენ რა გვიშლის ხელს?

მაგალითს ხომ ვერ მოგვიყვანდით? მართლა არასოდეს გყოლიათ მანქანა?

იმას ვაკეთებ, რაც შემიძლია. არასოდეს გვყოლია მანქანა. ახლა, როცა მე და ჩემი მეულლე ფიზიკურად შეზღუდულები ვართ, ტაქსს ვიძახებთ. ეს გაცილებით იაფი გვიჯდება. აღარაფერს ვიტყვი ავტობუსსა და მატარებელზე. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ასე გამონაბლევიც მცირდება და უბედური შემთხვევებიც. თუ მოხმარების წინააღმდეგ უმნიშვნელო და ლოკალურ მოქმედებებს სერიულად გავამრავლებთ, „მშვიდობიან დარტყმას“ მივაყენებთ მტაცებლურ ეკონომიკურ ძალაუფლებას, რომელიც დღითიდღე ძლიერდება სოციალური დაავადებების გავრცელების ხარჯზე. მათ პოლიტიკური ძალების მხარდაჭერაც აქვთ, რომლებიც შეიძლება იყოს ან არ იყოს დემოკრატიული. საჭიროა არ დავივიწყოთ და კარგად გავაანალიზოთ ჩვენი მდგომარეობა. ერთსაც დავამატებდი: პრაქტიკულად სულერთია, ეს პოლიტიკური ძალები მემარჯვენებად ითვლებიან თუ მემარცხენებათ.

პოეზია

* * *

მიყვარდა. ეს ისეთივე უცნაურია, როგორც ვერხვის შრიალი.
ახლა სინათლემ შთანთქა ჩემი არსება, მაგრამ ზუსტად ვიცი,
რომ მიყვარდა.

მე მასში ვარსებობდი და მისი სისხლი ჩემ ძარღვებში მიმოდიოდა.
ვიკარგებოდი მუსიკაში. მე თვითონ ვიყავი მუსიკა.
ახლა კი... ვინაა ეს ბრძა ჩემ თვალებში?
ჩემ სახეზე მოალერსე ხელები ტკბილად მაბერებდნენ.
ნეტავ რა იყო ცხოვრება დავიწყებასა და თოკებს შორის?
ვინ იყო დედაჩემის მკლავებში, ვინ იყო ჩემ საკუთარ გულში?
უცნაურია,
მხოლოდ არ ცოდნა და დავიწყება ვისწავლე.
უცნაურია,
სიყვარული ისევ ცოცხლობს დავიწყებაში.

ვეცემი შენს ხელებში

როცა ჯერ კიდევ არ ვიცოდი
რომ ხელებში ვცხოვრობ,
ისინი ჩემს სახესა და გულს ეხებოდნენ.
მე ვგრძნობდი, რომ ტკბილია ღამე, როგორც თბილი რძე
და დიდი...
უფრო დიდი, ვიდრე ჩემი ცხოვრება.
დედა:
ეს შენი ხელები იყო ღამესთან ერთად
და სიბნელესაც ამის გამო ვუყვარდი მხოლოდ
ალარაფერი მახოვს, მაგრამ
იქ, სადაც მეტად ვარსებობ – დავიწყებაში,
შენი ხელები და ღამე
სულ თან მდევენ,
სულ ჩემთან არიან.

და როცა ხანდახან ჩემი თავი დაეკიდება და ზემოდან
დასცქერის მიწას,
მეტს ვეღარ ვუძლებ და სამყარო ცარიელდება,
მუხლებზე ვდგები,
რომ ვისუნთქო შენი ხელები
ვეშვები დაბლა.
შენ ჩემ სახეს ფარავ, მე პატარა ვარ,
შენი ხელები კი დიდია. კვლავ მოდის ღამე,
და მე ვისვენებ ადამიანობისგან.
ვისვენებ ადამიანობისგან.

თრობა მელანქოლით

ვიღაც შემოდის თეთრ მეხსიერებაში, ქვად ქცეულ გულში.
ვხედავ შუქს ნისლში და ამ შეცდომის სიტკბოება მაიძულებს
დავხუჭო თვალი.
ეს მელანქოლით თრობაა, მაგრამ როგორ დავყნოსო
სნეული ვარდი,
მოციმციმე – სურნელებასა და სიკვდილს შორის.

სიყვარული

ჩემი შენდამი სიყვარული უბრალოა:
ტანზე გიხუტებ, თითქოს სიმართლე აკლდეს ჩემ გულს,
შენ სხეულს კი მისი მოცემა შეეძლოს.
თმებს რომ გიწენავ,
რაღაც მშვენიერი იბადება ჩემ თითებს შორის.
სხვა რა ვთქვა. მე მხოლოდ ვცდილობ, შენთან ერთად მშვიდად
ვიცხოვრო.
მშვიდად ვიცხოვრო იმ ამოუცნობ მოვალეობასთან,
ხანდახან მძიმე ტვირთად რომ ანვება ჩემ გულს.

ვნახე ჩაძირული ლავანდები

ჯამში დამპალ ლავანდებს მოვკარი თვალი და აენთო ხილვა.

წვიმის მიღმა დავინახე ავადმყოფი გველები, ლამაზი, გამჭვირვალე წყლულებით. ეკლებითა და ჩრდილებით შენუხებული ხილი, ნამით ალზნებული ბალაზი. დავინახე განწირული ბულბული, მისი შუქით სავსე ყელი.

ვუყურებ ნაწამებ ბალს და ვფიქრობ ყოფიერებაზე. თავბრუ-ამბვევი სისწრაფით ჩაძიროლეს თვალწინ ჭალარა დედებმა.

ჩემი ფიქრი მარადისობაზე ადრინდელია, მაგრამ სად არის მარადისობა. ახალგაზრდობა ცარიელ საფლავს შევალიე. დავუძლურდი შეკატევებით, რომლებიც დღემდე ჩამესმის, როგორც ცხენის ფლოქების ხმა, მეხსიერებას სევდანად რომ ეხეთქებიან.

ახლაც, ისევ საკუთარი თავის ირგვლივ ვტრიალებ, თუმცა ვიცი, რომ საბოლოოდ ჩემი გულის სიცივეში გადავეშვეები.

ასეთია სიბერე: სიცხადე შესვენების გარეშე.

ამბობი

გეფიცებით, სილამაზე არ შობს მშვენიერ სიზმრებს.

უფრო უძილობას, ყინულივით წმინდას

და მეხივით მყიფეს, მოუქნელს.

ვაჟკაცი უნდა იყო, სილამაზე რომ აიტანო:

შიშის გამო ვინ

გაუთხრის ცალკ-ცალკე საფლავს

უბრალო პურს და მჭახე მუსიკას.

ოჳ, ეს მხდალები,

საკუთრ ჩრდილისაც რომ გაურბიან.

ერთ დღეს მართლა რომ ამეტყვლდეს ეს მდუმარება

შეისუნთქავდნენ აჩრდილთა კვამლს?

ან სიმლერით შეხვდებოდნენ ლანდად გარდაქმნას?

და ესინი,

ეს საბრალო შეყვარებულები
ტკივილით რომ იმართლებენ თავს,
გაფრთხილდით, ასე ყმუილი ჩვევიათ ძალლებს.

ჩვენ სიყვარულზე უფრო წმინდას უნდა ვუმღეროთ,
ცოცხალ ქანებში, მატერიათა მბორგავ სხეულში,
მწყობრად დინებას აბრკოლებს რაღაც.

ეს სიკვდილი არ არის,
ეს უხილავი წესრიგია თავისუფლება.

მე მოვითხოვ სიმშვიდის ამბოხს, უძრავ ქარიშხალს.

ვნატრობ და ვითხოვ სილამაზე გახდეს ძალა და პური,
ტკივილის საზრდო, მისი სასახლე.

დიახ, ვუხმობ სამართალს და სილამაზეს.
რომ თავის ნებით აირჩიოს კაცმა სინათლე.
მოვკვდები კიდეც,
ასეთი თავისუფლებისთვის.

პუბლიკაცია მოამზადა და ესპანურიდან
თარგმნა **ქეთი ჯიშიაშვილმა**

XX საუკუნის ლიტერატურული პროცენტის ისტორიდან

ნატალი საროტი

ნატალი საროტი (Nathalie Sarraute. დაბადებით, ნატალია ილიას ასული ჩერნიაკი, 1900-1999) – რუსული წარმომავლობის ფრანგი მწერალი. დაიბადა ივანოვო-ვოზნესენსკში, განათლებულ ებრაულ ოჯახში. 8 წლის ასაკში პარიზში მამასთან გადავიდა. აქ დამთავრა სკოლა, სორბონის უნივერსიტეტი, 1925 წელს – პარიზის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1925 წელს დაქორწინდა ადვოკატ რაიმონდ საროტზე. 1940-იან წლებში სერიოზულად დაინტერესდა ლიტერატურით. მისი პირველი წიგნი „ტროპიზმები“ 1932 წელს დაიწერა და 1939 წელს პარიზში დაიბეჭდა. ეს გახლავთ მცირე ტექსტების კრებული, ესკიზებისა და მოგონებების სერია, რომლის სათაური – „ტროპიზმები“ – აღნიშნავს სულის უმცირეს, წამიერ მოძრაობებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ხორციელებული სიტყვით, იმ სიტყვითაც კი, რომელსაც „ცნობიერების ნაკადი“ ჰქვია; მათი აღდგენა მხოლოდ სახეობრივი ექვივალენტების დახმარებით ხდება, მკითხველს მსგავს შეგრძნებებს რომ აღუძრავს. „ტროპიზმები“ ბევრად უსწრებს წინ „ახალი რომანის“ ექსპერიმენტებს, რომელსაც მიეძღვნა საროტის სხვა თხზულებები: „უცნობის პორტრეტი“ (1948), „პლანეტარიუმი“ (1959), „ოქროს ნაყოფები“ (1963), „უსმენთ მათ?“ (1976), „...როგორც ამბობენ სულელები“ (1972). ნატალი საროტის უმნიშვნელოვანესი თეორიული სტატიები გაერთიანდა წიგნში „ეჭვის ერა“, რომელიც გახლავთ „ახალი რომანის“ ერთეულთი მანიფესტი საფრანგეთში. მწერალი და თეორეტიკოსი 99 წლის ასაკში პარიზში გარდაიცვალა.

ესე „ეჭვის ერა“ პირველად სარტრის მიერ დაარსებულ უურნალ „Les Temps Modernes“-ში, 1950 წლის თებერვალში დაიბეჭდა და მოგვიანებით ამავე სახელწოდების წიგნში შევიდა. ჩვენ ესეს უკანასკნელი ვარიანტის ქართულ თარგმანს გთავაზობთ.

ეჭვის ერა

კრიტიკოსები, კარგი პედაგოგების დარად, ამაოდ იყატუნებენ თავს, თითქოს ვერაფერს ამჩნევენ, და, პირიქითაც, შემთხვევას არ უშვებენ, თავისთავად ნავარაუდევი ჭეშმარიტების ტონით გამოაცხადონ, რომ რომანი, როგორც ცნობილია, იყო, არის და იქნება, პირველ ყოვლისა, „ისტორია, სადაც ნაჩვენებია, როგორ ცხოვრობენ და მოქმედებენ პერსონაჟები“, რომ რომანისტი რომანისტად წოდების ღირსი მხოლოდ მაშინ არის, თუ მას აქვს უნარი, თავისი პერსონაჟების „სწამდეს“ და ამიტომ შეუძლია, „გააცოცხლოს“ ისინი, „მხატვრული ტევადობა“ შემატოს მათ; ამა-ოდ ხარჯავენ კრიტიკოსები თავშეუკავებელ ხოტბას მათვის, ვინც, ბალზაკის ან ფლობერის მსგავსად, რომანის გმირის „შექ-მნის“ ხელოვნებას ჯერ კიდევ ფლობს, და სწორედ ამით კიდევ ერთ „დაუკინწყარ ფიგურას“ უმატებენ დაუკინწყარ ფიგურათა წყებას, რომლებითაც ჩვენი სამყარო განთქმულმა ოსტატებმა დაასახლეს. ამაოდ იტყუებენ ისინი ახალგაზრდა მწერლებს სანუკვარი ჯილდოს მირაჟით, საჩუქრისა, რომელიც, როგორც იტყვიან, ელოდება მათ, ვისაც უფრო ძლიერი რწმენა აქვს – ტკბილ მომენტს, ზოგიერთმა „ნამდვილმა რომანისტმა“ რომ იგემა, როდესაც პერსონაჟი, სწორედ იმიტომ, რომ ავტორმა მი-სი მგზნებარედ ირწმუნა და მისადმი ღრმა ინტერესს განიცდის, უცრად – განსულიერებული რაღაც იდუმალი ფლუიდით, სპი-რიტების მბრუნავი მაგიდის მსგავსად – დამოუკიდებელი ბრუნ-ვის უნარს იძენს და თან გაიტაცებს აღტაცებულ შემოქმედს, რომელსაც ახლა ისღა დარჩენია, თავის ქმნილებას მხოლოდ მორ-ჩილად მიჰყვეს; ბოლოს, ამაოდ ამატებენ კრიტიკოსები თავი-ანთ დანაპირებს მუქარას, აფრთხილებენ რა რომანისტებს, რომ, თუ ისინი სათანადო ზომებს არ მიიღებენ, კინო – მეტოქე, უკეთ შეიარაღებული, ვიდრე ისინი – სკიპტრას გამოგლეჯს მათ უღირსი ხელებიდან. ყოველივე ამაოა. მიმქრალ რწმენას ვერც საყვედურები, ვერც გამხნევება ვეღარ აღანთებს.

და, ეტყობა, მხოლოდ რომანისტმა კი არ დაკარგა თავისი პერსონაჟების რწმენა, არამედ მკითხველიც ასევე უკვე ვეღარ

ახერხებს, ირწმუნოს მათი. ამის შედეგად რომანის პერსონაჟი, მოკლებული ამ ორმაგ საყრდენს – მისადმი რომანისტისა და მკითხველის რწმენას – რომლის წყალობითაც ფეხებზე მყარად იდგა და თავისი ფართო მხრებით მოთხრობილ ისტორიათა მთელ სიმძიმეს ატარებდა, ტორტმანებს და ჩვენ თვალწინ ირღვევა.

„ეუენი გრანდეს“ ნეტარი დროიდან დაწყებული, როდესაც, მიაღწია რა თავისი სიძლიერის მწვერვალს, პერსონაჟი დაბრძანდა ტახტზე მკითხველსა და რომანისტს შორის, როგორც მათი ერთობლივი თაყვანისცემის ობიექტი, წმინდანის მსგავსად, მიამიტ მხატვარს შემომწირველთა შორის რომ გამოუსახავს – და მხოლოდ იმასდა აკეთებს, რომ თავის ატრიბუტებსა და პრეროგატივებს თანდათანობით კარგავს.

ის მეტისმეტად მდიდრულად იყო მოკაზმული, ყოველგვარი სიკეთებით ავსებული, გულმოდგინე ზრუნვით გარშემორტყმული, არანაირი ნაკლი არ ჰქონდა – შარვალზე ვერცხლის ღილებით დაწყებული, ცხვირის წვერზე კოპამდე, სისხლიანი ძარღვებით. და მან ყოველივე ეს თანდათან დაკარგა: თავისი წინაპრები, თავისი მზრუნველობით აგებული სახლი, სხვენიდან სარდაფამდე ნაირგვარი ნივთებით გამოტენილი, თვით ყველაზე უმნიშვნელო სამშვინისებითაც კი; თავისი მიწები და ფასიანი ქაღალდები, თავისი ტანსაცმელი, სხეული, სახე და, რაც მთავარია, მისი ყველაზე ძვირფასი საკუთრება – ხასიათი, მხოლოდ პირადად მას რომ ეკუთვნოდა, და, ნაწილობრივ, თავისი სახელიც კი.

დღეს თავს გადაგვდის სულ უფრო მზარდი ტალღა ლიტერატურული ნაწარმოებებისა, რომელთაც კვლავინდებურად აქვთ პრეტენზია, იწოდებოდნენ რომანად. მოიპოვა რა მთავარი გმირის როლი, მათში საპატიო ადგილი დაიკავა რაღაც ბუნდოვანმა, გაურკვეველმა, მოუხელთებელმა და უჩინარმა არსებამ, რაღაც ანონიმურმა „მე“-მ, ყველაფერმა და არაფერმა, ყველაზე ხშირად, ოდენ თვით ავტორის ანარეკლმა. მის ირგვლივ მყოფი პერსონაჟები, საკუთარ არსებობას მოკლებულნი, მხოლოდ ამ ყოვლისშემძლე „მე“-ს ზმანებანი, ოცნებები, კოშმარები, ილუზიები, ანარეკლები, მოდალობები ან დამატებანი არიან.

შეიძლებოდა, საკუთარი თავი დაგვემშვიდებინა იმ აზრით, რომ ეს მეთოდი ყმაწვილური ეგოცენტრიზმის ნაყოფი და დამწყებ მწერალთა მორიდებულობის ან გამოუცდელობის შედეგია, რომ არა ზიანი, რომელსაც ეს ჭაბუკური სენი აყენებს ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებებს (დაწყებული რომანები-დან: „დაკარგული დროის ძიებაში“ და „ჭაბებიდან“ – „ვარდის მირაკლამდე“. მათ შორისაა „ალტე ლაურიდის ბრიგეს ჩანაწერები“, „მოგზაურობა ღამის კიდეზე“ და „გულისრევა“), მომწიფებულმა ოსტატებმა რომ დაწერეს და ზემოქმედების უდიდეს ძალას რომ მფლობენ.

ასე რომ, პერსონაჟის ევოლუცია თანამედროვე რომანში წარმოადგენს რაღაც პირდაპირ რეგრესის საპირისპიროს ბავშვურ სტადიასთან მიმართებით.

ის მოწმობს როგორც ავტორის, ისე მკითხველის ცნობიერების გარკვეულ დახვეწილობას. ისინი უნდობლობით არიან გამსჭვალუნი არა მხოლოდ რომანის პერსონაჟისადმი, არამედ – მისი მეშვეობით – ერთმანეთის მიმართაც. პერსონაჟი იყო რაღაც თანხმობის ადგილი, ერთგული დასაყრდენი და მისი უარყოფის შემთხვევაში მათ შეეძლოთ, ერთობლივ ძიებებს შედგომოდნენ და ახალი აღმოჩენები გაეკეთებინათ. იგი გადაიქცა ურთიერთუნდობლობის ადგილად, გაძარცულ ტერიტორიად, რომელზეც ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან. როდესაც აცნობიერებ მდგომარეობას, ამჟამად რომ შეიქმნა, გინდა თქვა, რომ მას შესანიშნავად ახასიათებს სტენდალის სიტყვები: „მსოფლიოს ეჭვის სული დაეუფლა“. ჩვენ ეჭვის ერაში შევედით.

დღევანდელი მკითხველი, პირველ ყოვლისა, არ ენდობა იმას, რასაც მას მწერლური ფანტაზია სთავაზობს. „უკვე ვერავინ, – წუხს უაკ ტურნიე, – ვერ გაბედავს აღიაროს, რომ ის თხზავს. მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ დოკუმენტს, ზუსტს, თარიღი-ანს, შემოწმებულს, ნამდვილს. მხატვრულ ნაწარმოებზე მხოლოდ იმიტომ ამბობენ უარს, რომ ის გამონაგონია.. იმისათვის, რომ მოთხოვობილს დაუჯეროს, მკითხველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას „ტვინს არ ურევენ“... ფასეული მხოლოდ ნამდვილი ამბავია“ („La Table ronde“, janvier 1948, p. 145).

თუმცა ბ-ნი ტურნიე ასე არ უნდა განაწყენებულიყო. ეს წინასწარი განწყობა „ნამდვილი ამბის“ მიმართ, ყოველი ჩვენგანის მიერ გულის სიღრმეში ნაკვები, სულაც არ მოწმობს გონების სიმხდალესა და გულქვაობას, გონებისა, რომელიც მიდრეკილია, ყოველი თამამი ნამოწყება, გაქცევის ყოველი მცდელობა ჩაახშოს და მას „უდავო რეალობის“ მთელი სიმძიმე თავს დაატეხოს. პირიქით, მკითხველს სამართლიანად უნდა მივუზღოთ, – მას არასოდეს სჭირდება განსაკუთრებული ძალდატანება, რათა გაჰყევს მწერალს, ახალ გზებს რომ უკვალავს მას. ის პროტესტს სერიოზულად არასოდეს განაცხადებს, თუ მას აიძულებენ, თავს ძალა დაატანოს. როდესაც მკითხველი თავის დროზე თანხმდებოდა, გულმოდგინედ გამოეკვლია მამილო გრანდეს კოსტიუმის ყოველი დეტალი და ყველა ნივთი მის სახლში, შეეფასებინა მისი ალვის ხეები და ვენახები, თვალი ედევნებინა მისი საბირჟო ოპერაციებისათვის, ამაზე ის სულაც არ მიდოდა უდავო რეალობისადმი სიყვარულის გამო, არც იმის გამო, რომ დამამშვიდებლად ნაცნობი და შემოზღუდული სამყაროს თბილ წიაღს შეფარებოდა. იგი ანგარიშს უწევდა იმას, საით მიჰყავდათ. ის კი სულაც არ მიჰყავდათ რაღაც იოლად მისაწვდომთან

შეჩვეული მოხაზულობების იქით რაღაც იდუმალი, მშფოთვარე იმალებოდა. ეს თავს იჩენდა პერსონაჟის ყოველ ჟესტში, იგი თავისი რომელიმე ნახნაგით სრულიად უბრალო სამშვენისში იხსნებოდა, ითხოვდა გარკვევას, ძირფესვიან გამოკვლევას, უმცირეს ხეეულადე შესწავლას: სრულიად ახალი, გაუმჯვირვალე თემა წინააღმდეგობას უწევდა ძალისხმევას და ძიების ვნებას აღძრავდა. ამ ძიების სიძნელეთა და მნიშვნელობის გაგება ამართლებ-და კადნიერებას ავტორისას, რომელსაც არ აშინებდა მკითხველის მოთმინების გამოფიტვა და აიძულებდა მას, ბოლომდე ჩაძიებოდა ოჯახურ კინკლაობას, ნოტარიუსის გამოთვლებს, შემფასებლის ანგარიშებს. გაგების ეს სურვილი მკითხველის მორჩილებასაც ამართლებდა. სწორედ აქ – და ისინი, ორივენი აცნობიერებდნენ ამას – იმალებოდა მათი მაშინდელი ძირითადი ამოცანა. აქ და მხოლოდ აქ; იგი ისევე განუყოფელი იყო საგნისგან, როგორც განუყოფელია ყვითელი ფერი ლიმონისაგან შარდენის ნახატზე, ან

ლურჯი – ცისეული, ვერონეზეს ტილოზე. ზუსტად ისევე, როგორც ყვითელი ფერი იყო ლიმონი, ლურჯი კი – ცა, და ერთს მეორის გარეშე ვერ ჩასწოდებოდი – სიძუნე მამილო გრანდე იყო, ის მის სუბსტანციას შეადგენდა, მას პირთამდე ავსებდა და, თავის მხრივ, მისგან ფორმასა და სხეულს იღებდა.

რაც უფრო მაგრად იყო შეკრული საგანი, რაც უფრო უკეთ აწყობილი, რაც უფრო უხვად შემკობილი, მით უფრო მდიდარი იყო მატერია, მით მეტი იყო მასში ელფერი.

და დამნაშავეა თუ არა მკითხველი, თუკი ეს დაღეჭილი და გადაღეჭილი მატერია მას ახლა უფერულ წუმპედ ეჩვენება, ხოლო საგანი, რომელშიც მისი მომწყვდევა სურდათ, დღეს მხოლოდ უფერულ მსგავსებად გამოიყურება?

ცხოვრებამ – და, საბოლოო ანგარიშით, ხელოვნებაში ყველა-ფერი სწორედ მასზე დაიყვანება (ის „ცხოვრების ინტენსივობა“, რომელიც, ანდრე შიდის სიტყვებით, „საგნის ღირებულებას შეადგენს“) – ოდესლაც ასე მრავლისაღმთქმელი ფორმები მიატოვა, ადგილი გამოიცვალა. თავის მარადიულ მოძრაობაში, უცვლელად რომ მიემართება იმ გაქცეული ხაზისაკენ, რომელიც მოცემულ მომენტში ძიებით მიიღწევა და საკუთარ თავზე ახალ ძალისხმევათა მთელ დაწოლას იღებს, სწორედ ამ ცხოვრებამ ძველი რომანის ჩარჩოები დაამსხვრია და მისი დაძველებული, უკვე უსარგებლო აქსესუარები ერთიმეორის მიყოლებით მიმოფანტა. კოპებისა და ზოლიანი ჟილეტების, ხასიათებისა და ინტრიგების ვარიაციათა შექმნა უსასრულობამდე შეიძლებოდა. მაგრამ ეს უკვე ვეღარაფერს აღმოაჩენდა, გარდა საყოველთაოდ ცნობილი სინამდვილისა, მისი ყოველი ნაწილაკით სიგრძე-სიგანეზე რომ არის ამონურული. თუ ბალზაკის ეპოქაში ყოველივე ეს მკითხველს დაძაბული ბრძოლით მოპოვებული ჭეშმარიტების წვდომისაკენ უბიძგებდა, ამჟამად ის გადაიქცა მკითხველისათვის – და, ასევე, მწერლისთვისაც – დამახასიათებელი სიზარმაცის, გამოუცნობისადმი შიშის მიმართ სახიფათო დათმობად. არსებულზე თვალის სწრაფი გადავლებაც, სინამდვილესთან ყველაზე ზედაპირული კონტაქტიც კი უფრო მეტს უხსნის მკითხველს, ვიდრე ეს გარეგნული მსგავსებანი, რომელთა მთელი ამოცანა ის

არის, რომ პერსონაჟს უტყუარობა შემატოს. მკითხველისთვის საკმარისია, საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად დაგროვილ შთაბეჭდილებათა უზარმაზარ მარაგს მიმართოს, რათა ამ მოსაწყენი აღწერილობების სანაცვლო იპოვოს.

რაც შეეხება ხასიათს, მკითხველისთვისაც ცნობილია: ეს სხვა არაფერია, თუ არა უხეში ეტიკეტი, რომლითაც თავადაც სარგებლობს ნმინდად პრაქტიკული მიზნებით, რათა უზოგადესი შტრიხებით საკუთარი ქცევის თავისებურებები აღნიშნოს და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არც ანიჭებს. ტლანქი და ზედმეტად დამაჯერებელი ქცევები, რომელთაგან ერთბაშად იქმნება ხასიათები, მასში უნდობლობას იწვევს, ზუსტად ისევე, როგორც ინტრიგა, პერსონაჟს ბაფთასავით რომ შემოხვევია და მას მოჩვენებით მთლიანობასა და სიცოცხლეს, თუმცა, ამავე დროს – მუმიის შეფარულობას ანიჭებს.

მოკლედ, ბ-ნი ტურნიე მართალია: მკითხველი აღარაფერს ენდობა. საქმე ის გახლავთ, რომ უკანასკნელ დროს მან ბევრი რამ შეიტყო და აღარ გამოსდის, ეს საბოლოოდ თავიდან ამოიგდოს.

სახელდობრ რა გაიგო მან – საყოველთაოდ არის ცნობილი, ამაზე შეჩერებას აზრი არა აქვს. იგი გაეცნო ჯოისს, პრუსტს, ფროიდს; შინაგანი მონოლოგის ფარული დინებით, ფსიქოლოგიური ცხოვრების უსაზღვრო მრავალფეროვნებითა და არაცნობიერის უზარმაზარი, თითქმის ჯერ კიდევ მიუკვლეველი სფეროებით მის თვალწინ დამსხვრა შეუღწევადი ტიხრები, ერთ პერსონაჟს მეორისაგან რომ ჰყოფდა, და რომანის გმირი გადაიქცა რაღაც თვითნებურად გამოცალკევებულ, საერთო ქსოვილისაგან პირობით თარგზე გამოჭრილ არსებად, რომელიც სრულად განთავსებულა ყოველ ჩვენგანში და რომელიც მთელ სამყაროს თავისი ქსელის ურიცხვ უჯრედში იჭერს და ახანებს. მსგავსად ქირურგისა, რომლის მზერა, მიპყრობილი გარკვეულ მონაკვეთზე, ძილში ჩაძირული დანარჩენი სხეულისაგან რომ განაცალკევებს მას, მკითხველი იძულებული გახდა, მთელი თავისი ყურადღება და ცნობისმოყვარეობა მიეპყრო რაღაც ახალ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, თავი დაენებებინა უძრავი პერსონაჟისათვის, რომელსაც ის თავისდა უნებურად მიეჯაჭვა. სწრაფი ნაკადიდან,

ინტრიგას წინ რომ მიაქანებდა, დრო მის თვალწინ გადაიქცა დამ-დგარ წყლად, რომლის სიღრმეებში რღვევის ნელი და თითქმის მოუხელთებელი პროცესი მიმდინარეობს; ჩვენმა ქცევებმა მის თვალწინ თავისი ჩვეულებრივი ბიძგი და საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობა დაკარგა, გაჩნდა გრძნობები, ადრე უცნობი, კარგად ნაცნობმა გრძნობებმა კი თავიანთი ფორმები და დასახელებები შეიცვალა.

მან ისე ბევრი რამ და ისე კარგად აღიქვა, რომ დაეჭვდა, შეუძლია კი ხელოვნურ საგანს, რომელსაც მას რომანისტები სთავაზობენ, საკუთარ თავში რეალური საგნის სიმდიდრეები დაიტიოს? და თუკი ობიექტური მეთოდის მომხრე მწერლები თავადვე აღიარებენ, რომ არც კი ლირს ეცადო, ცხოვრება მთელი თავისი უსასრულო სირთულით აღადგინო, და შესაბამისად, იმისათვის, მათ მიერ ნაჩვენები დახურული ობიექტისაგან საიდუმლოება რომ გამოსტაცოს, მკითხველი უნდა დაეყრდნოს მის მიერ დაგროვებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და მის ხელთ არსებულ შემეცნების იარაღს, მწერალი კი ამჯობინებს, თავისი ძალისხმევა იმაზე მიმართოს, რაც მართლაც იმსახურებს მას, და სინამდვილის ფაქტებს მიუბრუნდეს.

გამოგონილ ისტორიასთან შედარებით „ნამდვილი მოვლენა“ მართლაც უდავო უპირატესობებს ფლობს. პირველ ყოვლისა, ის ნამდვილია. აქედან – მისი დამაჯერებლობა და შთამბეჭდავი ძალა, მისი კეთილშობილი უგულებელყოფა იმისა, რომ ის, შესაძლოა, სასაცილოდ, უგემოვნოდ მოეჩვენოთ, აქედან – მისი მშვიდი გაბედულება, უდარდელობა, შესაძლებლობას რომ აძლევს მას, გასცდეს ვინრო საზღვრებს, რომლებშიც, როგორც ტყვეობაში, ყველაზე გაბედულ რომანისტებს დამაჯერებლობაზე ზრუნვა აკავებთ, – და სინამდვილის საზღვრები ფართოდ გასწიოს. ის გვაიძულებს, შევიხედოთ უცნობ ადგილებში, სადაც ვერცერთი მწერალი ვერ გაბედავდა შესვლას და გაბედულად გვახედებს უფსკრულებში.

რა გამოგონილი ისტორია შეიძლება გაეჯიბროს პატიმარი ქალის ისტორიას პუატიედან, მოთხოვნებს საკონცენტრაციო ბანაკებზე, ან სტალინგრადის ბრძოლაზე? რამდენი რომანი, პერ-

სონაუი, სიტუაცია და ინტრიგა იქნებოდა საჭირო, რომ მკითხველი მოემარაგებინა მასალით, სიმდიდრითა და სინატიფით რომ შეედრებოდეს იმას, რასაც საზრიანად დაწერილი მონოგრაფია მის ცოდნისმოყვარეობას, მის ფიქრებს სთავაზობს?

ასე რომ, მკითხველს ამჟამად სრულიად საფუძვლიანი მიზეზები აქვს, რომ რომანს ცხოვრებისეული დოკუმენტი ამჯობინოს (ან, ყოველ შემთხვევაში, ის, რაც მის საიმედო სახედ გვევლინება). ამერიკული რომანის ცოტა ხნის წინანდელი მოდა ამ უპირატესობებს სრულებით არ ეწინააღმდეგება, როგორც შეიძლებოდა, გვეფიქრა. პირიქით, ის მის მტკიცებულებადაც კი გამოდგება. ამ ლიტერატურამ, რომელიც განათლებულმა ამერიკელმა მკითხველმა დაუდევრად უარყო სწორედ ზემოთ მითოთებული მიზეზებით, ფრანგი მკითხველი იმ უცნობ სამყაროში გადაიყვანა, რომელსაც ის არასოდეს შეხვედრია, და ამით მისი იჭვნეულობა მიაძინა, მასში ის მიმნდობი ცნობისმოყვარეობა გააღვიძა, რომელსაც ჩვეულებრივ აღძრავს ხოლმე მოთხრობები მოგზაურობებზე, და იგი იდუმალ მხარეში გაქცევის წარმტაცი შეგრძნებით დაასაჩუქრა. ახლა, როდესაც ფრანგმა მკითხველმა მეტნაკლებად უკვე მოინელა ეს ეგზოტიკური საჭმელი, რომელიც გარეგნული სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მიუხედავად, თავდაპირველ მოლოდინზე გაცილებით ნაკლებად ნოუიერი აღმოჩნდა, მან მასაც ზურგი აქცია.

არც ლირს იმაზე საუბარი, რომ ყველა ეს გრძნობა, მკითხველს რომანი რომ უღვიძებს, ავტორისათვის კარგად არის ცნობილი, ის ხომ თავადაც, როგორც მკითხველი და, ხშირად საკმარისად გამოცდილიც, ასევე განიცდის მათ.

ამიტომ, როდესაც მწერალი რაიმე ისტორიის მოყოლას ჩაიფიქრებს და წარმოიდგენს, როგორ მოუწევს, დაწეროს „მარკიზა ხუთ საათზე გამოვიდა“ და როგორი ბოროტი დაცინვით შეხედავს ამას მკითხველი, მას ეჭვი იპყრობს, ხელი არ ემორჩილება – არა, მას მართლაც ძალა არ შესწევს.

თუკი მხნეობას მოიკრეფს და გაბედავს, ყურადღება არ მიაქციოს მარკიზას, რასაც მისგან ტრადიციით თხოვენ და ისაუბროს მხოლოდ იმაზე, რაც მას ნამდვილად აინტერესებს დღეს,

იგი შეამჩნევს – უპიროვნო ტონი, ასე ბედნიერად რომ პასუხობდა ძველი რომანის საჭიროებებს, სულაც არ გამოდგება რთულ და დაძაბულ მდგომარეობათა გადმოსაცემად, რომელთა გახსნასაც ის ახლა ცდილობს. ეს მდგომარეობანი მართლაც მოგვაგონებს რაღაც პროცესებს, თანამედროვე ფიზიკა რომ სწავლობს. ისინი იმდენად მგრძნობიარენი და იმდენად უსასრულოდ მცირე ნაწილაკებთან არიან დაკავშირებულნი, რომ მათი განათება მზის სხივსაც არ ძალუქს, თუ არ დაამახინჯა და ფორმა არ შეუცვალა მათ. აი, რომანისტსაც, როგორც კი ამ მდგომარეობის აღწერას შეუდგება და თავის იქ არსებობას ვერ აღმოაჩენს, ჩაესმის გაოცებული ხმა მკითხველისა, რომელიც მას აჩერებს იმ ბიჭუნასავით, დედას დაწყებისთანავე რომ შეაწყვეტინა რომელიღაც ისტორიის კითხვა: „ამას ვინ ამბობს?“

პირველი პირით თხრობა მკითხველის კანონიერ ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს და ავტორის ისეთსავე კანონიერ სინდისის ქენჯნას ანელებს. ამას გარდა, მას ახასიათებს განცდილის მოჩვენებითობა, უტყუარობა, რომელიც მკითხველის პატივისცემას იწვევს და მის უნდობლობას ამცირებს.

ამას გარდა, უკვე ველარავის შეაცდენს მარჯვე მეთოდი, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ რომანისტი თავის პერსონაჟებს ძუნწად გადასცემს საკუთარი „მე“-ს ნაწილაკებს, დამაჯერებლობის მისანიჭებლად და უნებლიერ თითქმის ალალბედზე ანანილებს მათ (რადგან განსაზღვრულ სილრმეზე ადამიანთა შორის განსხვავებები იშლება ხოლმე). მკითხველი კი, მას შემდეგ, რაც მათ გაუმჯობესებაზე იზრუნებს, ამ ნაწილაკებს ათავისუფლებს და ლოტოს კოჭების მსგავსად განალაგებს შესატყვის უჯრებში, რომლებიც მან უნდა მოძებნოს.

დღეს უკვე აღარავინ ეჭვობს, რომ შეხსენება, „ქალბატონი ბოვარი – ეს მე ვარ“ – საჭირო აღარ არის. და რამდენადაც ახლა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია არა ლიტერატურული ტიპების ნუსხის უსასრულოდ გაგრძელება, არამედ წინააღმდეგობრივი გრძნობების თანაარსებობის ჩვენება და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ფსიქოლოგიური ცხოვრების მთელი სიმდიდრისა

და სირთულის გადმოცემა, მწერალი პატიოსნად საუბრობს პირ-დაპირ საკუთარ თავზე.

მეტიც: როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩენოს, ავტორი, რომელსაც შიშის ზარს სცემს მკითხველის მზარდი გამჭრიახობა და ეჭვიანობა, თავად მის მიმართ სულ უფრო მეტ უნდობლობას განიცდის.

და მართლაც, ყველაზე გამოცდილი მკითხველიც კი, საკუთარი თავის წინაშე დარჩენილი, მაშინვე ტიპიზირებას იწყებს – ეს მასზე ძლიერია.

ის ტიპიზაციას ახდენს – როგორც, სხვათა შორის, თავად რომანისტიც, საკმარისია, მოდუნდეს, – საკუთარ თავსაც კი ვეღარ უწევს ანგარიშს, უბრალოდ იმიტომ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში შეეგუა მას და ხანგრძლივ წვრთნას შეეჩინა. პავლოვის ძალის მსგავსად, რომელსაც ზარის ხმაზე ნერწყვის გამოყოფა ეწყება, მკითხველი პირველივე ნიშანზე პერსონაჟების შექმნას იწყებს. როგორც „გაშეშობანას“ თამაშის დროს ხდება, ყოველი, ვისაც ის შეეხება, ქვად იქცევა, და მის მეხსიერებაში საჩქაროდ ავსებს ცვილის ფიგურათა კოლექციას, ცხოვრების მანძილზე აჩქარებულად რომ აგროვებდა და მას შემდეგ ავსებდა ურიცხვი რომანებით, რაც კითხვა ისწავლა.

ამასობაში ვხედავთ, რომ პერსონაჟებს, როგორც მათ ძველი რომანი მოიაზრებდა (და მათთან ერთად მთელი ის ძველი აპარატიც, რომელიც მათთვის ლირებულების მინიჭებას ემსახურებოდა), უკვე აღარ აქვთ უნარი, საკუთარ თავში შეისრუტონ თანამედროვე ფსიქოლოგიური რეალობა. და იმის ნაცვლად, რომ გაშალონ იგი, როგორც ეს წინათ იყო, ისინი მას ჩქმალავენ.

ამგვარად, ევოლუციის შედეგად, რომელიც ძალიან გვაგონებს ევოლუციას მხატვრობაში – თუმცა გაცილებით უფრო მორიდებულისა და შენელებულის, ხანგრძლივი შეყოვნებებითა და გადახრებით, – ფსიქოლოგიური ელემენტი, ფერწერისეული ელემენტის მსგავსად, შეუმჩნევლად თავისუფლდება საგნისაგან, რომელთანაც განუყრელად იყო შერწყმული. იგი თვითემარობისაკენ ისწრაფვის, იმისკენ, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, იოლად

გავიდეს საყრდენის გარეშე. რომანისტი თავისი ძიების მთელ ძალისხმევას სწორედ მისკენ მიმართავს, მკითხველმა მთელი თავისი ყურადღება სწორედ მას უნდა მიაპყროს.

ასე რომ, მკითხველს ხელი უნდა შევუშალოთ ერთდროულად ორი კურდღლის გამოდევნებაში, და, თუკი პერსონაჟები ცხოვრების ზედაპირული მსგავსებითა და უტყუარობით იგებენ, ხოლო ფსიქოლოგიური მდგომარეობანი, რომელთა საყრდენებადაც ეს პერსონაჟები გამოდიან, იმავე საზომითვე აგებენ, კარგავენ რა თავიანთ ცხოვრებისეულ სიმართლეს, მნიშვნელოვანია, არ დავუშვათ, რათა მკითხველის ყურადღება გაიფანტოს და პერსონაჟებს ნება მიეცეთ, დაეუფლონ მას. ამისათვის კი აუცილებელია, რამდენადაც შესაძლებელია, ჩამოვაშოროთ მას ნებისმიერი სახის მითითებანი, რომლებზეც ჩაჭიდებული, ის ანგარიშმიუცემლად, ბუნებრივი მიდრეკილების ძალით, ცრუ მსგავსებებს თხზავს.

აი, რატომ არის, რომ დღეს პერსონაჟისაგან მხოლოდ აჩრდილი დარჩა. რომანისტს აღარ აქვს უფლება ზედმეტად გამოკვეთილი ნიშნებით დაასაჩუქროს იგი: ფიზიკური გარეგნობით, ჟესტებით, საქციელით, შეგრძნებებით, დიდი ხნის ნინ შესწავლილი და კარგად ნაცნობი გრძნობებით, ყოველგვარი აქსესუარით, რომლებიც სიცოცხლის ნიშან-წყალს აძლევს და მკითხველისათვის მისაწვდომს ხდის მას*. მწერალს პერსონაჟისათვის სახელის მიცემის აუცილებლობაც კი ეუხერხულება. ანდრე ჟიდი თავს არიდებს თავისი გმირების გვარებით დასახელებას, რისეს რომ შეიცავს, მეტად მყარად დაამკვიდროს ისინი სამყაროში, მკითხველის სამყაროს ძალზე რომ ჰგავს, სახელებს კი მწერალი ნაკლებად ხმარებულს ამჯობინებს. კაფუას გმირს სახელისაგან ოდენ საწყისი ბერება რჩება, ის ბერა, რომლითაც თავად ავტორის სახელი იწყება. ჯოისი ინიციალებით ნ.ს.ე., მრავალგვარ გაშიფრვას რომ ექვემდებარება, აღნიშნავს „ფინეგანის ქელეხის“ გმირს, ცვალებადს, როგორც პროტევსია.

* „არც ერთხელ, – ამტერიცებდა პრუსტი, – არცერთი ჩემი პერსონაჟი არ ეყტავს ფანჯრებს, არ იბანს ხელებს, არ იკრავს პალტოს, გაცნობისას ტრადიციულ ფორმულებს არ წარმოთქვამს. თუ ჩემს ნიგნში არის რაიმე ახალი, სწორედ ეს გახლავთ...“ (წერილი რობერტ დრეიფუსისადმი).

და, სრული უსამართლობა იქნებოდა, მკითხველის მისტიფი-ცირების ოდენ გარყვნილი და ბავშვური მოთხოვნილებით აგ-ვეხსნა ფოლკნერის გაბედული და ნაყოფიერი ცდა (ძალზე და-მახასიათებელი თანამედროვე რომანისტების ძიებებისათვის) – მეთოდი, „ხმაურისა და მრისხანების“ ავტორი რომ იყენებს, სა-დაც ორ სხვადასხვა პერსონაჟს ერთი და იგივე სახელი ჰქვია*. ეს სახელი, რომლითაც ავტორი მკითხველს აღიზიანებს, ატარებს რა მას პერსონაჟიდან პერსონაჟამდე, როგორც ძალლის ცხვირწინ დადებული შაქრის ნატეხი, ის მკითხველს აიძულებს, მუდმივად ფხიზღად იყოს. ჩვეულ სიზარმაცესა და აჩქარებას მინდობილს, მას უკვე აღარ შეუძლია, შემოჩეჩებულ ნიშნებს ჩაუდგეს კვალში, როდესაც თავისი ყოველდღიური ჩვევებით ხელმძღვანელობს. რომ გაიგოს, რაზეა საუბარი, მკითხველი იძულებულია, როგორც თავად ავტორმა, პერსონაჟები შიგნიდან გამოიცნოს მითითება-თა დახმარებით, რომლებსაც აღმოაჩენს, თუ უარს იტყვის ინტე-ლექტუალური კომფორტისადმი მიღრეკილებაზე, ისევე ღრმად ჩაიძირება პერსონაჟების შინაგან ცხოვრებაში, როგორც თვით ავტორი, და ავტორის ხედვას აითვისებს.

ამცანაც ესაა: აუცილებელია, მკითხველს მისი საკუთრება ჩამოართვან და ნებისმიერ ფასად შეიტყუონ ავტორის ტერიტო-რიაზე. მეთოდი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მთავარი გმირი აღინიშნება, როგორც „მე“ – ამ მიზნისათვის საშუალებას წარმოადგენს, რომელიც ერთდროულად ეფექტურიცაა და ხელ-მისაწვდომიც, და ეჭვგარეშეა, სწორედ ამის გამოა, რომ მას ასე ხშირად მიმართავენ.

ამგვარად, მკითხველი უმაღვე შიგნით აღმოჩნდება, იქვე, სადაც ავტორია, სილრმეში, სადაც უკვე აღარ დარჩა არცერთი მარჯვე ორიენტირი, რომელთა დახმარებითაც მან პერსონაჟე-ბი შექმნა. იგი იძირება და ბოლომდე ჩაძირული რჩება რაღაც სუბსტანციაში, ანონიმურში, როგორც სისხლია, სახელს მოკ-ლებულ, კონტურებს მოკლებულ მაგმაში. თუ ის ახერხებს, იმოძრაოს მასში, მხოლოდ მინიშნებათა წყალობით, ავტორს სა-

* ბიძასა და ძმიშვილს ჰქვიათ კვენტინი, დედასა და ქალიშვილს – კალდი.

კუთარი თავისათვის რომ დაუყენებია. არავითარი გზავნილები შეჩვეული სამყაროსადმი, არავითარი ხელოვნური ზრუნვა დალა-გებულობაზე, ან ცხოვრებასთან მსგავსებაზე არ ფანტავს მის ყურადღებას, არ აბრკოლებს მის ძალისხმევას. იგი მხოლოდ იმავე საზღვრებს ეჯახება, რასაც თვით ავტორი, – საზღვრებს, ამ რიგის ყოველგვარ ძიებას რომ ახლავს და ავტორის ხედვისათვის რომ არის დამახასიათებელი.

რაც შეეხება მეორეხარისხოვან პერსონაჟებს, ისინი, პირიქით, მოკლებულნი არიან დამოუკიდებელ არსებობას – ეს მხოლოდ წანაზარდებია, მოდალობები, ცდები, ან ზმანებანი იმ „მე“-სი, რომელთანაც ავტორი თავს აიგივებს, მაგრამ რომლებიც, ამავე დროს, რომ არა რომანისტი, სულაც არ იყვნენ ვალდებულნი, ეზრუნათ სამყაროს შექმნაზე, სადაც მკითხველი რაც შეიძლება, მოხერხებულად დამკვიდრდებოდა, არც იმაზე, რომ პერსონაჟებისთვის ის აუცილებელი პროპორციები და ზომები მიეცათ, რომლებიც ასე სახიფათო „მსგავსებას“ ანიჭებენ მათ. შეშლილის, მანიაკის ან ვიზიონერის მისეული მზერა ხან ისრუტავს, ხან მხედველობიდან უშვებს მათ, ხან თვითნებურად ერთი მიმართულებით მიათრევს, ხან თვითნებურად კუმშავს, ზრდის, ამჭიდროებს, ან ფანტავს და მათგან გამოწურავს იმ ახალ რეალობას, რომლის გაშლასაც ცდილობს.

ზუსტად ასევეა თანამედროვე მხატვარი – შეიძლება ითქვას, რომ იმპრესიონისტების შემდეგ ყველა ნახატი პირველ პირში იხატება, – ის საგანს მაყურებლის სამყაროდან წყვეტს და ფორმას უცვლის მას, რათა მისგან ფერწერული ელემენტი მიიღოს.

ამგვარად, ვითარდება რა ფერწერის ანალოგიურად, რომანი, რომელსაც მოვცელებული ტექნიკისადმი რომანისტების ჯიუტი მიჯაჭვულობის გამო ხელოვნების მეორეხარისხოვანი ფორმის სახელი გაუვარდა, თავისი საკუთარი საშუალებით, მის მიერ არჩეული გზით აგრძელებს წინსვლას და ხელოვნების სხვა დარგებს – კერძოდ, კინოს – სთავაზობს იმას, რაც თვით მისთვის უცხოა. იმის მსგავსად, როგორც ფოტოგრაფიამ აითვისა და დაამუშავა მიწები, რომლებიც ფერწერამ მიატოვა, კინო ირგებს და სრულყოფს იმას, რაც მას რომანმა გადასცა.

იმის ნაცვლად, რომ რომანისაგან უდარდელი თავდავიწყება მოვითხოვოთ, რაზეც ყოველი კარგი რომანი, როგორც წესი, უარს ამბობს, მკითხველს შეუძლია, ყოველგვარი ძალისხმევისა და დროის უსარგებლო ფლანგვის გარეშე თავისი გემოვნება „ცოცხალი“ პერსონაჟებისა და სხვადასხვა ისტორიებისადმი კინში დაიკმაყოფილოს.

თუმცა, ალბათ კინოც, თავის მხრივ, საფრთხის ქვეშ არის. „ეჭვი“, რომლისგანაც რომანი ზარალდება, მასაც შეეხო. სხვა-გვარად როგორ ავხსნათ, რომ მღელვარება, რომელიც ზოგი-ერთ კინორეჟისორს, რომანისტების კვალდაკვალ, იპყრობს, მას უბიძგებს, შექმნას ფილმები პირველი პირისაგან და შეიყვანეს მასში მონმის თვალი, ან მთხოვობელის ხმა?

რაც შეეხება რომანს, მას პირველი პირისაგან თხრობის ყველა უპირატესობა არც ამოუწურავს და ჯერ კიდევ არ შესულა ჩიხში, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ყოველგვარი ტექნიკის გარდაუვა-ლი ბოლოა, ის უკვე მოთმინებას კარგავს და ახალ გზებს ეძებს, რათა თავი დააღწიოს თავის ახლანდელ სიძნელეებს.

ეჭვი, რომელიც ახლა ხრავს პერსონაჟს და მთელ იმ დახავსე-ბულ მექანიკას, რომელიც მის სიძლიერეს უზრუნველყოფდა, ორგანიზმის თავისებური დამცველი რეაქციაა ავადმყოფობა-ზე, რომელიც მას ახალი წონასწორობის მოპოვებაში ეხმარება. იგი რომანისტს აიძულებს, შეასრულოს – როგორც ბ-ნი ტოინბი ფლობერის გამოცდილებაზე დაყრდნობით ამბობს – თავისი „უპირველესი მოვალეობა: აღმოაჩინოს ახალი“, და აკავებს მას, ჩა-იდინოს უმძიმესი დანაშაული: გაიმეოროს თავის წინამორბედთა აღმოჩენები.

1956 წელი

შენიშვნები:

1. „ჭაობები“ (1895) – ანდრე უიდის რომანი.
2. „მირაკლი ვარდზე“ (1947) – ფრანგი პროზაიკოსის, დრამატურგისა და პოეტის, ჟან ჟენეს (დაიბადა 1947 წელს) რომანი.
3. „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“ (1910) – რაინერ მარია რილკეს რომანი.
4. „მოგზაურობა ღამის კიდეზე“ (1932) – ფრანგი მწერლის, ლუი ფერდინანდ სელინის (1894-1961) რომანი.
5. „გულისრევა“ – ჟან პოლ სარტრის რომანი.
6. არნოლდ ტოინბი (1889-1975) – ინგლისელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი.

თარგმნა მანანა კვატაიაძე

სარჩევი

ვექტორები

მაია ჯალიაშვილი რომანი-აპოკრიფი (გიორგი კაჭარავას რომანი „პილატე და კაიაფა“).....	3
---	---

სოფო წულაძა

ნიკა ჯორჯანელის „ნეტფლიქსი“.....	19
----------------------------------	----

ნონა კუპრეიშვილი

ფიქრების ამოცნობა მუსიკის თანხლებით (ზაირა არსენიშვილის „რეკვიემი“).....	25
---	----

გია არგანაშვილი

სამყარო ისეთ შემოქმედს ბადებს, როგორიც მას სჭირდება (გიო ლომიძის პოეზია).....	37
---	----

ადა ნემსაძე

ზოგიერთი მოსაზრება 2021 წლის ქართულ მოთხრობაზე.....	53
--	----

მაია ჯალიაშვილი

სიცოცხლის მარადისობა (მაია ციციშვილის მოთხრობები).....	67
---	----

ადა ნემსაძე

„ეს სიმაღლე სხვა სიმაღლეებს გვაჩვევს ალბათ...“ (ნინო სადლობელაშვილის „დაბადების დღე“).....	75
---	----

მზია ჯამაგიძე	
სივრცე შესაძლებლობების გარეშე:	
პოსტკოლონიური დისტოპია	
ცოტნე ცხვედიანის რომანში	
„მააკოვსკის თეატრი“	85
ანა აფაქიძე	
კეთილი-ბოროტის დიქოტომია	
ოთარ ჭილაძის რომანში	
„ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“	97
კულტურა	
ისტორია კარგი გაკვეთილია.	
ყური მივუგდოთ ისტორიის ხმას	
ქართულ-გერმანული დიალოგი.....	104
ხელოვნება	
დიმიტრი თუმანიშვილი	
ხელოვნება და ინდივიდუალიზმი.....	124
ლელა ოჩიაური	
ბედისწერა და გზები, რომლებსაც ვირჩევთ	
(ალექსანდრე რეხვიაშვილის იგავები).....	143
ურნალისტიკა	
მანანა შამილიშვილი	
სატელევიზიო ეთერის „(მა)ვნე(ბლო)ბანი“	160

საბავშვო მწერლობა

მარიამ გიორგაშვილი

ზაირა არსენიშვილის „მოკლე კატოს თავგადასავალის“ ხელახალი გამოცემის გამო.....	171
---	-----

MEMORIA

ლევან გელაშვილი

ქართული ფუტურიზმის ასი წელი.....	179
----------------------------------	-----

გია არგანაშვილი

თამაზ ნატროშვილი.....	200
-----------------------	-----

დავით კლდიაშვილი – 160

ლალი აგალიანი

შემოქმედი და „რეჟიმი“ დიდი მწერლის ტკბილ-მწარე ხვედრი.....	219
---	-----

ზოგა ცხადაია

მარი აბრამიშვილი – „გადაუღებელი წვიმების“ ელეგია.....	235
--	-----

ნომრის სტუმარი

მირანდა ტყეშელაშვილი

„ჩამოიმარცვლა წელიწადის კრიალოსანი“	248
--	-----

ანტონიო გამონედა

(პუბლიკაცია მოამზადა, ინტერვიუ და ლექსები ესპანურიდან თარგმნა ქეთევან ჯიშიაშვილმა).....	264
---	-----

**XX საუკუნის ლიტერატურული
აზროვნების ისტორიიდან**

ნატალი საროტი ეჭვის ერა (თარგმნა მანანა კვატაიამ)	280
--	-----